

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

**საქართველოს ეკლესიის
მოკლე ისტორია**



Митрополит Анания Джапаридзе

**Краткая история Грузинской
Апостольской Святой Церкви**

Metropolitan Ananias (Japaridze)

**A Concise History of the Holy
Apostolic Church of Georgia**

Piskopos Anania Caparidze

Mesheti

(in Turkish language)

საქართველოს საპატრიარქოს ქართველოლოგიური კვლევის ცენტრი



მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

საქართველოს ეკლესიის
მოკლე ისტორია

Митрополит Анания Джапаридзе

Краткая история Грузинской
Апостольской Святой Церкви

Metropolitian Ananias Japaridze

A Concise History of the Holy
Apostolic Church of Georgia

Piskopos Anania Caparidze

Mesheti

(in Turkish language)

თბილისი
2023

„საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია“ წარმოადგენს მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ოთხტომეულის „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის“ ძალზე შემოკლებულ ვარიანტს. მოცემულია მისი რუსული და ინგლისური თარგმანები.

წიგნში საქართველოს ეკლესიის ისტორია დაყოფილია სამ დიდ პერიოდად და საეკლესიო ცხოვრება გადმოცემულია საუკუნეთა მიხედვით,

წმ. მოციქულ ანდრია პირველწოდებულისა და წმიდა ნინოს მიერ დაფუძნებული ეკლესია წარმოადგენდა ერის მტკიცე საყრდენს სულიერი გადარჩენისათვის ბრძოლაში, ამასთანავე, ეკლესიამ ეროვნულ სახელმწიფოსთან თანადგომით შეძლო თავის წიაღში ჩამოეყალიბებინა უდიდესი საგანძური ქართველი ხალხისა – ქართული მწერლობა, ლიტერატურა, პოეზია, ფერწერა, არქიტექტურა და ზოგადად, 1700 წლოვანი ქართული ქრისტიანული კულტრა.

ექვნიება სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის დაბადებიდან 90-ე წლისთავს, წიგნს ერთვის რუკები და ილუსტრაციები.

რედაქტორი: **პროფ. ი. გორგიძე**

კომპიუტერული

უზრუნველყოფა: **ლ. მოსეშვილი**

© მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

ISBN 978-9941-8-5265-7



შესავალი

ქრისტესმიერ საყვარელო შვილებო, ყოველი ჩვენი სიტყვით და საქმით უნდა ვადიდოთ უფალი ღმერთი, რამეთუ მან დაგვბადა ჩვენ, შექმნა ცა და დედამინა, კაცობრიობა, ერები და ხალხები.

წმიდა წერილის თანახმად, თავდაპირველად კაცობრიობა ერთ ხალხს, ერთ ეთნოსს წარმოადგენდა, ერთი სალაპარაკო ენით – **„ერთპირი იყო მთელი ქვეყანა და ერთ ენაზე მეტყველი“ (დაბ. 11. 1)**, ბაბილონის გოდოლის დანგრევის შემდგომ კი უფალმა ღმერთმა ინება, რომ დედამინაზე ეცხოვრა არა ერთ, არამედ მრავალ ერს, ყოფილიყო მრავალი ენა.

წმიდა ბიბლიის თანახმად, ასე ჩამოყალიბდნენ დედამინის პირველი ხალხები. თითოეულ ერს მიეცა თავისი საპატრონო ნაწილი დედამინისა, რომელსაც სამშობლო ეწოდება, ამასთანავე, ადამიანებს მიეცათ მოვალეობა მისი მოვლა-პატრონობისა, მტრისგან დაცვისა. ჩამოყალიბდა პირველი სახელმწიფოები. იქ მცხოვრებნი ერთმანეთის მიმართ თანამემამულენი (ძველქართულად - „ნათესავნი“), მოყვასნი და მეგობარნი იყვნენ. ერისათვის თავდადება, მისთვის თავის განირვა ღვთისათვის სათნო საქმედ ითვლებოდა, რადგანაც ნაყოფი იყო სიყვარულისა, ღმერთი კი სიყვარულია. ბრძანებს კიდევ წმიდა წერილი: **„იმაზე დიდი სიყვარული არ არსებობს, როცა ვინმე თავის სულს სწირავს თავისი მეგობრისათვის“ (იოანე 15. 13)**.

სამშობლოს სიყვარულით და ერთმანეთისათვის თავდადებით ძველთაგანვე გამოირჩეოდნენ ჩვენი სულკურთხეული წინაპრები, ძველი ქართველები. მათ შესახებ კაცობრიობის უპირველესი წიგნი – წმიდა ბიბლიაც გვანვდის ცნობებს.

როგორც ცნობილია, მსოფლიო წარღვნას მხოლოდ ერთი კაცის, ნოეს ოჯახი გადაურჩა და მთელ კაცობრიობას ნოეს ძეებმა – სემმა, ქამმა და

იაფეტმა დაუდეს საფუძველი. იაფეტის ძეებს შორის იხსენებინ ქართველთა წინაპრებიც: თობელი, მოსოქი და ასევე თოგარმა, თანახმად ბიბლიის დიდ კომენტატორთა – იოსებ ფლავიუსისა და სხვათა განმარტებებისა.

იაფეტის შთამომავლობა ასეთია: „**იაფეტის ძენი: გომერი, მაგოგი, მადაი, იავანი, თუბალი, მეშექი და თირასი**“ (დაბ. 10. 2-3), ქართველთა ეთნარქების – თუბალის და მეშექის (მოსოხის) შესახებ ასევე მრავალ საგულისხმო ცნობას გვანვდიან დიდი წინასწარმეტყველები იერემია და ეზეკიელი.

ს. ჯანაშიას კონცეფცია ასეთია: „დაახლოებით 6000 წლის წინ, წინა აზიის უზარმაზარ მინა-წყალზე და სამხრეთ ევროპაშიც (ბალკანეთი, აპენინისა და პირინეის ნახევარკუნძულები) ერთი მოდგმის ხალხები ცხოვრობდნენ. შემდგომ ამ მოდგმის ხალხთა ადგილსამყოფელი თანდათან იზღუდებოდა – ესენი ქართველთა წინაპრები იყვნენ“. ამ დროისათვის ქართველები მეტყველებდნენ ერთი საერთო ენით.

ქართველობა იმ ეპოქაში ერთიანი იყო და არ იყო დაყოფილი იმ ჯგუფებად, რომელთაც ამჟამად კახელებს, იმერლებს, მეგრელებს, სვანებს, გურულებს, ხევსურებს და სხვ. ვუწოდებთ.

ძველი ქართველები ქრისტეშობამდე 2000 წლის წინ კავკასიის გარდა ასევე ცხოვრობდნენ მცირე აზიასა და შუამდინარეთის ჩრდილო ნაწილშიც და მათ მრავალი სახელოვანი სახელმწიფო შექმნეს.

ძველქართულ ქვეყანათა შორის განსაკუთრებული სიდიადით ბრწყინავდა კოლხეთი. ჰომეროსი და ძველი მსოფლიოს მრავალი პოეტი ამკობდა მის დიდებას, მაგრამ ისტორია ცვალებადია, ქრისტეშობამდე 800 წლით ადრე კოლხეთს შემოესივნენ კიმერიელები, ძალზე ძლიერი ხალხი, ჩრდილო კავკასიის იქითა სტეპების ტომები, მათ ჯერ კოლხეთის სამეფო გაანადგურეს, შემდეგ კი სამხრეთის მრავალი ქვეყანაც დაიპყრეს ვიდრე ისრაელამდე. მათგან მთელი აზია ძრწოდა. გამარჯვებულ კიმერიელებს აუყრიათ კოლხეთისა და სხვა დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობის დიდი ნაწილი და უიძულებიათ ისინი ელაშქრათ სამხრეთში სხვა ხალხების დასამორჩილებლად.

ეს ლაშქრობა ყოფილა ხალხთა დიდი გადასახლება ჩრდილოეთიდან ისრაელამდე. ეს მოვლენა წმიდა ბიბლიაშიც აისახა. ბრძანებდა უფალი წინასწარმეტყველის პირით: „**აჰა, მოვუხმობ ჩრდილოეთის ყველა ტომს, ამბობს უფალი, და ავამხედრებ ამ ქვეყანაზე, მის მცხოვრებლებზე და ირგვლივ ყველა ხალხზე**“ (იერემია 25. 9).

ჩრდილოეთის ხალხების დიდი ლაშქრობა ისრაელისაკენ უფლის ნება ყოფილა. ამ ხალხთა შორის, ბიბლიის კომენტატორების განმარტებით, იყვნენ „მოსოხისა და თუბალის“ ხალხები (ქართველები), რომელნიც თურმე აიძულა გოგის (კიმერიელთა) ხალხმა მათთან ერთად ელაშქრათ სამხრეთში, მათ ისრაელის მთებამდეც კი მიუღწევიათ. აქ გაუმარჯვნიათ და ერთხანს კიდევ გაბატონებულან, რაც იწინასწარმეტყველა კიდევ მეფე დავითმა, – ეს ფსალმუნებშიც აისახა. „**ვაიმე, ხიზანი ვარ მეშექისა, ვბინადრობ კედარის კარვებთან**“ (ფს. 119 (120) 5; ბიბ. 1989, გვ. 555).

ვინ იყვნენ მოსოხები (მეშექები), რომელთა ხიზნად ქცეულა წმიდა მინის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნები?

იერემია და ეზეკიელ წინასწარმეტყველების ეპოქის, ქრისტეშობამდე VI ს. ავტორი, ჰეკატოს მილეტელი წერს: „**მოსოხი კოლხური ტომია**“ (ნარკვ. I, გვ. 395), მაშასადამე, აღნიშნული მოსოხები ის კოლხები არიან, რომელნიც კიმერიელთა იძულებით ჩრდილოეთიდან სამხრეთში ლაშქრობდნენ.

კოლხეთიდან გამოსულ ქართველობის სამხედრო არისტოკრაციას სამხრეთში დაუარსებია ახალი სახელმწიფო, რომელსაც უძველესი ქართული წყარო, „მოქცევა ქართლისა“ უწოდებს „არიან-ქართლს“, უცხოელები მას ასევე „ძველ იბერიას“ უწოდებდნენ.

მაღევე უფალ ღმერთს უნებებია, თანახმად წმიდა წერილისა, რომ სამხრეთში გადმოსახლებული ქართველები კვლავ უკან კავკასიაში დაბრუნებულ იყვნენ. ეზეკიელი ახსენებს კიდევ უფლის სიტყვებს, ჩრდილოეთის კიდებიდან მოსულ ხალხთა მიმართ ნათქვამს – **„გაგაბრუნებ“!** უფალი ბრძანებს: – **„აჰა, შენზე ვარ, გოგ, რომის, მეშექის და თუბალის მთავარო! გაგაბრუნებ... თოგარმას სახლს ჩრდილოეთის კიდებიდან მთელი თავისი ურდოთი, ურიცხვი ხალხითურთ შენთან ერთად“** (ეზეკიელი 38. 3-6).

წმიდა წერილის თანახმად, ჩრდილოეთის ხალხების სამხრეთში გადმოსახლება და შემდეგ მათი უკან დაბრუნება ღვთის დიადი გეგმის ნაწილი იყო, რათა ჩრდილოეთის ხალხებს ეცნოთ ჭეშმარიტი ღმერთი, რომელსაც ნებავდა არა ხალხების სიკვდილი და გაქრობა, არამედ განვრთნა – **„მიხვდებიან ხალხები, რომ მე უფალი ვარ, რომ წმიდა ვარ ისრაელში“** (ეზეკიელი 39. 7) ანდა – **„ნამოგიყვან ჩემი ქვეყნის წინააღმდეგ, რომ მიცნონ ხალხებმა, როცა გამოვჩენ ჩემს სინშიდეს შენში, გოგ, მათ თვალწინ“** (ეზეკიელი 38. 16).

ბიბლიის კომენტატორები, მათ შორის, ეკლესიის ისტორიის მამად წოდებული ევსევი კესარიელი და წმ. იოანე ოქროპირის საუკეთესო მოწაფე თეოდორიტე კვირელი ეზეკიელის აღნიშნული მუხლების განმარტებისას წერენ, რომ ქართველი ტომების უკან დაბრუნება უფალმა ინება ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორის ხელით: **„ნაბუქოდონოსორმა, რომელიც ჰერაკლზე უფრო ძლიერი იყო, საომარი ჯარი შეკრიბა, მიაღწია იბერთა ქვეყანაში, აჯობა მათ, გააცამტვერა და დაიმორჩილა. მათგან ერთი ნაწილი გადაასახლა მან პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეზე და იქ დაასახლა“** (გეორგიკა I, 1961, გვ. 30).

ევსევი კესარიელი ამავე ცნობის გადმოცემისას ეყრდნობოდა ქრისტესშობამდე IV-III ს-ის ისტორიკოს მეგასტენეს.

მაშასადამე, სადღაც სამხრეთში ძვ. წ. VI-IV სს-ში არსებობდა ქართველთა ქვეყანა – „ძველი იბერია“ (ივერია, იგივე „არიან ქართლი“), რომლის ხალხის ერთი ნაწილი უკანვე, თავის სამშობლოში, ისტორიულ კოლხეთში, კერძოდ კი, **„პონტოს (შავი ზღვის) აღმოსავლეთ მხარეს“** ანუ თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე გადმოუსახლებიათ თავისსავე თანამე-

მამულეთა შორის, სადაც, ცხადია, იქამდეც ცხოვრობდა მკვიდრი ქართველობა, რომელიც ამის შედეგად უფრო გაძლიერებულა.

სამხრეთის ქვეყნიდან (“არიან-ქართლიდან”) პოლიტიკური ცენტრების ჩრდილოეთში გადმოტანის შემდგომ გაძლიერებულ ქართველ ერს კავკასიაში შეუქმნია პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფო, რომელსაც „ქართლის სამეფო“ ერქვა.


„მოქცევის“ მიხედვით, ქართლს სამეფოს დამფუძნებელი იყო აზო (აზონი), „ქართლის ცხოვრების“ თანახმად კი, „ქართლის სამეფოს“ დამაარსებლები იყვნენ მეფე ფარნავაზი და ერისთავი ქუჯი, ამავე წყაროს ცნობით ფარნავაზის ეპოქიდანვე ქართლის სამეფოს ხალხს გააჩნდა მტკიცედ ჩამოყალიბებული იდენტობა, საკუთარი მნიგნობრობა, საერთო ენა, ერთიანი კულტმსახურება, ამიტომაც წერს მემეტიანე – „ამან ფარნავაზ შექმნა მნიგნობრობა ქართული“. მის სამეფოში „არა იზრახებოდა“ სხვა ენა თვინიერ ქართულისა, ეს ნიშნავს, რომ ისტორიულ საქართველოში სახელმწიფო (ოფიციალური) ენა იყო მხოლოდ ქართული ენა, ის იყო ენა კულტურისა თუ ღვთისმსახურებისა.

ამასთან დაკავშირებთ, კიდევ ერთხელ შეიძლება გავიმეოროთ აგიოგრაფიულ წყაროებში დაფიქსირებული ცნობები ქართულ ენასთან დაკავშირებით, მაგალითად იოანე ზედაზნელსა და შიო მღვიმელს უფალმა ღმერთმა მყისიერად მისცა ცოდნა იქამდე მათთვის უცნობი ქართული ენისა, მემეტიანე წერს, რომ ეს იყო სასწაული მსგავსი სულთმოფენობის დროს წმ. მოციქულებისათვის ენათა ცოდნის მინიჭებისა.

შიძლება შევაჯამოთ, რომ ქუჯი-ფარნავაზის ეპოქაში ჩამოყალიბებულ პირველ ერთიან სახელმწიფოს ქართული წყაროები უწოდებენ „ქართლის სამეფოს“, ის აერთიანებდა ქვეყნის ორივე გეოგრაფიულ ნაწილს, ლიხის ქედის დასავლეთით შავ ზღვამდე და მის აღმოსავლეთით დაღესტნის მთიანეთამდე. ამ სამეფოს მოსახლეობა ერთი ეთნოსი იყო, ერთი სახელმწიფოსა და ენის მქონე. ამ ქვეყნის მკვიდრი ეგრისელები (მეგრელები), გურულები, სვანები, მარგველები (შემდეგდროინდელი იმერლები), ჰერ-კახნი, ქართლები და სხვები – ერთი ხალხი იყო.

ძველი სომეხი ისტორიკოსი უხტანესი ქართველთა შესახებ წერს: **„გამრავლდნენ და გახდა ტომი, რომელსაც თავის პირველ ქვეყანაში ივერიას უწოდებდნენ, აქ კი ქართველნი ეწოდათ... გამრავლდა ზღვის პირას, მოედო იმ მხარეს და გავრცელდა სომეხთა და ალბანთა საზღვრამდე, და შეიქმნა ფრიად დიდი ხალხი“** (უხტანესი, „განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა“, გვ. 67).

ქრისტეშობამდე 400-300 წლით ადრე ეგრისის ერისთავ ქუჯის თანადგომით შექმნილ ფარნავაზის სახელმწიფოში, ანუ „ქართლის სამეფოში“ შედიოდა 8 საერისთავო: ეგრისი, არგვეთი, კახეთი, ხუნანი, სამშვილდე, წუნდა, ოძრხე და კლარჯეთი.



„შუა იბერია“ სტრატონის ცნობილი

აზო-ფარნავაზის შემდეგ ქვეყნის ორივე გეორგაფიულ ნაწილს – აღმოსავლეთს და დასავლეთს საქართველოს სახელმწიფო აერთიანებდა, მას, როგორც ითქვა, „ქართლის სამეფო“ ანუ „ქართლი“ ერქვა, ხოლო უცხოელები იბერიას უწოდებდნენ (ალსანიშნავია, რომ საუკუნეთა შემდგომ,

განსაკუთრებით არაბობის შემდეგ შეიცვალა ტერმინ „ქართლის“ პოლიტიკური მნიშვნელობა, ის დაკნინდა და ამის შემდეგ ტერმინი „ქართლი“, არა ერთიანი საქართველოს, არამედ მხოლოდ მისი ცენტრალური ნაწილის აღსანიშნავად გამოიყენებოდა. ამის მიუხედავად, მწერლობა და პოეზია, სასულიერო წოდება ამ ტერმინს (ქართლს) მუდამ ერთიანი საქართველოს აღსანიშნავად იყენებდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ სტრაბონი „შიდა ქართლს“ (ანუ მინანქალს მოქცეულს ლიხის ქედასა და საგურამოს ქედს შორის) უწოდებდა არა უბრალოდ „იბერიას“ არამედ „**შუა იბერიას**“, მაშასადამე სტრაბონი გულისხმობდა, რომ „დასავლეთ იბერია“ მდებარეობდა ლიხის ქედის დასავლეთით, ხოლო „აღმოსავლეთ იბერია“ საგურამოს ქედის აღმოსავლეთით (სტრაბონი წერს – „**Некоторые отроги горы выдаются по направлению на юг; они охватывают середину Иберии, соприкасаются с Армянскими и так называемыми Мосхийскими горами**“ (Страбон. География. Книга XI).

<http://ancientrome.ru/antlittr/t.htm?a=126011000>

მაშასადამე, სტრაბონის ცნობიდან გამომდინარე, „იბერია“ ერქვა „ქართლის სამეფოს“ მთლიანად შავი ზღვიდან დაღესტნის მთებამდე, ხოლო, მისივე ცნობით, „**შუა იბერია**“ („**середина Иберии**“) ერქვა შიდა ქართლს, მას სტრაბონი ასევე „შუა იბერიას“ უწოდებს).

სტრაბონი ასევე იძევა ცნობას, რომ მინანქალი („перешейка“) შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე ძირითადად დასახლებული იყო იბერებითა და ალბანელებით, მათ გარდა იქ მცხოვრებ სხვა პატარა ტომებს კი ძალზე მცირე მინანქალი ეჭირათ (სტრაბონი წერს- „...Прочие народности, живущие около Кавказа, занимают скудные и незначительные пространства земли; напротив, албанские и иберийские племена, которые как раз занимают большую часть вышеупомянутого перешейка“. (Страбон ГЕОГРАФИЯ. КНИГА XI.II. 19).

სტრაბონი დასავლეთ საქართველოსაც იბერიას რომ უწოდებს, იქედანაც ჩანს, რომ ის დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ სვანებს („Соаны“), იბერებს უწოდებს, ნყაროდ კი ასახელებს ზოგიერთ ისტორიკოსს – „**Некоторые называют их также иберийцами**“. ჩანს პოლიბიოსს.

კიდევ ერთხელ შეიძლება აღინიშნოს, რომ შიდა ქართლს, ანუ მინანქალს კავკასიონის მთავარი ქედითა (და მისგან გამოსული სამხრეთისაკენ მიმართული) ლიხისა და საგურამოს ქედებით სატარბონი უწოდებს არა „ალანიას“, ანდა „ოსეთს“, არამედ „შუა იბერიას“, რადგანაც ეს ტერიტორია იბერიის ცენტრალური ნაწილი იყო. ანუ სტრაბონი თითქოსდა წინასწარ ედავება სეპარატისტებს, რომელნიც ამჟამად შუა იბერიას „სამხრეთ ოსეთს“ უწოდებენ, ის არც დასავლეთ საქართველოში ასახელებს სვანების გარდა სხვა რომელიმე ტომს, ხოლო სვანებზე, როგორც აღინიშნა, წერს, რომ მათ „იბერებს უწოდებს ზოგიერთი ისტორიკოსი“.

ქართლს სამეფოს მოსახლეობას ერთი სახელმწიფო და კულტურის ენა აერთინებდა, ფარნავაზმა „**განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმ-**

ნა მნიგნობრობა ქართული“ (ქართლის ცხოვრება, I. გვ. 26). რადგანაც ფარნავაზის ეპოქიდანვე ტერმინით „ქართლი“ აღინიშნებოდა მთელი ისტორიული საქართველო შავი ზღვიდან ვიდრე დაღესტნის მთებამდე, მემეტრიანის არნიშნული ცნობა ნიშნავს, რომ ქართული ენა, ვითარცა სახელმწიფო, ადმინისტრაციისა და მნიგნობრობის, ასევე ვითარცა საკულტო ენა განივრცო როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, ფარნავაზის მთელ სახელმწიფოში.

უფლის ამალღების შემდეგ სულიწმიდის მოფენისას მოციქულებს მიეცათ იმ ხალხთა ენების ცოდნა, რომელთა ქვეყნებშიც უნდა ექადაგათ მათ. შესაბამისად, წმ. ანდრია პირველწოდებულს მიეცა ქართული ენის ცოდნა. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა ის თავის წილხვედრ ივერიაში ანუ საქართველოში გამოგზავნა.

მატიანეთა მიხედვით, ამის შემდეგ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი პატრონობდა ქართულ ენას, მაგალითად, IX ს-ში საბერძნეთში ოლიმპოს (ულუმბოს) წმიდა მთის მონასტერში იღვწოდნენ ქართველი ბერები და უფალ ღმერთს ქართული ენით ადიდებდნენ, მაგრამ ბერძნებმა ქართველებს აუკრძალეს ქართული ენით ლოცვა. ამის გამო ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა მონასტრის ბერძენ წინამძღვარს და უბრძანა: **„რომელნი მათ არა შეიწყნარებენ, მტერ ჩემდა არიან“**. რადგანაც, ქართული ენა ღვთისმშობლის სათნო ენა იყო (ილარიონ ქართველის ცხოვრება, ქრესტომათია, 1949, გვ. 172).

ასევე X ს-ის ბოლოს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა ყმანვილ მომაკვდავ ექვთიმე ათონელს, მოხედა მის სწეულებას და უთხრა: **„აღსდევ, ნუ გეშინინ და ქართულად ხსნილად უბნობდი“**. ამის შემდეგ ქართული სიტყვა მისგან „ვითარცა წყარო ამოდიოდა უწმინდეს ყოველთა ქართველთა“.


როგორც ზემოთ აღინიშნა, წმ. შიო მღვიმელისა და წმ. იოანე ზედაზნელის ცხოვრებათა მიხედვით, მათ, ასევე მეყვსეულად ზეგარდამო მიენიჭათ იქამდე მათთვის უცნობი ქართული ენის ცოდნა. ანუ „ენა ქართულად მეტყუელი“ მათ ჯერ კიდევ ასურეთშივე მიენიჭათ უფლის მიერ. მემატინე ამის გამო წერს - „ეჰა, საკვირველებათა შენთა, ქრისტე ღმერთო, ვითარ ადიდებ მადიდებელთა შენთა. ესე სასწაული, ძმანო, მიმსგავსებული არს გარდამოსლვასა სულისა წმიდისასა წმიდათა ზედა მოციქულთა და განყოფასა მას ენათა ცეცხლისათა“.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მეოხებით წმ. ანდრია პირველწოდებულის მიერ საქართველოში ღვთისმსახურებისათვის დანერგილი ქართული ენით ადიდებს უფალ ღმერთს მთელი ქართველი ერი ათასწლეულთა მანძილზე.

საქართველოს ეკლესიის ისტორია იყოფა სამ პერიოდად: I პერიოდი მოიცავს დროს წმიდა მოციქულებიდან რუის-ურბნისის კრებამდე, II პერიოდი – რუის-ურბნისის კრებიდან ავტოკეფალიის გაუქმებამდე, ხოლო III პერიოდი – XIX-XX სს-ებს.

განვიხილოთ თითოეული პერიოდი.

ფ.წ. III საუკუნე



ქართლის სამეფოს საერისთავოები ფარნავაზის დროს

- I. მარგვეთის საერისთავო – მცირე შიიდან (ლიხიდან – ვერისის ზღვა-მდე რიონს ზემოთ) დიშნას და შორაპნის ციხეების ჩათვლით;
- II. კახეთის საერისთავო – არაველიდან ჰერეთამდე, კუხეთის ჩათვლით;
- III. სუნანის საერისთავო – ბერდერუგის მდინარიდან თბილისამდე და ვარჩხანამდე, გარდაბნის ჩათვლით;
- IV. სამშველდის საერისთავო – სკვირეთის მდინარიდან ტაშირის და ამოცის ჩათვლით მათ შორამდე;
- V. ნუნდის საერისთავო – ფარავნის ტბიდან მტკვრის თავამდე ჯავახე-თის, კოლხის და არტაანის ჩათვლით;
- VI. იძრის საერისთავო – ტაშისკარიდან არსიანამდე, ნოსტისთავი-დან ზღვამდე, სამცხისა და აჭარის ჩათვლით;
- VII. კლარჯეთის საერისთავო – კლარჯეთის საერისთავოს საზღვრები მოცემულია ვაჭუშტის ცნობების მიხედვით, იხ. რუკა № 11);
- VIII. ეგრისის საერისთავო - ცხენისწყლიდან – ვერისწყლამდე;
- IX. სასპასეკეთ – თბილისიდან და არაველიდან ტაშისკარამდე და ფარავნამდე (მიდა ქართლი).

საქართველოს ეკლესიის ისტორიის | პერიოდი, I-XI სს. (წმ. მოციქულებიდან რუის-ურბნისის კრებამდე)

I საუკუნე

საქართველოს ეკლესია არის მსოფლიო (საყოველთაო) ეკლესიის განუყოფელი ნაწილი, ამიტომაც მისი ისტორია მსოფლიო ეკლესიის ისტორიის ნაწილია. ეკლესია მთელ დედამიწაზე მცხოვრებ ქრისტიანთა ერთობაა, რომელიც განიხილება, როგორც სულიერი სხეული, რომლის თავიც ქრისტია და ერთი სულით სულდგმულობს: „ერთი სხეული და ერთი სული, ერთი უფალი, ერთი რწმენა, ერთი ნათლობა, ერთი ღმერთი და მამა ყოველთა“ (ეფეს. 4. 4-6), ამიტომაც ეკლესიის განყოფა და ნაწილებად დაშლა არ შეიძლება.

სხვადასხვა ადგილობრივი ეკლესიების არსებობა, როგორცაა კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, იერუსალიმის, საქართველოსა და სხვებისა, არ არღვევს ეკლესიის ერთობას, რადგანაც ისინი ერთი სხეულის – ქრისტეს საყოველთაო ეკლესიის წევრები არიან.

ეკლესიის ისტორიკოსთა განმარტებით ქრისტიანული ეკლესიის ისტორია საღმრთისმეტყველო მეცნიერებათა ჯგუფში შედის, თუმცა, მეორე მხრივ, იგი საერო მეცნიერებაცაა, რადგანაც კაცობრიობის ისტორიის შესწავლას ემსახურება. საქართველოს ეკლესიის ისტორიაც ასევე ქართველი ერის ისტორიის შემადგენელი ნაწილია. საქართველოს ეკლესია წარსულში მუდამ წარმმართველი ძალა იყო ქართველი ერის სულიერი ცხოვრებისა. წმიდა ილია მართლის (ჭავჭავაძე) თქმით: „საქართველოს ეკლესია ყოველთვის თავდადებით პატრონობდა ჩვენს ერს და არასდროს დიდებას ერისას დაეინყებას არ აძლევდა“ (ი. ჭავჭავაძე, ტ. II, გვ. 180).

ქართულ ეკლესიას სამართლიანად უწოდებენ „საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას“, მაგრამ, ამასთანავე, მას უძველესი დროიდან „საქართველოს სამოციქულო ეკლესიაც“ ეწოდებოდა, ვინაიდან იგი ქრისტეს მოციქულებმა დააფუძნეს.

ძველ საქართველოში წმიდა ანდრიასა და სხვა მოციქულების ჩვენს ქვეყანაში მოღვაწეობა და ქადაგება უეჭველ ჭეშმარიტებად იყო აღიარებული.

ახალ დროში, განსაკუთრებით, XX ს-ის დასაწყისში, წმიდა ანდრიას საქართველოში ქადაგება ლეგენდად გამოცხადდა. უარყოფილებს ერთ-ერთ არგუმენტად ისიც მიაჩნდათ, რომ მათი აზრით, იბერია უმნიშვნელო ქვეყანა იყო და მას მოციქულთა ყურადღების მიპყრობა არ შეეძლო. სინამდვილეში I ს-ის 30-იანი წლებიდან II ს-ის 60-იანი წლების ჩათვლით, ე. ი. მოციქულთა ეპოქაში იბერია ძლიერი სახელმწიფო იყო, რომელიც ფაქტიურად მთელ ამიერკავკასიას მოიცავდა. რომაელი ისტორიკოსები – ტაციტუსი, დიონ კასიუსი და სხვები სიამოვნებით უთმობდნენ თავიანთ თხზულებებში ადგილს იბერიის სისხლსავსე ცხოვრების აღწერას. შუა საუკუნეების ვეროპელები ანტიკური დროის იბერიას უფრო უკეთ იცნობდნენ, ვიდრე

თავიანთი დროის საქართველოს. ძველ ისტორიკოსთა ცნობებს იბერიის შესახებ ადასტურებს საქართველოს სხვადასხვა კუთხის არქეოლოგიური შესწავლა.

ამაღლების შემდეგ მოციქულებმა წილი ყარეს, თუ ვის რომელ ქვეყანაში უნდა ექადაგა. „ქართლის ცხოვრება“ გადმოგვცემს, რომ საქართველო წილად ხვდა ღმრთისმშობელს, მაგრამ მისი ძის, ჩვენი უფლის ნებით, ღმრთისმშობელმა თავის ნაცვლად საქართველოში წმ. მოციქული ანდრია პირველწოდებული მოავლინა, რომელსაც თავისი ხელთუქმნელი ხატი გამოატანა. წმიდა ანდრია მოციქულმა არა მარტო გააქრისტიანა ქართველები, არამედ პირველი საეპისკოპოსოც დააარსა ქალაქ აწყურში, დაუნიშნა ეპისკოპოსი და დატოვა რამდენიმე მღვდელი და დიაკონი, ფაქტიურად ეს იყო შექმნა ქართული ეკლესიისა თავისი იერარქიით.

ანდრია მოციქულმა შემდეგი მოგზაურობის დროს საქართველოში სხვა მოციქულებიც ჩამოიყვანა. კერძოდ, მესამე მოგზაურობისას მას სვიმონ კანანელი და მატათა ჩამოუყვანია. ამის შესახებ ცნობას ეპიფანე კონსტანტინეპოლელი (VIII ს.) იძლევა.

ეფრემ მცირე ბერძნულ წყაროებზე დაყრდნობით წერდა, რომ ჩვენს ქვეყანაში იქადაგა მოციქულმა ბართლომემ. ამ აზრს იცავს არქანჯელო ლამბერტიც, ხოლო XVI ს-ის ერთი სლავური წყარო ქართულ ეკლესიას თომა მოციქულის მიერ დაარსებულად მიიჩნევს. სხვა ისტორიული ცნობის მიხედვით მოციქულ თადეოზსაც უქადაგია საქართველოში.

არა მარტო 12 მოციქულთაგან, არამედ 70 მოციქულთაგანაც ყოფილან საქართველოში და უქადაგიათ აქ. მაგალითად, ქართლის ქრონიკების თანახმად, ასეთი ყოფილა ხრისო, რომელსაც ალბანეთში (იმ დროს იბერიის ნაწილი იყო) მოუწათლავს 19 კაცი.

ამრიგად, 12 მოციქულთაგან ექვსს უქადაგია საქართველოში, კერძოდ: ანდრია პირველწოდებულს, სვიმონ კანანელს, მატათას, ბართლომეს, თომას და თადეოზს. ამათგან ორის საფლავი ახლაც საქართველოშია: სვიმონ კანანელისა – ახალ ათონში და მატათასი – ბათუმთან ახლოს, გონიოს ციხე-სიმაგრეში. ხოლო სამოცდაათთაგან საქართველოში უქადაგია ხრისოს.

მოციქულთა მიერ დაარსებული ეკლესია, სადაც არ უნდა ყოფილიყო ის, ავტოკეფალური იყო. ამიტომაც საქართველოს ეკლესიაც დაარსების-თანავე თავისთავადია.

II საუკუნე

ქრისტიანობა I-II სს-ში არ იქცა იბერიის სახელმწიფო სარწმუნოებად, ისევე, როგორც რომის იმპერიაში, მაგრამ ამ პერიოდში იგი თანდათან გაძლიერდა და განივრცო.

VIII ს-ის წყარო – „აბო ტფილელის წამება“ – წერს, რომ ქართველები ქრისტიანები ყოფილან II-III სს-დან. ამას არქეოლოგიური მასალაც ამტკიცებს. მაგალითად, არქეოლოგების მიერ მიკვლეულია ჩვენში ჯერ კიდევ

წმიდა ნინომდე ქრისტიანული მოსახლეობის არსებობის დამადასტურებელი კვალი: ქრისტიანული სამარხნი მცხეთის სხვადასხვა კუთხეში და II-III სს-თა ქრისტიანული ეკლესია ნასტაკისში (ეს უძველესი ქალაქი ქსნის ციხის ძირში ყოფილა გაშენებული). II-III სს-თა ეკლესიის და აგრეთვე იმდროინდელი ქრისტიანული დაკრძალვის წესის არსებობა ადასტურებს იმ აზრს, რომ რომ საქართველოში ქრისტიანული საეკლესიო ორგანიზაცია უწყვეტად არსებობდა I-II სს-დან (მოციქულთა დროიდან) წმიდა ნინოს ქადაგებამდე (IV ს-მდე). უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ პერიოდის ქართული ქრისტიანული თემები საქართველოში საკმაო გავლენითაც სარგებლობდნენ. ასეთი ვარაუდის საფუძველს მეფე რეგ მარათალის რეფორმაც გვაძლევს.

საქართველო II-III სს-შიც სამისიონერო ასპარეზი ყოფილა (ბერძენ და ლათინ ისტორიკოსთა ცნობებით) და მსოფლიო ქრისტიანული ცენტრები ყურადღებას არ აკლებდნენ მას. ერთი ცნობა ასეთია: „იბერიის იმ ნაწილმა, რომელიც პონტოს ზღვასთან მდებარეობს და კოლხიდად იწოდება, სახარება ჯერ კიდევ იმპერატორ ტრაიანეს დროს მქადაგებელი წმიდა კლიმენტის შემწეობით მიიღო. წმიდა კლიმენტი იმ მხარეში იყო გადასახლებული“ (ი. ტაბალუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, I, გვ. 171).

ირინეოსს კი მიაჩნდა, რომ ქართველებმა (იბერებმა), რომლებიც იწოდებიან კოლხებად (გეოგრაფიული ადგილის მიხედვით), ქრისტიანობა ჯერ კიდევ რომის იმპერატორ ტრაიანემდე (98-117) მიიღეს. იმავე ცნობით, იმ ქართველებმა, რომლებიც კასპიის ზღვისაკენ კავკასიის მთებთან ცხოვრობენ (იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა), ქრისტიანული სარწმუნოება უფრო გვიან მიიღეს. ეს ცნობა სავსებით ეთანხმება „ქართლის ცხოვრებას“, რომლის მონაცემებითაც ქართველთაგან ქრისტიანობა პირველებმა მიიღეს მეგრელებმა (კოლხებმა) და კლარჯებმა (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობამ).

წმიდა იუსტინე 150 წლის მახლობლად ამტკიცებდა, რომ არ არსებობს დედამიწაზე ისეთი კუთხე, თვით ბარბაროს ხალხთა შორისაც კი, სადაც ხალხი ჯვარცმული იესოს სახელს არ ლოცულობდესო. ასეთივე აზრს გამოთქვამს ირინეოსიც (ი. ტაბალუა, საქ. ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, I, გვ. 171-172). მით უფრო, სამისიონერო მოძრაობა გვერდს ვერ აუქცევდა იბერიას, რომელიც I ს. 30-იანი წლებიდან II ს. 60-იანი წლების ჩათვლით ძლიერი სახელმწიფო იყო. I-II სს-ში სამი სახელმწიფო – რომი, იბერია და პართია ერთმანეთს ეცილებოდნენ ვრცელ მიწებს ამიერკავკასიის სამხრეთით. იბერია იმდენად იყო გაძლიერებული, რომ მას შეეძლო რომაელთა დახმარების გარეშე დაემარცხებინა პართიის სახელმწიფო. იბერიამ რამდენჯერმე დაამარცხა კიდევ პართიის ჯარი. ამის გამო რომს ეშინოდა იბერიის მეტისმეტი გაძლიერებისა. II ს. 30-50-იან წლებში ქართლში მეფობდა ფარსმან II, რომელსაც ფარსმან ქველი ეწოდა. „ფარსმან II-ის დროს ქართლი, ჩანს, უკვე ყოველგვარი შენიღბვის გარეშე ებრძვის რომს და ცდილობს მის განდევნას კოლხეთიდან და სხვა მეზობელი ადგილებიდან. ამასთანავე, იგი ამ საქმეში როდი ეძიებს პართიის მხარდაჭერას.

ქართლის მმართველები ... ეტყობა, თამამად უპირისპირდებიან რომსა და პართიას ერთდროულად“ (გ. მელიქიშვილი, საქ. ახ.წ. I-III სს-ში, საქ. ისტ. ნარკვ. ტ. I. 1970. გვ. 510).

ფარსმანი ისე გაძლიერდა, რომ „თავი დამოუკიდებლად ეჭირა“. იმპერატორი ადრიანე ყოველმხრივ ცდილობდა გაეუმჯობესებინა ურთიერთობა ქართველთა მეფესთან, მაგრამ ფარსმანი არ მიდიოდა დათმობაზე. ფარსმანმა ქედმაღლურად თქვა უარი იმპერატორის მიწვევაზე და რომში არ ჩავიდა. იმპერატორის ბიოგრაფი ელიუს სპარტიანე წერს, რომ ადრიანემ ქართველთა მეფეს ყველაზე მეტი, ურიცხვი ძვირფასი საჩუქარი გაუგზავნა.

მომდევნო იმპერატორის – ანტონ პიუსის (133-161) დროს ფარსმან II საქართველოდან მეუღლითა და დიდი ამალით გაემგზავრა რომში, სადაც მას საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. დიონ კასიუსის თანახმად, იმპერატორს „გაუფართოებია მისი სამფლობელო“. ჩანს, რომმა არა მარტო სცნო იბერიის უკვე არსებული საზღვრები, არამედ დაუმატა კიდევ სხვა მიწები შავიზღვისპირეთსა და სომხეთში. საპატიო ქართველ სტუმარს ნება დართეს მსხვერპლი შეენირა კაპიტოლიუმში. იმპერატორი დასწრებია ფარსმანის, მისი ძისა და სხვა ქართველი დიდებულების სამხედრო ვარჯიშს.

რომში დაიდგა ფარსმანის ცხენოსანი ქანდაკება. ფარსმანის ჩასვლა რომში მიღებულ იქნა როგორც იმპერატორისადმი პატივისცემა, თანახმად ანტონიუს პიუსის ბიოგრაფის – იულიუს კაპიტოლინისა.

ფარსმანის ვიზიტს ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია რომში, რომ იგი საქალაქო ქრონიკას პირველ გვერდზე აღუბეჭდავს, რასაც მოწმობს წარწერა მარმარილოს ფირფიტაზე, რომელიც რომის ძველ ნავსადგურში აღმოჩნდა.

როგორც ზემომოყვანილიდან ჩანს, საქართველო მოციქულთა ეპოქაში, I-II სს-ში, მტკიცე და ძლიერი ქვეყანა იყო, გაფართოებული საზღვრებით, სიმდიდრით, სახელგანთქმული, ეკონომიკური ცხოვრებით დანიშნურებული, მაღალგანვითარებული საზოგადოებრივი ურთიერთობით. ამიტომაც ძნელი წარმოსადგენია, მას მოციქულთა და მისიონერთა ყურადღება არ მიეპყრო.

III საუკუნე

საქართველოს ეკლესია დაარსებულია თვით მოციქულთა მიერ. სახარების მქადაგებელთა სამისიონერო მოღვაწეობა იბერიაში II-III სს-შიც გაგრძელებულა. ქრისტიანული თემების გამოჩენას აქ ივანე ჯავახიშვილი სწორედ III ს-ის პირველი ნახევრით ათარიღებს. ტერიტორიულ განვრცობასთან ერთად იზრდება ქრისტიანული თემების გავლენაც. მეფე რევ მართლის რეფორმა გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ამ დროს ქრის-

ტეს მოძღვრების გავლენას უკვე სამეფო კარამდეც მიუღწევია. ჯერ კიდევ III ს-ში ქრისტიანობის აღიარების შესახებ განკარგულება გამოსცა იმპერატორმა გალიენმა 261 წელს. მსგავსადვე მოიქცა გალიენამდე თითქმის ნახევარი საუკუნით ადრე იბერიის მეფე რევ მართალი (გარდ. 213 წ). ამ მეფეს ჰქონია ქრისტეს სიყვარული და მოსმენილი ჰქონია სახარება. ამიტომ ის ყოფილა მონყალე და შემწე ყოველთა, თუმცა წარმართადვე დარჩენილა. რომში წარმართული ღვთაებისათვის სისხლიანი მსხვერპლის შეწირვა მხოლოდ III ს-ის იმპერატორებმა აკრძალეს. საქართველოში უფრო ადრე გახდა შესაძლებელი მისი ოფიციალურად აკრძალვა სახელმწიფოს მასშტაბებით. „ძველი საისტორიო წყარო ამ კეთილშობილურ საქციელს რევ მართალს მიაწერს“ (გ. გოზალიშვილი, ქართლის მოქცევის პრობლემა და ბაკური, გვ. 38).

II-III სს-ში საქართველოში ქრისტიანული თემების არსებობას არქეოლოგიური მასალაც ადასტურებს. ა. ბოხოჩაძე ნასტაკისის ველზე ქრისტიანული ეკლესიის არსებობის შესახებ წერს: „ნასტაკისის ველზე უფრო ძლიერი დასახლებაც ყოფილა ადრეულ შუა საუკუნეებში, რასაც ნაქალაქარის ტერიტორიაზე გათხრილ ნაგებობათა ნაშთები მოწმობს. საცხოვრებელი ნაგებობანი მრავალი ოთახისა და ერთი დიდი დარბაზისაგან შედგებოდა. ამგვარ ნაგებობებში ერთი ოთახი მცირე ეკლესიას წარმოადგენდა – მკვეთრად გამოყვანილი აბსიდიტა და ნართექსით. ამ პერიოდში ქრისტიანობა ჯერ კიდევ არ არის გამოცხადებული ოფიციალურ სახელმწიფო სარწმუნოებად, არალეგალურ მდგომარეობაშია და თავშეფარებული ჩანს საცხოვრებელ ნაგებობებში. ამ ფაქტს კი დიდი მნიშვნელობა აქვს ქართლის სამეფოში ქრისტიანული რელიგიის ისტორიის შესასწავლად“.

საინტერესოა, როგორი პრინციპით იყო მონყობილი ეს ეკლესია? ცხადია, ქრისტიანებს, რომლებიც II-III სს-ში საქართველოში ცხოვრობდნენ, სამღვდელოება დასჭირდებოდა, რადგან ნათლობის, ზიარების და სხვა ქრისტიანული წესების აღსრულება სამღვდელოების გარეშე შეუძლებელია. უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ქალაქში თუ ქალაქის უბნებში არსებული ქრისტიანული თემები ერთმანეთს არ ექვემდებარებოდნენ. ერთიანი, მთელი ქვეყნის მომცველი ქრისტიანული ეკლესია, ერთი ცენტრითა და ერთიანი მმართველობით არ არსებობდა. თუმცა, იყვნენ ეპისკოპოსებიც. აქვე აღვნიშნავთ, რომ მოციქულთა ეპოქაში და მის შემდგომაც მღვდელმოქმედებას ეპისკოპოსი ასრულებდა და მღვდელს ეპისკოპოსს უწოდებდნენ.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენში ქრისტიანული ეკლესია და მრევლი (ქრისტიანული თემები) უწყვეტად არსებობდა I ს-დან IV ს-მდე. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა ის ნოყიერი ნიადაგი, რამაც განაპირობა საქართველოში წმიდა ნინოს მისიის წარმატებით დაგვირგვინება.

საქართველოს ეკლესიის დაფუძნება

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის 2002 წლის 22 ოქტომბერს დადებული კონსტიტუციურ შეთანხმების თანახმად საქართველოს ეკლესია წარმოადგენს სამოციქულო საყდარს და მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის განუყოფელ ნაწილს.

ქრისტიანობა (მათლმადიდებლობა, ევროპის ერთ-ერთი ტრადიციული აღმსარებლობა), საქართველოში ისტორიულად სახელმწიფო რელიგია იყო, რომელმაც ჩამოაყალიბა მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა, ეროვნული მსოფლმხედველობა და ფასეულობები; ამჟამადაც, საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია;

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი ქვეყნის ისტორიაში და მისი დამოუკიდებლობა სახელმწიფოსაგან.

„საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას“ უძველესი დროიდან „საქართველოს სამოციქულო ეკლესიაც“ ეწოდება, ვინაიდან იგი ქრისტეს მოციქულებმა დააფუძნეს.

საქართველოს ეკლესიაში დამკვიდრებული ტრადიციული გადმოცემით, ჩვენში უქადაგნია მოციქულთა სიმრავლეს – წმ. ანდრია პირველნოდებულს, სიმონ კანანელს, მატათას, ბართლომეს, თომასა და თადეოზს. ქართული და უცხოური წყაროებიც მიუთითებენ მოციქულების საქართველოში მოღვაწეობას. ძველი ქართული საეკლესიო წყაროების – „მოქცევაი ქართლისაის“ (VII-IX სს.) და „ქართლის ცხოვრების“ (VIII-XI სს.) ცნობებით, წმიდა მოციქულების ეპოქაში თანამედროვე საქართველოს ტერიტორიას მოიცავდა სახელმწიფო – „ქართლის სამეფო“, რომელსაც უცხოელები იბერიას უწოდებდნენ, ის იყო მემკვიდრე დიდი ისტორიული კოლხიდისა.

იერუსალიმიდან პირველ საუკუნეში საქართველოში ჩამოსვენებულ ქრისტეს კვართს იბერიის მეფე ადერკი ხელით შეეხო, რითაც საღმრთო მადლი მიუღია მას და მის შთამომავლობას, ამიტომაც საქართველოს სამეფო გერბის ცენტრში გამოხატული იყო ქრისტეს კვართი.

წმ. მოციქულთა ეპოქაში, I საუკუნის 30-იანი წლებიდან II საუკუნის 60-იანი წლების ჩათვლით, იბერია ძლიერი სახელმწიფო იყო, რომელიც კავკასიის მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავდა. რომაელი ისტორიკოსები – ტაციტუსი, დიონ კასიუსი და სხვები აღწერენ იბერიის ცხოვრებას (ტაციტუსის ცნობით I ს. 30-იანი წლებიდან იბერია მეგობრობდა რომთან და იმდენად ძლიერი რეგიონალური სახელმწიფო იყო, რომ იბრძოდა საკუთარი სახელმწიფოს საზღვრებს გარეთაც, კერძოდ, იბერიის სამეფო თავისი ძლიერი ჯარით ებრძოდა პართიის სახელმწიფოს, რათა არმენია გაეთავისუფლებინა პართიელთაგან.

იმის შემდეგ, რაც იბერიელებმა არმენია გაათავისუფლეს პართიელთა ბატონობისაგან, არმენიაში გამეფდა იბერთა მეფის მითრიდატეს ძე, შემდეგშიც იბერიის სამეფო სახლის წევრები მართავდნენ არმენიას, 1 საუკუ-

ნის რომაელი ისტორიკოსი ტაციტუსი (56-117) გამოყოფს იბერიის მეფის ფარსმანის ვაჟს რადამისტს. იბერია, ამ ეპოქაში აკონტროლებდა მთელ კავკასიას, მის სამხრეთ და ჩრდილოეთ მხარეებს ე.წ. „კასპიის კარიდან“ ვიდრე შავ ზღვამდე. ტაციტუსის ცნობითვე არმენიასთან ერთად „იბერიამ შეიერთა ალბანია და უხმო სარმატებს“ (CORNELIUS TACITUS, ANNALES, VI,33-36, IX,9, XII,15-50).

მეორე ისტორიკოსის დიონ კასიუსის ცნობით II ს. პირველ ნახევარში „იბერიის მეფე ფარასმანესი როცა მეუღლესთან ერთად რომში ჩამობრძანდა ადრიანემ (რომის იმპერატორმა) გააფართოვა მისი სამფლობელოები“ (დიონ კასიუსი, რომის ისტორია, XIX, 15).

შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე განფენილ იმჟამინდელ ვრცელ იბერიაში გამავალი საერთაშორისო სავაჭრო გზები რომის იმპერიას სპარსეთთან და სკვითიასთან აკავშირებდა, ამ მიზეზის გამო, სპარსეთ-ინდოეთსა თუ, ჩრდილოეთით, სკვითია – სარმატიაში საქადაგებლად მიმავალი წმიდა მოციქულები გზას ვერ აუქცევდნენ იბერიას.

ძველი ქართული საეკლესიო წყაროებისა და რუის-ურბნისის კრების განსაზღვრებით, ჩამოყალიბების დროიდან საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა სრულიად საქართველოს ისტორიული მიწა-წყალი და მთელი ქართველი ერი (მცხოვრები როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში), ამიტომაც ნაბრძანებია რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერაში – **„წმიდა მოციქულმა ანდრიამ იქადაგა ყოველსა ქვეყანასა საქართველოსასა“**, წყაროებში დაცული საეკლესიო გადმოცემს თანახმად, ამალღების შემდეგ მოციქულებმა წილი ყარეს თუ ვის რომელ ქვეყანაში უნდა ექადაგა. „ქართლის ცხოვრება“ გადმოგვცემს, რომ საქართველო წილად ხვდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს, მაგრამ მისი ძის, ჩვენი უფლის ნებით ღვთისმშობელმა თავის ნაცვლად საქართველოში წმ. ანდრია პირველწოდებული მოავლინა, რომელსაც თავისი ხელთუქმნელი ხატი გამოატანა. ანდრია მოციქულმა შემდეგი მოგზაურობის დროს საქართველოში სხვა მოციქულებიც ჩამოიყვანა. კერძოდ, მესამე მოგზაურობისას მას სიმონ კანანელი და მატათა ჩამოუყვანია. ამის შესახებ ცნობას ეპიფანე კონსტანტინოპოლელი (VIII ს.) იძლევა.

არქეოლოგების მიერ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში გამოკვლეულია II-III საუკუნეთა ქრისტიანული სამარხები, ქრისტიანული წესით დაკრძალული მოზრდილები და ბავშვები შესაბამისი ქრისტიანული ატრიბუტებით (არტიფაქტებით). მასალიდან ჩანს, რომ ქრისტიანობას იღებდნენ ბავშვებიც კი, რომელთა მოსანათლად სამღვდელოება იყო საჭირო. ამით დასტურდება „ქართლის ცხოვრების“ ცნობა, რომ ანდრია მოციქულმა, იმჟამინდელ საეკლესიო ცენტრში, ანყურში, ქრისტიანებს დაუდგინა სამღვდელოება ეპისკოპოსთან ერთად, ანუ საფუძველი დაუდო საქართველოს წმიდა ეკლესიას, რომელსაც, ამ წყაროს ცნობით, თავისი იერარქიული მმართველობა გააჩნდა უკვე მოციქულების ეპოქიდანვე.

მე-11 საუკუნეში ანტიოქიის საპატრიარქო კარზე წმიდა გიორგი მთაწმინდელის მტკიცებით რადგანაც მოციქულების მიერ დაარსებული ეკლე-

სიები პირველ საუკუნეებში თავისთავადები (ავტოკეფალები) იყვნენ, მსგავსადვე, მოციქულის მიერ დაარსებული საქართველოს ანუ ივერიის ეკლესიაც თავისთავადი იყო.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრების წმიდა მამათა განმარტებით, საქართველოში არსებული ქრისტიანული თემები მე-2, მე-3 საუკუნეებში წარმართი მეფეების მხრიდან განიცდიდნენ დიდ დევნას, ამიტომაც IV საუკუნეში წარმოიქმნა საჭიროება სამეფო ოჯახისა და მთელი ერის მოქცევისა.

IV ს-ში საქართველოში იქადაგა მოციქულთასწორმა წმიდა ნინომ, უფლისმიერი დავალებით მას უნდა გაექრისტიანებინა იბერიის სამეფო ოჯახი და უფლის შეწევნით მან ეს მოახერხა.

სამეფო ოჯახთან ერთად ქრისტიანობა მიიღო მთელმა ქართველმა ერმა, ამიტომაც წერს რუის-ურბნისის კრება, რომ წმიდა ნინოს მიერ გაქრისტიანდა „ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“, ისევე როგორც იქამდე 300 წლით ადრე წმიდა ანდრიამ იქადაგა „ყოველსა ქვეყანასა საქართველოსასა“ (დიდი სჯულისკანონი, 1974, გვ. 545-546).

ჩვენი წყაროების ამ მითითებას, რომ წმიდა ნინომ „განანათლა ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“ მთლიანად ეთანხმებიან IV-V და სხვა საუკუნეების უცხოური წყაროები – კერძოდ, IV საუკუნის ეკლესიის ისტორიკოსი გელასი კესარიელი წმ. ნინოს შესახებ წერს – იმპერატორ კონსტანტინეს ხანაში „ღმრთის ცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მიწა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა, რომელთაც მანამდე ის არა სწამდათ. ამ უდიდესი სიკეთის მიზეზი გახდა ერთი დედაკაცი, რომელიც მათთან იყო ტყვედ“ (გეორგიკა, I, 1961, გვ. 186).

ამასვე წერს V საუკუნის ისტორიკოსი გელასი კვიზიკელიც – „ამავე დროს პონტოს გასწვრივ მდებარე ქვეყნის მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა ღმრთის სიტყვა, რომელიც მანამდე არ სწამდათ შეინწყნარეს“ (მიმომხილველი, I, 1926, გვ. 55).

მაშასადამე, გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის ცნობებით, წმიდა ნინოს მიერ მთელმა ქართველმა ერმა, როგორც ზღვისპირეთში მცხოვრებლებმა (ლაზებმა), ისე ქვეყნის დანარჩენ ნაწილში მცხოვრებლებმა (იბერებმა), ერთდროულად მიიღეს „ღვთის მცნება“.

იბერთა მოქცევის ფაქტს აღწერენ ახ. წ. IV-V საუკუნეების ისტორიკოსები: სოკრატე (საეკლესიო ისტორია, წიგნი I, 19), თეოდორიტოს კვირელი (ეკლესიის ისტორია, წიგნი I, 1, 23.), სოზომენე (საეკლესიო ისტორია, წიგნი I, 6, 7, 34, 36) და რუფინუსი (საეკლესიო ისტორია, I, 10).

გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის ცნობებს, რომ წმიდა ნინომ მოაქცია ლაზებიც იბერებთან ერთად, ეთანადება V საუკუნის ცნობილი ისტორიკოსის მოვსეს ხორენაცის ცნობა, ის წერს, ვრცელი არეალი შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე მოაქცია წმიდა ნინომ, რომელმაც იქადაგა კლარჯეთიდან ვიდრე კასპიის ზღვისპირეთში იმჟამად მცხოვრებ მასქუთებამდე – „სანატრელი ნუნე წავიდა იქედან, რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით ქართველთა ქვეყნის სხვა კუთხეებიც დაემოძღვრა... გავბედავ და ვიტყვი, რომ ნუნე მოციქული ქალი გახდა, მან იქადაგა სა-

ხარება კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარებამდე, მასქუთთა საზღვრებამდე, როგორც ამას აგათანგელოზი გაუწყებს შენ“ (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ. 172).

აგათანგელოზის ცნობითაც, მოვსეს ხორენაციის სიტყვით, წმიდა ნინოს უქადაგნია შავი ზღვისპირეთიდან – კლარჯეთიდან, ვიდრე კასპიის ზღვამდე (მასქუთებამდე).

რადგანაც, ლაზიკა (სამხრეთ-დასავლეთ საქართველო) გელასი კესერიელისა და გელასი კვიზიკელის ცნობებით წმ. ნინოს სამოღვაწეო არეალში შედიოდა, **ამიტომაც, დასავლეთ საქართველო მე-4 საუკუნიდანვე წმ. ნინოს მიერ დაფუძნებული საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში იყო მოქცეული ისევე, როგორც აღმოსავლეთ საქართველო.**

ამ საკითხში ქართული წყაროები თანხვედრაშია უცხოურთან – კირიონ კათალიკოსი (VI-VII სს) ეგრისის არქივისკოპოსიც იყო იოანე სომეხთა კათალიკოსის (899 წ.) ცნობით. ის წერს – კირიონ I იყო მამამთავარი „**იბერიელთა, გუგარელთა და ეგრისელთა ადრინდელი წესის შესაბამისად**“ (იოანე კათალიკოსის (დრასხანაკერტელის) მათიანე, 1912, გვ. 65).

ათვისტების ბატონობისას, სსრკ საისტორიო წრეებში გავრცელდა არასწორი შეხედულება თითქოს დასავლეთ საქართველო მე-10 საუკუნემდე, შედიოდა არა საქართველოს, არამედ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში (ეს მტკიცება დღესაცაა გავრცელებული).

მათ ვერ მოახერხეს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქიის სწორი გეოგრაფიული ლოკალიზაცია, არსანორად მიიჩნიეს, თითქოსდა ლაზიკის ეპარქიის როდოპოლისის კათედრა ვარციხეში, საისინისა-ცაიშში, პეტრა ციხისძირში, ხოლო ზიგანას (ზიგანევის) კათედრა გუდაყვაში მდებარეობდა.

ამის დასამტკიცებლად იშველიებენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში შემავალ საეპისკოპოსკოპოსოთა ნუსხებს (ე.წ. ნოტიციებს), მასში აღნიშნულია, რომ ლაზიკის სამიტროპოლიტო ექვემდებარებოდა კონსტანტინოპოლს ვიდრე თითქმის მე-10 საუკუნემდე. მაგრამ, ჯერ კიდევ ცნობილი მეცნიერი ნ. ადონცი მიუთითებდა, რომ ლაზიკის სამიტროპოლიტოს ზიგანას, საისინის, როდოპოლისისა და პეტრას საეპისკოპოსოები სინამდვილეში მდებარეობდნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ამჟამინდელ ლაზისტანში, ისტორიული ლაზიკის სამხრეთ ნაწილში, ტრაპეზუნტ-ზიგანა-გუმისხანეს რეგიონში, რაც ახალი გამოკვლევებითაც დასტურდება (იხ. ნიგნი „ქალდეა“, 2011), ხოლო დასავლეთ საქართველო მუდამ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა.

ქართული ეკლესიის განუყოფელი ნაწილის, აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსების მოკლე ისტორია ასეთია – IV-VII სს-ში საქართველოს ყოველ ნაწილში ჩამოყალიბდა ათეულობით ეპარქია და საეპისკოპოსო. მათი რიცხვი გასაკუთრებით გაიზარდა VIII-X სს-ში, ამის გამო, წარმოიქმნა საჭიროება, რათა საქართველოს ეკლესიაში ეპარქიათა მართვის გაადვილებისათვის ჩამოყალიბებულიყო რამდენიმე საეკლესიო ადმინისტრაციული ოლქი, მსგავსნი ბიზანტიური სამიტროპოლიტო ოლქებისა. ამ მიზნით, ქარ-

თული ეკლესიის წიაღში ჩამოყალიბდა დასავლეთ საქართველოს მომცველი საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც „ქვემო ივერიის“ ანუ აფხაზეთის საკათალიკოსო ეწოდებოდა. მის მმართველს „უმრწემესი კათალიკოსის“ ტიტული მიენიჭა, რადგანაც „უხუცესი კათალიკოსი“ მცხეთის პირველიერარქს ერქვა.

ძველ საქართველოში საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეულის დაარსების უფლება ეკუთვნოდა მეფეს, ამიტომაც აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსებას ესაჭიროებოდა დასტური სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან და მართლაც, მეფე ბაგრატ ბაგრატიონმა (IX ს.) გასცა ამის დასტური.

ამიტომაც წერს მემპტიანე შემდეგს: „**ამან ბაგრატ განანესა კათალიკოზი აფხაზეთს ქრისტეს აქეთ 830 წელს**“ (ქართლის ცხოვრება, 1955, I, გვ. 255).

აფხაზეთის საკათალიკოსო აღმოცენდა ქართველ მეფეთა და პირველიერარქთა ნებით და ის შემდგომში ყოველთვის ერთ-ერთ ადმინისტრაციულ-საეკლესიო ოლქს წარმოადგენდა ზოგადქართული ეკლესიისა.

აფხაზეთის საკათალიკოსო, ისტორიულად ქართული ეკლესიის ერთ ნაწილს წარმოადგენდა, რომლის მეორე ნაწილი იყო ქართლის საკათალიკოსო.

ასევე, შემდგომ საუკუნეებში, ჩრდილო კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელების კვალდაკვალ, ჩამოყალიბდა ხუნძეთის (დაღესტნის) სამიტროპოლიტო ოლქი, რომელსაც ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შემავალი კათალიკოსი მართავდა, ამის თქმის უფლებას იძლევა ის, რომ სინას მთის ქართულმა ხელნაწერებმა შემოინახეს „ხუნძელი კათალიკოსის ოქროპირის“ სახელი, ამასთანავე ცნობილია, რომ კავკასიის ამ რეგიონში რამდენიმე საეპისკოპოსო მოქმედებდა (ანწუხისა, წუქეთისა, ჭარ-ფიფინეთისა და სხვა), არქეოლოგების მიერ დადასტურებულია ამ რეგიონში მრავალი ქრისტიანული ეკლესიის ნაშთი ქართული წარწერებით. სხვა ქრისტიანულ ნაშთებთან ერთად აღმოჩენილია IX-X სს. სეფისკვერის ქვის საბეჭდავიც კი ასევე ქართული წარწერებით.

სამხრეთ საქართველოსა და ჩრდილო სომხეთში მცხოვრები მრევლისათვის ასევე დაარსებული იქნა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შემავალი საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული – „სომხეთის სამიტროპოლიტოს“ სახელწოდებით, ანისის, ვალაშკერტის, ყარსის, დადაშენის და სხვა ქართული საეპისკოპოსოებით.

საქართველოს საპატრიარქოში შემავალი რამდენიმე საკათალიკოსო (ქართლისა, აფხაზეთისა, ხუნძეთისა) და მრავალათეული საეპისკოპოსო ქმნიდა ერთიან ქართულ ეკლესიას.

ზოგად ქართული ეკლესიის მთლიანობა მიიღწეოდა საერთო საეკლესიო სამართლით, საერთო სჯულისკანონით, საერთო ქართული საღვთისმსახურო ენით, საერთო ტრადიციებითა და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის საერთო მეთაურობით.

აღნიშნულ საკათალიკოსოთა ზემდგომი საეკლესიო ინსტიტუტი იყო საერთო სჯულისკანონის და საეკლესიო სამართლის შემმუშავებელი საქართველოს საეკლესიო კრებები. სრულიად საქართველოს პატრიარქის

მოვალეობა იყო უზრუნველყო სრულიად საქართველოს ეკლესიაში (ე.ი. ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოებში და სხვა საეკლესიო-ადმინისტრაციულ ერთეულებში) საერთო სჯულისკანონის დაცვა.

აფხაზეთისა და ქართლის კათალიკოსთა მონაწილეობით საეკლესიო კრებების მიერ გამოცემულ კანონებს მთელს საქართველოში (ცხადია აფხაზეთშიც) სავალდებულოდ აღსასრულებელი ძალა ენიჭებოდა (მათ შორის სამოქალაქო სამართლის სფეროშიც). მაგალითად, XVI ს-ის საეკლესიო სამართლის ძეგლში, რომელსაც „სამართალი კათალიკოსთა“ ეწოდება, ნათქვამია: **„ქ. სახელითა და ღვთისათა: მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზმან-პატრიარქმან მალაქია, მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან აფხაზეთის კათალიკოზმან მამათმთავარმან ევდემონ, დავსხედით და შევკრიბენით ყოველნი ეპისკოპოზნი აფხაზეთისანი... დავიდევით სჯულისკანონი და ჩვენცა იმისგან გამოვიღევით... და სჯულისკანონიცა ასრე ბრძანებს“**... (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, 1963, გვ. 393-397). აფხაზეთის საკათალიკოსოს ამ საეკლესიო კრებამ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მეთაურობით გამოსცა კანონები, რომლებიც სავალდებულოდ აღსასრულებელი იყო მთელი საქართველოს ტერიტორიაზე, თუმცა ის აფხაზეთში იქნა მიღებული და ისინი აფხაზეთის საკათალიკოსოს ეპისკოპოსებმა დაამტკიცეს (ესენი იყვნენ ქუთათელი, გენათელი, ჭყონდიდელი, ბედიელი, მოქველი, დრანდელი, ცაგერელი, ხონელი, ნიკორწმიდელი, ცაიშელი), მაგრამ, ისინი, ამ კრებაზე, ერთიან საქართველოს ეკლესიას წარმოადგენდნენ.

„ქართლის ცხოვრების“ ჩანართის ცნობით, საქართველოს ეკლესიის მეთაურის საპატრიარქო ღირსება უცვნია VI მსოფლიო საეკლესიო კრებას. ძნელია ითქვას რამდენად შეესაბამება რეალობას ეს ცნობა, მაგრამ ის გვაძლევს ინფორმაციას საქართველოს ეკლესიის წიაღში დამკვიდრებული აზრის შესახებ რომ, საპატრიარქო ღირსება საქართველოს ეკლესიის მეთაურს VII საუკუნიდან გააჩნდა. ეს წყარო წერს:

„ქრისტეს აქეთ ქ-ნკ იქმნა კრება მეექვსე [680-681]... კოსტანტინოპოლის შინა. ამის კრებისა მიერ ბრძანეს ესრეთ წმიდისა ეკლესიისა საქართველოსათვის, რომელ არს წმიდა მცხეთა, რათა იყოს სწორ პატივითა (ვითარცა) წმიდანი სამოციქულო კათოლიკე ეკლესიანი, საპატრიარქონი.

და იყოს კათალიკოსი ქართლისა სწორი პატრიარქთა თანა, და აკურთხევდეს, მწყსიდეს და განაგებდეს სიმართლით მთავარეპისკოპოსთა, მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა, და სამწყსოსა თვისსა ქართლსა გამომღმა-გაღმა კახეთსა, შაქსა, შირვანსა და მიდგმით-წამოვლით მთისა ადგილისათა, სუანეთსა და ჩერქეზის საზღვრამდის, სრულიად ოვსეთსა და ყოველსა ზემო-ქართლსა სამცხე-საათაბაგოსა“ (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 231, 232).

ასევე ამ ცნობას, იმეორებს ძველი საეკლესიო წყარო – „მარტვილური ხელნაწერი“. ის ასახელებს თავის ბერძნულ წყაროს – „კონსტანტინოპოლურ ტაქტიკონს“.

ყველგან ამის დასტურად შავი ზღვიდან-არაქსამდე ჩვენ ამჟამადაც გვხვდება დიდებული ეკლესია მონასტრების ნაშთები, ქართული წარწერებით, მათ შეეხება უამრავი წყარო. ამასვე წერს არქანჯელო ლამბერტიც.

საქართველოს ეკლესიაში წირვა – ლოცვის (ლიტურგიკის) ენა იყო და არის ძველი ქართული ენა, ქართული ეკლესიის მამებმა შექმნეს უმდიდრესი ლიტერატურა მე-4 – მე-5 საუკუნეებში დღემდე – მონასტრებსა და საეკლესიო დანესებულებებში საქართველოსა და უცხოეთში (იერუსალიმში, ანტიოქიაში, საბერძნეთში (ათონის წმიდა მთაზე), ბულგარეთსა, არაბეთში (სინას მთაზე) და სხვაგან), ქართული საეკლესიო კულტურის უდიდესი კერა – ტაო-კლარჯეთი ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა.

ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ ქართული ეკლესია დიდად იღწოდა ქვეყნის გაერთიანებისა და დამშვიდებისათვის, შეიძლება ითქვას, რომ ამ ურთულეს პერიოდში მხოლოდ საქართველოს ეკლესია აერთიანებდა დაშლილ-დანანევრებულ ქვეყანას და მის ხალხს.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს სამეფო კარზე წარმოიშვა იდეა თანამორწმუნე რუსეთის დიდი მართლმადიდებლური სახელმწიფოს მხარდაჭერით აღედგინათ საქართველოს სახელმწიფოს ძლიერება, გაეძლიერებინათ ეკლესია, სარწმუნოება, დაებრუნებინათ დაკარგული პროვინციები – ჭარ-ბელაქანი და სამცხე-საათაბაგო, გაეძლიერებინათ ქვეყნის თავდაცვა, რუსეთის ხელისუფლებამ გეორგიევსკში ხელშეკრულებაზე კი დადო ქართველთა სამეფო კართან 1783 წელს (ე.წ. გეორგიევსკის ტრაქტატი) ამ პირობათა დასაცავად, მაგრამ გაძლიერების ნაცვლად რუსეთის იმპერიამ საერთოდ გააუქმა ქართული სახელმწიფოებრიობა და ასევე, უკანონოდ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაც. საუკუნოვანი ბრძოლის შედეგად, რუსეთის საიმპერატორო ტახტის მოშლის შემდეგ 1917 წელს ქართველმა ხალხმა აღადგინა თავისი ეკლესიის ავტოკეფალია. 1918 წელს კი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. 1990 წელს ეს ფაქტი (ეკლესიის ავტოკეფალია) აღიარა კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქომ.

საქართველოს ეკლესიის მეთაური, კათალიკოს პატრიარქის ტიტულით, ინიშნებოდა და ინიშნება არა უცხოეთიდან, არამედ მას ადგილზევე ირჩევდნენ ქართველი ეპისკოპოსები გაფართოებულ საეკლესიო კრებაზე. საქართველოში სხვადასხვა საუკუნეში 80-დე ეპარქია და საეპისკოპოსო კათედრა იყო. ამჟამად საქართველოს უწმიდესი და უნეტარესი კათალიკოს პატრიარქის ილია მეორის ძალისხმევით აღდგენილია 45 ეპარქია, ამოქმედდა უამრავი ეკლესია მონასტერი და დღევანდელ საქართველოში ეროვნული ეკლესია სარგებლობს დიდი ავტორიტეტით.

IV საუკუნე

IV ს-ში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადება იყო არა მოულოდნელი, შემოტანილი, ანდა თავსმოხვეული აქტი, არამედ ეფუძნებოდა ქრისტიანობის ადგილობრივ სამსაუკუნოვან ტრადიციას.

წმ. ნინოს გაუჭირდებოდა მთელი ქართველი ხალხის გაქრისტიანება, წმ. მოციქულებს შემზადებული რომ არ ჰყოლოდათ ერი ქრისტიანობის საჯარო აღიარებისათვის. ამ თვალსაზრისმა წმ. ნინოს ცხოვრებაშიც ჰყოვა ასახვა, სადაც უფალი წმ. ნინოს უცხადებს, რომ საქართველოში „სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი მცირე“, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში მოციქულთა მიერ დათესილი სახარების მარცვალს საუკუნეთა მანძილზე ხალხი საერთო სახალხო მონათვლისათვის შეუმზადებია.

უძველესი ქართული წყარო, რომელიც ქართლის მოქცევის შესახებ მოგვითხრობს, არის „მოქცევაი ქართლისა“. იგი ორი ნაწილისაგან შედგება. I ნაწილში მოცემულია ისტორიული ქრონიკა, ხოლო II ნაწილი წმ. ნინოს ცხოვრების საეკლესიო საკითხავს წარმოადგენს. „მოქცევის“ I ნაწილი – ისტორიული ქრონიკები სხვადასხვა დროსაა დაწერილი. წმ. ნინოს ცხოვრება კი, წინა ნაწილისგან დამოუკიდებლად, IV ს-ში უნდა იყოს დაწერილი. ამ რედაქციიდან ჩანს, რომ ნინოს ნაამბობი დაბა ბოდბეში (ბოდბეში) ჩაუნერიათ სალომე უჯარმელსა და პეროჟავრა სივნიელს. თუმცა სამი დიდი ისტორიკოსი – ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე ამ თხზულებას IX ს-ით ათარილებს, ჩვენ არავითარი საბაბი არა გვაქვს არ დავუჯეროთ წყაროს და ამიტომ იგი, როგორც ჭეშმარიტი, ისე უნდა მივიღოთ. ამას ერთი საინტერესო ფაქტი ადასტურებს:

IV ს-ის მეორე ნახევარში ბიზანტიაში იმყოფებოდა სალომესა და რევის (მირიან მეფის ძის) შვილიშვილი, ჯერ კიდევ უფლისწული ბაკური, თრდატის ძე. მან ცნობილ ბიზანტიელ ისტორიკოსებს – გელასი კესარიელსა და რუფინუსს უამბო ქართველთა გაქრისტიანების ისტორია. ეს მონათხრობი „წმიდა ნინოს ცხოვრების“ თავისებური შემოკლებული ვარიანტია.

გელასი კესარიელს „საეკლესიო ისტორიაში“ აღუწერია ქართლის მოქცევის ამბავი. სამწუხაროდ, ეს თხზულება დღესდღეობით დაკარგულად ითვლება. მაგრამ ცნობები მასზე მერმინდელ ავტორებს შემოუნახავთ თავიანთ ნაშრომებში. მათ შორის უძველესია რომაელი საეკლესიო ისტორიკოსი – რუფინუსი (გარდ. 410 წ.), მას უთარგმნია და თავის თხზულებაში შეუტანია გელასი კესარიელის ცნობა ქართველთა გაქრისტიანების შესახებ. რუფინუსზე დაყრდნობით ეს ისტორია მოთხრობილი აქვს V ს-ის ბერძენ ისტორიკოსს – სოკრატესაც (დაიბ. 380 წ.) თავის „საეკლესიო ისტორიაში“. ამავე სათაურის ნაწარმოებში მოგვითხრობს იბერთა გაქრისტიანების ამბავს V ს-ის მეორე ბერძენი ისტორიკოსი თეოდორიტი კვირელი (დაიბ. 390 წ.). ქართლის მოქცევის ამბავი გადმოცემული აქვს აგრეთვე კიდევ ერთ ბერძენ საეკლესიო ისტორიკოსს – სოზომენს. მას უშუალოდ რუფინუსით უსარგებლია. V ს-ის ბერძენი ისტორიკოსი გელასი კვიზიკელიც გელასი კესარიელის „ისტორიით“ სარგებლობდა.

გელასი კესარიელის ისტორია, რომლითაც სარგებლობდნენ შემდეგში ბერძენ-რომაელი ისტორიკოსები, IV ს-ის ბოლოს, ქართლის გაქრისტიანებიდან სულ რაღაც ნახევარი საუკუნის შემდეგ დაინერა. უაღრესად საყურადღებოა გელასი კესარიელის ცნობა იმის თაობაზე, რომ მან ქართველთა გაქრისტიანების ამბავი იბერთა სამეფო სახლის ერთ-ერთი წარმომადგენლის – ბაკურისაგან გაუგია.

მაშასადამე, უნდა დავასკვნათ, რომ უძველესი ქართული წყარო, რომელიც ქართველთა გაქრისტიანების შესახებ მოგვითხრობს, IV ს-შია დაწერილი სალომე უჯარმელის მიერ. სავარაუდოა, სწორედ ეს ჩანაწერი გამოიყენა ბაკურმა ბერძენ ისტორიკოსებთან საუბრისას.

რომელ წელს შემოვიდა წმ. ნინო საქართველოში და გააქრისტიანა თუ არა მან მთელი ქართველი ხალხი? ეს საინტერესო საკითხი ძალზე დამაჯერებლად გაარკვია ისტორიკოსმა ვახტანგ გოილაძემ. მისი მსჯელობის თანახმად, წმ. ნინო საქართველოში 303 წელს შემოვიდა. 317-318 წლებში ქართლის სამეფო კარმა ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად აღიარა, ხოლო 324 წელს ხალხი მასიურად მოინათლა.


ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ვახუშტი ბაგრატიონი ქართლის მოქცევას 317 წლით ათარიღებდა. ამავე თვალსაზრისს იზიარებდნენ დ. ბაქრაძე და ივ. გვარამაძე. ქართლის მოქცევის თარიღად 318 წელი მიაჩნდათ პ. იოსელიანს, გ. საბინინს და რ. ცამციცესაც.

ქართული ეკლესიის მეთაურის – ეპისკოპოს იოანეს ხელდასხმის თარიღად ვ. გოილაძეს 324 წ. მიაჩნია. იგი ფიქრობს, რომ ქართული ეკლესია არა ანტიოქიური, არამედ კაპადოკიური (პონტოს დიოცეზი) წარმოშობისა უნდა იყოს.

ეს მსჯელობა ძალზე დამაჯერებელია. ამიტომაც უნდა აღდგეს ვახუშტი ბაგრატიონის მიერ გამოკვეთული თარიღი და ქართლის მოქცევა 317-318 წლებით დათარიღდეს, ხოლო ქართული ეკლესიის ორგანიზაცია და ხალხის ნათვლა – 324-26 წლებით.

V საუკუნე

V ს-ის დასაწყისში საქართველო უკვე სპარსელთა მიერ დახარკული ქვეყანა იყო. სპარსელებმა, მართალია, ვერ შეძლეს ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება, მაგრამ ქართველების ასიმილაციას დაუფარავად ცდილობდნენ. უპირველესად, მათ სურდათ, რომ ქართველებს სპარსული სარწმუნოება – ცეცხლთაყვანისმცემლობა მიეღოთ. ისინი ებრძოდნენ და კრძალავდნენ ქართულ ეროვნულ წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს. ქრისტიანობა იმ დროს უკვე ქართულ ეროვნულ სარწმუნოებად იყო ქცეული და ამიტომაც ქართველებს ქრისტიანული წეს-ჩვეულებები ჰქონდათ. სპარსელებს იმედი ჰქონდათ, რომ მისი მოშლით ქართველებს ეროვნულ სახეს დაუკარგავდნენ.



საუბისკოპოსოები გორგასლის დროს

აქვე უნდა ითქვას, რომ ქართველთა მტრობაში სპარსელებს არც ბიზანტიელები უდებდნენ ტოლს. მათ IV ს-ის ბოლოს საქართველოს სამხრეთის ტერიტორიების დიდი ნაწილი წაართვეს და უშუალოდ შეიერთეს, ხოლო V ს-ის პირველ ნახევარში დას. საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილიც მიიტაცეს მდინარე ეგრისწყლიდან ვიდრე ციხე-გოჯამდე.

მიუხედავად ამისა, რადგანაც საქართველოს დიდი და უმთავრესი ნაწილი სპარსთა გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მთავარი საფრთხე სწორედ სპარსელებისაგან მოდიოდა. რწმენით ვახტანგ გორგასალი ბერძნული, ე.ი. მართლმადიდებლური ორიენტაციისა იყო და სიკვდილის წინ ანდერძიც დაგვიტოვა, რომ ქართველებს „ბერძენთა სიყვარული“, ე.ი. მართლმადიდებლობა არ მიეტოვებინათ, თუმცა ბიზანტიელებს შეებრძოლა კიდეც და საქართველოს მათგან მიტაცებული ტერიტორიები დაუბრუნა.

აღსანიშნავია, რომ V ს-ში არსებობდა ორი განსხვავებული მიმართულება ქრისტიანობაში. ერთ მიმართულებას ბიზანტია მფარველობდა, ხოლო მეორეს – სპარსეთი.

სპარსეთის სამეფო კარმა, როცა იგი მიხვდა, რომ მაზდეანობის გავრცელება არცთუ ადვილი იყო და ქრისტიანი ხალხები თავიანთ სარწმუნოებას არ დათმობდნენ, სარწმუნოებრივი პოლიტიკა შეცვალა. სპარსეთს ერჩივნა, რომ ისინი ირანოფილურად განწყობილი ქრისტიანული ეკლესიების გავლენისა და კონტროლის სფეროში მოქცეულიყვნენ. ასეთი იყო ანტიბიზანტიურად განწყობილი სირიული და სპარსული ეკლესიები.

ცხადია, ასეთი მდგომარეობა თავის ზემოქმედებას სპარსეთის გავლენის სფეროში მყოფ საქართველოს საზოგადოებაზეც მოახდენდა. საქართველოში V ს-ში უთუოდ არსებობდნენ როგორც ბერძნული (ელინოფილური), ასევე სპარსოფილური ქრისტიანული საეკლესიო დაჯგუფებანი. სწორედ ამიტომ საქართველოს მეფე საგანგებო და დაძაბულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ქართველი მეფეები, „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ან ერთდროულად ორივე დამპყრობელს – სპარსეთსა და საბერძნეთს ებრძოდნენ, ანდა ბრძნულად იყენებდნენ წინააღმდეგობას ამ სახელმწიფოთა შორის და ხან ბერძნებს ებრძოდნენ სპარსული ძალით, ხან კი სპარსელებს – ბერძენთა ძალით.

ცნობილია, რომის იმპერატორ კონსტანტინემდე ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგია არ ყოფილა. ამიტომაც, შეიძლება ითქვას, ქრისტიანული თემები თავისუფლებით სარგებლობდნენ იმ თვალსაზრისით, რომ სახელმწიფო არ კარნახობდა ქრისტიანულ ეკლესიას, თუ რა სახის უნდა ყოფილიყო მისი ადმინისტრაციული სტრუქტურა. ამის გამო IV ს-მდე ქრისტიანული თემი მოციქულთა 34-ე კანონის თანახმად ამ თემის მთავარეპისკოპოსს უნდა დაქვემდებარებოდა. თემების მთავარეპისკოპოსები კი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელნი იყვნენ.

მთავარეპისკოპოსს ირჩევდა თემის („ნათესავის“) სამღვდელოების კრება. ამიტომაც ყოველი საეკლესიო თემი და საეპისკოპოსო თავისუფალი და „ავტოკეფალური“ იყო.

სრულებით შეიცვალა მდგომარეობა სახელმწიფოს მიერ ქრისტიანობის აღიარების, ანუ რელიგიის გასახელმწიფოებრიობის შემდეგ. ამ დროისათვის (IV ს-ის დასაწყისში), როგორც ცნობილია, რომის იმპერიაში დანესდა „ტეტრარხია“ – „ოთხის მმართველობა“. ადმინისტრაციული მმართველობის თვალსაზრისით იმპერია ცალკეულ ნაწილებად დაიყო. მას მართავდა ორი იმპერატორი და ორი კეისარი. იმპერიის უდიდეს ქალაქებში: რომში, ანტიოქიაში, ალექსანდრიაში და ა.შ. მხარეთა და პროვინციათა მმართველები ისხდნენ. ამ მდგომარეობამ დიდ ქალაქებში მსხდომი ეპისკოპოსების გაძლიერება, გამდიდრება, მათი ავტორიტეტისა და გავლენის გაზრდა გამოიწვია, დიდი ქალაქების ეპისკოპოსები ქალაქის საერთო საერო მმართველთან თანხმობით მოქმედებდნენ. საერო მმართველი დაინტერესებული იყო მის ქალაქში მჯდომი ეპისკოპოსის ავტორიტეტისა და გავლენის გაზრდით. ამის გამო უკვე IV ს-ის დასაწყისიდანვე მიმდინარეობს პროცესი, რომელსაც შეიძლება დავარქვათ მცირე, თვითმყოფად ეკლესიათა გაუქმებისა და დიდი ეკლესიების გავლენის სფეროების გაზრდის პროცესი. უკვე IV ს-ში მოწვეული მსოფლიო კრებები, მართალია, ადასტურებენ პატარა ეკლესიების ავტოკეფალიას, მაგრამ ასევე ადასტურებენ მთავარი ქალაქების ეპისკოპოსების გავლენის სფეროების გაფართოებას. ეს პროცესი მთელი IV ს-ის განმავლობაში გრძელდებოდა და საბოლოოდ 451 წელს დასრულდა.

საერთოდ, V საუკუნე იყო თავისთავადი საეპისკოპოსოების დიდ საპატრიარქოებსა და საკათალიკოსოებში გაერთიანების საუკუნე. 451 წლის კრებამ დააარსა ახალი საპატრიარქო იერუსალიმისა, რომელშიც პალესტინის თავისთავადი საეპისკოპოსოები შევიდნენ.

საქართველოს საკათალიკოსოს ჩამოყალიბებაც ამავე დროს, V ს-ში, მოხდა მსგავსი გზით.

ცნობილია, რომ იქ, სადაც ქრისტიანობამ ფეხი მოიკიდა, თითოეულ ქალაქს ეპისკოპოსი განაგებდა.

საქართველოს სამეფოში საერისთავო ან საპიტიახშო დაახლოებით ისეთივე ადმინისტრაციული ერთეული იყო, როგორც რომის იმპერიაში – პროვინცია (ძვ. ქართული „სამთავრო“). ქართული ეკლესიის მეთაურს კათალიკოსობის დაწესებამდე ჰქონდა ტიტული „მთავარეპისკოპოსისა“ და ჩანს, რომ ეპისკოპოსთა თავად ითვლებოდა იმ ტერიტორიაზე, რომელიც ქართველი მეფის განმგებლობის ქვეშ შედიოდა.

იმის შემდეგ, რაც ვახტანგმა საქართველო გააერთიანა, შემოუერთა მას უზარმაზარი ტერიტორიები – კლარჯეთისა და ზღვისპირეთისა, მან საეკლესიო საქმეთა მოგვარებაც გადაწყვიტა. ამ საქმეში მისთვის მაგალითი იყო როგორც ბიზანტიის, ასევე აღმოსავლეთის ეკლესიები.

ბიზანტიაში ეკლესია იმართებოდა სახელმწიფოს კონტროლით. ასევე იყო სპარსეთის სახელმწიფოშიც. სპარსეთში არსებული სხვადასხვა ქრისტიანული ეკლესიის მეთაურებს თვით შაჰი ნიშნავდა (მაგ, სომხეთისას V ს-ში).


თვით საეკლესიო კანონმდებელი ორგანო – მსოფლიო კრებაც კი, ბიზანტიის იმპერიაში იმპერატორების აქტიური ჩარევით იმართებოდა.

საქართველოში კი ეკლესია არა თუ ექვემდებარებოდა ქართველ ხელმწიფეს, არამედ ქართული ეკლესიის მეთაურმა მიქაელმა სამთხვევად მისულ მეფეს ფეხით კბილი ჩაუმიტვრია.

საეკლესიო კანონებზე დაყრდნობით და შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობის გამოყენებით ვახტანგმა უმტკივნეულოდ მოიშორა მიქაელი ისე, რომ არ გაულიზიანებია ქრისტიანული მოსახლეობა, განსასჯელად გაგზავნა კონსტანტინეპოლში. ანტიოქიის პატრიარქმა 12 ეპისკოპოსი გამოაგზავნა ქართლში. ჩანს, ვახტანგმა შეცვალა პროსპარსული ორიენტაციის ეპისკოპოსები და მათ ადგილზე ბერძნული ორიენტაციისანი დასვა. ასევე, მან შეცვალა ის ეპისკოპოსები, რომელნიც თავიანთი სიმდიდრისა და გავლენის გამო მეფის ხელისუფლებას არ ემორჩილებოდნენ.

ვახტანგ გორგასლის მიერ საქართველოს საკათალიკოსოს დაარსებასთან დაკავშირებით უნდა დავასკვნათ: V ს-ში ქართული ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ მყოფი ტერიტორიები გაიზარდა, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ ვახტანგ გორგასლის დროს ბიზანტიამ საქართველოს მიტაცებული კლარჯეთი (სამხრეთი საქართველო) და ზღვისპირეთი (ციხე-გოჯიდან კლისურამდე) დაუბრუნა.

ვახტანგ გორგასალმა ინება, რომ ქართული ეკლესია მონყობილიყო როგორც ერთიანი, ცენტრალიზებული სამამთავრო ეკლესია, ე.ი. დედაქალაქის (მცხეთის) ეპისკოპოსი საქართველოს ეკლესიისათვის საყოველთაო ეპისკოპოსი ანუ კათალიკოსი (ბერძნ. სიტყვიდან – „კათოლიკოს“ – საყოველთაო) გახდა. ამ ეპოქის თითქმის თანადროულ საისტორიო ქრონიკაში – „მოქცევაი ქართლისაი“ პირველ კათალიკოს პეტრეს მამამთავარი ეწოდება, „აქაითგან იწყეს კათალიკოსთა მამამთავრობად. პირველი კათალიკოსი იყო პეტრე“.



გორგასლის განმანთავისუფლებელი ლაშქრობები აფხაზეთსა და კლარჯეთში

VI საუკუნე

VI ს-ის დასაწყისში სპარსეთმა აღმ. საქართველო დაიპყრო, რის შედეგადაც ქართლში მეფობა გაუქმდა. აქვე უნდა ითქვას, რომ მეფობის გაუქმების საკითხი ქართულ და ბერძნულ წყაროებს სხვადასხვაგვარად აქვთ გადმოცემული. ერთი ქართული უძველესი წყარო მიიჩნევს, რომ VI ს-ის პირველ ნახევარში მეფობა არ გაუქმებულა. ასეთივე მდგომარეობაა ბერძნულ წყაროებშიც. კერძოდ, პროკოფი კესარიელის მიხედვით 552 წელს სპარსეთსა და ბიზანტიას შორის დადებული „საუკუნო ზავის“ შემდეგ ქართველებს საკუთარი მეფე აღარ ჰყავდათ. ბიზანტიელი მემატრიანეები მალა-ლა და თეოფანე კი ახსენებენ ქართველთა მეფეს (დამანარზოს), დედოფალსა და დიდებულებს, რომელნიც 553 წელს კონსტანტინეპოლში ჩასულან იუსტინიანე კეისართან მოლაპარაკებისათვის.

შესაძლებელია, დამპყრობლებმა (სპარსელებმა) ქვეყანას შეზღუდული ავტონომიის მაგვარი რაღაც სტატუსი მისცეს, რომლის სათავეშიც გორგასლიან-ფარნავაზიანთა ძველი დინასტია ყოფილა. ალბათ ქართველთა გარკვეული პოლიტიკური წრეები მეფობის გაუქმებას არ სცნობდნენ და დაპყრობილი ქვეყნის მეთაურს კვლავ მეფეს უწოდებდნენ. ყოველ შემთხვევაში, უდავოა, რომ ქვეყანა VI ს-ის 70-90-იან წლებამდე სპარსთა მიერ იყო დაპყრობილი და ქართული ეროვნული ინსტიტუტები, მათ შორის, ქართული ქალკედონური ეკლესია, დიდ დევნას განიცდიდა.

აღმოსავლეთ საქართველოს სრული დაპყრობის შემდეგ სპარსელები ბერძენთა განდევნას ცდილობდნენ დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთიდან. სპარსეთსა და ბიზანტიას შორის ლაზიკისათვის ომი დასრულდა 563 წლის ზავით. ლაზიკა ბიზანტიელებს დარჩათ. ამ ზავით საქართველო ერთმანეთში ბიზანტიელებმა და სპარსელებმა გაიყვეს.

590-იან წლებში სპარსელებს იბერიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუკარგავთ. 591 წელს სპარსელებმა და ბიზანტიელებმა ერთმანეთს შორის გაიყვეს აღმოსავლეთ საქართველოც.

VI ს-ში სპარსელებისათვის მისაღები სარწმუნოება მონოფიზიტობა იყო (მისი ანტიბიზანტიურობის გამო), ამიტომ ისინი სომხურ ეკლესიას მფარველობდნენ. როცა სპარსეთი იძულებული გახდა უარი ეთქვა მაზდეანობის გავრცელებაზე ამიერკავკასიაში, სამაგიეროდ მონოფიზიტური სარწმუნოების მფარველად იქცა. მან საეკლესიო მწერლობას დაავალა, მონოფიზიტური იდეები და სპარსეთთან განუყრელი კავშირის აუცილებლობა ექადაგა. ამ მიზნით სპარსეთის მეფის აგენტებმა შეთხზეს ლეგენდები, თითქოს ქრისტიანობა სომხეთს, ქართლსა და ალბანეთში ერთი პირის მიერ იყო გავრცელებული. თითქოს ქართული, სომხური და ალბანური ანბანები ასევე ერთი პირის მიერ იყო გამოგონებული და რომ ეს „განმანათლებელი“ ამავე დროს სპარსეთთან იყვნენ დაკავშირებულნი.

სპარსეთის ასეთმა პოლიტიკამ გამოიწვია ის, რომ სპარსელთა მხრიდან ხანგრძლივი და სასტიკი ზენოლის, ასევე, სომეხთა მაღალი საეკლესიო იერარქების ქონებითა და გავლენით ცთუნების შედეგად სომხებმა VI ს-ის

შუანლებში, ნერსე კათალიკოსის (548-567) დროს ყვეს კრება ქ. დვინში და მიიღეს მონოფიზიტობა (ხაჩეცარი).

ამის შემდეგ, სპარსეთის მიერ დაპყრობილ ამიერკავკასიის ქვეყნებში ეკლესიებზე ზედამხედველობა სომხეთის ეკლესიამ მოიპოვა. ამის ნება მას სპარსეთმა მისცა. სომხურ ეკლესიას, თავისი ანტიქალკედონური ანუ ანტიბიზანტიური მიმართულების გამო სპარსეთი V-VI სს-ში და არაბობა VII-IX სს-ში აძლიერებდნენ და კარგად ეპყრობოდნენ. თავის მხრივ, ბიზანტიის იმპერიაც ცდილობდა, თავის მხარეზე გადაეყვანა ძლიერი სომხური ეკლესია დათმობითა და ყოველგვარი ხელშეწყობით.

ამის გამო სომხურმა ეკლესიამ შეძლო თავისი გავლენის სფეროში მოექცია სომხეთის უშუალოდ მეზობლად მდებარე არასომხური პროვინციები, როგორც ალბანეთისა, ასევე საქართველოსი, რის შედეგადაც, მკვიდრი ქართული მოსახლეობა, მაგ. ჰერეთსა და გუგარქში, ანუ ქვემო ქართლში, საეკლესიო თვალსაზრისით „სომხურენოვანი“ ხდებოდა, რადგან იქ სომხურენოვანი ღმრთისმსახურება იწერებოდა, ხოლო ქართულ ეკლესიებსა და წმიდა წიგნებში სომხური მინაწერები ჩნდებოდა. თუ როგორ გაბატონდა სომხური ეკლესია ქართულ მრევლზე VI ს-ის ქვემო ქართლში ანუ გუგარქში, კარგად აჩვენებს VII ს. დასაწყისის ამბები.

აი, ერთი ტიპური მაგალითი: გუგარქში ჩვენი დიდი კათალიკოსი კირიონი შეეცადა ქვემო ქართლის (გუგარქის) ქართული მოსახლეობისათვის კვლავ დაებრუნებინა ქართულენოვანი წირვა-ლოცვა. ეს სრულიად მიუღებელი გახდა სომხური ეკლესიისათვის და კირიონის სასტიკად დასჯა გადაწყვიტა. სპარსთა მეფემ, ხოსრომ 614 წელს საეკლესიო კრება მოიწვია, რომელზეც სპარსეთის იმპერიაში მცხოვრები ქრისტიანები დაავალდებულა „მიეღოთ სომხური ქრისტიანობა“. ამის გამო კირიონი იძულებული გახდა დასავლეთ საქართველოში გადასულიყო. მალე სპარსეთი ჰერაკლე კეისარმა დაამარცხა და მან სომხურ ეკლესიასთან მეგობრული კავშირი – „უნია“ შეკრა, გუგარქი კი კვლავ „სომხურენოვანად“ დარჩა საეკლესიო თვალსაზრისით. სწორედ ასეთი გაძლიერებული მონოფიზიტური პროპაგანდის შედეგად ეწოდა ამ მხარეს „სომხითი“. უფრო ადრე კი მას „ქართველთა ველი“ ერქვა. VI ს-ის შუა წლებში საქართველოში ჩამოდიან ასურელი მამები, იწყებენ აქტიურ მოღვაწეობას და საქართველოშივე აღესრულებიან VI ს-ის ბოლოს და VII ს-ის დასაწყისში. თუ შევადარებთ ერთმანეთს იმ მდგომარეობას, რომელშიც იმყოფებოდა ქართული ეკლესია ასურელი მამების ჩამოსვლისას, იმ მდგომარეობასთან, რომელშიც იმყოფებოდა მათი მოღვაწეობის დასასრულს, დავრწმუნდებით, რომ ისინი მონოფიზიტურ მიმდინარეობას ებრძოდნენ და გაიმარჯვეს კიდევ მასზე.

540-იან წლებში, როდესაც, ქართული მათიანეების მიხედვით, ჩამოსულან ასურელი მამები, ჩვენში მონოფიზიტობას მტკიცე პოზიციები ჰქონდა. სწორედ ამ პერიოდს გულისხმობს გიორგი მცირე, რომელსაც თავის თხზულებაში გიორგი მთანმინდელის სიტყვები მოჰყავს: „...და ვითარცა ღვარძლი რაიმე, დათესული იყუნეს ქვეყანასა ჩუენსა ბოროტნი იგი თესლნი სომეხთანი“. IV-V სს-ში ბერძნული ენიდან მართლად თარგმნილი წმ. წიგნები

მონოფიზიტთა გავლენით VI-VII სს-ში სომხურიდან ხელახლა უთარგმნიათ, ანდა რედაქტირება გაუკეთებიათ.

ასურელმა მამებმა 30 წელიწადში განეული ღვანლის წყალობით შეძლეს არა მარტო ქალკედონიზმის სრული გამარჯვებისთვის მიეღწიათ, არამედ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ქალკედონიზმის გამარჯვებამ თეორიული საფუძველი შექმნა ქართული და სომხური ეკლესიების ურთიერთდამორებისათვის, სომხური ეკლესია კი თავისი ენისა და კულტურის გავრცელებას ცდილობდა მთელს ირანულ ამიერკავკასიაში. ასე რომ, ასურელი მამების მოღვაწეობამ განამტკიცა ქართული კულტურის ეროვნული საფუძველი და ჩვენს ხალხს ეროვნულ-კულტურული გადაგვარების აშკარა საფრთხე ააშორა.

ასურელ მამათა ეროვნების შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ ისინი ქართველები იყვნენ. ეს საკითხი საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი, მაგრამ ფაქტია, რომ მათ წინა პლანზე ქართული ენა ჰქონდათ წამოწეული და განსაკუთრებულ ყურადღებას ქართულად საუბარს, წირვა-ლოცვის ქართულ ენაზე ჩატარებას აქცევდნენ, რადგან ეს ენა ქალკედონიზმის ენად იყო მიჩნეული, იმის გამო, რომ ქალკედონიტობა ეროვნულ სარწმუნოებად უკვე VI ს-ის საქართველოში ქცეულა. „ქართლის ცხოვრებაში“ გვაქვს მომენტი, როცა მათ მისაგებებლად გამოსულ კათალიკოსს ასურელი მამები ქართულად პასუხობენ.

როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს, ასურელ მამებს თავიანთი მოღვაწეობა მონასტრების საშუალებით განუხორციელებიათ – „არავითარი საბუთი იმისა, რომ ჩვენში ე.წ. ათცამეტ მამათა მოსვლამდე მონასტრები, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით ყოფილიყო, არ არსებობს.

„პირველად მონასტრები ჩვენში დააარსეს აღნიშნულმა მამებმა.“ (კ. კეკელიძე, „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“, I, გვ. 88). თუმცა „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, უფრო ადრე ვახტანგ გორგასალს დაუარსებია მონასტერი კლარჯეთში, ამავე პერიოდში ქართველებს უკვე ჰქონდათ მონასტრები იერუსალიმსა და წმიდა მიწაზე, აქ, იოანე ლაზის მონასტერში აღმოჩნდა პირველი ქართული წარწერები.

ამრიგად, ასურელი მამების ღვანლია ის, რომ მათ ქართულ ეკლესიას თავიდან ააცილეს დიდი საფრთხე მონოფიზიტობისა, ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, სომხური სარწმუნოების აღიარებისა.



ცურტავის ქართული ეპარქია და ალბანეთის საკათალიკოსო

VII საუკუნე

VI ს. უმძიმესი საუკუნე იყო ქართული ეკლესიისა და სახელმწიფო-სათვის, მაგრამ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ეროვნული ინსტიტუტები არ ცნობდნენ სახელმწიფოს გაუქმებას VI ს-ში. ამ საუკუნის კატასტროფა დროებით მოვლენად მიაჩნდათ, რომელიც მალე გამოსწორდებოდა. ქართული ეკლესია თავის იურისდიქციას მთელ საქართველოზე ახორციელებდა. VII ს-მდე წირვა-ლოცვის ენა მთელ საქართველოში ქართული იყო. ქართული ეკლესიის ერთიანობას მოწმობს აგრეთვე საეკლესიო ნაგებობათა ერთიანი სტილიც დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში. აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ მთლიანობაზე მუდმივად და დაბეჯითებით წერდა „ქართლის ცხოვრება“, „მოქცევაი ქართლისაი“ და VIII ს-მდეელი სხვა წყაროები. ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობა მისი ხალხის ეთნიკურ ერთიანობას ემყარებოდა. აღნიშნული წყაროების თანახმად, მთელ საქართველოში, ეგრისწყლიდან ჰერეთის ჩათვლით, ერთიანი ქართველი ხალხი ცხოვრობდა. აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს IV-VII სს-ში ეწოდებოდა „ყოველი ქართლი“.

VI ს-ის ბოლო და VII ს-ის დასაწყისი იყო ეპოქა გორგასლისდროინდელი ქართული სახელმწიფოს აღორძინებისა, ქართული საზოგადოებრივი ინსტიტუტების აღდგენა-აყვავებისა, მაგრამ ამ ახლად აღორძინებულ ქვეყანას ფეხზე დადგომის საშუალება არ მისცა ჰერაკლე კეისრის ლაშქრობამ.

630-იან წლებში ჰერაკლე კეისარმა მიიტაცა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ტერიტორიები და მიუერთა ბიზანტიას, რის შემდეგაც სამხრეთ ეგრისში აღიკვეთა ქართული ენა და მის ნაცვლად აქ დანესდა ბერძნული ღმრთისმსახურება. იგულისხმება, ისტორიული საქართველოს მიწა-წყალი ტრაპეზუნტის ოლქში, რომელსაც ასევე ეწოდებოდა სამეგრელო. ეს იყო სამხრეთ სამეგრელო, ხოლო ჩრდილო სამეგრელო დასავლეთ საქართველოში მდებარეობდა.

დასავლეთ საქართველოში მუდამ, წირვა-ლოცვის ენა იყო ქართული ენა, რადგანაც დასავლეთ საქართველო მუდამ შედიოდა ქართული ეკლესიის იურისდიქციაში, ხოლო სამხრეთ სამეგრელო ანუ ტრაპეზუნტის ოლქი ხშირად შედიოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში.

სამხრეთ ეგრისის ამ ტერიტორიას (ტრაპეზუნტ-სუმელა-გუმუშხანეს ოლქს) ბერძნულ წყაროებში ეწოდება ლაზიკა. აქ მდებარეობდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის სამიტროპოლიტოს ზიგანას, საისინის, პეტრასა და როდოპოლისის საეპისკოპოსო კათედრები და არა დასავლეთ საქართველოში. როდოპოლისის კათედრა მდებარეობდა თანამედროვე მონასტერ სუმელასთან ახლოს. აქვე აღადგინა კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ როდოპოლისის კათედრა მე-18 ს-ში. ზიგანას კათედრა მდებარეობდა არა აფხაზეთში – გუდავასთან, არამედ გუმუშხანესთან ახლოს უღელტეხილ ზიგანასთან. პეტრას კათედრა მდებარეობდა არა ზღვისპირას, არამედ მთიან რეგიონში ბაიბურთთან ახლოს, როგორც ეს დადგენილია ამ რეგიონის ცნობილ მკვლევარ ნიკოლოზ ადონცის მიერ. საისინის

კათედრა მდებარეობდა არა ცაიშთან, არამედ არდასა-გუმუშხანესთან ახლოს. ყველანი ესენი მდებარეობდნენ ტრაპეზუნტის ოლქში ისტორიულ ოლქ ქალდეასთან ახლოს, ქართველთა უძველეს ქვეყანაში, სადაც სამნუხაროდ, ეკლესიებში დაინერგა ბერძნულენოვანი წირვა-ლოცვა ქართულის ნაცვლად. აქ დაარსდა აღნიშნული ბერძნული საეპისკოპოსოები. ამრიგად, არაბების შემოსევის დროს ქართული სახელმწიფო უკვე განადგურებული იყო ჰერაკლე კეისრის მიერ, რამაც არაბებს გაუადვილა დაშლილი ქართლის დამორჩილება. ფაქტობრივად, არაბებს „ქართლი“, როგორც ერთიანი პოლიტიკური ერთეული არც დახვედრიათ.

ჰერაკლეს აფრთხოვდა ქართლის სახელმწიფოს აღორძინება, რადგან ქართლის სახელმწიფო ტრადიციული მეტოქე იყო კავკასიაში ჯერ რომის, შემდეგ კი რომ-ბერძენთა იმპერიისა, ამიტომ იგი სასტიკად გაუსწორდა ჩვენს ქვეყანას. აღმოსავლეთ საქართველოში ჰერაკლემ ეკლესიებში დაახოცინა ქრისტიანები („ეკლესიათა შინა მდინარენი სისხლთან დიოდეს“), სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში კი მნიშვნელოვანი მინა-წყალი ჩამოაცილა ქართულ ეკლესიას.

განსხვავებულია ჰერაკლეს დამოკიდებულება სომხური ეკლესიისადმი (წყაროები მას სომხური წარმოშობისად მიიჩნევენ). VII ს-ის სომხური ეკლესია თავისი მოქნილი პოლიტიკის წყალობით ბიზანტიისათვის მისაღები და ნებადართული გახდა. თვით სპარსეთზე გამარჯვებულმა ბიზანტიის იმპერატორმა ჰერაკლემ მასთან ერთობის ხელშეკრულებაც დადო.

ჰერაკლეს ლაშქრობის შემდეგ სომხური ეკლესია ისევ ქალკედონიტობას დაუბრუნდა და პრეტენზია განაცხადა ქართული და ალბანური ეკლესიების მიმართ. ამის გამო ქართული ეკლესიის მესვეურები იძულებულნი გახდნენ მიემართათ ანტიოქიის საპატრიარქოსთვის და ეთხოვათ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დასტური, რათა არც ერთ მეზობელ ეკლესიას მასზე უფლება არ ჰქონოდა. ხოლო VI მსოფლიო კრებამ დაუდგინა ქართული ეკლესიის მეთაურს პატრიარქის, მოციქულთა ტახტზე მჯდომისა და მოციქულთა მაგიერის ნოდება.

680-81 წლებში კონსტანტინეპოლში შედგა VI საეკლესიო კრება. „ქართლის ცხოვრების“ ჩანართის მიხედვით, ეს კრება მოუწვევია იმპერატორ კონსტანტინე პოლონატს.

ქართული წყაროს მიხედვით კრებამ განიხილა ქართული ეკლესიის საკითხი და აღიარა მისი უფლებები, ქართული ეკლესიის მეთაურს მიანიჭა უფლება ეტარებინა პატრიარქის ტიტული. კრებას განუხილავს აგრეთვე ქართული ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალიის საზღვრები.

ამავე კრებამ დაადასტურა ქართული ეკლესიის მიერ მირონის ადგილზე კურთხევის უფლება.

ამრიგად, საქართველოს ერთიანი საპატრიარქო დაარსდა VII ს-ში.

VIII საუკუნე

VIII ს-ის დასაწყისში საქართველოს სახელმწიფო მეტად მძიმე მდგომარეობაში იყო არაბების შემოსევის გამო. ასეთ პირობებში ქართულ ეკლესიას ძალა არ შესწევდა შეესუსტებინა საქართველოში არსებულ უცხო ეკლესიათა ძლიერება. სომხური ეკლესია ისევ ცდილობდა ქართული ეკლესიის თავისი გავლენის სფეროში მოქცევას. მაგრამ მას შემდეგ, რაც 726 წელს მანასკერტის კრებაზე სომხურმა ეკლესიამ საბოლოოდ და გადაჭრით თავის ერთადერთ სარწმუნოებად აღიარა მონოფიზიტობა და უარყო როგორც მონოთელიტობა, ისე ქალკედონიტობა და დაგმო კავშირი ბიზანტიის ეკლესიასთან, ქართულმა ეკლესიამ, როგორც ქალკედონიზმის ერთგულმა დამცველმა, ყოველგვარი კავშირი განწყვიტა სომხურ ეკლესიასთან.

VIII საუკუნე ქართული კულტურის გათავისუფლების საუკუნეა. თუმცა პოლიტიკურად საქართველო ისევ გასაჭირში იყო, ერის სულიერი ცხოვრებისათვის იმდენად მნიშვნელოვანი იყო სომხური ეკლესიის გავლენისაგან თავის დაღწევა, რომ ამას შედეგად მოჰყვა მნიშვნელოვანი კულტურული აღორძინება. შემდეგ საუკუნეებში შეუფერხებლად ვითარდებოდა ქართული ეკლესიის სულიერი საგანძური, ქართული ლიტერატურა, სასულიერო მწელობა, პოეზია, ჰიმნოგრაფია და სხვა. ამავე საუკუნეებში გამობრწყინდნენ წმ. მონამენი: აბო თბილელი (ხს. 7 იანვარს), არგვეთის მთავრები მხეიძეები – დავით და კონსტანტინე (ხს. 20 მარტს) და სხვანი.

ქართული საისტორიო წყაროების ცნობით IV-VII სს-ში საქართველოს უწოდებდნენ ქართლს, რომელსაც ჰქონდა მკაცრად განსაზღვრული საზღვრები მეზობელ სახელმწიფოებთან. დასავლეთით ქართლის საზღვრებში შედიოდა ეგრისი, აღმოსავლეთში კი ჰერეთი, ხოლო სამხრეთით – ციხეთუხარისი და კლარჯეთი.

ამრიგად, სიტყვა „ქართლის“ ქვეშ, ამ პერიოდში იგულისხმებოდა მთელი საქართველო და ამიტომაც IV ს-დან ვიდრე VIII ს.-მდე ქართლის საკათალიკოსო თავის იურისდიქციას ახორციელებდა არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოში, არამედ დასავლეთ საქართველოზეც. ვითარება მკვეთრად შეიცვალა მე-8 საუკუნის შემდეგ.

VIII ს-ის 80-90-იან წლებში ქართული სამეფო დაიშალა სამ ნაწილად. წარმოიქმნა „აფხაზეთი“, „ქართლი“ და „კახეთ-ჰერეთი“. თუ ამ დრომდე „ქართლი“ აღნიშნავდა მთელ საქართველოს, ამის შემდეგ დასავლეთ საქართველოს უკვე აღარ ეწოდებოდა ქართლი, არამედ ეწოდა აფხაზეთი.

ამ დრომდე „აფხაზეთი“ ერქვა ამჟამინდელი მდ. კელასურის ანუ კლისურის იქით (მდ. ყუბანისაკენ ანუ ხაზარეთისწყლისაკენ) მდებარე ქვეყანას, რომელიც ბიზანტიას ემორჩილებოდა. VIII ს-ში „კლისურის იქითი ქვეყანა“ – აფხაზეთი, ბერძენთა ბატონობისაგან გათავისუფლდა.

აფხაზეთა ერისთავ ლეონ I-ს შერთეს ქართლის მეფე მირის ქალიშვილი გურანდუხტი, რომელსაც ძმა არ ჰყავდა, ხოლო ბიძა, მეფე წმ. არჩილი არაბებმა ანამეს. დასავლეთი საქართველო, ვითარცა ქართლის სამეფოს ნაწილი გურანდუხტის საპატრონო ქვეყანა იყო, რომელსაც იგი მისი მეუღ-

ლის, აფხაზთა ერისთავ ლეონ I-ის ხელით მართავდა, ამიტომაც დასავლეთ საქართველოს აფხაზთა სამეფო ეწოდა მმართველი დინასტიის სახელით მიხედვით.

VIII-X საუკუნეების აფხაზეთის სახელმწიფო და ადმინისტრაციული ენა იყო ქართული, ასევე, აქ კულტურისა და ღვთისმსახურების ენაც ქართული იყო, აფხაზეთი ერთერთი ისეთივე ქართული სახელმწიფოებრივი ერთეული იყო, როგორებიც იყვნენ იმჟამინდელი კახეთ-ჰერეთისა და ტაო-კლარჯეთის ქართული სახელმწიფოები. ამ ეპოქის გამოჩენილი სომეხი ისტორიკოსის სიტყვით აფხაზეთი დასახლებული იყო ქართველი ხალხით. მისი და უფრო ძველი სომეხი ისტორიკოსის მ.ხორენაცის კონცეფციის თანახმად შავიზღვისპირზე ივერი ანუ ქართველი ხალხი დაასახლა ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა, ეს ხალხიო, წერს უხტანესი, „გამრავლდა აავსო მიწა წყალი სომხეთამდე და ალბანეთამდე და ამჟამად მათ სახელმწიფოს აფხაზეთი ეწოდება ხოლო ხალხს ქართველები ჰქვიაო“ (უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან. 1975, გვ. 74).

დასავლეთ საქართველოში „აფხაზთა სამეფოს“ დაარსებას მოჰყვა ამ სახელმწიფოში თავისთავადი ქართული საეკლესიო ერთეულის „აფხაზეთის საკათალიკოსო“ დაარსება, რაც შეესაბამებოდა საეკლესიო კანონებს. აღსანიშნავია, რომ ანტიოქიისა და იერუსალიმის საპატრიარქოთა საეკლესიო საბუთებში აფხაზეთის საკათალიკოსოს ეწოდება „ქვემო ივერიის საარქიეპისკოპოსო“, ხოლო „ზემო ივერია“ ეწოდება აღმოსავლეთ საქართველოს.

ამრიგად, VIII ს-ის შემდეგ ქართულ ეკლესიაში არსებობს ორი ქართული საკათალიკოსო – აფხაზეთისა და ქართლისა. ამათგან მცხეთის ანუ ქართლის კათალიკოსი უფროს, „უხუცეს“ კათალიკოსად მიიჩნეოდა, ხოლო აფხაზეთისა – უმცროს, ანუ „უმრწემეს“ კათალიკოსად.

730-იან წლებში სამხრეთ საქართველო გადაწვა მურვან ყრუმ. მისი წასვლის შემდეგ კლარჯეთში აღდგა ოპიზის მონასტერი. ამრიგად, სამონასტრო ცხოვრების აღორძინება სამხრეთ საქართველოში ჯერ კიდევ გრიგოლ ხანძთელამდე დაიწყო. წმ. გრიგოლმა კი მთელი ეპოქა შექმნა ტაო-კლარჯეთის სამონასტრო ცხოვრებაში, გააჩაღა ფართო სამონასტრო მშენებლობა, ხანძთაში და შატბერდში – მამათა, ხოლო მერესა და გუნათლეში დედათა მონასტრები დააფუძნა.

გრიგოლ ხანძთელამდე ორიოდ საუკუნით ადრე ტაო და მისი სასულიერო ცენტრი იშხანი მოწყვიტეს საქართველოს პოლიტიკურ სივრცეს და მიუერთეს სომხურს, ამის გამო აქაური (ტაო-ბასიანელი და მიმდებარე ოლქების ქართველები) სომხური ეკლესიის გავლენის სფეროში შეიყვანეს და ეკლესიებში დაუკანონეს სომხურენოვანი ღვთისმსახურება. ეს მიუღებელი იყო ტაოელი ქართველობისათვის, ამიტომაც მათ მტკიცედ დაუჭირეს მხარი ქალკედონიტურ აღმსარებლობას, თუმცა იმჟამად ვერ მოახერხეს ეკლესიებში ქართულენოვნების აღდგენა. 726 წელს სომხურმა მონოფიზიტურმა ეკლესიამ ქ. მანსაკერტში მოიწვია საეკლესიო კრება, რომელზეც მკაცრად დაგმეს ქალკედონიტობა და ანათემას გადასცეს ქალკედონიტე-

ბი. სომხური ეკლესიის მანასკერტის კრების ამ დადგენილებამ აღშფოთა ტაო-ბასიანელი ქართველი ქალკედონტები, მათ მტკიცედ გადაწყვიტეს დაბრუნებოდნენ დედაქართული ეკლესიის წიაღს, აღედგინათ ეკლესიებში ქართულენოვანი ღვთისმსახურება, აქური ქართველების მტკიცე გადაწყვეტილება დაბრუნებოდნენ დედაქართული ეკლესიის წიაღს დააკანონა 780 წლის საეკრესიო კრებამ, რომელი ქართულ წელთაღრიცხვის ათვლის წერტილად გადაიქცა. ამ ძველი ქართული ოლქების მოსახლეობამ გაიხარა იქ გრიგოლ ხანძთელის ჩაბრძანებით და მტკიცედ ამოუდგა გვერდით.

სამონასტრო მშენებლობა დაიწყო ბარეთელთაში, წყაროსთავში, ნეძეში. წმ. გრიგოლმა დასავლეთ საქართველოში დააფუძნა უბის მონასტერი.

კლარჯეთში ჩასვლიდან დაახლოებით 50 წლის შემდეგ წმ. გრიგოლი იქაურ მონასტერთა არქიმანდრიტად დაადგინეს. მას თავისი მონასტრებისათვის იერუსალიმის საბანშიდის ტიპიკონი აუღია. შეუდგენია ჰიმნოგრაფიული კრებული – სანელინადო „იადგარი“.

იქამდე, მე-7 საუკუნეში იშხანში მცირე ეკლესია აავო ტაოს ეპისკოპოსმა წმ. ნერსე იშხნელმა, რომელიც მტკიცე მართლმადიდებელი ანუ ქალკედონიტი ქართველი იყო.


როგორც ითქვა, იმ ეპოქაში, როდესაც ტაო ჯერ სპარსთა, შემდეგ კი დამპყრობელ არაბთა ნებით სომხეთის სახელმწიფოში შედიოდა ტაოს ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა, (მე-7 საუკუნისათვის), სომხური ეკლესიის სამრევლოს წარმოადგენდა, ამის გამო ნერსე იშხნელი სომხეთის იმჟამად ქალკედონიტური ეკლესიის პატრიარქადაც იქნა არჩეული. ნერსეს გარდაცვალების შემდეგ, პოლიტიკური ვითარების შეცვლის თანავე სარწმუნოებრივი ორიენტაცია კიდევ ერთხელ შეიცვალა სომხურმა ეკლესიამ.

როგორც აღინიშნა, 726 წელს მოწვეული იქნა სომხეთის საეკლესიო კრება, რომელმაც საბოლოოდ დაადგინა რომ, სომხური ეკლესია მხოლოდ და მხოლოდ მონოფიზიტური უნდა ყოფილიყო. ამ ფაქტს ვერ შეეგუა ქალკედონიტობის ერთგული სომხეთის ივერიული ანუ ქართული მოსახლეობა, როგორც აღინიშნა იქაურმა ქართველებმა 780 წელს მოიწვიეს საპირისპირო კრება, დადგინდა სომხური ეკლესიისაგან საბოლოო განშორება, ტაოსა და მის მომიჯნავე ქართულ ოლქებში ეკლესიებში უარყოფილი იქნა სომხურენოვანი ნირვა-ლოცვა და დაინერგა ქართულენოვანი, ტაო და იქური ქართველობა დაუბრუნდა დედაქართულ ეკლესიას. იშხანში და ნერსე იშხნელის მიერ ნაგებ სხვა ქალკედონიტურ ეკლესიებში ზვარტნოცსა და სხვაგან, დაიწყეს ქართულენოვანი ნირვა, რომელმაც მოიცვა ვრცელი რეგიონი ანისიდან ბანას ჩათვლით. უკვე ნაწილობრივ არმენიზებული ქართველები ხარობდნენ იქამდე დაფარული თავიანთი იდენტობის ანუ ქართველობის დაუფარავი წარმოჩენით. ამ სახალხო გამოღვიძებამ საფუძველი დაუდო ტაოს ქართველთა სამეფოს ჩამოყალიბებასა და მის წარმატებულ წინსვლა-გაძლიერებას. მასში გაერთიანდა იმ მხარეების ქართველობა ვანის ტბიდან ვიდრე არზრუმის ჩათვლით, ეს იყო იქური ივერების ანუ იბერების დიდი გამოღვიძება.

საქართველოს ეკლესიის იმჟამინდელი მდგომარეობის უკეთ წარმოსაჩინად გავიხსენოთ კიდევ ერთი ფაქტი: საბერძნეთის ეკლესიის მყუდრო-

ება თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე დარღვეული იყო ხატმბრძოლთა მიერ. ხატთა თაყვანისცემა გამოცხადდა კერპმსახურებად და იღვენებოდა ბიზანტიის კეისრებისა და სამღვდლოების მიერ. არაიშვიათი იყო საპყრობილე და სიკვდილით დასჯაც კი. ამ დროს საქართველოს ეკლესია თითქმის ერთადერთი ეკლესია იყო, რომელიც ძველ წესს იცავდა და ხატთა თაყვანისცემას არ უარყოფდა. კონსტანტინოპოლთან გზისკვეთა კავშირი გუთეთმაც. როგორც ბერძნული წყაროები ადასტურებენ, გუთეთის ეპისკოპოსის კურთხევა მოხდა იბერიაში.

№ 67



რუკა 8. სამხრეთ იბერიის საეპისკოპოსოები

IX-X საუკუნე

IX-X სს-ში საქართველო ძირითადად გათავისუფლდა არაბ და სხვა დამპყრობთაგან, რამაც საშუალება მისცა ქართველ ერს შეექმნა თავისი სახელმწიფო ერთეულები – აფხაზეთის, ტაო-კლარჯეთისა და კახეთ-ჰერეთის სამეფოები, ამას შედეგად მოჰყვა ერის კულტურის აღორძინება. ჩნდებიან მწერლები, ეკლესიის საჭიროებისათვის საგალობლებს ქმნიან ეპიფანე მოძღვარი – ხანძთელი (VIII-IX სს.), მაკარი ლუთეთელი – ხანძთელ-საბანმინდელი (IX ს.), ბასილი ხანძთელი (IX ს.), გიორგი მერჩულე (IX-X სს.), მიქაელ მოდრეკილი (X ს.), იოვანე მტბევალი (X ს.), ეზრა (X ს.), იოვანე ქონქოზის ძე (X ს.), კურდანი-კვირიკე (X ს.). ამ საუკუნეებში იქმნება ჰიმნოგრაფიული ძეგლები – კრებულები, იქმნება საგალობლები, ძლისპირები, ამ საუკუნეებში მოღვაწეობენ „ნინოს I ჰიმნოგრაფი“ (VIII-IX სს.), „ნინოს II ჰიმნოგრაფი“ (IX-X სს.), „კონსტანტი კახის ჰიმნოგრაფი“ (IX-X სს.), სამოელ მაგალობელი, მწერალი იოანე ბოლნელი (IX ს.), „ნინოს III ჰიმნოგრაფი“ (IX-X სს.), მსხემი ზედაზნელი (X ს.), დავით გარეჯელის ჰიმნოგრაფები (IX-X სს.), იოვანე მინჩხი (X ს.), სტეფანე ჭყონდიდელი (X ს.), „აბუკურაის“ მღვდელმთავარი (IX ს.), გიორგი საბანმინდელი-სინელი, იოანე-ზოსიმე, ფილიპე ბეთლემელი (X ს.). ამ საუკუნეებში პალესტინაში იქმნება ჰიმნოგრაფიული კრებულები: „სანელინადო იადგარი“ და სხვ. ქართული ენა IX-X სს-ში სრულიად ჰყვავის და ვითარდება.

VIII ს-ის შემდეგ საქართველოში არსებობს ორი ქართული საკათალიკოსო. 830 წელს ეს ფაქტი აღიარა (ცნო) მეფე ბაგრატ კურაპალატმა და განაწესა აფხაზეთის კათალიკოსი, აფხაზეთისა და ქართლის საკათალიკოსოები წარმოადგენდნ საქართველოს ეკლესიის ორ მძლავრ ფრთას, რომელზე დაყრდნობითაც ქართველი ერი განიმტკიცებდა საუფლო მცნებებს და წინ მიისწრაფოდა ქართველი ერის ოქროს საუკუნისაკენ.

ეფრემ მცირის მიხედვით, V ს-ში 451 წლის ქალკედონის კრების შემდეგ, ყველა ეკლესიას, და მათ შორის ქართულსაც, ნება მიეცა ადგილზე ეკურთხებინათ მირონი. ასე რომ, ეფრემის თანახმად, V ს-დანვე ეკურთხებოდა მირონი საქართველოში.

„რამეთუ პირველად აღმოსავალისა კათალიკოსთა მიჰრონი იერუსალიმით მოჰყვანდა, ხოლო ეფრემ ქრისტესმიერთა ბრძანებითა, მიჰრონის კურთხევა ქართლს განაწესა იერუსალიმის პატრიარქის განწესებითა და წამებითა სიხარულით, არამედ ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა უამი შეინირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების“ – აფხაზეთი ანუ დასავლეთ საქართველო ქართლის ნაწილად განიხილებოდა ამ ფორმულის მიხედვითაც..

978 წელს ბაგრატ III-ის დროს საქართველო გაერთიანდა და აღდგა იბერიის ანუ ქართლის სამეფო. საქართველოს ერთიან სახელმწიფოდ აღდგენა განაპირობა ქართველი ერის შინაგანმა მონდომებამ და ეროვნული თვითშეგნების ამაღლებამ.



იურისდიქცია ნოტიციათა მიხედვით მე-9 ს. მდე. როდოპოლისის, საისინის, პეტრას და ზიგანას საეპისკოპოსოები ისტორიულ ტყენთში ანუ ლაზიკაში.

XI საუკუნე

„ქართლის სამეფოს“ აღდგენა-რესტავრაციის სურვილი იმდენად ძლიერი იყო VI-X სს-ში, რომ ქართული საზოგადოებრივი აზრი არ ცნობდა ერთიანი „ქართლის სამეფოს“ დაშლას და „ქართლი“ კვლავ ერთიან ქვეყანად ესახებოდა შავი ზღვიდან ბარდავამდე.

VIII ს-ის შემდგომ, მართალია, შეიქმნა „აფხაზთა“, „ტაო-კლარჯეთის“, „კახეთ-ჰერეთის“ სამეფოები, მაგრამ თითოეული ეს ქართული სახელმწიფოებრივი ერთეული ცდილობდა გაეერთიანებინა საქართველო და აღედ-

გინა იბერიის ძველი სამეფო, რომელსაც ქართველები “ქართლის სამეფოს” უწოდებდნენ.

და აი, 978 წელს მეფე ბაგრატ III-ის დროს აღდგა იბერიის ანუ „ქართლის სამეფო“, საქართველო გაერთიანდა. 1010 წელს ბაგრატ III-მ თავის სამეფოს კახეთ-ჰერეთიც შემოუერთა. ამით რესტავრირებულ იქნა ფარნავაზ მეფის მიერ დაარსებული ფარნავაზიან-ხოსროიანთა იბერიის სახელმწიფო. საქართველოს ერთიან სახელმწიფოდ აღდგენა განაპირობა ქართველი ერის შინაგანმა მონდომებამ, განსაკუთრებულად გაზრდილმა ეროვნულმა თვითშეგნებამ.

საქართველოს გაერთიანებას, საეკლესიო კანონების თანახმად, თან უნდა მოჰყოლოდა აფხაზეთისა და მცხეთის საკათალიკოსოთა ორგანიზაციული გამთლიანება საქართველოს ერთიან ეკლესიად. მის პირველ პატრიარქს მელქისედეკ I-ს „აღმოსავლეთის პატრიარქი“ უწოდეს მის იურისდიქციისქვეშა ტერიტორიის სიდიდის გამო.

საქართველოს ეკლესიისათვის „საპატრიარქო ეკლესიად“ წოდების ღირსება ეფუძნებოდა მე-6 მსოფლიო კრების გადაწყვეტილებას, რომელმაც ქართული წყაროების ცნობით ჯერ კიდევ მე-7 საუკუნეში მიანიჭა ქართულ ეკლესიას უფლება ჰქონოდა საპატრიარქო ეკლესიის სახელი.

მელქისედეკ I იყო ბაგრატ III-ის ნათესავი და მისივე გაზრდილი. პატრიარქად დადგომისთანავე მელქისედეკი გაემგზავრა კონსტანტინოპოლში საიმპერატორო კარზე. ჩანს, იმისათვის, რომ კონსტანტინოპოლს ეცნო ქართული ეკლესიის საპატრიარქო ღირსება.

როგორც ირკვევა, კონსტანტინოპოლმა ცნო საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო ღირსება და საპატრიარქო ცენტრს – სვეტიცხოველს და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს მელქისედეკს საჩუქრად გადასცა მდიდარი მონასტერი და 105 სოფელი. ამ ფაქტს ადასტურებს XI-XIII სს. ისტორიული საბუთები.

თბილისის არაბმა ამირამ – ალიმ მელქისედეკის თხოვნით ეკლესია გადასახადებისაგან გაათავისუფლა.

ბაგრატ III-ის გარდაცვალების შემდეგ იწყება ომი ბიზანტიის იმპერიასა და საქართველოს შორის. ეს იყო არა ეპიზოდური შებრძოლებები, არამედ დიდი ომი, რომელიც ათწლეულობით გაგრძელდა და რომელშიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ბიზანტიის იმპერატორები და საქართველოს მეფეები. ომი დაიწყო ბასილი II-ის დროს 1021 წელს და დამთავრდა კონსტანტინე მონომაქოსის დროს 1054 წელს. იმხანად საქართველოში მეფობდნენ გიორგი I და ბაგრატ IV. სწორედ ბაგრატ IV-ის დროს შეწყდა ბიზანტია-საქართველოს ომი და დაიდო სამშვიდობო ზავი.

ბასილი კეისარს იმედი ჰქონდა, რომ მის შეტევას საქართველოს სამეფო ვერ გაუძლებდა და დაიშლებოდა, მაგრამ ქართული ეკლესია გვერდში ამოუდგა სახელმწიფოს. ქართული ეკლესია ბიზანტიის მიერ დაპყრობილ კუთხეებში სათავეში ჩაუდგა სახალხო ომს დამპყრობთა წინააღმდეგ.

იმდროინდელი შეხედულებით, ბიზანტია და მისი იმპერატორები იყვნენ ბურჯნი მსოფლიო ქრისტიანობისა. იმპერატორებს თავყანს სცემდნენ,

როგორც ღვთის ნების აღმსრულებელი. ალბათ ამით იყო გამოწვეული ის, რომ ქართული მოსახლეობის ერთი ნაწილი ბიზანტიის მხარეს გადავიდა. ქართველ სამღვდლოებს ბიზანტიასთან ომში ქართველი „წერილი ერი“ რომ არ გამოეფხიზლებინა, მტერი გამოიყენებდა მათ გულწრფელ ქრისტიანობას თავის სასარგებლოდ.

ქართული ეკლესიის აქტიურმა პოზიციამ ამ ომში გამოიწვია ბიზანტიის სამეფო კარის რისხვა ქართული ეკლესიის მიმართ. ქართული ეკლესია მწვალებელთა არამათლმადიდებელ ეკლესიად გამოცხადდა. დაიწყო ქართული მონასტრებისა და ბერების დევნა იმპერიაში. საეჭვოდ გამოაცხადეს ქართული ეკლესიის თავიდანვე არსებული მრავალი უფლება.

XI ს-ში სომხური ეკლესია მწვალებლურ ეკლესიად მიიჩნეოდა ბიზანტიაში. ქართულ ეკლესიას იმ დროისათვის ჯერ კიდევ ეტყობოდა სომხური ეკლესიის გავლენის კვალი. სწორედ ეს გამოიყენეს ბიზანტიელმა იდეოლოგებმა ქართული ეკლესიის მართლმადიდებლობაში ეჭვის შესატანად.

„ღვარძლით“ არ ყოფილა შებიღნული ქართული მართლმადიდებელი ეკლესია. ბერძნებმა ღვარძლად მიიჩნიეს ზოგიერთი წმიდა წიგნის თარგმნა-რედაქტირება სომხური ენიდან. არამართლმადიდებლად ჩაითვალა ეკლესია იმ მიზეზით, რომ ის საეკლესიო საჭიროებისათვის წიგნებს სომხური ენიდან თარგმნიდა ან არედაქტირებდა, მაგრამ ეს ხდებოდა ჯერ კიდევ სომხურ ეკლესიაში მონოფიზიტობის საბოლოო გაბატონებამდე, 726 წლის მანასკერტის კრებამდე.

როგორც ქართველთა, ისე ბერძენთა შორის ყოფილან „მაბრალობელნი“ და „მაყვედრებელნი“, რომლებიც სწუნობდნენ ქართულ თარგმანებს ამ მხრივ, რომ ისინი არ მიჰყვებოდნენ იმ დროს გავრცელებულ ბერძნულ რედაქციებს. „მაბრალობელთა“ და „მაყვედრებელთა“ გამრავლება XI ს-ის დასაწყისში გამოიწვია „ბიზანტია-საქართველოს“ ომმა.

იმისათვის, რათა მოესპოთ ბერძენებისათვის ქართველთა მწვალებლად გამოცხადების საბაზი, ექვთიმე და გიორგი მთანმიდელები და მათი სკოლა წმიდა წერილის მანამდე არსებულ თარგმანებს მაქსიმალურად უახლოებდნენ ბერძნულ წყაროს.

X ს-ის შუა წლებიდან ბიზანტიის ძლიერების დროს მან თავის გვერდით ვერ იგუა საქართველოს გაერთიანებული სამეფო.

XI ს-ის მეორე ნახევარში სრულიად შეიცვალა ბიზანტიის როგორც საგარეო, ისე საშინაო მდგომარეობა, თურქ-სელჯუკების შემოსევების გამო ამ დროს იმპერია კრიზისს განიცდიდა. სწორედ ამით იყო გამოწვეული, რომ XI ს-ის 50-იან წლებში ბიზანტიის იმპერიამ გადასინჯა თავისი დამოკიდებულება საქართველოს სახელმწიფოს მიმართ. ახალ ეპოქაში ბიზანტიას სჭირდებოდა ერთგული, მასზე დამოკიდებული, მისი გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყანა. ამიტომ სამწლიანი მოლაპარაკება 1054-1057 წლებში ბიზანტიასა და საქართველოს შორის დამთავრდა სამშვიდობო ზავით.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთა მიზანი მოლაპარაკების დროს ბიზანტიასა და საქართველოს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის გარდა იყო საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო უფლებების ცნობა, როგორც ბიზანტიის სახელმწიფოს, ასევე კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიერ.

პირველი წარმატება, რასაც დელეგაციამ მიაღწია, იყო ის, რომ შეწყდა ქართველი ბერების სასტიკი დევნა ბიზანტიის იმპერიაში, კერძოდ კი, ივერონში.

საქართველოს დელეგაცია მოლაპარაკებისას ფრიად წარმომადგენლობითი იყო. კონსტანტინოპოლში ბაგრატ მეფე და მარიამ დედოფალი ჩაბრძანდნენ მთავრებისა და წარჩინებულების თანხლებით. ვინაიდან დელეგაციას საეკლესიო საქმეებიც უნდა მოეგვარებინა, ათონის მთიდან ჩამოვიდა გიორგი მთაწმიდელი – იმ დროის ყველაზე დიდი ავტორიტეტი ეკლესიისა – და დელეგაციის მუშაობაში მიიღო მონაწილეობა.

გიორგი მთაწმიდელი კონსტანტინოპოლიდან გაემგზავრა ანტიოქიასა და იერუსალიმის საპატრიარქოებში. ანტიოქიის პატრიარქ პეტრე III-ს გიორგი მთაწმიდელთან საგანგებო საუბრები ჰქონდა „კანონთათვის საეკლესიოთა“ და აგრეთვე „სარწმუნოებისთვის მართლისა“.

გიორგი მთაწმიდელს, მას შემდეგ, რაც პეტრე III დაურწმუნებია, რომ ქართული საპატრიარქოს შექმნა არ ეწინააღმდეგებოდა „საეკლესიო კანონებს“ და რომ ამ ახალი საპატრიარქოს შექმნით არ დარღვეულა „მართალი სარწმუნოება“, ანტიოქიის პატრიარქი თავისთან იახლოებს. პატრიარქი მოხიბლულა გიორგის სულიერი სიმაღლითა და ცოდნით, ამიტომაც ის ანტიოქიის საპატრიარქოს საქმეების მოგვარებასაც კი ქართველ ბერს ანდობდა. თავის პირად ცხოვრებასაც მას უზიარებდა.


პეტრე III-ის დროს ჩატარდა ანტიოქიის საეკლესიო კრება, რომელმაც აღიარა საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო უფლებები და შეწყვიტა ქართული ეკლესიისა და ქართველი ბერების დევნა.

მაგრამ ამ დევნის რეციდივები 1057 წლისათვის მაინც არსებობდა. ანტიოქიის კრების შემდეგ პეტრე III-ს დიდხანს აღარ უცოცხლია. იგი 1057 წელს გარდაიცვალა. გიორგი მთაწმიდელი შეხვდა ახალ პატრიარქს თეოდოსის (თეოდორე). ბერძენი ბერებისაგან წაქეზებულმა პატრიარქმა გიორგი მთაწმიდელს განუცხადა: ქართული ეკლესია ანტიოქიის ეკლესიას უნდა ემორჩილებოდესო და დაემუქრა კიდევ – თუ ასე არ იქნება, მაშინ მთელს ბიზანტიის იმპერიაში გაგრძელდება ქართული ეკლესიის დევნაო. ანტიოქიის პატრიარქი ეყრდნობოდა „პენტარქიის“ შეთხზულ თეორიას, რომლის მიხედვითაც ავტოკეფალური მხოლოდ ის ეკლესია შეიძლება იყოს, სადაც მოციქულმა იქადაგა. ანტიოქიის ეკლესია პეტრე მოციქულის დაარსებულად მიიჩნეოდა, ხოლო ანტიოქელთა აზრით საქართველოში არ უქადაგია არც ერთ მოციქულს.

გიორგი მთაწმიდელმა დაუსაბუთა თეოდოსის, რომ საქართველოს ეკლესია ანდრია პირველწოდებულის მიერაა დაარსებული და სვიმონ კანანელიც ჩვენს ქვეყანაშია დაკრძალული. შემდეგ კი პატრიარქს მისივე ლოგიკიდან გამომდინარე პასუხობს: რაკი სიტყვა დამორჩილებას შეეხო, უფრო ჯეროვანი იქნება, თუ თქვენი ეკლესია დამორჩილება ჩვენს ეკლესიას, ვინაიდან ანდრია ქრისტეს პირველი მოწაფე იყო და მან მოუწოდა თავის ძმას პეტრესო.

პატრიარქი სავესებით დარწმუნებულა, რომ საქართველოში მოცქეულებს უქადაგიათ და გიორგი მთაწმიდელის პასუხს მასში კეთილგონიერება აღუძრავს.

ამრიგად, 1054-1057 წლებში ბიზანტიურმა საპატრიარქოებმა აღიარეს ქართული ეკლესიის ფაქტობრივად არსებული ავტოკეფალურობა და შეწყვიტეს მისი უკანონო დევნა.



საქართველოს ისტორიული საეპისკოპოსოები

**საქართველოს ეკლესიის ისტორიის II პერიოდი, XII–XVIII სს.
(რუის-ურბნისის კრებიდან ავტოკეფალიის გაუქმებამდე)**

XII საუკუნე

XII ს-ში საქართველოში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენები მოხდა. 1089 წელს გამეფდა 16 წლის დავითი, შემდეგ აღმაშენებლად ნოდებუღი. მან მეტად მძიმე მდგომარეობაში მყოფი სამეფო მიიღო. თურქთა თარეშის შედეგად, რომელიც წლების განმავლობაში გრძელდებოდა, საქართველო აოხრებული იყო. თბილისი უკვე 400 წლის განმავლობაში არაბთა ხელში იყო. კახეთი დამოუკიდებელ სამეფოდ ქცეულიყო. ქვეყანაში შინააშლილობა სუფევდა, დიდგვაროვან აზნაურებს ლალატისაკენ ეჭირათ თვალი და მეფის ხელისუფლების შესუსტება ენადათ. მაღალი იერარქნი დიდგვაროვან აზნაურთა წრის წარმომადგენელნი იყვნენ.

ქვეყნის ცენტრალიზაციის მოწინააღმდეგე ძალები მეფის მოწინააღმდეგე დიდგვაროვნებს უჭერდნენ მხარს, ზოგი მათგანი ეკლესიის მაღალი ფენის წარმომადგენელი იყო, რომელიც ეკლესიაში თავისი მაღალი წარმომობისა და სიმდიდრის წყალობით იყო მოხვედრილი. მათ რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა „უღირსებს“ უწოდებს.

დავით აღმაშენებელმა ძირითადი უწყებანი (საშინაო, ფინანსთა, სამხედრო) უშუალოდ მეფის ვეზირს – მნიგნობართუხუცესს – ჭყონდიდელს დაუქვემდებარა. მასვე ექვემდებარებოდა სამეფო სპაც. იგი მეფესთან ერთად წყვეტდა ომის დაწყება-არდაწყების საკითხს და ზოგჯერ ომშიც მიდიოდა. გიორგი ჭყონდიდელის უშუალო ხელმძღვანელობით მოხდა ციხე-ქალაქ სამშვილდის აღება 1110 წელს, რასაც ქვემო ქართლის მთავარ ციხეთა განთავისუფლებაც მოჰყვა. სამშვილდის აღებამ თურქებს თავზარი დასცა, სულთანმა 100 000 კაციანი ლაშქარი გამოგზავნა, მაგრამ დავითმა სძლია და თურქები გაიქცნენ. გიორგი ჭყონდიდელმა მტერს რუსთავიც წაართვა – ეს მოხდა 1115 წელს. 1118 წელს ყივჩაღების საქართველოში ჩამოსახლების საქმეც დავითმა გიორგი ჭყონდიდელთან ერთად მოაგვარა. ყივჩაღები ქართველ მეფეს საზღვრების დასაცავად და უცხოეთში სალაშქროდ ესაჭიროებოდა. ისინი დასახლებული ჰყავდა საზღვრებზე, თანამედროვე სომხეთსა და აზერბაიჯანში (შირვანთან), ამიტომაც ყივჩაღები ქართველებს არ შერწყმიან.

დავით აღმაშენებლის ყოველი გამარჯვება ქრისტიანობასთან იყო დაკავშირებული, ქრისტიანობის მტრების დათრგუნვისაკენ მიმართული. ჯვაროსანთა ომის დაწყებისას მეფე ყოველმხრივ ეხმარებოდა მათ.

დავით აღმაშენებელი, როგორც ღრმადმორწმუნე ქრისტიანი, უფალს იყო მინდობილი. ასე იყო დიდგორის ბრძოლის დროსაც, როცა შეიკრიბა ურიცხვი თურქი, ვითარცა ზღვა ქვიშისა. 1121 წლის 18 აგვისტოს მოვიდნენ თრიალეთში, მანგლისსა და დიდგორში, ისე, რომ ფეხის დასადგმელი ადგილიც არ ჰყოფნიდათ, ხოლო დავით მეფემ, უშიშმა და გულით უძრავმა წინ განაწყო თავისი სპა.

პირველი შებრძოლებისას უკან დაიხია მტერმა, ხოლო შემდეგ გაიქცა, რამეთუ დავით მეფეს მაღალი ღმერთი შეეწეოდა და წმ. მონამე გიორგი ცხადად და ყველას სახილველად წინ მიუძლოდა. ეს ბრძოლა სულ სამი საათი გაგრძელდა. თურქებმა წინააღმდეგობა ვეღარ შეძლეს ქართველების მხრიდან პირველივე კვეთების შემდეგ.

მეორე წელს აიღო მეფემ თბილისი, რომელიც 400 წელი არაბთა ხელში იყო (1122 წელი).

ერთი მხრივ, იგი, როგორც მეფე და სახელმწიფო მოღვაწე, მტკიცე ნებისყოფით, გონიერი მოქმედებითა და სამხედრო და ადმინისტრაციული მართვის ნიჭით ძლიერ ცენტრალიზებულ სახელმწიფოს ქმნიდა და ყველას, ერსაც და ბერსაც მის სამსახურში აყენებდა, ხოლო მეორე მხრივ ის, როგორც განათლებული ადამიანი, თაყვანსა სცემდა მეცნიერებას, პატიოსნებასა და ერთგულებას, ამის უნიკალური განსახიერება მისი მოძღვარი – არსენ იყალთოელი იყო, წიგნი კი – მისი განუყრელი მეგობარი.

მეფე მუდამ ბერების წრეში ტრიალებდა, ამიტომ დავითი სასულიერო წიგნების უზადლო მცოდნე იყო და მას ღრმა საეკლესიო საღვთისმეტყველო განათლება ჰქონდა მიღებული.

დავით მეფემ დაამშვიდა ქვეყანა, აავსო, აღაშენა დანგრეული და ყველა ღროს გადაამეტა მშვიდობით და სიმდიდრით. მან სიბრძნის დედად იპოვა შიში ღმრთისა. ხოლო საღმრთო წერილი – ძველი და ახალი შეიყვარა და შეითვისა. ეს წიგნები წარმოადგენდა მისთვის სულიერ საზრდოს. მუდამ თან ახლდა წიგნებით დატვირთული ჯორები და აქლემები და ცხენიდან ჩამოქვეითდებოდა თუ არა, პირველ ყოვლისა, წიგნებს მიართმევდნენ ხოლმე. კითხულობდა დაღამებამდე, კითხულობდა ომის დროსაც კი, თავისუფალ საათებში. მუდამ ლოცვა-მარხვაში იყო. საეშმაკო სიმღერები, სახიობანი, განცხრომა, ღმრთის საძულველი გინება და ყოველი უწესობა ლაშქარშიც აკრძალული იყო.

სინას მთაზე, სადაც მოსემ და ელიამ იხილეს ღმერთი, მონასტერი ააშენა და მრავალი ოქრო წარგზავნა.

ყოველივეს გასცემდა არა მოხელეებისგან მიღებულს, ანდა სამეფო საჭურჭლიდან, არამედ თავისი ხელით მოპოვებულს.

არა მარტო მონასტრები და ლავრები გაათავისუფლა მოვალეთაგან, არამედ მისი სამეფოს ხუცეებიც – ბეგარისაგან, რათა თავისუფლად აღესრულებინათ საღმრთო მსახურება.

ღმრთის მიერ ისეთი ნიჭი ჰქონდა ბოძებული, რომ არავისი საქმე და სიტყვა, კეთილი თუ ბოროტი არ დაემალებოდა, ამიტომაც ვერც დიდი და ვერც მცირე ორგულობასა და ღალატს ვერ უბედავდა. ასევე მღვდელმთავრები, მღვდლები, დიაკვნები, მონაზვნები და ყოველი კაცი საქმეს წესიერად აკეთებდა, ამიტომაც იყო წესიერება, კანონიერება, პატიოსნება.

ერთხელ მეფეს სომეხთა ეპისკოპოსებმა სთხოვეს, რომ ჩაეტარებინა კრება, სადაც იქნებოდა სიტყვისგება და რჯულის გამოძიება, იმ პირობით, რომ თუ სომეხები დამარცხდებოდნენ, რჯულის ერთობას დათანხმდებოდნენ და თავიანთს შეაჩვენებდნენ, ხოლო თუ გაიმარჯვებდნენ – მაშინ ბრძა-

ნება უნდა გაცემულიყო, რათა აღარ ეწოდებინათ მათთვის მწვალებლები და არ შეეჩვენებინათ.

მეფემ მოიწვია ქართლის კათალიკოსი იოანე, ეპისკოპოსები, მეუღაბნონენი და არსენ იყალთოელი, სხვა მეცნიერები და ბრძენი კაცები.

დაიწყეს კამათი ცისკრიდან სალამოს ცხრა საათამდე. მოეწინა მეფეს და უთხრა მათ: „თქვენ, მამანო, გაურკვეველ სიღრმეებში შეხვალთ, შეუცნობელს ხედავთ, როგორც ფილოსოფოსები და ჩვენ არ შეგვიძლია გაგება, როგორც უსწავლელებსა და ერისკაცებს. თქვენ იცით, რომ მე შორსა ვარ სწავლულებისა და მეცნიერებისაგან, როგორც სამხედრო საქმეებში აღზრდილი, ამიტომაც უსწავლელი და მარტივი სიტყვებით გეტყვით თქვენ“. ეს რომ თქვა, ისეთი იგავებით გასცა სომხებს პასუხი, რომ უპასუხოდ და უსიტყვოდ დატოვა ისინი, როგორც ოდესღაც ბასილი დიდმა წარმართები ათენში. მწვალებლებმა საჯაროდ აღიარეს დამარცხება.

მემატიანე დავითს ახასიათებს, როგორც „მტრებისგანაც კი სანადელს და სათნოებით საყვარელს“.

მეფობდა 36 წელი და როგორც დავითმა სოლომონი, მან თვითვე დასვა ტახტზე თავისი ძე დემეტრე, ყოვლითურთ მსგავსი მამისა და დაადგა თავზე გვირგვინი პატიოსანი ქვებისა, შეარტყა წელზე მახვილი, სვიანად ხმარებული და შემოსა პორფირით, დაულოცა ცხოვრება. ასე გაცვალა ქვეყნიური მოქალაქეობა ზეციურ სასუფეველზე, სადაც არის შვება და სიხარული, სადაც არ არის მწუხარება და არის სიცოცხლე, რომელსაც ვერ შეამღვრევს სიკვდილი. სახელოვანი და დიდებული მეფე 1125 წ. 24 იანვარს გარდაიცვალა.

დავით აღმაშენებლის შემდეგ, თამარ მეფემდე, ე.ი. დემეტრე I-ის, დავით V-ის და გიორგი III-ის დროს, მიუხედავად იმისა, რომ ეს მეფეები სხვაობდნენ ურთიერთისაგან როგორც ზნეობრივ-მოქალაქეობრივი თვისებებით, ისე პოლიტიკური აღლოთი, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის სტრუქტურაში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. იგივეს ვერ ვიტყვით თამარის პერიოდზე, განსაკუთრებით, მისი მეფობის პირველ წლებზე. აუცილებელია აღინიშნოს რამდენიმე ძირითადი მომენტი.

დავით აღმაშენებლის დროიდან მაღალ თანამდებობებზე არა შთამომავლობითი და გვაროვნულ-წოდებრივი ნიშნებით, არამედ პირადი ღირსებებით აწინაურდნენ. გიორგი III-საც უმაღლესი „სახელოები“ ღირსეულ და ერთგულ „უგვართათვის“ ჰქონდა მიცემული. ახლა, უკვე თამარის დროს, აღარ ისურვეს დიდებულებმა ძველ ხელისუფალთა ხელქვეითობა და მოითხოვეს ყუბასარისა და აფრიდონისათვის თანამდებობისა და ქონების ჩამორთმევა. თამარმა დათმო.

ვაკანტური ადგილებისათვის დიდებულთა შორის ქიშპობა გაჩაღდა. თამარმა უპირატესობა მხარგრძელებს მიანიჭა. განსაკუთრებით აამალა ზაქარია, აგრეთვე სარგის, ივანე და ავაგ მხარგრძელები. მემატიანის თანახმად, ივანე მხარგრძელმა, რომელსაც თამარმა მისი თხოვნის თანახმად ათაბაგობა უბოძა, ფაქტიურად უღალატა საქართველოს შალვა და ივანე

ახალციხელების შურის გამო. ასევე არ გამოიჩინეს ერთგულება დანარჩენმა მხარგრძელებმაც.

საქართველოს გაერთიანებისას ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესები თავდადებულად იბრძოდნენ ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნისათვის, საქართველოს გაერთიანებისათვის, ათაბაგობის ინსტიტუტის შემოღების შემდეგ კი საქართველოს ერთიანი სახელმწიფო დამარცხდა და დაიშალა. ჭყონდიდელის დროინდელი კონსოლიდაცია ამ დროს შურმა და ღალატმა შეცვალა. „ოთხმა მხარგრძელმა“ და მათმა შთამომავლებმა ჭყონდიდელობა ვერ გასწიეს.

ცხადია, სამეფო კარზე მონოფიზიტი ამირსპასალარის აღზევებით მართლმადიდებელი ეკლესია კმაყოფილი არ იქნებოდა. აქ საფიქრებელია ის, რომ როგორც კათალიკოსი, ისე ძველი სამეფოს დიდებულები გრძნობდნენ – ახალი პოლიტიკით (მონოფიზიტების აღზევებით) სახელმწიფოს შეიძლებოდა დიდი პოლიტიკური მარცხი განეცადა. ნ. ბერძენიშვილის აზრით, ეს მართლაც ასე მომხდარა და ლაშა-გიორგი ამ მარცხის გამოსწორებას შეეცადა. ლაშა-გიორგი ცენტრალისტური ტენდენციებისკენ მიდრეკილი მმართველი იყო. მან განიშორა მხარგრძელები. თამარის ძეს დავით აღმაშენებლობა და მისი უახლოესი მემკვიდრეების დროინდელი მძლავრი სამეფო ხელისუფლების აღდგენა სურდა. ლაშა სასტიკად დაამარცხეს აღზევებულმა დიდებულებმა – ათაბაგმა და სხვა მხარგრძელებმა. მეფეს სახელი გაუტყვეს და იგი სხვა დიდებულების, ხალხისა და მორწმუნეების თვალში უნებისყოფო და ამორალურ ადამიანად წარმოაჩინეს. ლაშა ახალგაზრდა გარდაიცვალა. მათ რუსუდანი გაამეფეს.

აღსანიშნავია, რომ ზაქარია მხარგრძელი ეროვნებით ქურთი, სარწმუნოებით სომეხი, პოლიტიკურად კი ქართველი მხედართმთავარი და მოღვაწე იყო.

თამარის მოღვაწეობის დასახასიათებლად მთავარია მისი საგარეო და საშინაო პოლიტიკური მიღწევები, და ასევე მისი სახელმწიფოს გასაოცარი ჰუმანურობა, რომელიც თავის მხრივ, საფიქრებელია, დავით აღმაშენებლის სულიერ მემკვიდრეობას ეფუძნებოდა.

დავით აღმაშენებლის ანდერძი (აგრეთვე მისი „გალობანი სინანულიანი“) არ იყო დაფარული მისი შემდგომი თაობებისათვის. უფრო მეტიც, ჩანს, მისი აღსრულება ქართველ სახელმწიფო მოღვაწეებს თავიანთ მოვალეობად მიაჩნდათ, განსაკუთრებით, თამარ მეფეს. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ თამარის ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოძღვარი სწორედ ამ ანდერძს იღებს საზომად თამარის მოღვაწეობის შეფასებისას.

თამარ მეფეს მაჰმადიანთაგან განთავისუფლებული ქვეყნები უშუალოდ კი არ შემოუერთებია თავისი სამეფოსათვის, არამედ ისინი ყმადნაფიც ქვეყნებად უქცევია. ამით ამ ქვეყნების სამეფო „სახლებისათვის“ სამეფო უფლებები შეუნარჩუნებია, უფრო მეტიც, „დაგლახაკებული“ მეფეები გაუმდიდრებია.

დავით მეფემდე, წინა საუკუნეებში, ქართველი ერი თვითონ იყო სხვა ერების აგრესიის ობიექტი; მისი მთლიანი ძალისხმევა იმ დროს თავისუფ-

ლების მოპოვებისა და გაერთიანებისაკენ იყო მიმართული, მაგრამ, როგორც კი ერთიანი, კავკასიის მასშტაბის უძლიერესი სახელმწიფო შექმნა, მან უარი განაცხადა სხვათა დაპყრობა-ასიმილაციაზე, გამოამჟღავნა უდიდესი შინაგანი სითბო და სიყვარული, კაცთმოყვარეობა – ეს იყო თამარის სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც, როგორც ითქვა, დავითის ჰუმანიზმს ეფუძნებოდა.

სწორედ რომ, საოცარია შუა საუკუნეებისათვის ამგვარი მოქმედება: ხელმწიფე, რომელსაც შეუძლია სხვათა მიწების მითვისება, უარს ამბობს ამაზე, ანდა ინანიებს „სახლის სახლზე“ შერთვას.

ამ კუთხით თუ გადავხედავთ ძველი მსოფლიოს სახელმწიფოთა პოლიტიკას, სულ სხვა სურათს დავინახავთ. ხელმწიფეები იმით ამაყობდნენ, რამდენი ქვეყანა დაიპყრეს, დაანგრეს, მოსპეს. ამ თვალსაზრისით არა მარტო ასურეთის და ურარტუს ხელმწიფეები, არამედ არც რომისა და ბიზანტიის იმპერატორები იყვნენ გამონაკლისნი, თურქულ-სპარსულ სახელმწიფოებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თვით XIX ს-ის „ცივილიზებული“ სახელმწიფო მოღვაწეებიც ასევე იქცეოდნენ. პავლე ციციანოვი რუსეთისადმი დაუმორჩილებელ ერთ თემს სწერდა: „...თქვენ ნამდვილად ფიქრობთ, რომ მე ქართველი ვარ და ბედავთ ასე წერას. მე რუსეთში დავიბადე და გავიზარდე. ჩემში რუსული სულია. დაიცადეთ ჩემს მოსვლამდე და მაშინ მე თქვენ სახლ-კარს კი არ დაგინვათ, თქვენ დაგნვათ და თქვენს ცოლ-შვილს შიგნეულობას გამოვლადრავ...“

დიახ, მართალია პავლე ციციანოვი, როცა თავის თავს არაქართველ პოლიტიკურ მოღვაწედ მიიჩნევს, რადგანაც ქართველი პოლიტიკოსისათვის მიუღებელია მსგავსი ქმედებანი. ერთი ჩვენი მოღვაწე ამბობდა: „ერი თავის ნამდვილ სახეს უდიდესი სიძლიერის დროს ამჟღავნებს“.

თამარის ამ ჰუმანიზმს არაქართველმა ხალხებმა გასაოცარი სიყვარულით უპასუხეს. იგი არა მარტო ქართველ ერს, არამედ კავკასიის (განსაკუთრებით მთიანეთის, ჩრდილო კავკასიის) ხალხებსაც უყვარდათ.

თამარის სახელმწიფოში მკაცრად იყო დაცული ღარიბთათვის სახელმწიფო შემოსავლის მეათედის განაწილების წესი. აღსანიშნავია, რომ ქართული სახელმწიფოსათვის შემოსავლის მეათედის გადაცემა ღარიბთათვის დავით აღმაშენებლამდეც ტრადიციული იყო. მაგრამ თამარი, ისევე, როგორც დავით აღმაშენებელი, ღარიბებს არა მარტო სახელმწიფო ქონებას, არამედ პირად ქონებასაც, თავისი ხელის შრომით შექმნილსაც უნანილებდა. საინტერესოა, რომ იგი პირად ქონებას სამეფო ქონებისგან განარჩევდა, მაშინ, როცა ჩვეულებრივ, ფეოდალურ ქვეყნებში ასეთი გარჩევა არ იცოდნენ.

მემატიანის სიტყვით, თამარმა სულიერი სიმშვიდე საზოგადოებაშიც დაამკვიდრა. მის დროს მათრახის ცემითა და სხეულის ასოების მოკვეთით დასჯა აღკვეთილი იყო. ფაქტიურად მოისპო სიკვდილით დასჯა.

თამარის ჰუმანიზმის განსაკუთრებულ გამოხატულებად უნდა ჩაითვალოს მისი დამოკიდებულება სხვა რელიგიური აღმსარებლობებისადმი.

სამეფოს გაფართოებას, აყვავება-გაფურჩქვნას, სახელსა და დიდებას თამარის პიროვნებაში სიამაყე არ აღუძრავს.

თამარის პოლიტიკა, ცხადია, განსხვავდებოდა დავით აღმაშენებლის სახელმწიფოებრივი მიმართულებისაგან, მაგრამ მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან ფაქტიურად ის იყო ქრისტიანულ მორალზე დაფუძნებული პოლიტიკა, და სხვათა შორის, მას თეორიული საფუძველი თვით დავითმა მისცა, როგორც თავისი მოღვაწეობით, ისე ცნობილი ანდერძითა და „გალობანი სინანულისანი“, სადაც იგი ნაწილობადაც, რომ უფრო მეტად ჰუმანური პოლიტიკის განხორციელება ვერ შეძლო, თამარმა კი განახორციელა.

ქართულ საზოგადოებას საპროგრამო თეორიად მიუჩნევია დავით მეფის ანდერძში გადმოცემული შეხედულებანი სახელმწიფო მონყოფისა, ამიტომაც, ჩანს, თამარს უცდია აღესრულებინა ის და მთლიანი სახელმწიფო სისტემა მისი განხორციელებისათვის დაუქვემდებარებია.

XIII საუკუნე

თამარის დროინდელი აყვავებული ქვეყანა რუსუდანის მეფობისას მონღოლებმა დაიპყრეს. ამას კი წინ ჯალალედინის ლაშქრობა და თბილისის იავარქმნა უსწრებდა.

1225 წელს ხვარაზმმა ჯალალედინის შემოსევისას რუსუდანმა ქართველთა ლაშქარს მხარგრძელი ივანე ათაბაგი უსარდლა. შებრძოლება საქართველოს სოფელ გარნისთან (სომხეთში) მოხდა. ქართველთა ლაშქარი დამარცხდა და მარცხის მიზეზი ურთიერთშური და მტრობა იყო.

ამ ომში ქართველთა ლაშქარში მენინავენი მესხები იყვნენ – შალვა და ივანე ახალციხელების მეთაურობით. წესით, მთავარსარდალს დამხმარე ძალა უნდა მიეშველებინა ქართველ წინამბრძოლებისათვის, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ახალციხელებმა მრავალგზის შეუთვალეს, ივანე ათაბაგმა ჯარი არ მიაშველა. ივანე ახალციხელი ამ ომში მოკლეს, ხოლო შალვა ტყვედ ჩაიგდეს. იგი ჯალალედინმა მაშინვე როდი მოკლა, თავისთან დაიტოვა და დიდი პატივით ეპყრობოდა. ტკბილი სიტყვით შეეცადა, რომ შალვას სჯული დაეტოვებინა, მაგრამ ვერაფრით გატეხა. მრავალი ტანჯვის შემდეგ შალვა ახალციხელი მონამეობრივი სიკვდილით აღესრულა და წმიდანის გვირგვინი ხვდა წილად.

მემატინე ამბობს, რომ საქართველოს დაცემასა და განადგურებას (ჯერ ხვარაზმელების, შემდეგ კი მონღოლების მიერ) საფუძველი სწორედ ამ ომში დაედო. გარნისის ომში ქართველთა ლაშქარს არც უომია მცირერიცხოვანი ნაწილის გარდა, რომელიც ახალციხელების მეთაურობით მტრის უზარმაზარი ლაშქრის წინაშე მარტო აღმოჩნდა.

მხარგრძელი მთავარსარდალი, ივანე ათაბაგი უკუიქცა და სადღაც ჩაიკეტა. მანდატურთუხუცესმა, ასევე მხარგრძელმა შანშემაც მხოლოდ თავის პირად საგამგებლოზე (ანისზე) იზრუნა. მონღოლებთან მათი მოგვარე ვარამ გაგელიც დაზავდა, ხოლო საქართველოს სხვა კუთხეები სასტიკად ირბეოდა.

ჯალალედინის ლაშქარი გარს შემოადგა თბილისს. რუსუდანი აიყარა და ნავიდა ქუთათისს. თბილისის მცველად დატოვა ლაშქარი და ბოცოს ძენი – ბიძინა და ბოცო. თბილისელმა სპარსელებმა მტერს კარი ღალატით გაუღეს. ქალაქი ომის ასპარეზად იქცა. მტერი უწყალოდ მუსრავდა თბილისელებს. სულთანმა სიონის გუმბათი მოახსნევინა და ბილნი დასაჯდომელი ააშენებინა. სიონის ხატები – უფლისა და ღმრთისმშობლის, ხიდის თავთან დაადებინა და ბრძანა, რომ შეპყრობილ ქრისტიანებს ფეხით გადაევლოთ მათზე. ვინც უარს იტყოდა, იქვე კლავდნენ. საფიქრებელია, რომ მოკლულთა რიცხვმა 100 000-ს მიაღწია. თავის მხრივ არც უფალმა მიატოვა თავისი სამწყსო – ქართველი ერი და მას ამ გასაჭირში მრავალგზის შეენია.

XIII ს-ის დამდეგიდან ჩინგიზ ხანის მეთაურობით მონღოლთა გაერთიანებულმა სახელმწიფომ მსოფლიოს მნიშვნელოვანი ნაწილი აზიასა და ევროპაში – ჩრდ. ჩინეთი, შუა აზია, ირანი, ავღანეთი და სხვა ქვეყნები დაიმორჩილა. ჩვენი მემკვიდრე წერს, რომ მონღოლები ლაშქრობდნენ „დიდსა სცივჩაღეთსა ზედა, ოვსეთს, ხაზარეთს და რუსეთს ვიდრე ბნელეთამდე“. „ბნელეთს“ მემკვიდრე ჩრდილოეთის პოლარულ ზონას უწოდებს. დასავლეთიდან ისინი მიუახლოვდნენ ევროპის ცენტრებს – „ვიდრე ბოლართა სერბეთამდე“.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთმა უძლიერესმა სახელმწიფომ საქართველოს სრული დაპყრობა და ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება ვერ შეძლო. იგულისხმება, რომ დასავლეთ საქართველო მონღოლებს არასოდეს დაუპყრიათ, რის გამოც საქართველოს სამეფო ცენტრიც აქ იქნა გადატანილი. მონღოლების ძირითადი ძალების შემოსევის დროს საქართველოს სახელმწიფოს სათავეში რუსუდან მეფე იდგა, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი გამოუცდელსა და ქვეყნის მესაჭეობისათვის გამოუსადეგარ პიროვნებას უწოდებს.

შეეძლოთ თუ არა საქართველოს მთავრობასა და მთავარსარდალს არ შეენწყვიტათ ბრძოლა და მონღოლებს გამკლავებოდნენ? უთუოდ შეეძლოთ. ამაზე მიუთითებს ისიც, რომ მონღოლებმა, მიუხედავად დიდი მონდომებისა, დასავლეთ საქართველოში შესვლა ვერც ერთხელ ვერ შეძლეს.

მონღოლებმა ფაქტიურად უბრძოლველად დაიმორჩილეს აღმოსავლეთ საქართველო. ასეთ დროს ქართულმა ეკლესიამ საჭიროდ მიიჩნია შეწეოდა საქართველოს დამშვიდების საქმეს. წყონდიდელმა ეპისკოპოსმა კიდევ ერთხელ იწვება საქართველოს შეკრება ერთ მთლიან ქვეყნად. დაახლოებით 1242 წელს „რუსუდან მეფემ ბათო ყაენთან ვოლგისპირეთში არსენ წყონდიდელ-მნიგნობართუხუცესი გაგ ზავნა“. მან მონღოლებთან ზავს მიაღწია, რომლის თანახმადაც მონღოლთა უმაღლესი ხელისუფლება სცნობდა ერთიან, განუყოფელ საქართველოს სახელმწიფოს ქართველი მეფის მეთაურობით. აღმოსავლეთ საქართველოს გარკვეული ვალდებულება უნდა ეკისრა, ხოლო დასავლეთ საქართველო, როგორც დაუპყრობელი მხარე, ამ ვალდებულებისაგან თავისუფალი იყო, თუმცა ხარკის გადახდა მთელ საქართველოს დაეკისრა. ამ ზავმა დაიცვა ჩრდილო კავკასიის დას. საქართველოს მომიჯნავე მხარეები, რომელნიც საქართველოს სახელმწიფოს საზღ-

ვრებში შემოდინდნენ, მაშინ როცა მონღოლებმა ჩრდილო კავკასიის სახვა მხარეები სასტიკად გაანადგურეს, მაგალითად საქართველო-მონღოლების ზავმა დანგრევისაგან გადაარჩინა სენცის, შოანასა და ზელენჯუკ-არხიზის შესანიშნავი გუმბათიანი ტაძრები, ნაგებნი ქართველ მეფეთა მიერ და ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შემავალნი (ამჟამინდელ ყარაჩაიში).

1259 წელს მონღოლებს თბილისში მჯდომი საქართველოს ორი მეფიდან ერთ-ერთი, დავით ნარინი – რუსუდანის ძე აუჯანყდა და დას. საქართველოში გადავიდა. ამის შემდეგ საქართველოს ეს ნაწილი მონღოლთა ბატონობას გამოეთიშა და ამ მხარის მმართველები კვლავ ქართულ სახელმწიფოებრივ პოლიტიკას აგრძელებენ.

სამწუხაროდ, მონღოლთა ბატონობის დროს, პოლიტიკური მმართველობის თვალსაზრისით საქართველო სამ ნაწილად გაიყო: აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ „საქართველოებად“. მაგრამ მათ ქართული ეკლესია აერთიანებდა. სწორედ ამიტომ, ამ დაშლის ჟამსაც, ქართველებს თავიანთი ქვეყნის საზღვრებად ძველებურადვე ნიკოფსია და დარუბანდი ჰქონდათ წარმოდგენილი.

აქვე უნდა ითქვას, რომ სინამდვილეში აღმოსავლეთ საქართველოს საზღვარი „თეთრწყალზე“ (ანუ ახსუზე) გადიოდა, საიდანაც დარუბანდამდე, ანუ კასპიის ზღვამდე მხოლოდ 60-70 კმ-ია. ეს მდინარე ქართველთა ეთნიკური განსახლების აღმოსავლეთ საზღვარს არა მარტო მონღოლების დროს, არამედ წინა საუკუნეებშიც წარმოადგენდა. მაგალითად, როცა X ს-ის მეორე ნახევარში კახეთი და ჰერეთი გაერთიანდა, ეს გაერთიანება ვრცელდებოდა მდ. ახსუმდე. ამ კუთხეში ქართველები, კერძოდ, ჰერები მჭიდროდ იყვნენ დასახლებულნი, შემდეგ, იმის გამო, რომ ამ კუთხის მახლობლად მონღოლებმა საძოვრები გაიჩინეს, ეს ქვეყანა მოსახლეობისაგან დაიცალა, ან გადაგვარდა.

სამხრეთ საქართველოს საზღვარი გადიოდა მდ. არაქსზე (რახსზე). ანისი და დვინიც ძველებურად კვლავ საქართველოს ქალაქებად ითვლებოდა.

ტაოც საქართველოს ეკუთვნოდა. კობტასთავის შეთქმულთა შორის ტაოელი მეთამბოხეებიც მოიხსენიებიან.

მესხეთში ბექას მთავრობის დროს საქართველოს საზღვრებში ჭანეთიც კი შედიოდა, რომელიც ბიზანტიამ დათმო. აქვე აღვნიშნავთ, რომ სამცხის მთავართა ოჯახი დიდად ღმრთისმოშიში იყო. დიდ პატივს სცემდა სამღვდელოებას, ეპისკოპოსებს, მონაზვნებს. ბექა მონასტერთა და ეკლესიათა მშენებელი, მონაზონთა და მონესეთა პატივისმცემელი იყო. ცისკრის, სამხრისა და მწუხრის ლოცვას არც თვითონ აკლდებოდა და არც ლაშქარს დააკლებდა, რისთვისაც მას ღმერთი მუდამ სწყალობდა.

დასავლეთ საქართველოს საზღვარს შავი ზღვა წარმოადგენდა – ნიკოფსიამდე.

მონღოლთა მძლავრობის უსასტიკეს საუკუნეში ქართველმა ხალხმა შეინარჩუნა თავისი ეროვნული საზღვრები, სახელმწიფოებრიობა, ეთნიკური ერთობის გრძნობა, მაშინ, როცა საქართველოს მეზობელ ქვეყნებს მონღოლებმა ეთნიკური სახეც შეუცვალეს. საქმე ის იყო, რომ მონღოლებ-

მა ვერ შეძლეს საქართველოში ჩასახლება, მაშინ, როცა მათ საქართველოს მეზობლად მდებარე რანი, მულანი, შარვანი და ასევე სომხეთის ტერიტორიები საზამთრო და საზაფხულო ბანაკებად აქციეს. ჩვენი მეზობელი ალბანელები, რომელთაც თურქ-სელჯუკების შემოსევის შედეგად ეთნიკური სახე დაკარგეს, მონღოლების ბატონობის ჟამს სრულებით გაქრნენ, ხოლო სომხეთის უმთავრესი ქალაქებიდან ლტოლვილი სომხები საქართველოსა და სხვა ქვეყნებს აფარებდნენ თავს.

აღსანიშნავია, რომ მონღოლთა მძლავრობას ქართველმა ხალხმა მაღალი ქრისტიანული მორალით, ურთიერთსიყვარულით, ურთიერთგატანით, თავდადებით უპასუხა. მრავალმა ქართველმა დადო სული მოყვასისა და სამშობლოს გადასარჩენად. თავს დებდა არა მარტო რიგითი ქართველი – მეფისა და მამულისათვის, არამედ მეფეც – ერის გადასარჩენად.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ქართველები თავს მხოლოდ სარწმუნოებრივი მოსაზრებით დებდნენ და ამ თავდადების სანაცვლოდ ქრისტესგან მოელოდნენ სულის ცხონებას. ცხადია, ასეც იყო, ოღონდ მონღოლთა ბატონობის დასასრულს. საქართველოში შემოსვლისას კი მონღოლები ქრისტიანებს არ ავინროებდნენ (ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ მაჰმადიანები). ამიტომ სარწმუნოებისათვის თავდადება შემდეგ გახდა საჭირო. ისლამი მხოლოდ ყაზან ყაენის (1295-1304) დროს გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად (მალე „თათარი“ არა მონღოლის, არამედ მაჰმადიანის სინონიმად იქცა). საინტერესოა, რომ მონღოლებს ქრისტიანთა დევნა სპარსელთა ნაქეზებით დაუწყიათ.

საყოველთაოდ ცნობილია დემეტრე II-ის თავდადება ერისათვის. მეფემ წარმართ მონღოლთა მსგავსად სამი ცოლი მოიყვანა. ბასილი მონაზონმა მეფის უნესო ქორწინება ამხილა, მაგრამ უშედეგოდ. მაშინ მან მეფეს ყოვლადნმიდა ღმრთისმშობლის ძალით უწინასწარმეტყველა, რომ თუკი არ შეისმენდა და ცოდვას არ განეყენებოდა, მეფობა ჩამოერთმეოდა, ხოლო მისი შვილები განიბნეოდნენ. ერის გასაჭირის ჟამს დემეტრეს პიროვნებაში მამულის სიყვარულმა იმძლავრა და მან თავი დასდო თავისი ერისათვის. მეფე თავისი ნებით წავიდა ურდოში, სადაც იგი დააპატიმრეს. სასიკვდილო განაჩენის მოლოდინში მას საშუალება მიეცა ურდოდან გაპარვისა. ერთგულებმა ურჩიეს, აჰა, შენი თავი შენს ხელშია, ღამით წაიყვანე მორბედი ცხენები და წადი, განშორდი ამათ, რამეთუ არ არსებობს შენი სულის ნაცვალიო. მაშინ უთხრა მეფემ: „ისმინეთ ჩემი, რამეთუ თავიდანვე ვიცოდი, რომ სიკვდილი მელოდა, მაგრამ დავდე თავი ჩემი და სული ჩემი ერისათვის. ახლა თუ გავიპარები, უბრალო ერს მოაოხრებენ და რა სიკეთე იქნება ჩემთვის ყოველი სოფელი შევიძინო და სული წარვიწყმიდო“.

დემეტრე მეფის დამსჯელი არღუნი რამდენიმე წლის შემდეგ, ავადმყოფობით დაუძღურებული, იმავე დღეს (12 მარტს) და იმავე საათზე დაახრჩეს, რომელზეც მეფე დემეტრეს მოჰკვეთეს თავი.

სწორედ თავდადებისა და ურთიერთსიყვარულის გამო გადაარჩინა დედა ღმრთისმშობელმა ქართველთა ლაშქარი ალამუთის ბრძოლების დროს. ცნობილია, რომ ალამუთის ციხის აღება მონღოლებს გაუჭირდათ

და ბრძოლა, რომელშიც ქართველთა ჯარიც მონაწილეობდა, 7 წელს გაგრძელდა. ალამუთის მეპეტრონე მულიდები ცნობილნი იყვნენ როგორც კაცის მიპარვით მკვლელნი. ერთხელაც, ერთმა მულიდმა მონღოლთა ნოინი-ჩილატა მოკლა. მონღოლებმა მისი მოკვლა ქართველებს დააბრალეს და მათკენ დაიძრნენ. ქართველთა წარჩინებულებმა შეიბრალებს ქართველი მოლაშქრენი, ამიტომაც გადაწყვიტეს არ შებრძოლებოდნენ უთანასწოროდ მრავალ მონღოლებს. თუ არ შევებრძოლებით, მარტო ჩვენ, წარჩინებულებს დაგვხოცავენ და ქართველთა უმრავლესობა ამით გადარჩება, ხოლო თუ შევებრძოლებით – ყველას ამოგვხოცავენო. უკლებლივ ყველა ქართველმა სამ-სამჯერ მოიდრიკა მუხლი და ღმრთისმშობელს შევედრა: „მონყალებისა კარი განგვიღე, კურთხეულო ღმრთისმშობელო, რათა რომელნი ესე შენ გესავთ, არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ წინააღმდეგობთა მტერთაგან“. შეიბრალა ყოვლადწმიდამ ქართველთა ლაშქარი და მკვლელს დანაშაული აღიარებინა.

ასევე დაიფარა ღმერთმა ოპიზა, რომლის გაძარცვაც მონღოლებმა მოინდომეს. უკვე მონასტერთან მიახლოებულთ მძლავრმა წვიმამ და სეტყვამ გზა აუბნია და მონასტერიც დარბევას გადაარჩა.

მემატიანე ქართველთა თავდადების უამრავ შემთხვევას აღწერს. მაგალითად, ივანე ახალციხელის ძის – დავითისა, რომელიც რუსუდან მეფის მიერ მონღოლთა ყაენთან გაგზავნილ საქართველოს ამირსპასალარს – ავაგს ახლდა თან; მესხეთის მთავრის სარგის ციხისჯვარელისა – საქართველოს მეფის – ულუ დავითის გადასარჩენად თავი რომ განირა (1264). მსგავს თავდადებათა რიცხვს მიეკუთვნება წმიდა ცოტნე დადიანის სახელოვანი გამირობაც (1246 წ.).

როგორც ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, მონღოლთა შემოსვლისას, მართალია, საქართველოს მთავრობამ უსუსურობის გამო სერიოზული წინააღმდეგობის განწევა ვერ მოახერხა, მაგრამ ერმა თავისი შინაგანი მაღალსულიერებით საქართველოს გადარჩენა და მონღოლთა ბატონობის უღლის გადაგდება შედარებით მოკლე დროში შეძლო. მონღოლები აღმოსავლეთ საქართველოში 100 წელი ბატონობდნენ (რუსეთში – 300 წელი), თანაც დასავლეთ საქართველო დაუპყრობელი დარჩათ. რაც მთავარია, არ მოხდა მონღოლ-ქართველთა ურთიერთშერევა და ქართველობა უცხო ხალხში არ ასიმილირდა, მაშინ, როცა სხვა ერებს მონღოლებმა თავიანთი ეთნიკური სახე მისცეს.

ერთგულება და სიყვარული ძველქართული თვისებაა, თუმცა, როგორც უკვე ითქვა, ქართველებისათვის არც ერთმანეთისადმი შური და მტრობა ყოფილა უცხო, შურდათ განსაკუთრებით გამორჩეული ადამიანებისა. შური მტრობას ბადებდა, რაც გამოჩენილ ქართველებს ერთმანეთს ამორებდა. ქართველთა ეს თვისება მონღოლებსაც შეუმჩნევიათ – „თქვენ, ქართველნი, არა კეთილს უყოფთ მხნედ მბრძოლთა წყობათა შინა“. ამ ნაკლს თვითონ ქართველებიც კარგად გრძნობდნენ: „ჩვენ ურთიერთს დაუმორჩილებელ ვართ“.

ჩანს, ეს თვისებაც იყო ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იმისა, რომ მონღოლებთან საბრძოლველად ერთიანი ქართული ფრონტი ვერ შეიკრა, ქართველი წარჩინებულები ვერ გაერთიანდნენ მონღოლების წინააღმდეგ, თუმცა ცალ-ცალკე ძალზე მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ.

საქართველოს განადგურებას, შინააშლილობის გარდა, ხელი მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამაც შეუწყო. იგი ერთმანეთისადმი სამკვედრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულ ორ ურდოს შორის (ჩრდ. და სამხრ. ურდოები) აღმოჩნდა. კავკასიონის გადმოსასვლელები, დარიალისა და, ნაწილობრივ, დარუბანდის კარები ქართველთა ხელში იყო, ამიტომაც ურდოთა შორის ატეხილი ქიშპით პირველ რიგში სწორედ ქართველები ზარალდებოდნენ.

ასეთ სასტიკ დროს ქართული სამღვდელოება არათუ საქართველოში იცავდა ქრისტიანობას, არამედ მის ფარგლებს გარეთაც კი ავრცელებდა. ქართველი მისიონერები წმიდა სახარებას კავკასიის მთიანეთში – დაღესტანში ქადაგებდნენ. ასეთები იყვნენ პიმენ სალოსი გარეჯიდან და ანტონ ნაოხრებელის ძე, მესხეთიდან.

XIV საუკუნე

XIV ს-ის დასაწყისში გამეფდა გიორგი ბრწყინვალე. მან თავისი სკიპტრის ქვეშ მთელი დასავლეთი, სამხრეთი (მესხეთი) და აღმოსავლეთი საქართველო შემოიკრიბა.

პირველ რიგში მან მესხეთი (სამცხე-კლარჯეთი) შემოიმტკიცა (მონღოლთა თანხმობით). შემდეგ ქვეყნის საზღვრებიდან ოსები გააძევა, რომელთაც ადგილ-ადგილ დაბები და ციხეები ეჭირათ. ამ დროისათვის, ჩანს, ოსებს მონღოლებისაგან ზურგი ისე აღარ ჰქონდათ გამაგრებული, როგორც წინა მეფეების დროს.

მონღოლი ხელისუფალნი გიორგი მეფისადმი კარგად იყვნენ განწყობილნი.

მეფემ კავკასიის უღელტეხილებიც თვითონ დაიჭირა და კავკასიაში ყოველი მონინააღმდეგე შემუსრა. ამით ოსებს ქართლში შემოსასვლელი გზები მოეჭრათ და ქვეყანამ მათგან მოისვენა.

ოსების ქართლიდან გაძევება მონღოლთა ბატონობის გადაგდების ნიშანიც იყო. მალე თვით მონღოლ ხელისუფალთა შორის სასტიკი ომები დაიწყო, მათი სახელმწიფოს ერთობა მოისპო და ქვეყანა თითქმის დაიშალა. ამით სასწრაფოდ ისარგებლა მეფე გიორგიმ და საქართველო მონღოლთა ბატონობისაგან გაათავისუფლა. ეს ფაქტი საქართველოს სახელმწიფოს ძლიერებაზეც მიუთითებს, რადგან სხვა ქვეყნებში მონღოლები ამის შემდეგაც კვლავ დიდხანს ბატონობდნენ.

მეფემ საქართველოს აღდგენა ძველ საზღვრებში – ნიკოფსიიდან დარუბანდამდე იწეა. მან ჯერ დარუბანდის მიმართულებით შემოიმტკიცა რანი, რის შემდეგ დასავლეთ საქართველოს შემოიმტკიცება გადამწყვიტა.

მან დაშლილი საქართველო კვლავ გააერთიანა და მსგავსად დავით აღმაშენებლისა, ალავსო იგი და აღაშენა, დანგრეული და მოოხრებული ეკლესიები განაახლა და განანათლა. რანი, მოვაკანი, შარვანი თავის მოხარკეებად აქცია. ყველა მტერი, სადაც უმჯობესი იყო ბრძოლით და ძალით, ხოლო სადაც სჯობდა, სიბრძნე-გონიერებითა და მეცნიერებით დაიმორჩილა და დაამშვიდა.

გიორგი ბრწყინვალეს უყურადღებოდ არც საეკლესიო საქმეები დაუტოვებია. მან შეკრიბა ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსები, ეპისკოპოსები სრულიად საქართველოსი და შესაბამისი დადგენილება მიაღებინა. კრების მონაწილეებმა „განაახლეს წესნი... და უნესურნი განჰკვეთეს“. მან საქართველოს ფარგლებს გარეთაც განამტკიცა ქართული ეკლესიის უფლებები, კერძოდ – იერუსალიმში.

ამ დროს იერუსალიმისა და მახლობელი აღმოსავლეთის წმიდა ადგილებს ეგვიპტის სულთნები ფლობდნენ. არადა, უკვე XII ს-დან მთავარი სალოცავი ადგილები ქართველებს ჰქონდათ დაკავებული. დავით აღმაშენებელმა სინას მთის ის მწვერვალიც დაიკავა, სადაც ძველი აღთქმის თანახმად მოსეს ღმერთი გამოეცხადა.

საქართველოს პოლიტიკური ძლიერების შერყევისთანავე ქართველების მდგომარეობა პალესტინაშიც შეირყა. იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან (რომელიც პროხოროს თაოსნობით იყო აგებული) ქართველი ბერები XIII ს-ის 60-70-იან წლებში მაჰმადიანებმა გააძევეს და ტაძარი მიზგითად აქციეს. როგორც მკვლევარნი ვარაუდობენ, ქართველებმა 1305 წლისათვის, მართალია, „სარკინოზთაგან“ (მამლუქებისაგან) ჯვრის მონასტრის გათავისუფლება შეძლეს, მაგრამ საზრუნავი ბევრი რჩებოდა. მაგალითად, ქრისტეს „აღდგომის ეკლესია“, „გოლგოთა“ და ქრისტეს „საფლავი“ (ერთი სამონასტრო კომპლექსია) კვლავ ეგვიპტელებს ეპყრათ.

გიორგი მეფეს ორჯერ გაუგზავნია ელჩები ეგვიპტის სულთანთან 1316 და 1320 წლებში. დიდი ძღვენით ეახლა პიპაი სულთანს, სულთანმა სიხარულით მიიღო ძღვენი და „მისცნა კლიტენი იერუსალიმისანი“. პიპა, რომელმაც მსოფლიო ქრისტიანობის უდიდესი და უპირველესი კერა – იერუსალიმის აღდგომის ტაძარი და მასში მდებარე გოლგოთას წმიდა მონასტერი სარკინოზებისაგან გაათავისუფლა – აღმოსავლეთ საქართველოს მთის ერისთავი იყო, ამიტომაც ამ სასიხარულო ფაქტმა დიდი გამოძახილი პოვნა ქართველ მთიელებში.

ქართველ მთიელებში ამ საამაყო ფაქტის გამო კიდევ უფრო განმტკიცდა ქრისტიანული სარწმუნოება, მათ თავდაცვით კოშკებზე გამოჩნდა ნიშანი ამ მოვლენისა – ე. წ. გოლგოთიანი ჯვრები. ესაა კვარცხლბეკიანი ჯვრები – სიმბოლო იმისა, რომ მთიელმა ქრისტიანებმა მსოფლიო ქრისტიანობის სიდიადე – გოლგოთა გაათავისუფლეს თავიანთი მედგარი სარწმუნოებით, გონიერებითა და მკლავით.

1331-41 წლებში იერუსალიმში მყოფი უცხოელი მოგზაური აღნიშნავს: ქრისტეს საფლავის სალოცავის გასაღები ქართველების ხელშია და კენჭსაც არავის აძლევენ ამ საფლავიდანო.

ქრისტეს საფლავის გასაღები ქართველთა ხელში XV ს-ის შუა წლებამდე ყოფილა, სანამ მათ იგი ფრანცისკანელებმა არ ჩამოართვეს.

XIV ს-ში მონასტრებში კვლავ გაჩაღებულია შემოქმედებითი მუშაობა. ამ დროს შეიქმნა ორიგინალური ქართული თხზულებანი – ლუკა იერუსალიმელისა და ნიკოლოზ დვალის მარტილოზანი, შედგა კრებულები, შეგროვილ იქნა ხელნაწერები. ნიკოლოზ დვალი იყო ქართულ პროვინცია დვალეთიდან, მისი მონამეობრივი სიკვდილიდან სულ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ თემურ ლენგი შემოესია საქართველოს, როგორც სამხრეთის მხრიდან, ასევე ჩრდილო კავკასიის მხრიდან. მან ჩრდილო კავკასიელი ქრისტიანები სასტიკად დაამარცხა, ამიტომ დვალეთი დაუძლურდა. ამით ისარგებლეს ოსებმა და, როგორც ვახუშტი წერს, ჩერქეზეთის მხრიდან თავს დაესხნენ დვალეთს, დაიმორჩილეს დვალეები და მათზე გაბატონდნენ, ვახუშტის სიტყვით ამის შემდეგ დვალეები დაბალ ფენად, ხოლო ოსები მათზე გაბატონებულ ზედა ფენად გადაიქცნენ, დაიწყო დვალეების ასიმილაცია გამარჯვებულ ოსებში. ნიკოლოზ დვალის ღრმად ქრისტიანული სოფელი „წი“ ახლა უკვე განარმართებული ხალხის (ფარული ქრისტიანების) საცხოვრისად იქცა, თუმცა წიში წმ. ნიკოლოზის სალოცავი ხალხმა გაჭირვებით შეინარჩუნა წმ. ნიკოლოზ დვალის მოსახსენებლად.

XIV ს-ში ქართველებს პეტრინონის მონასტერიც მტკიცედ ეპყრათ. იმ დროს იქ ჯერ კიდევ ქართულენოვანი სასწავლებელი – სემინარია არსებობდა.

გიორგი ბრწყინვალე იღვწოდა, რათა კვლავ აღედგინა საქართველოს სახელმწიფოს გავლენა ტრაპიზონის საკეისროში და წარმატებითაც.

გიორგი ბრწყინვალე „კეთილი მეფობით მეფობდა“ 28 წელი. იგი თბილისში გარდაიცვალა 1346 წელს.

თემურ-ლენგის შემოსევამდე საქართველო შედარებით მშვიდად და დანყნარებით ცხოვრობდა. ქვეყანა ერთიანი და თავისუფალი იყო. ქართული სახელმწიფო ფაქტიურად მთელ ამიერკავკასიას მოიცავდა.

ასე იყო არა მარტო გიორგი ბრწყინვალეს დროს, არამედ მისი მემკვიდრეების, საქართველოს მეფეების – დავით IX-ისა (1346-1360) და ბაგრატ V-ის დროსაც. სწორედ ბაგრატ V-ის სამეფოს შემოესია თემურ-ლენგი.

თემურ-ლენგმა ხანგრძლივი დაპყრობითი ომების შედეგად უზარმაზარი სახელმწიფო შექმნა, რომელიც აღმოსავლეთით ჩინეთის დიდ კედლამდე იყო გადაჭიმული, ჩრდილოეთით – ცენტრალურ რუსეთამდე, დასავლეთით ხმელთაშუა ზღვამდე და ეგვიპტემდე.

მართალია, საქართველოს თითქმის მთელი კავკასია თავისი კონტროლის ქვეშ ჰყავდა მოქცეული, მაგრამ ის თემურის სახელმწიფოსთან შედარებით მაინც უმნიშვნელო იყო. მიუხედავად ამისა, თემურ ლენგს საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლა გაუჭირდა და მისი დაპყრობა ფაქტიურად ვერც შეძლო, თუმცა კი სასტიკად გაანადგურა. საბოლოოდ, მრავალწლიანი ომი ამ ორ სახელმწიფოს შორის ზავით დამთავრდა.


1386-1403 წლებში თემურ-ლენგი საქართველოს 8-ჯერ შემოესია. მის წინააღმდეგ ქართველები არა მარტო თავდაცვით ომს აწარმოებდნენ, არა-

მედ ზოგჯერ მის მიერ დაპყრობილ ქვეყნებშიც იჭრებოდნენ და თემურის მტრებს დახმარებას უწევდნენ (ალანჯის ციხის აღება, ნახიჭევანის სანახების დარბევა, იქიდან გამოქცეული თემურის მოსისხლე უფლისწულ ტაჰერის დაფარვა). ქართველები თემურ-ლენგის მოსისხლე ოქროს ურდოს კავკასიის კარებს უხსნიდნენ.

თემურის ლაშქრობის შემდეგ საქართველომ შეძლო თავისი სახელმწიფოებრივი ერთიანობა, ქრისტიანობა და ეროვნული კულტურა ძველებურად დაეცვა, მაგრამ თემურ ლენგის ლაშქრობის შემდეგ უკვე გამაჰმადიანებისა და განარმართების გზაზე დამდგარი ჩრდილო კავკასიური ტომები მონყდნენ საქართველოს საეკლესიო მზრუნველობასა და მადლს. ამის გამო ისინი საქართველოსაც მონყდნენ, უფრო მეტიც, ისინი დაუპირისპირდნენ საქართველოს – ყოფილ სამშობლოს. ამ სამწუხარო ფაქტმა მომდევნო საუკუნეებში საქართველოს ძლიერების დამხობას დიდად შეუწყო ხელი. თემურ ლენგამდეც, ირანელი ილხანების მონღოლური სახელმწიფოც მუდამ ცდილობდა თავისი კონტროლის ქვეშ მოექცია კავკასიის გადმოსასვლელები და ამით თავისი უპირველესი მტრის – ოქროს ურდოსთვის ირანში და ამიერკავკასიაში შემოჭრის შესაძლებლობა მოესპო. თავის მხრივ, ზოგიერთი ქართველი ხელმწიფე ოქროს ურდოსთან კავშირით ილხანთა მოგერიებას ცდილობდა. ოქროს ურდოსთან დაკავშირებით თავისი პოლიტიკა საქართველოს არც თემურ-ლენგის დროს შეუცვლია. ამიტომაც, თემური, მსგავსად ძველი ირანელი პოლიტიკოსებისა, შეეცადა კავკასიელი ტომები მაჰმადიანობის გავრცელებით დაემორჩილებინა. ამით, ფაქტიურად უკვე XV ს-ის დასაწყისშივე შეიქმნა საქართველოს გარშემო მუსულმანური გარემოცვის რკალი, რამაც დასრულებული სახე ოსმალთა მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ მიიღო.

თემურ-ლენგმა კარგად იცოდა, რომ ძალა, რომელიც აერთიანებდა, იცავდა და მტრის წინააღმდეგ მედგრად აბრძოლებდა საქართველოს, ქრისტიანობა იყო, ამიტომაც ის ყოველი ღონით ცდილობდა ქრისტიანობის აღმოფხვრას და მაჰმადიანობის გავრცელებას, მაგრამ ვერაფერს მიაღწია. თემურ-ლენგმა მრავალი საეკლესიო განძი გაზიდა საქართველოდან, მათ შორის უმთავრესი – წიგნები. სადაც კი შეეძლო, ეკლესია-მონასტრებს ყველგან ანგრევდა, ხოლო ქრისტიან მოსახლეობას არ ინდობდა. მიუხედავად ამისა, ქართველი ქრისტიანები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ თემურს. მას უჭირდა ქართველთა წინააღმდეგ ომი. ეს მის ისტორიკოსსაც კი აღუნიშნავს – საქართველოში ომი ადვილი არ იყო – ამ ქვეყანაში თვით ალექსანდრე მაკედონელმაც სირცხვილი ჭამა – თემურმა კი გამარჯვება მოიპოვაო – დაუკვებინა მას.

ქვათახევის მონასტერში თემურ-ლენგის ჯარისკაცებმა ცოცხლად დაწვეს ქართველი ქრისტიანები, სამღვდელოება, ბერ-მონაზვნები. წინასწარ მათ ქრისტიანობის უარყოფა შესთავაზეს, მაგრამ უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ, სასტიკად ანამეს, შემდეგ კი ხელფეხშეკრულნი დაუნვათ წმიდა დიდმონაშენი. ამ დროს ისინი გალობდნენ. ქვათახევის ღმრთისმშობლის მონასტრის კედლებსა და იატაკს დიდხანს აჩნდა დამწვარი წმიდანების ნეშტთა კვალი.



საქართველოს საპატრიარქო VII – X სს.-ში

XV საუკუნე

1403 წელს თემურ-ლენგმა ზავი დადო საქართველოს მეფესთან. მტერი იძულებული გახდა ქართული ქრისტიანული სახელმწიფოს არსებობა ეცნო. 1405 წელს თემურ-ლენგი გარდაიცვალა. მტრის ურდოების წასვლისთანავე მეფე გიორგი VII-მ ქვეყანა არათუ განმინდა მომხდურთა ნაშთებისაგან, არამედ სამხედრო მოქმედება ქვეყნის გარეთ გადაიტანა. ილაშქრა ნახიჭევანსა და განჯაში, ანსა და არზრუმში. 1407 წელს გიორგი მეფე ბრძოლის ველზე დაიღუპა. ტახტზე მისი ძმა კონსტანტინე ავიდა, რომელიც ასევე ბრძოლის ველზე მოკლეს – შირვანში. მის შემდეგ მისი ძე ალექსანდრე გაემეფდა, დიდად წოდებული.

ალექსანდრე მეფეს (1412-1442 წწ.) სრულიად საქართველო ემორჩილებოდა, თუმცა კი თემურ-ლენგის შემდგომად საქართველოს მინა-წყალი შემცირებული იყო. შეცვლილი იყო ეთნიკური გარემოცვა. საქართველოს მეზობლად ახლა უკვე თურქები, ანდა გათურქებული მოსახლეობა ცხოვრობდა. მოსახლეობის გათურქებას ხელს უწყობდა ისიც, რომ ამ დროისთვის თვით მონღოლთა გათურქების პროცესიც მიმდინარეობდა, მონღოლები კი ქვეყნის მპყრობელები იყვნენ. ამის გამო საქართველოს სამეფოს მინა-წყალი აღმოსავლეთის მიმართულებით შემცირდა. ასეთივე მდგომარეობა იყო სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებითაც, კერძოდ, საქართველოს შემადგენლობაში არა თუ ანისი აღარ შედიოდა, არამედ ლორეც კი მაჰმადიანთა მიერ ყოფილა მიტაცებული.

ქართული სახელმწიფო და, ცხადია, ქართული ეკლესია ვერ შეურიგდებოდა ქართული მოსახლეობის გამაჰმადიანება-გათურქების პროცესს, განსაკუთრებით კი ლორეს მცხოვრებთა, რომელიც თბილისთან – საქართველოს ცენტრთან ახლოს მდებარეობდა. ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელს, კათალიკოს-პატრიარქ თეოდორეს, მაჰმადიანთა მიერ დაპყრობილი ლორეს ციხის წინააღმდეგ გალაშქრებაში ძალზე მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიუღია. ბრძოლის წინ კათალიკოსი ამხნევებდა და სულიერად განამტკიცებდა ლაშქარს. „კათალიკოზ თეოდორეს მოქადაგეობას უმოქმედნია და მისი ჩაგონებითა და გამხნევებით აღფრთოვანებულს საქართველოს ჯარს ლორე მტრისათვის წაურთმევია და თვითონ დაუჭერია“ (ივ. ჯავახიშვილი). ეს 1431 წელს მოხდა.

1434-35 წლებში ალექსანდრე მეფეს საქართველოსთვის სივნიეთის მხარე შემოუერთებია 60 000 ქრისტიანი სულით.

სამეფოს ძველი ძლიერების აღდგენას ხელს დიდად უშლიდა ის, რომ მოსახლეობის რიცხვი საქართველოში საერთოდ, და განსაკუთრებით აღმოსავლეთში, ძალზე შემცირდა. ამიტომ მეფე დასავლეთ საქართველოდან მოსახლეობის ნაწილს აღმოსავლეთ საქართველოს შეთხელებულ მხარეებში ასახლებდა.

ალექსანდრე მეფე დიდად ზრუნავდა საქართველოს განადგურებული ეკლესია-მონასტრებისა და ციხეების აღდგენისათვის. 1412 წლიდან, გამეფებისთანავე გაუგრძელებია თავისი სულკურთხეული ბეზია – რუსას დან-

ყებული სამუშაოები სვეტიცხოვლის დიდებული ტაძრის აღსადგენად და დაახლოებით 1431 წელს დაუმთავრებია.

ალექსანდრე მეფეს უზრუნია აგრეთვე საბერძნეთში და პალესტინაში მდებარე ქართულ ეკლესია-მონასტრებზეც.

მაშინდელ მსოფლიოში საქართველოს იცნობდნენ, როგორც დიდ ქრისტიანულ ქვეყანას. ცნობილია, რომ სწორედ ამ საუკუნეში შედგა საერთაშორისო ხასიათის საეკლესიო კრება – ფერარა-ფლორენციისა. ეს კრება ვითომდა საეკლესიო გაერთიანებას ისახავდა მიზნად. მასზე, როგორც ამას წესი მოითხოვდა, დიპტიხი იქნა დაცული. სხდომის დარბაზში ერთ მხარეს თანმიმდევრობით დასხეს ჯერ საპატრიარქო ღირსების მქონე მართლმადიდებელ ეკლესიათა წარმომადგენლები, მათ შემდეგ კი მათზე რანგით დაბლა მდგომნი. საპატრიარქო ეკლესიების რიგში კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის პატრიარქების წარმომადგენლების შემდეგ საქართველოს საპატრიარქო ეკლესიის (საბუთებშია – „საქართველოს მეფის“) წარმომადგენელიც დასვეს, რომელიც იმ დროისთვის მიტროპოლიტი სოფრონი ყოფილა, რომელმაც ამ კრებაზე მტკიცედ დაიცვა მართლმადიდებლობა.

ეს მიუთითებს იმაზე, რომ ქართული ეკლესიის ღირსების გრძნობა იმ დროისათვის ისევე მაღალია, როგორც ეს XI-XII სს-ში იყო.

ალექსანდრეს დროს ქვეყანაში ერთიანობა და მშვიდობა სუფევდა, ხოლო საგარეო პოლიტიკაში ძველებურად აღდგა საქართველოს გავლენა მის მეზობლებზე. მეფეს თავისი სიყვარული ქრისტეს მიმართ იმითაც გამოუმჟღავნებია, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მეფობაზე უარი უთქვამს, ბერად შემდგარა და მონაზვნად აღკვეცილა.

ალექსანდრეს სიცოცხლეშივე გამეფდა მისი ძე ვახტანგ IV (1442-1446), ხოლო შემდეგ მისი ძმა – გიორგი VIII (1446-1466). ქვეყანაში გაუთავებელი შინაფეოდალური ბრძოლები დაიწყო, რასაც, ბუნებრივია, შედეგად საქართველოს პოლიტიკური დაშლა მოჰყვა. 1451 წელს მესხეთში გაათაბავდა ყვარყვარე, რომელიც გეგმაზომიერად შეუდგა საქართველოსაგან მესხეთის ჩამოშორებას, რაშიც მესხეთის სამღვდელოებაც აიყოლია. გიორგი VIII-ს ფაქტიურად აღარ ემორჩილებოდნენ მესხეთის, სამეგრელო-აფხაზეთის, გურიის მთავრები.

1453 წელს ოსმალებმა კონსტანტინოპოლი აიღეს, 1461 წელს – ტრაპიზონის საკეისრო.

საქართველო მოექცა მუსულმანურ-თურქულ რკალში და ევროპას მოსწყდა. 1459 წელს სასტიკი შიდა ომი დაიწყო. 1462 წელს ყვარყვარემ მაჰმადიანებიც კი მოიწვია (ირანის მბრძანებელი) მეფე გიორგის წინააღმდეგ და დაამარცხებინა. მალე გიორგი VIII-ს აუჯანყდა იმერეთის ერისთავი ბაგრატიც და დაამარცხა. 1478 წელს ქართლ-იმერეთის ტახტზე ალექსანდრე I-ის შვილიშვილი კონსტანტინე II ავიდა. მას, ცხადია, არაკანონიერად მიაჩნდა კახეთისა და იმერეთის სამეფოების, მესხეთისა და სხვა სამთავროების წარმოქმნა თავისი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მაგრამ ამ სახელმწიფოებრივი ერთეულების წარმოქმნა უკვე ფაქტი იყო. ქვეყანა ძალზე დაკნინდა.

ქართველი ერის ისტორიას ვერ გავიაზრებთ ქართული ეკლესიის მონაწილეობის გარეშე და პირიქით, ისტორია ქართული ეკლესიისა არის ისტორია ქართველი ქრისტიანი ერისა.

მართალია, ქართველ ხალხს ეროვნული ერთიანობის შეგნება უკვე ქრისტიანობამდე დიდი ხნით ადრე ჰქონდა, მაგრამ იმის შემდეგ, რაც ყოველმა ქართველმა ქრისტიანული სარწმუნოება მიიღო და შეიყვარა, ერის ისტორია ქართული ეკლესიის ისტორიის გარეშე წარმოუდგენელია.

ამიტომაც, საეკლესიო დაყოფას მოჰყვა არა მარტო სარწმუნოების დაცემა, არამედ გამოყოფილ ნაწილში ეროვნული გადაგვარებაც.

XV ს-ის ბოლოს ქართველ მეფე-მთავრებს შორის ამტყდარ შინა ომებში მესხეთის მთავარი განსაკუთრებულ სეპარატიზმს იჩენდა. როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს, „ყვარყვარე ათაბაგი იმდენად დაბრმავებული ყოფილა ამ მტრობით და განკერძოებისთვის ბრძოლით, რომ უთანხმოება საეკლესიო სფეროშიც გადაუტანია... მესხეთის საკათალიკოზო საყდრისაგან ჩამოშორება და სრული დამოუკიდებლობის მოპოვება სურდა“... საოცარი ისაა, რომ ანტიოქიისა და იერუსალიმის საპატრიარქოები ხელშეწყობის ნაცვლად ყოველნაირად ცდილობდნენ დაეშალათ ერთიანი ქართული ეკლესია, რათა შემდეგ წილი მათაც რგებოდათ. ყოველგვარი საეკლესიო კანონების დარღვევით, წმ. მსოფლიო კრებებზე მიღებული კანონების არად ჩაგდებით, რომელნიც ამგვარ მოქმედებას კრძალავდნენ, ისინი იჭრებოდნენ საქართველოს საეკლესიო საეპისკოპოსოებში და წმ. ნინოს ღვანლით საუფლო კვართზე დაფუძნებულ წმ. ანდრიას სამოციქულო საყდარს არღვევდნენ. ყოველივე ამან თავისი შედეგი გამოიღო – ქვეყნის ამ ნაწილში (მესხეთში) ქრისტიანობის ავტორიტეტი დაეცა, ამან კი ლოგიკურად მაჰმადიანობის მიმართ წინააღმდეგობა შეამცირა.

ერის, ან მისი რომელიმე ნაწილის სულიერ ცხოვრებასა და ფიზიკურ არსებობას შორის ღრმა ურთიერთკავშირის დასტურად ანყურის სასწაულთმოქმედი ხატის ისტორია გავიხსენოთ.

ცნობილია, რომ ანდრია მოციქულმა საქართველოში შემოსვლისას ღმრთისმშობლის ხატი ჩამოაბრძანა. მოციქულმა წმ. ხატი ანყურში დააბრძანა, სადაც იგი XV ს-მდე ესვენა.

ბიზანტიაში ხატმებრძოლობის ერესის მძვინვარების დროს საქართველოში ხატთა თაყვანისცემა არა თუ არ შემცირებულა, პირიქით, გაძლიერებულა კიდევ.

ანყურის სასწაულთმოქმედი ხატი უდიდესი სიწმიდე იყო და მას ისევე, როგორც ღმრთისმშობლის სხვა ხატებს საქართველოში, უხვად ამკობდნენ ძვირფასი ქვებით, თვალმარგალიტით, ხოლო საქართველოს მეფენი მდიდარ შესანიარავებს უძღვნიდნენ.

1477 წელს საქართველოს ირანის მბრძანებელი შემოესია. სამცხეში შეჭრილმა ანყურის ხატი გაიტაცა და, ცხადია, გაძარცვა. მაგრამ იმ მხარეს, სადაც იგი მიახვენეს, ღმრთის რისხვა დაატყდა თავს, ამიტომაც ხატი სამცხეში დააბრუნეს.

1486 წელს სამცხეს იაკუბ ყაენი შემოესია. აწყურის წმიდა და დიდებული ხატი ეკლესიიდან ციხე-სიმაგრის „საჭურჭლეში“ გადაასვენეს მანყვერელმა ეპისკოპოსმა და ციხიონმა. იმ პირობით, რომ მტერი აწყურის ტაძარს არ დაარღვევდა, ციხე მტერს უბრძოლველად ჩააბარეს, მაგრამ მომხდურებმა პირობა გატეხეს, ხოლო ხატი ყოვლადწმიდისა დაატყვევეს, გაძარცვეს და მიჰგვარეს უსჯულო მთავარს. მან ცეცხლში ჩააგდო იგი, მაგრამ ცეცხლი დაიშრიტა, ხოლო ხატი უვნებლად დარჩა. ეს რომ იხილა ერთმა ქრისტიანმა, მაგრამ არამართლმადიდებელმა – ხატი თავის ქვეყანაში წაასვენა. გამოეცხადა მას ყოვლადწმიდა და უთხრა: „უკეთუ არა წამიყვანო ქვეყანასა ჩემსა, დიდი ბოროტი მოვანიო შენზედა“.

ხატი დააბრუნეს აწყურში, მემათიანის გადმოცემით წმ. ხატმა იაკუბ ყაენს, რომელიც მას მახვილით შეეხო, საშინელი რისხვა დაატეხა, მთელი მისი ნათესაობა და სახლობა ამოწყდა.

1546 წელს აწყურის წმ. ხატი აწყურიდან ციხისჯვარში გადაუსვენებია იმერეთის მეფე ბაგრატ III-ს, ხოლო 1553 წელს ციხისჯვარიდან იმერეთში გადაუბრძანებიათ და იგი ბაგრატ III-ის ძის, გიორგი II-ის (იმერეთის მეფის) ხელში მოხვედრილა. „ბილწითა ხელითა“ მრავალგზის გაძარცვული ხატი გიორგიმ ახლად მოაჭედინა.

აწყურის ღმრთისმშობლის მიერ მესხეთის დატოვების შემდეგ სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობა ძირითადად გამაჰმადიანდა-გათათრდა და დაეკარგა ქართველ ერს. წმ. ხატი იქ ქრისტიანობასა და ქართველობას იცავდა. ის ამჟამად ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

მაშინ მესხეთის ათაბაგებმა, მიუხედავად ძლიერი მოწადინებისა, მესხეთის ეკლესიის ჩამოშორება საქართველოს დედა ეკლესიისაგან ვერ შეძლეს. მართალია, ქართულმა დედა ეკლესიამ ამ ცხარე ომში გაიმარჯვა, მაგრამ საბოლოო ჯამში ქრისტიანობა დაკნინდა. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ დღეს მესხეთში აწყურის ოდესღაც ცნობილი კათედრალის ნანგრევებიღა დგას, ხოლო მისი ძველი, ყოფილი სამწყსო ძირითადად თურქულთათრულ მასაშია ასიმილირებული და განზნეული.

XV ს-ის 70-იან წლებში საქართველოში ჩამოსულა ანტიოქიელი-იერუსალიმელი პატრიარქი მიქაელი, რომელსაც დაუნერია „მცნებაი სასჯულოი“, სადაც ამბობს, რომ წინათ ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსნი ანტიოქიის პატრიარქისგან იკურთხებოდნენ, რაც, რა თქმა უნდა, არ შეესაბამება სინამდვილეს.

ყოველივე ეს იმისთვის სჭირდებოდა, რომ თვითონ ეკურთხებინა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ახალი მეთაური და ამით დასავლეთ საქართველოს ეკლესია ერთიანი დედა-ეკლესიისათვის ჩამოეშორებინა. თავის მხრივ, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო დამოუკიდებლობა იმერეთის იმდროინდელ მეფეს, ბაგრატსაც სურდა.

XV ს-ის მიწურულსა და XVI ს-ის დასაწყისში ყოვლად გაუგონარი ამბავი მოხდა – ქართული ეკლესიის წიაღში წარმოიშვა სეპარატიზმი. საბედნიეროდ, ეს არ იყო სარწმუნოებრივი განხეთქილება. ერესი და სექტანტობა უცხო იყო ქართველი ქრისტიანებისათვის. სეპარატიზმი იმაში გამოიხატა,

რომ საქართველოს ეკლესიის სამოციქულო საყდრისგან ადმინისტრაციული განდგომა დააპირა მესხეთის ეკლესიამ, ხოლო დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ზოგიერთმა იერარქმა, სამოციქულო ღირსების, მცხეთიდან – თავიანთ ეპარქიებში გადატანის სურვილი გამოამჟღავნა.

ეკლესიის დაშლის შემდეგაც დასავლეთ საქართველოსა და მესხეთის ეკლესიებში წირვა-ლოცვა და ყოველგვარი საეკლესიო ადათი თუ ჩვევა ძველებურადვე ქართული რჩებოდა. მხოლოდ ეს იყო, რომ წირვისა და ლოცვის დროს სრულიად საქართველოს მეფისა და კათალიკოს-პატრიარქის სახელებს აღარ მოიხსენიებდნენ. ამ დიდ ცოდვაში უდიდესი წვლილი მესხეთის ათაბაგების უგუნურ სარწმუნოებრივ და ეროვნულ პოლიტიკას მიუძღვოდა.

სეპარატიზმის იდეა ეკლესიის წიაღში არ ჩასახულა, ეს იყო შედეგი ეკლესიაზე უხეში ზემოქმედებისა საერო ხელისუფალთა მიერ. არც ამ დაუმორჩილებლობას მოჰყოლია კარგი შედეგი. საბოლოოდ მთელი ქართველი ერი დაზარალდა. მას მესხების უდიდესი ნაწილი ჩამოშორდა. აქ გზა გაეხსნა უცხო რელიგიებსა და ეკლესიებს, რასაც შედეგად სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის გამაჰმადიანება (გათათრება), გაკათოლიკება (გაფრანგება), გამონოფიზიტება (გასომხება) მოჰყვა, ხოლო დარჩენილი მართლმადიდებლები კონსტანტინოპოლის ბერძნული საპატრიარქოს ხელში მოექცნენ, რამაც მათში „ბერძნული“ ეროვნული თვითშეგნება დაბადა – ისინი გაბერძნდნენ. ვერც დასავლეთ საქართველოს ეკლესიამ შეძლო თავისი მრევლის პატრონობა ისე, როგორც ამას საჭიროება მოითხოვდა, ამის გამო აქაც ქრისტიანთა ერთი ნაწილი გამაჰმადიანდა (ქვემო გურია-ბათუმი-ქობულეთი, აჭარის მხარე), ხოლო მეორე ნაწილი (აფხაზეთი) კი შემოხიზნულ მთიელ წარმართებში (ჩერქეზ-აფსუა-ადილე) აირია. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ რუსეთის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმებამდე (1801-1810 წწ.) „სომხების“, ისევე როგორც „ფრანგებისა“ და „ბერძნების“ დიდი ნაწილის დედა-ენა კვლავინდებურად ქართული იყო, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებამ მათი ქართველობა არ აღიარა, რის შედეგადაც მათში ყოველგვარი ნაშთი ქართველობისა საბოლოოდ აღმოიფხვრა.

ასე რომ, ყოველი ქართველი, რომელიც განუდგა დედა ეკლესიას – განშორდა თავის ერსაც და გადაგვარდა, უცხო ერებში ასიმილირდა.

XVI საუკუნე

XV ს-ის მიწურულს ერთიანი საქართველოს სამეფო სამად გაიყო. ერთი მეფე დაჯდა იმერეთს (ალექსანდრე ბაგრატიის ძე), მეორე კახეთს (ალექსანდრე გიორგი VIII-ის ძე), ხოლო ქართლში კონსტანტინე II (ალექსანდრე I-ის შვილიშვილი) გამეფდა.

მუდმივი შინაშფოთი იყო საქართველოში. ყველა მეფე ცალ-ცალკე საქართველოს გაერთიანებისთვის იბრძოდა და დანარჩენთ ებრძოდა. ისინი თავიანთ თავს სრულიად საქართველოს მეფეებს უწოდებდნენ.

თემურ-ლენგის შემოსევების შემდეგ გარეშე მტრებმა შემოტევები შეანელეს, ქვეყანამ ამოისუნთქა, დანყნარდა. მხოლოდ მმართველი ფენები ვერ ისვენებდნენ, მუდამ ეომებოდნენ ერთმანეთს.

ხმალი, გუთანი და სარწმუნოება ძველებურადვე ასულდგმულება ჩვენებურ კაცს, მაგრამ დიდი იდეალები უკვე აღარ იყო. ქვეყანა სულიერად მოეშვა, მოითენთა.

საქართველო კახეთის, ქართლის, იმერეთის სამეფოებად, დადიანის, გურიელის, ათაბაგის სამთავროებადაა დაშლილი და, ამავე დროს, კიდევ უფრო მეტი დაშლის ტენდენციებიც აშკარად იკვეთება, სწორედ ეს დაშლილი ნაწილები ეურჩებიან, მტრობენ და არბევენ ერთმანეთს, ზოგადად კი საქართველო ვრცლადაა გადაჭიმული. კახეთის სამეფოს აღმოსავლეთი საზღვარი კასპიის ზღვიდან სულ 200-მდე კილომეტრითაა დაშორებული და შაქთან გადის; სამხრეთით – ქართლის საზღვარი სევანის ტბამდე აღწევს, ათაბაგების სამთავროსი კი – ვალაშკერტთან და არზრუმთან; გურია – ჭანეთს მოიცავს, ხოლო დასავლეთით იმერეთსა და სადადიანოს შავი ზღვა და ჯიქეთის ქვეყანა ესაზღვრება.

XV-XVI სს-ში საქართველო, განსაკუთრებით კახეთი, სავსე და მაძლარი ქვეყანა იყო.

„უჩემოდ ვით იმლერეთაო,“ – კითხულობდნენ ქვეყნიერებაზე ახლად მოვლენილი თავადები (აქამდე საქართველოში არც ბატონყმობა იყო და არც თავადები).

ქართველებთან ომი და, მით უმეტეს, მათი დამორჩილება არც ისე ადვილი იყო. მათ ერთი პირი და ერთიანი სახელმწიფო რომ ჰქონოდათ, ვერც თურქეთი და ვერც სპარსეთი ვერარას დააკლებდნენ, თუმცა არც დაშლილ საქართველოსთან უადვილდებოდათ ომი.

ქართველთა სულისკვეთება და თავგანწირვა კარგად ჩანს მეფე სვიმონის ერთ წერილში: „ვგონებ, თქვენც შეიტყობდით, რაოდენი შენუხება და ტანჯვა გამოვიარეთ, მაგრამ გული მაინც არ გავიტეხეთ. ჩემს თავს გავწინრავ ერთიანად და აგრეთვე ჩემს ქორფა შვილსაც, დავღვრი ჩემს სისხლსა ვიდრე უკანასკნელ წვეთამდე ჯვარცმულის იესო ქრისტეს და ღვთის სიყვარულისათვის, ვიდრე პირში სული მიდგია, ხელს არ ავიღებ ოსმალების წინააღმდეგ ომზე, არასოდეს უქმად ვყოფ იმ დაუფასებელ სისხლსა, რომელიც იესო ქრისტემ დაღვრა ჩემთვის“... ამ ნაწყვეტიდან კარგად ჩანს, თუ რატომ ვერ გააუქმა ევროპაში გაჭრილმა თურქეთმა არა თუ სრულიდ საქართველოს სახელმწიფოებრიობა, არამედ დასავლეთ საქართველოსიც კი, თუმცა ქართულ მიწა-წყალს თითქმის ერთი მესამედი ნაწილი – საათაბაგო მოჰგლიჯა და გაათათრა.

მართალია, საქართველოს სამეფოს ასუსტებდა სამთავროების ერთმანეთთან ბრძოლა, მაგრამ, როცა ერთად შეიკრიბებოდნენ, ზოგადქართული სამხედრო ძალა საკმაოდ შთამბეჭდავი იყო. ამით უსარგებლია თურქეთის სულთანს და, ქართულ წყაროთა თანახმად, საქართველოს მეფეები მიუგზავნია იერუსალიმის ასაღებად. როგორც წყაროებიდან ჩანს, XVI ს-ში ქართველებს მაგრად მოუკიდებიათ ფეხი იერუსალიმში.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ, მართალია, ქართველები მამაცი მებრძოლეები იყვნენ და ხმალიც უჭრიდათ, მაგრამ გონიერებაზე წინ ემოციებს აყენებდნენ. პატივმოყვარეობას არასოდეს ივინყებდნენ, მაშინაც კი, როცა ეს საერთო საქმისათვის საზიანო იყო.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო დაიშალა და წარმოიქმნა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრივი ერთეულები: ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოები, გურიის, სამეგრელოს, სამცხის, სვანეთის სამთავროები, პასუხისმგებლობა ეთნიკური ერთობის წინაშე მოსახლეობას ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა, მაგრამ დაშლის პროცესს თან სდევდა ერთიან ქართველ ხალხში თემობრიობის აღორძინების პროცესი.

დაშლის დროს ქართველი ერის თანამედროვე ეთნოჯგუფები – იმერლობა, ქართლელობა, კახელობა, მეგრელობა, გურულობა, მესხობა და სხვ. განსაკუთრებით აღორძინდა და ერთიანი სახელმწიფოს დაშლის კვალდაკვალ ჩამოყალიბდა.

ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდეგ კუთხურ-ქართულ სახელმწიფოში მცხოვრებ ქართველობას კუთხურ-თემური თვითმმეცნება უჩნდებოდა. ეროვნული თვითმმეცნება ძალზე დაეცა.

საერთო-ქართული იდეის მატარებლად ეკლესია დარჩა. საეკლესიო თვალსაზრისით საქართველო ერთიან მთლიან ორგანიზმს წარმოადგენდა. ამ დროისათვის ქართულ ეკლესიას უკვე ორი ცენტრი ჰქონდა – მცხეთა და ბიჭვინთა. აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიას ქართლის საკათალიკოსო განაგებდა, დასავლეთისას – აფხაზეთის საკათალიკოსო.

ქართლ-კახეთის სამეფოები ხშირად ერთიანდებოდნენ. ასევე ერთიანდებოდნენ დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთეულებიც. ამ ფაქტს, ალბათ, ქართლის ერთიანი საკათალიკოსოსა და აფხაზეთის ერთიანი საკათალიკოსოს არსებობაც განაპირობებდა.

ეკლესია ხელს უშლიდა ქართველი ერის ტომობრივ დანაწილებას. ის ეროვნული მაკონსოლიდირებელი ძალა იყო.

XVII საუკუნე

XVII ს. შეიძლება ითქვას, უმძიმესი საუკუნე იყო ქართველი ერის ისტორიაში. თუ წინათ მტრები საქართველოს დაპყრობით, ანდა დახარკვით კმაყოფილდებოდნენ, ამ საუკუნეში სპარსეთისა და ოსმალეთის იმპერიებმა ყველაფერი ილონეს ქართველი ერის გასანადგურებლად. ასეულ ათასობით ქართველი საქართველოშივე დახოცეს, უფრო მეტი სპარსეთში გადაასახლეს. კახეთი გააუკაცრიელეს და მომთაბარე თურქმანული ტომები ჩამოასახლეს. მესხეთში იძულებით გაამაჰმადიანეს (გაათათრეს) მკვიდრი ქართველობა, მოწინააღმდეგენი მოსპეს, ანდა აიძულეს გადასახლებულიყვნენ. დასავლეთ საქართველო კი უჩვეულო ანარქიამ მოიცვა: დაიწყო ტყვეთა სყიდვა. ქართველები თუ არაქართველები მასიურად ატყვევებდ-

ნენ ქართველებს და მონებად ჰყიდდნენ. ქართველები აფრიკელთა მსგავსად მონათა ბაზარში იყიდებოდნენ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ოსმალეთ-სპარსეთის საზოგადოებრივმა წყობილებამ არა მარტო ქართველები გაიყვანა მონათა ბაზარზე, არამედ სხვა ევროპელი დაპყრობილი ხალხებიც: ბოსნიელები, ალბანელები და სხვ.

ყოველივე ამას თან დაერთო დასუსტებულ და გაუკაცრიელებულ საქართველოში ჩრდილოკავკასიური ტომების ჩასახლება. დაღესტნელები აღმოსავლეთ კახეთში ჩასახლდნენ და, არა მარტო ჩასახლდნენ, არამედ ადგილობრივ ქართველობას ატყვევებდნენ, იმონებდნენ, არბევდნენ და ძარცვავდნენ. შიდა ქართლის მთიანეთში ჩრდილო კავკასიიდან გაოსებულ დვალელები ჩასახლდნენ. ეგრის-აფხაზეთშიც ჩრდილო კავკასიელები – ადიღეელები, აფსუა-აბაზები, ჩერქეზები დამკვიდრდნენ.

დაპყრობილ საქართველოში ქართველები მიზანმიმართულად იდევნებოდნენ. ცხადია, ასეთ დროს ამუშავდა გადარჩენის ინსტიქტი – ქართველობის ერთი ნაწილი უარყოფდა ეროვნებას, ზოგი თათრდებოდა, ზოგი სომხდებოდა (გრიგორიანული სარწმუნოების ქრისტიანებს სპარსეთ-ოსმალეთი არ სდევნიდა), ზოგი „ფრანგდებოდა“ (კათოლიკეებიც ნაკლებად იდევნებოდნენ). ამის გარდა, ქართველები ლეკდებოდნენ, ოსდებოდნენ, აფხაზდებოდნენ (აფსუვდებოდნენ).

საბედნიეროდ, დენაციონალიზაციისა და ეროვნული გადაგვარების საფრთხეს ქართველების დიდი ნაწილი მტკიცედ დაუდგა.

უნდა აღინიშნოს, რომ ერის გადარჩენაში უდიდესი ღვაწლი ქართულ ანუ საქართველოს სამოციქულო ეკლესიას მიუძღვის. საქმე ისაა, რომ მხოლოდ ქრისტიანობის შენარჩუნებით ქართველები ეროვნებას ვერ ინარჩუნებდნენ. მაგალითად, გრიგორიანული ქართველები კვლავ ქრისტიანული სარწმუნოების მატარებელი იყვნენ, მაგრამ თანდათან გასომხდნენ. ძირითადად იგივე ითქმის კათოლიკე ქართველებზეც. ქართველობა მხოლოდ მართლმადიდებლებმა – საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წევრებმა შეინარჩუნეს.

ქართველი ერის ამ საშინელი განსაცდელის დროს, სარწმუნოების შენარჩუნებისას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მაგალითის ძალას. მაღალი ფენის წარმომადგენლები: მეფე-დედოფლები, მთავრები, თავადაზნაურობა და მათი ოჯახის წევრები სამაგალითონი იყვნენ მოსახლეობის დაბალი, მრავალრიცხოვანი ფენებისათვის.

წარჩინებულთა გამაჰმადიანების შემდეგ მესხეთი თითქმის სრულიად გამაჰმადიანდა. მალე სარწმუნოებადაკარგულმა მოსახლეობამ ეროვნებაც – ქართველობა დაკარგა.

ასეთი ვითარების დროს განსაკუთრებით დასაფასებელია კახეთის დედოფლის – ქეთევანის თავდადება სარწმუნოებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ მამული და ერი სულიერ-ხორციელი მოსპობისაგან და სხვა ხალხებში ასიმილაციისაგან წმიდა ქეთევანის, წმიდა მეფის ლუარსაბ II-ის, სხვა წარჩინებულთა, საეკლესიო მოღვაწეთა თუ ერისკაცთა ქრისტესადმი თვითშენირვამ გადაარჩინა.

XVII ს. გამორჩეულია ქრისტეს მონამეთა სიმრავლით. ქართულმა ეკლესიამ მხოლოდ ზოგიერთი მათგანის კანონიზირება შეძლო, რადგან დიდი იყო მათი რიცხვი. კანონიზირებულია 1616 წელს დავით გარეჯის უდაბნოში ამონყვეტილი 6000 წმ. მონამე; საქართველოს დიდებული წმ. მეფე ლუარსაბი, ქრისტესათვის წამებული 1622 წელს; დიდმონამე საქართველოს მნათობი კახეთის დედოფალი წმ. ქეთევანი, წამებული 1624 წელს; ცხრა ძმა ხერხეულიძე, დედითა და დით და მათთან ერთად მარაბდის ბრძოლის ველზე 1625 წელს ამონყვეტილი 9 000 ქართველი; საქართველოს ეკლესიის მეთაური წმ. მამა ევდემოზ კათალიკოსი, წამებული 1642 წელს; წმ. ბიძინა ჩოლოყაშვილი, ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავები, წამებულნი 1661 წელს; 1696-1700 წლებში გარეჯის მონასტერში ლეკთაგან ამონყვეტილი ღირსი მამები: შიო ახალი, დავითი და გაბრიელი; მათ გარდა კიდევ მრავალმა დასდო თავი ქრისტესა და სამშობლოსათვის. მათ შორისაა ჩვენი წმ. მამა – თევდორე, 1669 წელს წამებული, წმ. ქეთევანის თანმხლები მღვდელი და უამრავი წმ. მონამენი, რომელთაც გააბრწყინეს ქართული ეკლესია. ქართველმა ერმა და ქართულმა ეკლესიამ უბედურებისას დიდი სიმტკიცე გამოამჟღავნა.

XVII ს-ში სპარსეთი დიდად გაძლიერდა შაჰ-აბასის მმართველობის დროს. შაჰს ძალზე აფრთხობდა და აღიზიანებდა კახეთის სამეფოს კავშირი რუსეთთან და ოსმალეთთან.

1615 წლის 15 სექტემბერს ალავერდობის სადღესასწაულო წირვის შემდეგ კახელები აჯანყდნენ. მალე იმერეთიდან თეიმურაზი ჩამოვიდა და აჯანყებულებს ჩაუდგა სათავეში. აჯანყდა შირვანიც. თეიმურაზმა თვითონ უსარდლა ქართველთა ჯარს, სპარსელებს წინამურთან დაუხვდა და რამდენიმე საათში მუსრი გაავლო. ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება იზიამეს.

შაჰი საქართველოს ისევ შემოესია და ააოხრა, მაგრამ წავიდა თუ არა, კახელები კვლავ აჯანყდნენ. მართალია, შაჰმა დიდძალი ჯარით აჯანყების ჩახშობა შეძლო, მაგრამ ქართველებმა გული არ გაიტყვეს და მის სისასტიკეს ისევ აჯანყებით უპასუხეს. 1617 წ. შაჰი მეოთხედ შემოიჭრა საქართველოში.

თეიმურაზი არათუ შედრკა, არამედ ყიზილბაშთა წინააღმდეგ დიდ ბრძოლას ჩაუდგა სათავეში და შეეცადა ოსმალთა ჯარის დახმარებით მიეღწია თავისი მიზნისათვის, მაგრამ ოსმალებმა წარმატებას ვერ მიაღწიეს. თეიმურაზმა 1618 წელს რუსეთსაც სთხოვა დახმარება. ოსმალეთთან და რუსეთთან მისი კავშირით გაცოფებულმა შაჰ-აბასმა შური თეიმურაზის ოჯახის წევრებზე იძია. 1620 წელს თეიმურაზის ვაჟები – ლევანი და ალექსანდრე დაასაჭურისებინა, რის შედეგადაც უმცროსი გარდაიცვალა, ხოლო უფროსი – ჭკუიდან შეიშალა.

ივანე ჯავახიშვილის შეფასებით, რუსეთის მთავრობა საქართველოში საჭირო დამხმარე ჯარისა და ზარბაზნების ჩამომსხმელი ოსტატების ნაცვლად აგზავნიდა რუს სამღვდელოებს, რომელიც ამრეზით იქცეოდა და ეკლესიებში წირვასაც არ კადრულობდა. თავიანთ სამშობლოში მწვალებლობას მიჩვეულნი ქართულ საეკლესიო ღმრთისმსახურებას ეჭვის თვალთ უყურებდნენ.

1624 წელს შაჰ-აბასმა თეიმურაზის დედა – წმ. ქეთევანი – სასტიკად აწამა და მოკლა. ქეთევან დედოფალი ქართულმა ეკლესიამ წმიდანად შერაცხა. მან თავისი მაგალითით სრულიად საქართველო გამაჰმადიანება-გათათრებისაგან იხსნა.

შაჰ-აბასს განზრახული ჰქონდა ქართლ-კახეთის მოსახლეობის სრულიად აყრა და სპარსეთში გადასახლება, ხოლო მათ ადგილას სპარსელებს ჩაასახლებდნენ. ამ მიზნით მან გიორგი სააკაძე გამოგზავნა უზარმაზარი ლაშქრით. მაგრამ გიორგი სააკაძემ შეიტყო, რომ ქართლ-კახეთის მოხრებისა და თავისი მიზნის განხორციელების შემდეგ შაჰს მისი მოკვლა ჰქონდა განზრახული, ამიტომ იგი დაუკავშირდა ზურაბ ერისთავს და შეითანხმა აჯანყებულებს სპარსთა წინააღმდეგ. აჯანყება ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა. ეს იყო ერთ-ერთი უდიდესი გამარჯვება ქართველი ერის ისტორიაში. ეს მოხდა 1623 წელს.

შექმნილ სიტუაციაში „უძლეველმა“ შაჰმა თეიმურაზთან შერიგება გადანიჭა. 1631 წელს შაჰმა თეიმურაზი გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფედ აღიარა.

თეიმურაზი შიშის ზარს სცემდა მაჰმადიან მმართველებს, ამიტომ მის მეფობას შაჰი დიდხანს ვერ მოითმენდა. მან საქართველოსკენ კვლავ უზარმაზარი ჯარი გამოაგზავნა, რომელსაც თეიმურაზის გაძევება და „გურჯისტანის ვალად“ როსტომ-ხანის დასმა ევალებოდა.

1632 წლიდან გაძევებული თეიმურაზის ნაცვლად ქართლის მეფედ 67 წლის როსტომი დაჯდა.

დიდი წინააღმდეგობის განევისა და ქართველთა მრავალი აჯანყების მიუხედავად თეიმურაზმა ვერ შეძლო როსტომის დამარცხება, რადგან ის ყიზილბაშთა ძალას ეყრდნობოდა. თეიმურაზი კახეთში გადავიდა.

1642 წელს დიდი შეთქმულება მოეწყო როსტომის წინააღმდეგ. მასში მონაწილეობდა კათალიკოსი ევდემონ დიასამიძე. როსტომმა დაამარცხა აჯანყებულები, ხოლო კათალიკოსი ციხეში ჩასვა, მცირე ხნის შემდეგ კი მოაკვლევინა და კოშკიდან გადმოაგდებინა. როსტომმა, რომელიც საქართველოს ეკლესიის სულს, აზრსა და იდეას ებრძოდა, ჯარები კახეთს შეუსია და დაამარცხა თეიმურაზი, რომელიც იმერეთში გაიხიზნა. როსტომი ქართლ-კახეთის მეფედ იქცა.

ბერად აღკვეცილი თეიმურაზი 74 წლისა გარდაიცვალა. უფრო ადრე გარდაიცვალა როსტომი. მის ადგილზე მუხრანელი ბაგრატიონი – გამაჰმადიანებული ვახტანგი (შაჰნავაზი) დასვეს.

თეიმურაზისა და სხვა ერთგულ შვილთა თავდადებამ ქრისტეს სარწმუნოებისადმი იმ დროს ქვეყანა სრული გადაგვარებისაგან იხსნა. ქართველთა ორიენტირი კვლავ სარწმუნოება და მამული იყო.

იმჟამად სპარს-ოსმალები გააფთრებით ებრძოდნენ არა ზოგადად ქრისტიანობას, არამედ საქართველოს სამოციქულო ეკლესიას – მართლმადიდებლობას. ისინი გრიგორიანებსა და კათოლიკეებს არ ებრძოდნენ, პირიქით, ქრისტიან სომხებს და მათ საეკლესიო ცენტრებს უპირატესობას ანიჭებდნენ, ხოლო საქართველოს ეკლესიის წევრებს სასტიკად სდევნიდნენ და ავიწროებ-

დნენ. აიძულებდნენ მიეღოთ მაჰმადიანობა, ან, თუ ისევ ქრისტიანებად დარჩებოდნენ, „გასომხებულებიყვნენ“ ან „გაფრანგებულებიყვნენ“.

თუ რატომ ებრძოდა თეიმურაზ მეფე როსტომს და რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართველობის შენარჩუნებისათვის თეიმურაზის დაუმორჩილებლობას, ეს როსტომის დახასიათებიდან კარგად ჩანს. ისტორიკოსები წერენ, რომ იგი ქართლში გაბატონდა და მეფედ იქცა უცხო ძალის მეშვეობით, სპარსთა სამხედრო ძალით. როსტომი თავისი ზნე-ჩვეულებებით უფრო სპარსელი იყო, ვიდრე ქართველი. ბერი ეგნატაშვილის ცნობით, მაშინ ქართველები გულწრფელნი იყვნენ. როსტომმა წამოიყვანა სპარსეთიდან გათათრებული ქართველები და განანესა მოხელეებად. გამრავლდა ქართლში ანგარება და სიმდიდრისმოყვარება. ბილწების მოქმედ ქართველებს დიდ პატივს სცემდა და უსმენდა როსტომი, ხოლო სიმართლის მოყვარულთ პირიქით ექცეოდა... ამ დროიდან შემოვიდა ტყვეთა გაყიდვა თავადთა მიერ და გამრავლდა ცოდვა. მოუძღურდა სჯული და საეკლესიო წესი განირყვნა, რადგან აღარ იღვწოდნენ სულისთვის, არამედ მხოლოდ ხორცისათვის ზრუნავდნენ.

ტყვეთა სყიდვა მანამდე ჩვენი ხალხისათვის უცხო იყო. მისიონერთა დაკვირვებითაც ჩანს, რომ სპარსელებსა და თურქებს საქართველოდან ტყვეთა სყიდვა ქრისტიანობისა და ქართველობის აღმოფხვრისათვის ნებავდათ.

ქართველი ხალხი ძალზე მწარედ განიცდიდა ტყვეთა სყიდვას, რომელსაც შედეგად ქრისტიანობის დაკარგვაც მოსდევდა. ამ უბედურების ფუძემდებელი აღმოსავლეთში როსტომ-ხანი, ხოლო დასავლეთ საქართველოში – ლევან დადიანი იყო. ამ უსაშინლესი ცოდვის ნიშნების გამოჩენისთანავე საქართველოს ეკლესიამ განგაში ატეხა. მონვეულ იქნა კრება, რომელმაც ამ ბოროტების ჩამდენი ყველა ადამიანი შეაჩვენა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ სენს საეკლესიო კრების განჩინებამაც ვერაფერი უშველა.

ქართულ ეკლესიას, ცხადია, არ შეეძლო მშვიდად ეყურებინა ქართველთა სულიერი გადაგვარებისათვის. უთუოდ ამის გამო მოუწყო აჯანყება როსტომს ქართლის კათალიკოსმა ევდემონ დიასამიძემ, რომელსაც სურდა ქართველობისათვის თავდადებული მებრძოლი თეიმურაზი ეხილა ქართლის სამეფო ტახტზე. როსტომმა კათალიკოსი მოაკვლევინა, სამაგიეროდ სამღვდელო პირებს ჯამაგირი განუწესა, ააშენა მცხეთის სვეტიცხოვლის გუმბათი და სხვა ეკლესიებიც, რომლებიც დანგრეული იყო, რათა ხალხის გული მოეგო.

როსტომ მეფემ საფუძველი დაუდო ქართლ-კახეთში ახალი ტიპის სახელმწიფოს. ერთი მხრივ, არ მოშალა ძველი ქართული სახელმწიფოებრივი სტრუქტურები, არ შეცვალა სახელმწიფო მმართველობანი, ძველთაგანვე არსებული ქართული სახელო-თანამდებობანი და თავის თავსაც „მეფეს“ უწოდებდა, მაგრამ მეორე მხრივ, გზა გაუხსნა „ყიზილბაშურ რიგს“, შემოიღო ყიზილბაშური თანამდებობები. ორსახა (ორპირი) ხასიათი მისცა მმართველობას. ქვეყანა ირყვნებოდა და მოსახლეობა ეჩვეოდა მაჰმადიანურ წესსა და რიგს, მაჰმადიანურ ჩვეულებებს. თუ ადრე სპარსეთთან უშუალო ბრძოლისას ქართველები ინარჩუნებდნენ მაღალ სულიერებას, ქართველობასა და ეროვნული კულტურის სინამდვილეს, მაგრამ ძლიერ ზარალდებოდნენ მატერიალურად, ახლა, მართალია, მატერიალურად აღარ ზარალდებოდ-

ნენ, მაგრამ სანაცვლოდ კნინდებოდა ქართული კულტურა და სულიერება. ქვეყანა ეროვნულ-სარწმუნოებრივი გადაგვარების გზას დაადგა.

საქართველოს ეკლესია ერთადერთი ეროვნული ბურჟი იყო ქართველობისა, მაჰმადიანურ იმპერიებთან მებრძოლი, ამიტომაც მათთვის მიუღებელი. მაჰმადიანებმა შეძლეს მოესპოთ ბერძნული სახელმწიფო, ამის გამო ბერძნული ეკლესია მათთვის საშიში აღარ იყო, – შეძლეს მოესპოთ სომხური სახელმწიფო, ამის გამო სომხური ეკლესია მათთვის საშიში აღარ იყო, მაგრამ ვერ შეძლეს ქართული სახელმწიფოებრიობის სრული მოსპობა, რომლის სულსა და გულს და მამოძრავებელ ძალას საქართველოს ერთიანი ეკლესია წარმოადგენდა. ამიტომ ებრძოდნენ ისინი საქართველოს ეკლესიას. გარდა ამისა, მათ ბიზანტიისა და სომხეთის დაპყრობის გამო შეძლეს როგორც ბერძნული, ისე სომხური ეკლესიები თავიანთი ზედამხედველობის სფეროში მოექციათ. ორივე ამ ეკლესიას, რომელთაც დიდძალი მრევლი ექვემდებარებოდა მაჰმადიანურ ქვეყნებში, მაჰმადიანი მმართველები მართვა-გამგეობის საქმეშიც იყენებდნენ.

როსტომი, როგორც სპარსი მოხელე, ვალდებული იყო განსაკუთრებული ყურადღება და მზრუნველობა გამოეჩინა სომხური ეკლესიისადმი. მონოფიზიტებისადმი როსტომის გულმონყალეობა იმდენად უსაზღვრო იყო, რომ თვით სომხებს იგი სომხად მიუჩნევიათ, ძველი სომეხი დინასტიების ანისელი ბაგრატიონების შთამომავლად. აღსანიშნავია, რომ იმდროინდელი ქართული საზოგადოების მაღალი ნაწილიც სომხოფილური ტენდენციების მატარებლად იქცა.

როსტომის ისტორიკოსი, მის კარზე აღზრდილი და სპარსეთში მოღვაწე ფარსადან გორგიჯანიძე საერთოდ კარგად არ იცნობდა ქართულ ისტორიოგრაფიას, სამაგიეროდ იცნობდა სომხურს და ამიტომაც დანერა საქართველოს ისტორია, სომხოფილური ტენდენციებით.

ასეთ ვითარებაში ჩააყენა საქართველო და საქართველოს ეკლესია როსტომის „კომპრომისულმა“ ქართულ-სპარსულმა სახელმწიფომ.

თეიმურაზს ემხრობოდა ქართლ-კახეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. მისი მეფობა ქართველთა სურვილი იყო.

XVIII საუკუნე

XVIII ს-ის დასაწყისში საქართველოს პოლიტიკურმა დაშლილობამ უკიდურესი სახე მიიღო, რასაც თან სდევდა შინა ომები.

მეფის გავლენა ძლიერ დასუსტდა. თავადები თავიანთ მამულში სრულ ხელმწიფობას იჩემებდნენ.

საქართველოს ერთიანობის აღდგენისათვის მარად იბრძოდნენ გამოჩენილი მოღვაწენი, მაგრამ სპარსეთ-ოსმალეთი თითქმის ყოველ საუკუნეში ანახლებდა 1555 წლის ზავს, რომლის ძალითაც აღმოსავლეთ საქართველო – ირანის, ხოლო დასავლეთ საქართველო ოსმალეთის ვასალურ მხარეებად ითვლებოდა.

ერთიანი სახელმწიფოს დარღვევამ ტომობრიობა და თემობრიობა ააღორძინა. თანდათან ჩამოყალიბდა ქართველი ერის ჯგუფები – ქართლელი, კახელი, იმერელი. იმერეთის სამეფოს გამოყვანენ ოდიშის, გურიის, აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროები.

მაგრამ, მიუხედავად ასეთი პოლიტიკური დაქუცმაცებულობისა, ხალხში აღმოჩნდა ძლიერი ეროვნული თვითშეგნება, რასაც განამტკიცებდა საქართველოს ეკლესია.

აფხაზეთის საკათალიკოსომ, რომელიც XVI ს-ის დასაწყისში დიდ ტერიტორიას მოიცავდა, მოსახლეობის გამაჰმადიანების გამო მისი დიდი ნაწილი დაკარგა ჩრდილოეთით და სამხრეთით.

როგორც ითქვა, ჩრდილოეთიდან ჩამოსახლდნენ ადიღე-ჩერქეზული ხალხები, რომელთაც აფსარებს უწოდებდნენ ძველ საქართველოში. მათ შეძლეს აფხაზთა დაბალი ფენების ასიმილაცია. აფხაზთა მაღალ ფენებს არ დაუკარგავთ ეთნიკური თვითშეგნება. ძველებურადვე ქართულ კულტურულ წრეს მიაკუთვნებდნენ თავიანთ თავს.

ასევე კახეთში ჩამოსახლდნენ ლეკები, ხოლო ქართლში – ოსები, რამაც ქართველთა ასიმილაცია გამოიწვია. მთიდან ჩამოსახლებულთა შორის მაჰმადიანები და წარმართები ჭარბობდნენ, რასაც შედეგად ეკლესია-მონასტრების, საეპისკოპოსოებისა და თვით საკათალიკოსო ტაძრების ქონების დატაცება მოჰყვა. გაუქმდა მრავალი საეპისკოპოსო. მკვიდრი მოსახლეობა – სამწყსო ნადგურდებოდა. მათ ან იტაცებდნენ და მონებად ჰყიდდნენ, ანდა შინაყმებად და მოსამსახურეებად აქცევდნენ, რასაც თან სდევდა მათი განწმენა და ეროვნული გადაგვარება.

ყოველივე ამის წინააღმდეგ იბრძოდა ქართული ეკლესია. მისი უპირველესი ამოცანა იყო დაეხსნა ქრისტიანები ტყვეობისაგან და დაესახლებინა თავიანთ მამულებში. დახმარებოდა ღარიბს, ობოლს, საცოდავს. აღესრულებინა ქველი საქმე და შეეწყალებინა უქონელი. ყურადღებას აქცევდა აგრეთვე ხელოსნების, წიგნის გადამწერებისა და მხატვრების ქონებრივ უზრუნველყოფას.

ეკლესიის ქონების ერთი ნაწილი ხმარდებოდა ტაძრების შემკობას და მონასტრებს. აღსანიშნავია, რომ ეკლესიის მამები და მამამთავრები სწორავდნენ პირადი შემოსავლით შეძენილსაც.

თუმცა სულით ერთიანი ქართული ეკლესია ორ საკათალიკოსოდ იყო გაყოფილი, მათი საღმრთისმსახურო ენა ქართული იყო. წმიდა ნინოს დროიდან XIX ს-მდე საქართველოს ეკლესიაში არ ყოფილა გამოყენებული სხვა ენა.

ვახტანგ VI-მ, თავისი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის დაწყებისთანავე, 1705 წელს, მოიწვია საეკლესიო კრება, რომელმაც ქართლის კათალიკოსად ვახტანგის ძმა – რუსეთიდან ახლად დაბრუნებული დომენტი აკურთხა, რომელიც თავისი მოღვაწეობის პირველ ეტაპზე ვახტანგს ენერგიულად შეელოდა სახელმწიფო საქმეთა მოგვარებაში.

ვახტანგ VI ბაგრატიონთა უმცროს შტოს – მუხრანბატონთა დინასტიას ეკუთვნოდა. მან და მასთან დაახლოებულმა თავდადებულმა ქართველებმა დასახეს საქართველოს „გამოხსნისა და აღდგომის“ გეგმა. „გამოხსნაში“

იგულისხმებოდა მაჰმადიანური ქვეყნებისაგან თავის დაღწევა, ხოლო „აღდგომაში“ – საქართველოს გაერთიანება.

„აღდგომისა და გამოხსნისათვის“ საჭირო იყო ქრისტიანული სახელმწიფოების თანადგომა. ამ პროგრამაზე იყო აგებული ვახტანგ VI-ისა და ქართველი მოღვაწეების საგარეო პოლიტიკა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ევროპულმა, ისე რუსულმა ორიენტაციამ კრახი განიცადა და საბედნიეროდ, თვით ქართველთა შორისვე აღმოჩნდა ძალა „აღდგომისა და გამოხსნისათვის“.

XVIII ს-ის დასაწყისში ირანის სახელმწიფოს ძლიერება უკიდურესად დაეცა. დასუსტდა აგრეთვე ოსმალეთიც. მოხდა ისე, რომ ირანის ვასალური ქართლისა და კახეთის სახელმწიფოებიდან სპარსეთში ჩასული ქართველი დიდებულები აქტიურად მონაწილეობდნენ და გარკვეულწილად ნარმართავდნენ კიდეც ამ ქვეყნის ცხოვრებას, ხოლო სპარსეთში ქართველთა ჯარი უძლიერესი იყო. ასეთ ვითარებაში თუ ქართველები გაერთიანებას შეძლებდნენ, მათ წინ ვერავინ აღუდგებოდა.

მაგრამ, სამწუხაროდ, გაერთიანება ჭირდა.

ქართველთა მართლმადიდებლობა ოსმალთა და სპარსთა მიერ განიხილებოდა, როგორც მათ სანინალმდეგოდ მიმართული პოლიტიკური ორიენტაცია. მით უმეტეს მაშინ, როცა მართლმადიდებელი რუსეთის იმპერია კავკასიის მთავრეხილს მოადგა და ქართლ-კახეთის მეფეები ერთმორწმუნეობის გამო რუსეთს კავკასიის კარის გაღებას შეჰპირდნენ. როგორც ითქვა, ამ მიზეზების გამო მაჰმადიანები არც ერთ ქრისტიანულ აღმსარებლობას ისე არ სდევნიდნენ კავკასიაში, როგორც ქართველთა მართლმადიდებლობას. ისინი ავიწროებდნენ მართლმადიდებელ ქართველებს და აიძულებდნენ მათ შეეცვალათ სარწმუნოება, მაჰმადიანობა, კათოლიკობა ან მონოფიზიტობა მიეღოთ, რაც ქართველთა დენაციონალიზაციას იწვევდა.

1713 წელს მომზადდა ელჩობა ევროპაში სულხან-საბა ორბელიანის მეთაურობით, რომელსაც მიზნად დასახული ჰქონდა:

1. ქართლის ქრისტიანული სახელმწიფოს არსებობა იურიდიულად უნდა ეცნო ირანს, რაც ვახტანგ VI-ის, როგორც ქრისტიანი მეფის, ირანიდან საქართველოში დაბრუნებით მიიღწეოდა.

2. საქართველოს გაერთიანება.

3. ჩრდ. კავკასიელთა შემოსევების შეწყვეტა.

4. ქართველთა დენაციონალიზაციის შეწყვეტა.

მაგრამ სულხან-საბა ხელცარიელი დაბრუნდა საქართველოში 1715 წელს. ეს ქართველი მეფის ევროპული ორიენტაციის კრახს ნიშნავდა.

ირანის სახელმწიფოს უკიდურესმა დასუსტებამ, ავღანთა მიერ მისი მმართველი დინასტიის ჩამოგდება, ქვეყნის უკიდურესმა შინაგანმა კრიზისმა, როგორც ჩანს, საქართველოს პოლიტიკოსებს საშუალება მისცა ამკარად გამოეხატათ სწრაფვა მართლმადიდებელი რუსეთისაკენ.

1722 წელს ვახტანგ VI-მ საქვეყნოდ გაამჟღავნა თავისი გადაწყვეტილება რუსეთთან სამხედრო კავშირის შეკვრისაკენ. ამან ძალზე შეაშფოთა მაჰმადიანური ქვეყნები და ჩრდილოკავკასიური ტომები.

რუსეთს სპარსეთში განსაკუთრებული ეკონომიური ინტერესები ჰქონდა. პეტრე დიდს სურდა, სპარსეთის ვაჭრობა რუს ვაჭრებს ჩაეგდოთ ხელში. პეტრემ ელჩი გამოუგზავნა ვახტანგ VI-ს. თუმცა სახელმწიფოს დარბაისელთა ერთი ჯგუფი ვახტანგს სიფრთხილეს ურჩევდა.

ვახტანგისა და რუსეთის კავშირმა შეაშფოთა და ააღელვა მთელი ახლო აღმოსავლეთი და თვით ევროპა. კონსტანტინოპოლში დაისვა საკითხი პეტრე I-სა და ვახტანგ VI-ის საომარ მოქმედებათა წინააღმდეგ აქტიური ზომების მიღების შესახებ.

ირანი, ოსმალეთი და დაღესტანი ქართლის სამაგალითო დასჯისათვის მოემზადნენ.

პეტრე I-მა 1724 წელს მოულოდნელად შეკრა ზავი სპარსეთთან. საქართველო მტრის სათარემოდ გადაიქცა. ვახტანგ VI უზარმაზარი ამალით რუსეთს გადავიდა.

მალე ყველასათვის ცხადი გახდა, რომ რუსეთის მთავრობა თავს არ ინუხებდა საქართველოსთვის.

ამრიგად, ვახტანგის რუსული პოლიტიკაც კრახით დამთავრდა.

მტერთა შემოსევებმა, ცხადია, ქართული ეკლესიაც დიდად დააზარალა. მრავალი საეპისკოპოსო და ეპარქია საერთოდ გაუქმდა, ხოლო საეკლესიო მამულებისა და ყმების მნიშვნელოვანი ნაწილი შინაომების პერიოდში საერო ფეოდალებმა მიიტაცეს. მაგრამ საქართველოს ეკლესიამ შეინარჩუნა ის სულიერი დვრიტა, რომელიც შემდეგ 1744-45 წლებისათვის, ქართული ქრისტიანული სახელმწიფოებრიობის აღორძინებას დაედო საფუძვლად.

1744 წელს შესრულდა ქართველი ხალხის დიდი ხნის ოცნება. საქართველოს სამეფო ტახტზე ქრისტიანი მეფე დაჯდა. ეს ბედნიერება კახელ ბაგრატიონთა სახლის შვილს – თეიმურაზ II-ს ერგო.

ქართველთა სიხარული უსაზღვრო იყო. კათალიკოს-პატრიარქმა ანტონმა მოიძია მეფედ კურთხევის უძველესი ქართული წესები და სამღვდელთა დასი საგანგებო სადღესასწაულო ცერემონიისათვის მოამზადა. გახარებულმა ხალხმა ქუჩები, მოედნები, ბაზრები მორთო. ჩირაღდნებითა და გალობით შეეგება მეფეს, დედოფალსა და ბატონიშვილებს. მეფედ მირონცხების სადღესასწაულო სიხარული განუზომელი იყო.

ქართული სახელმწიფოს სუვერენობის აღდგენით განხორციელდა „გამოხსნის“ იდეა, რის შედეგადაც ხორცი შეისხა „აღდგომის“ იდეამაც. ამაში იგულისხმებოდა იმ ქართული მინა-წყლის დაბრუნება, რომელიც ჩამოცილებული ჰქონდა საქართველოს.

1758 წელს სოლომონ I-მა, ერეკლე II-მ და თეიმურაზ II-მ მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება დადეს. მოწვეულ იქნა საგანგებო საეკლესიო კრება 1759 წ. 4 და 5 დეკემბერს. კრებამ აკრძალა ტყვეთა სყიდვა. აღდგა ქუთათელის კათედრა, ეკლესია განთავისუფლდა გადასახადისაგან.

XVIII ს-ის 70-იან წლებში აღდგა დასავლური ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. იმერეთის მეფემ სოლომონ I-მა ქვეყნიდან თურქთა გარნიზონები გააძევა.

საქართველოს ეკლესიის ისტორიის III პერიოდი

ქართული ეკლესია XIX-XX საუკუნეებში

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის 2000-წლოვანი ისტორიის ორი, შეიძლება ითქვას, ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი XIX-XX სს-ს განეკუთვნება. ეს არის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ და მისი აღდგენა ქართველი ერისა და სამღვდელოების ბრძოლის წყალობით. XIX ს-ის ქართული ეკლესიის სავალალო მდგომარეობის შესახებ გამოქვეყნებულია უამრავი მასალა.

საქართველოში მოციქულთა ქადაგებისა და მათ მიერ სამოციქულო ეკლესიის დაარსების შემდეგ ქრისტიანობა ქართველთა ეროვნულ სარწმუნოებად იქცა და ასე იყო საუკუნეების მანძილზე.

1811 წლიდან ქართული ეკლესია, ქრისტიანული სარწმუნოების დამცველი მთელ კავკასიაში, რუსული ბიუროკრატიული სისტემის დანამატად გადააქციეს.

საქართველოში რუსეთის შემოჭრამდე ქართული ეკლესია ფლობდა დიდძალ ქონებას. იგი იყო ეკონომიურად დამოუკიდებელი ერთეული, ამით იგი მკვეთრად განსხვავდებოდა რუსეთის ეკლესიისაგან, რომელიც რუსეთის ხელისუფლების მიერ სახელმწიფოს ნაწილად იყო გადაქცეული. მას 1722 წლიდან ობერპროკურორი ხელმძღვანელობდა, რომელიც წმ. სინოდს ედგა სათავეში. იგი საერო პირი იყო და დიდი უფლებები ჰქონდა. საერო ხელისუფლებისადმი ეკლესიის დამორჩილების საქმე, რომელიც პეტრე დიდმა წამოიწყო 1721 წელს პატრიარქობის გაუქმებით, 1784 წელს დაასრულა ეკატერინე II-მ. ასეთი მდგომარეობის გამო, რუსეთი, ცხადია, ვერ მოითმენდა საქართველოში ეკლესიის როგორც ეკონომიურ დამოუკიდებლობას, ისე უდიდეს გავლენას საერო ხელისუფლებაზე და ამიტომ მან მიზნად დაისახა საქართველოს ეკლესიის რეორგანიზება.

1810 წლის 3 მარტს კათალიკოსი ანტონ II თითქმის ძალით გაიწვიეს პეტერბურგს. 1811 წლის 30 ივლისს შეიქმნა დიკასტერია და საქართველოს ეკლესიამ დაკარგა ავტოკეფალია. დიკასტერიის მეთაურად დაინიშნა ვარლამ ერისთავი და ებოძა მას საქართველოს ეგზარქოსის ტიტული. ამ დროიდან დაიწყო უმძიმესი პერიოდი საქართველოს ეკლესიის ცხოვრებაში. რუსეთის ხელისუფლება აქტიურად შეუდგა ეპარქიების შემცირებას, რასაც იგი ადრეც მიმართავდა. ეს ხდებოდა მთავრობისათვის არასასურველი პირების კათედრიდან ჩამოსაშორებლად.

1815 წლის 30 აგვისტოს დიკასტერია გადაკეთდა „საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორად“. რუსულმა მთავრობამ მას დაუმორჩილა გურია-სამეგრელოს ეკლესიებიც.

1817 წელს ვარლამ ერისთავი პეტერბურგში გაიწვიეს. ამავე წლიდან ეგზარქოსად დაინიშნა რიაზანელი არქიეპისკოპოსი თეოფილაქტე რუსანოვი. მის შემდეგ მხოლოდ რუსი ეროვნების ეპისკოპოსები მართავდნენ საქართველოს საეგზარქოსოს. თეოფილაქტემ 1819 წელს შეამცირა იმერე-

თის საეპისკოპოსოები მათი ერთ ეპარქიად გაერთიანების გზით. თითო-თითო ეპარქია დატოვა გურიასა და სამეგრელოში. დასავლეთ საქართველოს 12 ეპარქიიდან დარჩა 3. ამას გარდა, ეგზარქოსი ამცირებდა მოქმედი ეკლესიების რაოდენობას.

რუსეთის მთავრობისათვის საქართველოს ეკლესია განიხილებოდა, როგორც სახელმწიფო შემოსავლის ერთ-ერთი წყარო. მთავრობა ფიქრობდა, სასულიერო პირთა რაოდენობისა და სხვადასხვა ხარჯების მკვეთრი შემცირებით ხელს შეუწყობდა ხაზინაში ეკლესიიდან შესული შემოსავლის ზრდას.

რუსეთის იმპერიის ანტიეკლესიურმა პოლიტიკამ აღაშფოთა ქართველი ხალხი.

1818 წლის ივლისში დაიწყო აჯანყება მშობლიური ეკლესიის დასაცავად. მოჯანყებმა წამოაყენეს ლოზუნგი „სამშობლოს განთავისუფლება“. მოსახლეობის ყველა ფენა მონაწილეობდა ბრძოლაში – არტილერიით შეიარაღებული პოლკებისა და ბატალიონების წინააღმდეგ.

1820 წელს დააპატიმრეს მიტროპოლიტები: დოსითეოს ქუთათელი და ექვთიმე გელათელი, სხვა გავლენიანი პირები, რამაც უფრო გააძლიერა აჯანყება.

მოხუცი მიტროპოლიტი – დოსითეოს ქუთათელი (წერეთელი) ტომარაში ჩაუსვამთ და რუსეთისკენ წაუყვანიათ. იგი ტომარაშივე ცემით მოუკლავთ გორთან ახლოს. მეორე მიტროპოლიტი ექვთიმე გელათელი (შერვაშიძე) ხელისუფლებამ დააპატიმრა, როგორც აჯანყების ერთ-ერთი მოთავე.

მიტროპოლიტები და საერთოდ ეპისკოპოსები ხელშეუხებელი იყვნენ და მათ მაჰმადიანებიც კი პატივს სცემდნენ. რუსთა ქმედებამ აჯანყება გააძლიერა. რუსის ჯარმა სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლის შემდეგ გაჭირვებით გაიმარჯვა უდიდესი დანაკარგებით. მოარბიეს და გადაწვეს რაჭა, არტილერიით მიწასთან გაასწორეს შემოქმედის ციხე გურიაში. სოფლები გადაწვეს, ზოგი მოჯანყე ჩამოახრჩეს, უამრავი რუსეთში გადაასახლეს, მათი ქონება ხაზინას გადასცეს.

1820 წლის 21 მაისს სარწმუნოებისა და თავისუფლებისათვის მებრძოლმა 2 000 ქართველმა დადო თავი. მათ შორის იყვნენ მებრძოლი მღვდლები, ბერები და სასულიერო პირები.

ქართულ ეკლესიას ისტორიულად ათეულობით საეპისკოპოსო ანუ ეპარქია ჰქონდა აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში. საეპისკოპოსოთა მოსპობით დაეცა ქრისტიანული სარწმუნოება ქართველთა შორის. ამიტომ ქართველი სასულიერო პირები მოითხოვდნენ გაუქმებული ეპარქიების აღდგენას.

საეგზარქოსოს პოლიტიკა იწვევდა მრევლის სარწმუნოებრივ ინდიფერენტიზმს, უკარგავდა ქართულ ეკლესიას ეროვნულ სახეს. ხალხს განსაკუთრებით აღაშფოთებდა ქართული ენის აკრძალვა ეკლესიებსა და სასწავლებლებში. გააუქმეს ქართულენოვანი სასულიერო სასწავლებლები და გახსნეს რუსულენოვანი, რაც იწვევდა მომავალ სამღვდლო პირთა გაუნათლებლობას. ქართველი ახალგაზრდების ნაწილი გაუუცხოვდა ქარ-

თულს. დაენაფნენ რუსულ და ევროპულ იდეებს სოციალიზმისას, ათეიზმი-სა და ანარქიზმისას.

ეკლესიებიდან და მონასტრებიდან დაიკარგა საუკუნეთა მანძილზე ნაგროვები უძვირფასესი ქონება, ოქრო-ვერცხლითა და ძვირფასი ქვებით შემკული სასულიერო ნივთები. ხაზინამ ეკლესია-მონასტრებს ჩამოართვა მიწები.

ასეთ ვითარებაში არ არის გასაკვირი ქართველი სასულიერო პირების აქტიური მონაწილეობა საქართველოს გასათავისუფლებლად მოწყობილ აჯანყებებში 1804, 1812 და სხვა წლებში. 1832 წლის აჯანყების ერთ-ერთი აქტიური წარმმართველი იყო არქიმანდრიტი ფილადელფოს კიკნაძე.

ეგზარქოს პავლე ლებედევის დროს 1886 წელს სემინარიიდან გარიცხულმა ოისებ ლალიაშვილმა მოკლა სემინარიის რექტორი დეკანოზი ჩუდეცკი. მის დასაფლავებაზე წარმოთქმულ სიტყვაში ეგზარქოსს დაუწყევლია მკვლელის „წარმომშობი ხალხი“. აღშფოთებული ქართველების აზრი გამოხატა დიმიტრი ყიფიანმა. მან მოუწოდა ეგზარქოსს, თუ მართალი იყო ხალხში გავრცელებული ხმა, მაშინ „შემჩვენებელი განიდევნოს შეჩვენებელი ქვეყნიდან“. დიმიტრი ყიფიანი ამისათვის დასაჯეს გადასახლებით, სადაც 1887 წელს მოკლეს.

ქართული ეკლესიის დასაცავად ხმა აიმაღლეს თვით რუსი ერის საუკეთესო შვილებმა. ერთ-ერთი ასეთი იყო ცნობილი სწავლული სლავოფილი ნიკოლოზ დურნოვი. მან საქართველოს ეკლესიის სავალალო მდგომარეობა ასახა თავის ნაშრომში „ბედი ქართული ეკლესიისა“.

სამწუხაროდ, XIX ს-ში, რუსეთის იმპერიაში საქართველოს ყოფნის დროს, ქართველ ხალხში განელდა მხურვალე სარწმუნოება.

XX ს-ში რუსეთის იმპერიამ იწყო რღვევა, რაც ეკლესიის ცხოვრებაშიც აისახა.

რუსეთის იმპერიის განსამტკიცებლად საჭირო იყო იმპერიაში ეცხოვრა ერთ ენაზე მოლაპარკე ერთი სარწმუნოების მქონე, ქვეყნისადმი ერთგულ მოსახლეობას. დღის წესრიგში დადგა ქართველობის, ისე როგორც სხვა ხალხების, რუსებში ასიმილაცია-შერწყმის საკითხი. გაძლიერდა ქართული ენის წინააღმდეგ ბრძოლა. ეგზარქოსების მიზანი იყო მრევლის გარუსება. ქართველმა ხალხმა შესაბამისად უპასუხა იმპერიის ამ ქმედებას.

1908 წელს მოკლეს ეგზარქოსი ნიკონი. რუსი იერარქები საქართველოს „ველურ და სასტიკ მხარეს“ უწოდებდნენ და ახალ ეგზარქოსებს ემინოდათ საქართველოში ჩამოსვლისა.

ქართული ეკლესიის მამები და ერის საუკეთესო შვილები მიხვდნენ, რომ სარწმუნოების გადასარჩენად საჭირო იყო საქართველოს ეკლესიის განშორება რუსული იმპერიული მანქანისაგან, ე.ი. საჭირო იყო ავტოკეფალიის აღდგენა.

რუსეთის იმპერიაში რევოლუციური პროცესების დაწყებამაც დააჩქარა ავტოკეფალიის მოთხოვნის წამოწყება. ამ მოთხოვნებით მრავალჯერ მიმართეს რუსეთის იმპერატორსა და წმ. სინოდს.

ქართველი მღვდელმთავრების მიერ წამოწყებულ ავტოკეფალიის მოთხოვნას აქტიურად დაუჭირა მხარი ქართულმა ინტელიგენციამ: წმ. ილია მარ-

თალმა (ჭავჭავაძემ), წმ. ექვთიმე თაყაიშვილმა, იაკობ გოგებაშვილმა, ალ. ცაგარელმა, ალ. ხახანაშვილმა, ნიკო მარმა და სხვ. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას მხარს უჭერდა ორი რუსი მეცნიერი სოლოვიოვი და ზაოზერსკი.

ილიას მოკვლისა და იმპერიაში რეაქციის გამარჯვების შემდეგ ქართველმა ავტოკეფალისტებმა გადაწყვიტეს თავიანთი იდეის ხალხის გულამდე მიტანა წიგნების გამოცემით. მათ ეკლესიის თავისუფლება მიაჩნდათ სანიღრად საქართველოს მომავალი თავისუფლებისა.

რუსეთის იმპერიაში 1917 წელს თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქართველმა სამღვდელოებამ გადაწყვიტა უსწრაფესად ესარგებლა შექმნილი მომენტით. 1917 წ. 12 მარტს მცხეთაში შეიკრიბა ათიათასობით მორწმუნე. წირვისას, „განიცადეზე“ სიტყვით გამოვიდა ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე) და გამოაცხადა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური მართვა-გამგეობის აღდგენა. ამავე წლის 17 სექტემბერს საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქად აირჩიეს ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი). 1918 წლის 26 მაისს საქართველო გამოცხადდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. მაგრამ, სამწუხაროდ, ქვეყნის სათავეში მოხვდა არა ეროვნული პარტია, არამედ – სოციალისტური. 1918 წლის 27 ივნისს მარტყოფში მოკლეს წმ. კირიონი. საქართველოს სოციალისტური მთავრობა ათეისტურად იყო განწყობილი, ამიტომ იგი ვერ აფასებდა საქართველოს ეკლესიის მნიშვნელობას ქართველი ერისათვის. ეს ყოველივე კათალიკოს-პატრიარქ ლეონიდეს აღშფოთებას იწვევდა.

„მენშევიკებმა“ ვერ გაითვალისწინეს „მდულარე რუსეთიდან“ მოსალოდნელი საფრთხე და 1921 წლის თებერვალში რუსეთმა კვლავ დაიპყრო საქართველო.

1921 წელს ლეონიდეს გარდაცვალების შემდეგ საეკლესიო კრებამ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად აირჩია წმ. ამბროსი (ხელაია).

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ სახელმწიფომ გაატარა საგანგებო მეთოდური ღონისძიებანი, რათა საერთოდ მოესპო ეკლესია. ქრისტიანებმა მრავალი დევნა განიცადეს საუკუნეთა მანძილზე, მაგრამ ამ მხრივ, ალბათ, ვერაფერი შეედრება კომუნისტ-ბოლშევიკების მიერ XX ს-ის 20-30-იან წლებში ქრისტიანთა დევნა-შევიწროებას. ბოლშევიკები ანგრევდნენ ეკლესიებს, ღმრთისმსახურებს აწამებდნენ როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად, ძარცვავდნენ ეკლესია-მონასტრებს.

XX ს-ის 20-იან წლებში დახურეს ათასზე მეტი ეკლესია, გააუქმეს ღმრთისმსახურება.

სწორედ ამ ნგრევა-განადგურების დროს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა – წმ. ამბროსი ხელაიამ ჭეშმარიტად გასწირა თავი ქართველი ერისათვის და გენუის კონფერენციას გაუგზავნა მიმართვა, რომლითაც მსოფლიოს ამცნო ქართველი ერის უბედურება. იგი თავის მიმართვაში მოითხოვდა, რომ სასწრაფოდ გაეყვანათ რუსეთის საოკუპაციო ჯარი საქართველოდან და ქართველ ერს მისცემოდა საშუალება „სხვათა ძალდაუტანებლად და უკარნახოდ“ მოეწყო „ისეთი ფორმები სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა“, რომელიც მისთვის მისაღები იყო.

რუსეთის მთავრობა დიდად გაანაწყენა კონფერენციისადმი საქართველოს პატრიარქის მიმართვამ, ამიტომ წმ. ამბროსი ხელაია და მისი თანამოაზრენი: ქუთაისის მიტროპოლიტი წმ. ნაზარი ლეჟავა, არქიმანდრიტი პავლე ჯაფარიძე, ქაშუეთის ეკლესიის დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე, დიაკონი დიმიტრი (ლაზარიშვილი) და სხვები, დააპატიმრეს და გაასამართლეს. გამოძიების პროცესში ცდილობდნენ წმ. პატრიარქის სულიერ გატეხას, ცდილობდნენ მას უარეყო გენუის კონფერენციისადმი წაყენებული მოთხოვნები. მაგრამ წმ. ამბროსიმ კიდევ უფრო განამტკიცა ეს მოთხოვნები თავისი ვრცელი საბოლოო სიტყვით. წმ. ამბროსის მიუსაჯეს 7 წლით პატიმრობა. დაავადებულ პატრიარქს სასჯელის ვადა შეუმცირეს. იგი გარდაიცვალა 66 წლის ასაკში, 1927 წლის 28 მარტს.

საბჭოთა ხელისუფლების დროს ქართული ეკლესიის ხვედრს და ყოფას განსაზღვრავდა მთავრობის დამოკიდებულება საზოგადოდ ეკლესიის მიმართ. შეიძლება ეს პერიოდი სამ ეტაპად დავეყოთ. 1943 წლამდე ეკლესიის დევნა-შევიწროება ძველებურად გრძელდებოდა. გერმანიასთან ომის დროს საბჭოთა მთავრობამ მოწყალების თვალთ გადამოხედა ეკლესიას, აღიარა რუსეთის ეკლესიის თავისთავადობა, მისცა პატრიარქის არჩევის უფლება, შესაბამისად, გაუმჯობესდა ქართული ეკლესიის მდგომარეობაც.

1943 წელს რუსეთის ეკლესიამ აღიარა ქართული ეკლესიის სამი უფლება (ავტოკეფალია, საპატრიარქო ღირსება, VI ადგილი დიპტიხში).

ეკლესიის მდგომარეობა ისევ გაუარესდა ნ. ხრუშჩოვის დროს. მის მიერ გატარებული ე.წ. „დემოკრატიული დათბობა“ არ განვრცობილა ეკლესიის მიმართ.

ამ პერიოდში იდევნებოდნენ სამღვდლო პირები, ოღონდ ახლა სხვა მეთოდებს მიმართავდნენ. მათ სახელს უტეხდნენ საგანგებო სახელმწიფოებრივი ორგანოები. ასეთი დევნის ობიექტი იყო, მაგალითად, ეფრემ II. ეკლესიის ზნეობრივი დევნა გრძელდებოდა კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის ზეობის პირველ ხანებშიც ვიდრე 1985 წლამდე.

1985-86 წლიდან მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა, მაგრამ 70-წლიანი ბატონობის დროს კომუნისტებმა მთელი თაობები აღზარდეს ეკლესიისა და სასულიერო პირთა მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებით. ამ ბარიერის დაძლევა ხალხისათვის ადვილი აღარ იყო. მმართველობის ბოლო წლებში საბჭოთა ხელისუფლება აღარ კრძალავდა წმ. წერილის (ბიბლიის) ბეჭდვა-გავრცელებას, მის საგაზეთო პუბლიკაციებს. ამ ფონზე, როცა ბიბლიის ავტორიტეტი ისევ გაიზარდა, ხოლო ეკლესიისა და სასულიერო პირთა ავტორიტეტი ხალხის თვალში დაცემული იყო, მყარი საფუძველი მიეცა სექტანტობის გავრცელებას; ბაპტიზმს, იელოველობას და სხვა სექტებს მოქმედების ასპარეზი გაეხსნათ, რადგანაც ისინიც ბიბლიის ავტორიტეტს აღიარებდნენ, ხოლო სამღვდლოებას კი არ ცნობდნენ.

მართალია, 1917 წლის 12 მარტს გამოცხადდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, მაგრამ რუსეთის ეკლესიამ ეს ფაქტი მხოლოდ 1943 წელს სცნო, ხოლო მსოფლიო მართლმადიდებელმა ეკლესიებმა – 1990 წლის 25 იანვარს. მაგრამ დღემდე გადაწყვეტილი არ არის დიპტიხის

საკითხი. ქართული ეკლესიის ადგილი დღემდე დაუდგენელია და წარმოადგენს მსოფლიო ეკლესიათა შესწავლის ობიექტს.

XX ს-ის ბოლოს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის საქართველოს საუკეთესო შვილებს ლოცავდა და აკურთხებდა **უნმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II და წმიდა სინოდი.**

დასკვნა

საქართველოს წმიდა ეკლესიის ათასწლოვანი ისტორიის კვლევამ სრულიად დაადასტურა წმიდა ილია მართლის სიტყვები “საქართველოს ეკლესია, ყოველთვის თავდადებით ჰპატრონობდა ჩვენს ერს და არა-ოდეს დიდებას ერისას დავიწყებას არ აძლევდა” (ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I გვ. 213).

ილიასავე შეფასებით საქართველოს ეკლესია ქართველი ერის მარადი მცველი იყო (ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I. გვ. 216).

“საქართველო, როცა კი მოიცლიდა ხოლმე გარეშე მტერთა ზედმოსევისა და მოგერიებისაგან, მაშინვე შეუდგებოდა ხოლმე ქრისტეს აღსარების განმტკიცებისა და გაძლიერების საქმესა” (იქვე, ტ. 8, გვ. 305).

საქართველოს ეკლესიის წიაღში ჩამოყალიბდა და გამოიჭედა დიდებული ქართული ქრისტიანული კულტურა – ათასწლოვანი ქართული მწერლობა, სასულიერო პოეზია, მხატვრობა, საეკლესიო არქიტექტურა და სხვა საგანძური ერისა. მამათა ქადაგებებმა ხალხში განამტკიცა ნაციონალური თვითშემეცნება, ჩამოიძერწა ძველქართული დიდსულოვნება, ურთიერთსიყვარული, პატიოსნება, რაც უმთავრესია თავდადება მოყვასის, ერისა და მამულის მიმართ, ზრუნვა სულის ცხოვნებისათვის.

ფარნავაზის შემდეგ ქართველ ერს მუდამ გააჩნდა თასი სუვერენული, ხშირად ერთიანი სახელმწიფო, ზოგჯერ სახელმწიფოებრივი ერთეულები, ვიდრე მე-19 საუკუნემდე, როდესაც რუსეთის იმპერიამ საერთოდ გააუქმა საქართველოს სახელმწიფოებრიობა და საქართველოს ეკლესიის ათასწლოვანი ავტოკეფალიაც კი.

საუკუნის შემდეგ, ქართველი სამღვდელოების თავდადებული ბრძოლითა და მეცადინეობით აღსდაგა ეკლესიის ავტოკეფალია. რაც, ერთი წლის შემდეგ, 1918 წელს, დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენით დაგვირგვინდა. მე-20 ს. სსრკ ათეიზმის უმძიმესმა ეპოქამ ძალზე დააზიანა წმიდა ეკლესია, მაგრამ ამის მიუხედავად ის ერთგულად იდგა ხალხის გვერდით.

1991 წ. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქართველმა ხალხმა სიყვარულით უპასუხა წმიდა ეკლესიას, XXI ს-ის დასაწყისიდან განმტკიცდა მართლმადიდებელი სარწმუნოება, ყოველ დაბა-სოფელსა და ქალაქში აიგო ახალი საეკლესიო ნაგებობები, დაიდო შეთანხმება წმიდა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, რათა განმტკიცდეს ქართველი ერი და მისი წმიდა მართლმადიდებელი სარწმუნოება, ამინ.

დამატება

აფხაზეთის საკათალიკოსო

ისტორია

ქართული ეკლესია, როგორც მეზობელი ბერძნული და სომხური ეკლესიები, შედგებოდა რამდენიმე თავისთავადი საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეულისაგან.

კერძოდ, ქართული ეკლესია შედგებოდა ორი თავისთავადი ე.წ. „სამიტროპოლიტო ოლქისაგან“, ესენი იყვნენ აფხაზეთისა და ქართლის საკათალიკოსოები. მათ აერთიანებდათ საერთო სჯულისკანონი, საეკლესიო კრებათა დადგენილებების უზენაესობა, საერთო საეკლესიო ტრადიციები და საერთო საეკლესიო ქართული ენა.

აფხაზეთს საკათალიკოსო ჩამოყალიბდა ქართული ეკლესიის წიაღში საეკლესიო ადმინისტრაციული მმართველობის გაადვილების მიზნით.

შეცდომაა ამჟამად გაბატონებული თვალსაზრისი, თითქოსდა აფხაზეთის საკათალიკოსო ჩამოყალიბდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წიაღში, შეცდომის წყაროა არასწორი ლოკალიზაცია კონსტანტინოპოლის ლაზიკის ეპარქიის საეპისკოპოსოსა. ამჟამად შეცდომით მიიჩნევა, თითქოსდა ლაზიკის ეპარქიები როდოპოლისისა, საისინისა, ზიგანასა და პეტრასი მდებარეობდნენ დასავლეთ საქართველოში, ჩვენმა კვლევებმა, რომელიც ეყრდნობა ნ. ადონის მტკიცებებს ამ საკითხთან დაკავშირებით, აჩვენა, რომ ლაზიკის საეპისკოპოსოები სინამდვილეში მდებარეობდნენ ამჟამინდელ ლაზისტანში, ანუ ტრაპეზუნტსა და ჭოროხს შუა მდებარე მინანქალზე. კერძოდ, როდოპოლისის კათედრა ამჟამინდელ სუმელას მონასტერთან, ზიგანას ანუ ზიგანევის კათედრა ამჟამინდელ გუმუშხანესთან ჭანიკაში, პეტრას კათედრა ბაიბურდის კლდოვან მხარეში (სხვა იყო ზღვისპირას მდებარე პეტრას ციხექალაქი), საისინი – ასევე გუმუშხანეს მახლობლად. ხოლო დასავლეთ საქართველო, აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად, ქრისტიანობის გავრცელების ეპოქაში, ერთიან კულტურულ პოლიტიკურ ერთეულს ქმნიდა და ქართული წყაროების მიხედვით, მათ ერთიანი ქართული სახელმწიფო აერთიანებდათ, ვიდრე მდ. ეგრისწყლამდე და მდ. კლისურამდე. შესაბამისად, ამ საზღვრებში, დასავლეთ საქართველო არ შედიოდა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში.

ამჟამად გაბატონებული არასწორი თეორიით კი აფხაზეთის საკათალიკოსო, ჩამოყალიბდა თითქოსდა, დასავლეთ საქართველოში მდებარე ბერძნული საეპისკოპოსოებისა და აბაზგიის ეპარქიის გაერთიანების შედეგად.

ჩვენს კვლევაში კი დასტურდება წყაროთა ჩვენება, რომ აფხაზეთის საკათალიკოსო ჩამოყალიბდა ქართული ეკლესიის წიაღში და ეს ფაქტი

დაამტკიცა მეფე ბაგრატმა მე-9 საუკუნეში „ამან განაჩინა კათალიკოზი აფხაზეთს“.

აფხაზეთისა და ქართლის საკათალიკოსოები წარმოადგენდნენ ერთიანი ქართული ეკლესიის ორ ფრთას, რომელთაც ქართველი ერი შუა საუკუნეებში აიყვანეს ძლიერებისა და დიდების სივრცეებში, ამ ფაქტს ღალადებს ყოველი ქართული წყარო.

წყაროთა ცნობებით, აფხაზეთის საკათალიკოსოს ჩამოყალიბების ისტორია ასეთია – ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა არა ერთ რომელიმე კუთხეში, არამედ „ყოველსა ქვეყანასა საქართველოსასა“ („დიდი სჯულისკანონი“, 1975, გვ. 545), ასევე წმიდა ნინომ მოაქცია არა ერთი რომელიმე კუთხის მოსახლეობა, არამედ „ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“ (იქვე, გვ. 546). მაშასადამე, მათ სრულიად საქართველოში იქადაგეს და მთელი ქართველი ერი განანათლეს.

ძველი ქართული საეკლესიო წყაროების ამ ცნობებს მთლიანად ეთანხმებიან IV ს-ის პალესტინელი ეპისკოპოსის გელასი კესარიელისა და V ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსის გელასი კვიზიკელის ცნობები, მათი სიტყვით წმიდა ნინომ მოაქცია იბერებიცა და ლაზებიც (გეორგიკა, I, 1961, გვ. 186), მაშასადამე, მოაქცია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა.

IV ს-ში ჩამოყალიბდა მთელი ქვეყნის მომცველი ერთიანი ქართული ეკლესია ცენტრით მცხეთაში. მის პირველივე მეთაურს რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერით – „ეპისკოპოს-კათალიკოსი“ ანუ საყოველთაო, ზემდგომ ეპისკოპოსი ეწოდებოდა (იქვე, გვ. 546). მცხეთის კათალიკოსის იურისდიქციაში შედიოდა მთელი დასავლეთ საქართველო და მისი ისეთი უკიდურესი ნაწილიც კი როგორც იყო ოფ-რიზე-ათინას რეგიონი, სადაც მცხოვრები ე.წ. „ერთი ხალხი“ პროკოფი კესარიელის სიტყვით „კათალიკოსის“ იურისდიქციაში შედიოდა.

ქადაგებათა შემდგომ დასავლეთ საქართველოში ისევე, როგორც საქართველოს ყოველ ნაწილში ჩამოყალიბდა ათეულობით ეპარქია და საეპისკოპოსო. მათი რიცხვი გასაკუთრებით გაიზარდა VIII-X სს-ში, ამის გამო, წარმოიქმნა საჭიროება, რათა საქართველოს საპატრიარქოში ეპარქიათა მართვის გაადვილების მიზნით ჩამოყალიბებულიყო რამდენიმე საეკლესიო ადმინისტრაციული ოლქი ანუ სამიტროპოლიტო ოლქი. მის მმართველს „უმრწემესი კათალიკოსის“ ტიტული უნდა მინიჭებოდა, რადგანაც „უხუცესი კათალიკოსი“ მცხეთის პირველიერარქს ერქვა.

ძველ საქართველოში საეპარქიო ადმინისტრაციული ერთეულის დაარსების უფლება ეკუთვნოდა მეფეს, ამიტომაც აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსებას ესაჭიროებოდა დასტური სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან და მართლაც, საქართველოს მეფე ბაგრატ ბაგრატიონმა გასცა ამის დასტური. ამიტომაც წერს მემათიანე შემდეგს: „ამან ბაგრატ განაწესა კათალიკოზი აფხაზეთს ქრისტეს აქეთ 830 წელს“ (ქ.ც., 1955, I, გვ. 255). ამის შედეგად იბერიაში ორი თავისთავადი საეკლესიო ერთეული აღმოჩნდა, რასაც აღნიშ-

ნავს კიდევ XII ს-ის ცნობილი კანონისტი, კონსტანტინოპოლის პატრიარქი **ბალსამონი** იბერიაში თავისთავადი „ეკლესიების“ არსებობის შესახებ.

შენიშვნა: საქართველოს ეკლესიაში ტიტული „საქართველოს პატრიარქი“ ეწოდებოდა სრულიად საქართველოს ეკლესიის მეთაურს, ხოლო „კათალიკოზის“ ტიტული ენიჭებოდა სამიტროპოლიტო ერთეულის მეთაურს. კ.კეელიძის კვლევით „კათალიკოზი“ იგივე იყო, რაც ბიზანტიურ ეკლესიაში არქიეპისკოპოსი ან მიტროპოლიტი. მაგ., წყაროს ცნობით, ექვთიმე მთაწმიდელი მიიწვიეს „კვიპროსის კათალიკოზად“, ანუ კვიპროსის ეკლესიის არქიეპისკოპოსად.

წყაროების მიმოხილვა

ა. ბერძნულ-ლათინური წყაროები:

გელასი კესარიელი წერს – „**იმავე ხანაში ღმრთის ცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მდებარე მინა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა, რომელთაც მანამდე ის არა სწამდათ. ამ უდიდესი სიკეთის მიზეზი გახდა ერთი დედაკაცი, რომელიც მათთან იყო ტყვედ**“ (გეორგიკა, I, 1961, გვ. 186).

გელასი კვიზიკელიც ამასვე წერს – „**ამავე დროს პონტოს გასწვრივ მდებარე ქვეყნის მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა ღმრთის სიტყვა, რომელიც მანამდე არ სწამდათ შეინწყნარეს**“ (მიმომხილველი, I, 1926, გვ. 55).

გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის ცნობებს, რომ წმიდა ნინომ მოაქცია ლაზებიც იბერებთან ერთად, ეთანხმება (მართალია მოგვიანო პერიოდის, მაგრამ ეკლესიისათვის ძალზე კომპეტენტური) ლაზიკის მიტროპოლიტ გერმანეს ცნობა, რომ ლაზიკაში მდებარე ოფის (ჰოფის) საეპისკოპოსო კათედრა დააარსა წმიდა ნინომ IV ს-ში, იქამდე, სანამ ის (წმიდა ნინო) ფარავნის გზით იბერიის დედაქალაქ მცხეთაში გადავიდოდა და იქ დააარსებდა საეპისკოპოსოს.

კერძოდ, „**მოხსენებაში, რომელიც ლაზიკის მიტროპოლიტმა გერმანემ 1651 წელს წარუდგინა რუსეთის მეფეს ალექსი მიხეილისძეს აღნიშნულია, რომ ტაძარი ოფისა, (ჰოფის სამიტროპოლიტო კათედრა) – ითვლებოდა დაარსებულად წმიდა ნინოს მიერ. მის შესახებ მიტროპოლიტი გერმანე მრავალგზის აღნიშნავდა – ივერიის მიწა მან განანათლა**“ (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 227). მიტროპოლიტ გერმანეს ცნობით, ლაზიკის საეპისკოპოსო კათედრა დააარსა მან ვინც ივერიის მიწა განანათლა, ე.ი. წმიდა ნინომ, რადგანაც ლაზიკა და იბერია მეფე მირიანის დროს იყო ერთი ქვეყანა და მიტროპოლიტი გერმანე თავის ცნობაში მიუთითებდა: „**ლაზია – საქართველოს ძველი ქვეყანაა**“, „**ძველი ქართული მიწაა**“, „**ივერიის მიწაა**“ (იქვე, გვ. 263).

ბიზანტიურ და სხვა ძველ წყაროებში ისტორიულ საქართველოს ივერიას უწოდებდნენ და მიიჩნეოდა, რომ ის შედგებოდა ორი გეოგრაფიული ნაწილისაგან ქვემო ივერიისაგან (დასავლეთ საქართველოსაგან) და ზემო ივერიისაგან (აღმოსავლეთ საქართველო).

ზემოთ აღნიშნულმა ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქებმა – დოსითეოსმა და ხრისანფიმ XVII ს-ში მოილოცეს ივერიის მინა-წყალი და აღწერეს ის. მათ ეპოქაში აღმოსავლეთ საქართველო დაპყრობილი იყო სპარსელების მიერ (საქართველოს პატრიარქი ევდემოზი აღმოსავლეთ საქართველოს მუსულმანმა მმართველმა სასტიკი წამებით მოკლა), ამის გამო აღმოსავლეთ საქართველოში ეკლესია დაემცრო, ამიტომაც სუვერენული დასავლეთ საქართველოს ქრისტიან მეფეებს იმჟამად, სრულიად საქართველოს მეფეებად წარმოედგინათ თავიანთი თავი, ასევე აფხაზეთის კათალიკოსები თავიანთ თავს (მუსულმანთა ბატონობის ეპოქაში) სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქებს უწოდებდნენ, რაც იყო დროებითი მოვლენა აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიან ხელმწიფეთა ტახტის აღდგენამდე. შემდგომ მცხეთის კათალიკოსს კვლავ „უხუცესს პატრიარქს“, ხოლო აფხაზეთისას „უმრწმესს“ უწოდებდნენ. აღნიშნული გარემოების გამო ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქი წერს: „იბერიაში ორი ავტოკეფალური არქიეპისკოპოსია, რომელთაც ქართველები უწოდებენ კათალიკოსებს. ქვემო იბერიას, რომელსაც ძველად კოლხეთს და ლაზიკას უწოდებდნენ, აქვს ეპარქიები იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთში, სვანეთსა და მესხეთის ნაწილში. ზემო და ქვემო იბერიას შორის საზღვარი არის ქედი, რომელიც კავკასიის მთებში იწყება, ქართულად ქულფარგი ეწოდება, ქვემო იბერიის კათალიკოსი პატივით უფრო მეტია ზემო იბერიის კათალიკოსზე... იბერები ქვემო იბერიის კათალიკოსს მიიჩნევენ უფროს კათალიკოსად, რადგანაც მეფე, ე.ი. იმერეთის თავი, მათთან იწოდება მთელი იბერიის მეფეთა-მეფედ“ (დოსითეოსი, იერუსალიმელი პატრიარქები, თავი V, გვ. 510, წიგნიდან: „სარდელი მიტროპოლიტი მაქსიმი, ქართული ეკლესია და მისი ავტოკეფალია. თეოლოგია, ათენი, 1966 წ.).

ხოლო მეორე პატრიარქი ხრისანფი ამბობს: „საქართველოში, რომელსაც ადრე იბერია ერქვა, იყო ორი ავტოკეფალური არქიეპისკოპოსი, რომელთაც ჩვეულების თანახმად უწოდებენ კათალიკოსებს და არა არქიეპისკოპოსებს. ასე მათ მარტო ქართველები უწოდებენ. ამათგან ერთი, ე.ი. არქიეპისკოპოსი ქვემო იბერიისა, იწოდება იმერეთის, ოსეთის, გურიის და სრულიად ქვემო იბერიის უნეტარეს კათალიკოსად, ანუ მარტივად, სრულიად იბერიის უნეტარეს კათალიკოსად, როგორც უფროსი ზემო იბერიის კათალიკოსზე. ხოლო მეორე, ე.ი. ზემო იბერიისა, იწოდება ქართლის, კახეთის, ალვანეთის და სრულიად ზემო იბერიის უნეტარეს კათალიკოსად... რომელი იმპერატორის დროს, ან რომელ კრებაზე გახდა ის საარქიეპისკოპოსო, ჩვენ ზუსტად ვერ დავადგინეთ, მაგრამ 26 ივნისის სვინაქსარში ვპოულობთ, რომ იოანე, გოთეთის ეპისკოპოსი, ხელდასხმული იქნა იბერიის კათალიკოსის მიერ, რადგანაც რომაულ ქვეყნებში ბატონობდა ხატმებრძოლთა ერესი, ასე რომ, როგორც ჩანს, ერეკლეს შემდეგ ისავრამდე ქვემო იბერია საარქიეპისკოპოსო გახდა“... (დოსითეოსი, იერუსალიმელი პატრიარქები, თავი V, გვ. 510, წიგნიდან: „სარდელი მიტროპოლიტი მაქსიმი, ქართული ეკლესია და მისი ავტოკეფალია. თეოლოგია, ათენი, 1966 წ.).

ბერძნულ-ლათინური და ბიზანტიური წყაროების ზემოთ აღნიშნული მი-

თითებებიდან ნათლად ჩანს, რომ წმიდა ნინოს ეპოქიდან ლაზიკა, დასავლეთ საქართველო აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად ქმნიდა ერთიან ეკლესიას და არა ორ ეკლესიას, როგორც ეს წარმოუდგენია ზოგიერთ მეცნიერს, რომელთა შეხედულებასაც აკრიტიკებდა ივ. ჯავახიშვილი.

ამ კუთხით უნდა განვიხილოთ **პროკოფი კესარიელის** ცნობა ოფ-რიზე-ათინას რეგიონში მცხოვრები ე.წ. „ერთი ხალხის“ შესახებ, რომელიც „კათალიკოსის“ იურისდიქციაში შედიოდა, ამ რეგიონში, 1651 წლის ცნობით, ივერიის განმანათლებელს საეპისკოპოსო კათედრა დაუარსებია IV საუკუნეში. ეს ის ტერიტორიაა, რომელზე მცხოვრები ძიდრიტების ტომი იბერიის მეფე ფარსმანს ემორჩილებოდა I საუკუნეში არიანეს ცნობით. შესაბამისად, ეს მიწა-წყალი იბერიის სამეფოსთან იყო დაკავშირებული, ამიტომაც პროკოფი კესარიელის მიერ ნახსენები „კათალიკოსი“ ქართლის კათალიკოსია.

VI ს-ის ბოლოსათვის, ე.წ. ლაზიკისათვის ომების შემდეგ, ეს მიწა-წყალი დაკარგა ქართლის სამეფომ და შესაბამისად „ერთი ხალხი“ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზთა ეპისკოპოსების იურისდიქციაში შეიყვანეს, რომელთა კათედრები ნადონცის კვლევით გუმუშხანე-სუმელას რეგიონში მდებარეობდნენ ოფ-რიზესთან ახლოს, დანარჩენი დასავლეთ საქართველო კათალიკოსის იურისდიქციაში დარჩა.

VII-VIII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის განმტკიცების კვალდაკვალ გაიზარდა ქართულ საეპისკოპოსოთა რიცხვი, რამაც დაბადა საჭიროება უკვე ძალზე გაზრდილი ქართლის საკათალიკოსოს მართვის გაადვილების მიზნით დასავლეთ საქართველოში დაარსებულიყო ადგილობრივი ქართული საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული, მას დაერქვა აფხაზეთის საკათალიკოსო.

ზოგადქართული ეკლესიის ერთერთი საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეულის მეთაურს „კათალიკოსის“ ტიტული მიანიჭა ქართულმა სამეფო ხელისუფლებამ, წყარო წერს „830 წელს ამან ბაგრატი განანესა კათალიკოსი აფხაზეთს“.

ამ ფაქტს ეხმიანება ცნობილი ბიზანტიელი კანონისტი **ბალსმონის** ცნობა „**იბერიაში ეკლესიების**“ (ე.ი. ორი თავისთავადი ეკლესიის) არსებობის შესახებ. საქმე ისაა, რომ დასავლეთ საქართველოს ბიზანტიურ სამყაროში „ქვემო იბერიას“ უწოდებდნენ. ამ მხრივ ბალსამონის ცნობა ძალზე მნიშვნელოვანია.

ბ. ქართული წყაროები:

საკითხი, იმის შესახებ, რომ ძველი ქართული წყაროების თანახმად, დასავლეთ საქართველო გაქრისტიანებისთანავე შედიოდა ზოგადქართული ეკლესიის ნიაღში, მიმოიხილა ივ. ჯავახიშვილმა, ის წერს: „**გიორგი მთაწმიდელი და განსაკუთრებით ეფრემ მცირე, რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების ყველა სულისჩამდგმელი ამტკიცებენ, რომ ანდრია მოციქულმა იქადაგა „ყოველსა ქვეყანასა საქართველოჲსასა“ ხოლო შემდეგ ქრისტიანობა კვლავ აღადგინა წმიდა ნინომ, რომლის სასწაულმოქმედებამ და ქადაგებამ „მიიზიდა ყოველი სავსება ყოვლისა ქართველთა ნათე-**

სავისა“. ნიკოლოზ კათალიკოსიც წმიდა ნინოს საერთო მოციქულად და განმანათლებლად სთვლიდა „ჩვენ ქართველთაჲსა“, ერთი სიტყვით, ანდრია მოციქულიც და წმიდა ნინოც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი, საქართველოს სხვადასხვა ნაწილების ცალკე მქადაგებლების გამოძებნის სურვილიც არ ჰქონიათ, რადგან ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს გამტკიცებისა და აღორძინებისათვის იღწვოდნენ“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, გვ. 47).

ივანე ჯავახიშვილის დასკვნით, საქართველოს ეკლესიაში ერთადერთი თვალსაზრისი იყო დაცული, რომ ჩამოყალიბებისთანავე საქართველოს წმიდა ეკლესია თავის იურისდიქციას ავრცელებდა მთელი ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის ცხადია აფხაზეთზეც, ვითარცა მის განუყოფელ და ძირითად ნაწილზე.

მას შემდეგ რაც რუსეთის იმპერიამ XIX ს-ში გააუქმა ეკლესიის ავტოკეფალია, ფართო გასაქანი მიეცა თეორიებს ქართული ეკლესიის კიდევ უფრო დასაკნინებლად, განსაკუთრებით XX ს-ში ათეისტების ბატონობისას. ამ დროს ჩამოყალიბდა მტკიცება, თითქოსდა დასავლეთ საქართველო IV საუკუნიდან X საუკუნემდე 500-600 წლის განმავლობაში იმყოფებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში და მხოლოდ X ს-ის შემდგომ ის დაექვემდებარა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციას. თითქოსდა იქამდე დასავლეთ საქართველოში არსებობდა კონსტანტინოპოლის იურისდიქციის ქვეშ ფაზისის (ფოთის) სამიტროპოლიტოში შემავალი როდოპოლისის (ვარციხის), საისინის (ცაიშის), პეტრას (ციხისძირის), ზიგანევის (გუდაყვა) ბერძნულენოვანი საეპისკოპოსოები, ასევე აფხაზეთის (აბაზგიის) ავტოკეფალური ეკლესია და თითქოსდა ისინი გააუქმა ქართულმა ეკლესიამ და მათ ნაცვლად იქ დაარსა თავისი საეპისკოპოსოები. ასეთია ამჟამინდელი ისტორიოგრაფიის ზოგიერთი წარმომადგენლის მტკიცება, რასაც იმეორებენ აფხაზეთში მოკალათებული საეკლესიო სეპარტისტებიც.

ივანე ჯავახიშვილი ასეთი თეორიის მომხრეებს შემდეგ შეფასებას აძლევდა – **„ეს არის ქართველ სახელოვან მეცნიერთა მიერ შექმნილისა და მთელი ქართველი ერისაგან შესისხლხორცებული შემეცნების მოსპობა“** (იქვე, გვ. 97). „სახელოვან მეცნიერებს“ კი ის უწოდებდა ზემოთ აღნიშნულ გიორგი მთაწმიდელს, ეფრემ მცირეს, რუის-ურბნისის კრების წმიდა მამებსა და ნიკოლოზ კათალიკოსს სხვა უძველეს მოღვაწეებთან ერთად.

მტკიცება იმისა, რომ დასავლეთ საქართველო 500-600 წლის მანძილზე კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდა ეწინააღმდეგება ქართულ საეკლესიო ისტორიოგრაფიაში მიღებულ დებულებებს, საეკლესიო კრებათა დადგენილებებს, საერთოდ კი ქართველ წმიდა მამათა, ისტორიკოსთა და მემკვიდრეთა ტრადიციულ თვალსაზრისს ამ საკითხზე.

აფხაზეთის საკათალიკოსო აღმოცენდა ქართული ეკლესიის წიაღში, ქართველ მეფეთა და პირველიერარქთა ნებით ეკლესიის ადმინისტრაციული მმართველობის გასაადვილებლად, და ის ყოველთვის იყო ერთ-ერთი ადმინისტრაციულ-საეკლესიო ოლქი ზოგადქართული ეკლესიისა.

გ. სომხური წყაროები:

იოანე სომეხთა კათალიკოსის ცნობის თანახმად, კირიონ I საქართველოს ეკლესიის მამათავარი-კათალიკოსი, ამასთანავე, იყო ეგრისის არქიეპისკოპოსი.

899 წლიდან სომხეთის კათალიკოსად დადგენილი იოანე წერდა ქართლის კათალიკოს კირიონ I-ის შესახებ, რომ ის იყო მამამთავარი **„იბერიელთა, გუგარელთა და ეგრისელთა ადრინდელი წესის შესაბამისად“** (იოანე კათალიკოსის მათიანე, 1912, გვ. 65, წიგნიდან პ. ინგოროყვა, გ. მერჩულე, გვ. 243).

დასავლეთ საქართველოს, როგორც ცნობილია, კირიონ I კათალიკოსის დროს, ე.ი. VI ს-ის ბოლოსა და VII ს-ის დასაწყისში, ეგრისი ეწოდებოდა. ამ ეპოქაში ეგრისი ე.ი. დასავლეთ საქართველო, იოანე სომეხთა კათალიკოსის ამ ცნობით, შედიოდა მცხეთის იურისდიქციაში, რადგანაც კირიონი – მისი მამამთავარი იყო და თანაც **„ადრინდელი წესის შესაბამისად“**. კირიონის წინა **„ადრინდელი“** ხანა, ცხადია უნდა იყოს V ს. და VI ს-ის პირველი ნახევარი. მაშასადამე, V, VI და VII სს-ში იოანე კათალიკოსის ცნობის ანალიზი აჩვენებს, რომ დასავლეთ საქართველო არა კონსტანტინოპოლის არამედ მცხეთის იურისდიქციაში შედიოდა.

დასავლეთ საქართველოსთან ერთად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოც (ლაზიკა) გაქრისტიანებისთანავე ზოგადქართულ იურისდიქციაში რომ შედიოდა მიუთითებს მოვსეს ხორენაცი (V ს-ის ავტორი). ის წერს, რომ კლარჯეთი (ანუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო), მოაქცია წმიდა ნინომ, რომელმაც იქადაგა აქედან ვიდრე კასპიის ზღვიპირეთამდე – **„სანატრელი ნუნე წავიდა იქედან, რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით ქართველთა ქვეყნის სხვა კუთხეებიც დაემოძღვრა... გავბედავ და ვიტყვი, რომ ნუნე მოციქული ქალი გახდა, მან იქადაგა სახარება კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარებამდე, მასქუთთა საზღვრებამდე, როგორც ამას აგათანგელოზი გაუწყებს შენ“** (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ. 172).

მაშასადამე, არა მარტო მოვსეს ხორენაციის, არამედ აგათანგელოზის ცნობითაც წმიდა ნინოს უქადაგნია შავი ზღვიდან (კლარჯეთიდან), ვიდრე კასპიის ზღვამდე (მასქუთებამდე).

აღნიშნულ იოანე კათალიკოსის, მოვსეს ხორენაციისა და აგათანგელოზის ცნობებს კიდევ უფრო ამტკიცებს უხტანესი.

ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცნობილი სომეხი ისტორიკოსის უხტანესის ცნობები, რომელიც აღწერდა კავკასიის ეკლესიის ისტორიას VIII-X სს. უხტანესი თანამედროვე იყო მის მიერ აღწერილი ამბებისა.

უხტანესი ეხება და აღწერს აფხაზეთის ეთნიკურ სახეს, ამიტომაც მის ცნობას კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება დასავლეთ საქართველოს ისტორიის კვლევას.

კერძოდ, უხტანესი წმიდა შუშანიკის ღვანლის აღწერის დროს ამბობს – **„მსგავსი გახდა ნუნე მოციქულისა, როცა მოეფინა მისი ქადაგება მთელს ქართველთა ქვეყანას“** (უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, 1975, გვ. 201).

უხტანესი „ქართველთა ქვეყნის“ არეალში დასავლეთ საქართველოს, კერძოდ კი აფხაზეთს რომ გულისხმობდა, ამის შესახებ თვითონვე წერს. კერძოდ, მისი თვალსაზრისით შავი ზღვის სანაპიროზე იბერები ნაბუქოდონოსორმა დაასახლა, სადაც იბერიელები გამრავლდნენ, იქცნენ დიდ ხალხად და მათ ქვეყანას ამჟამად „აფხაზეთი“ ეწოდებაო – წერს უხტანესი. მაშასადამე, მისი აღწერით – აფხაზეთი – ივერიელი ხალხით იყო დასახლებული ნაბუქოდონოსორის ეპოქიდან ვიდრე უხტანესამდე. კერძოდ, უხტანესი ასე აღწერს ამ ამბავს „ძველი ისტორიკოსების“ ცნობაზე დაყრდნობით:

„ივერიელთა ტომების ნაწილი ნაბუქოდონოსორმა დაასახლა პონტოს ზღვის მარჯვენა სანაპიროზე – „ტომი აღორძინდა, გამრავლდა, ზღვის პირას აქეთ-იქით, მოედო იმ მხარეს და გავრცელდა სომეხთა და აღბანთა საზღვრამდე, შეიქმნა ფრიად მრავალი ხალხი და იმ ქვეყანას აფხაზეთი ეწოდება. ურიცხვია სახელი თვითოეული გავარისა, ... ითესლეს და გამრავლდნენ და გახდა ტომი, რომელსაც თავის პირველ ქვეყანაში ივერიას უწოდებდნენ, აქ კი ქართველნი ეწოდებათ. ტომითაც, ენითაც, დამწერლობითაც, მამამთავრობითაც და მეფობითაც განმტკიცდნენ, ხოლო გამოჰყო, გამოაცალკევა და განაშორა ჩვენგან კირიონ სკუტრელმა“ (უხტანესი, გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, 1975, გვ. 67).

მაშასადამე, უხტანესი, IX-X სს-თა ავტორი, აღწერდა თუ რომელ ქვეყანას ეწოდებოდა აფხაზეთი, რომელი ხალხითა იყო ის დასახლებული და თუ ვინ იყო მათი ყველაზე გამორჩეული კათალიკოსი, რომელმაც ეს ხალხი განაშორა სომხურ ეკლესიას. კერძოდ, აფხაზეთი, მისი თქმით, ქართველებით იყო დასახლებული, და ისინი კირიონმა განაშორა სომხური ეკლესიისაგან. ამ პირველხარისხოვანი წყაროს მითითებითაც კირიონი იყო დასავლეთ საქართველოს მამამთავარი.

საინტერესოა, რატომ არ გამოიყენეს უხტანესის ეს ცნობა აფხაზეთის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსებმა XX ს-ის სეპარატისტების მიერ აღძრული კონფლიქტების დროს.

ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია საეკლესიო სამართალის მიხედვით

აფხაზეთის საკათალიკოსო, ისტორიულად ქართული ეკლესიის ერთ ნაწილს წარმოადგენდა, რომლის მეორე ნაწილი იყო ქართლის საკათალიკოსო.

ზოგად ქართული ეკლესიის მთლიანობა მიიღწეოდა საერთო საეკლესიო სამართლით, საერთო სჯულისკანონით, საერთო ქართული საღვთისმსახურეო ენით, საერთო ტრადიციებითა და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის საერთო მეთაურობით.

აფხაზეთისა და ქართლის პირველიერარქთა შორის ერთს უხუცესი, ხოლო მეორეს უმრწემესი ეწოდებოდა.

ერთიან ქართულ ეკლესიაში წოდება „კათალიკოსი“ შეესაბამებოდა ბერძნული საპატრიარქოების „მიტროპოლიტის“ წოდებას. როგორც ბერძნული საპატრიარქოს მიტროპოლიტს უშუალოდ ექვემდებარებოდნენ თავისი ეპის-

კოპოსები, ასევე ქართლის კათალიკოსს ექვემდებარებოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები, ხოლო აფხაზეთის კათალიკოსს დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები, ორივე ეს საკათალიკოსო ერთიანი ქართული ეკლესიის მხოლოდ საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეულები (სამიტროპოლიტო ოლქები) იყვნენ. როგორც ითქვა, მათი ზემდგომი საეკლესიო ინსტიტუტი იყო საერთო სჯულისკანონის და საეკლესიო სამართლის შემმუშავებელი ადგილობრივი საეკლესიო კრებები. პატრიარქის მოვალეობა იყო უზუნველყო სრულიად საქართველოს ეკლესიაში (ე.ი. ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოებში) საერთო სჯულისკანონის დაცვა.

აფხაზეთისა და ქართლის კათალიკოსთა მონაწილეობით საეკლესიო კრებების მიერ გამოცემულ კანონებს მთელს საქართველოში (ცხადია აფხაზეთშიც) სავალდებულოდ აღსასრულებელი ძალა ენიჭებოდა (მათ შორის სამოქალაქო სამართლის სფეროშიც). მაგ., XVI საუკუნის საეკლესიო სამართლის ძეგლში, რომელსაც „სამართალი კათალიკოსთა“ ეწოდება, ნათქვამია: „ქ. სახელითა და ღვთისათა: მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზმან-პატრიარქმან მალაქია, მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან აფხაზეთის კათალიკოზმან მამათმთავარმან ევდემონ, დავსხედით და შევკრიბენით ყოველნი ეპისკოპოზნი აფხაზეთისანი ...დავიდევით სჯულისკანონი და ჩვენცა იმისგან გამოვიღევით... და სჯულისკანონიცა ასრე ბრძანებს“... (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I. 1963, გვ. 393-397).

აფხაზეთის საკათალიკოსოს ამ საეკლესიო კრებამ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მეთაურობით გამოსცა 15 კანონი. ამ კრების კანონები სავალდებულოდ აღსასრულებელი იყო მთელი საქართველოს ტერიტორიაზე, თუმცა ის აფხაზეთში იქნა მიღებული და ისინი აფხაზეთის საკათალიკოსოს ეპისკოპოსებმა დაამტკიცეს, ესენი იყვნენ ქუთათელი, გენათელი, ჭყონდიდელი, ბედიელი, მოქველი, დრანდელი, ცაგერელი, ხონელი, ნიკორწმიდელი, ცაიშელი (ჩიშელი) ეპისკოპოსები.

„უხუცეს“ პირველიერარქად ანუ „საქართველოს პატრიარქად“, როგორც ნესი, ირჩევდნენ მცხეთელ კათალიკოსს, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში ბიჭვინთელ ანუ აფხაზთა კათალიკოსს გადაეცემოდა ეს ტიტული („საქართველოს პარტიარქი“).

ათეისტური ეპოქის შეხედულებანი აფხაზეთის საკათალიკოსოს შესახებ

ათეისტურ ეპოქაში, გაუქმებული იყო საქართველოს სახელმწიფოებრიობა და ის შეადგენდა ერთ-ერთ ნაწილს ჯერ რუსეთის შემდგომ კი, საბჭოთა იმპერიებისა. ამ დროს რუსეთის საიმპერატორო კარმა უკანონოდ გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. ქართველი ხალხი თითქმის ერთი საუკუნე იბრძოდა ავტოკეფალიის დაბრუნებისათვის, რაც მართლაც, მოპო-

ვებული იქნა, მაგრამ, ხალხზე მისი გავლენის შესამცირებლად მიზანმიმართულად აყალბებდნენ ეკლესიის ისტორიას, რათა ის ცალკეულ ნაწილებად დაეშალათ.

შესაბამისად, საბჭოთა ეპოქის ისტორიოგრაფია ყოველმხრივ უკეთებდა იგნორირებას ზემოთ აღნიშნულ ბერძნულ-ლათინურ, ქართულ-სომხურ და სხვა წყაროებს, რომლებიდანაც ნათლად ჩანს, რომ დასავლეთ საქართველო გაქრისტიანებისთანავე ერთიანი ქართული ეკლესიის ნაწილს წარმოადგენდა, თუმცა კი, საბჭოთა ეპოქის ისტორიოგრაფიამ წარმოადგინა დასავლეთ საქართველოში ეკლესიის ისტორიის თავისებური, მაგრამ, არასწორი სქემა.

აღნიშნული ისტორიოგრაფიის მიხედვით, თითქოსდა, X ს-მდე დასავლეთ საქართველო შედიოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში, თითქოსდა, ქუთაისში, ფოთსა და დასავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებში არსებობდა ბერძნულენოვანი საეკლესიო კათედრები 500-600 წლის მანძილზე, ვიდრე IX-X სს-მდე.

საქართველოს ეკლესია „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ თანახმად, არღვევდა უმთავრეს საეკლესიო კანონებს და კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იჭრებოდა.

ენციკლოპედია წერს: „დასავლეთ საქართველოში გაბატონდა ქართული ეკლესია და მღვდელმსახურებაც ქართულ ენაზე სრულდებოდა, რამაც დიდად შეუწყო ხელი დასავლეთ საქართველოში „ქართიზაციის“ პროცესს“ (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. „საქ. სსრ“, 1981 წ., გვ. 61).

„ქართული“ ეკლესიის „გაბატონებამდე“ დასავლეთ საქართველოში, ჩვენი ისტორიკოსების მტკიცებით, თურმე არსებობდა **ეგრისისა და აფხაზეთის ეკლესიები**, რომლებიც იმყოფებოდნენ კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში, ისინი შემდგომ გაერთიანებულან კონსტანტინოპოლის იურისდიქციაშივე, IX ს-ში მცხეთის საკათალიკოსოს „გაბატონების“ შედეგად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაუკარგავს მთელი დასავლეთ საქართველოს მომცველი ეს მნიშვნელოვანი სამიტროპოლიტოები და საეპისკოპოსოები. საბჭოთა ისტორიკოსი წერს:

თუ როგორი რეაქციული იყო „ქართული ეკლესიის“ ეს „პროზელიტიზმი“ ანუ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში შეჭრა – ამის შესახებ ჩვენი ოფიციალური ისტორიოგრაფია წერს:

„ქართველები აქედან სდევნიან ბერძნულ ენას, ბერძნულ ვინრო ეროვნულ კულტურას, შემოაქვთ და ავრცელებენ საკუთარ, ქართულ ენას, ქართულ ღვთისმსახურებას და ქართულ საეკლესიო-სამონასტრო წესებს. ქართულ კულტურას თან მოჰქონდა ქართული პოლიტიკური შეგნება და იდეალი, ასე რომ მცხეთა ჯერ ენობრივად (ეთნიკურ ელემენტებზე დაყრდნობით) შეიჭრა ლიხთ-იმერეთში, ხოლო შემდეგ, როგორც ჩანს, ეს საინტერესო ფორმულა წამოაყენა თავისი ორგანიზაციული გაბატონების დასაფუძნებლად – „ქართლია“ იქ, სადაც მღვდელმსახურება ქართულ ენაზეა (მხოლოდ „კვირიელისონი“ შეიძლება ბერძნულად). მი-

რონის კურთხევა „ქართლს“ განეწესება. მაშასადამე, ქართლს ნაკურთხი მირონი სავალდებულოა ყველა იმ ეკლესიისათვის, სადაც მღვდელმსახურება ქართულ ენაზეა. ცხადია, მცხეთის საკათალიკოსოს მხრივ ეს არის კანონიკური საფუძვლების დაცვით კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა ლიხთ-იმერეთის ეკლესიაზე ორგანიზაციულად გაბატონების მიზნით“ (თ. პაპუაშვილი. ადრეფეოდალური ხანის ქართული ლიტურგია და საისტორიო მწერლობა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II, თბილისი, 1973, გვ. 574-601).

„ეს საეკლესიო რეფორმა, ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით, საბოლოოდ X ს-ში სრულდება (საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1973, გვ. 427).

საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც საქართველოში ქრისტიანობის ოც საუკუნეს ეძღვნებოდა, ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი დ. მუსხელიშვილი წარდგა მოხსენებით, „ქართული ეკლესია და სახელმწიფო ტერიტორია შუა საუკუნეებში“, სადაც ბრძანა: „ქართული ეკლესიის კულტურულ-იდეოლოგიური პროზელიტიზმი წინასწარ ქმნიდა მკვიდრ ნიადაგს პოლიტიკური პროცესების წარმატებით განვითარებისათვის“ (დ. მუსხელიშვილი, 2005, გვ. 33).

საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსები დასავლეთ საქართველოს იურისდიქციასთან დაკავშირებით ეყრდნობიან მხოლოდ ე.წ. „ნოტიციებს“ (კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოთა ნუსხებს). რაც საკმარისი არ არის, რადგანაც ნოტიციებში მართალია ჩამოთვლილია ლაზიკის საეპისკოპოსოები, მაგრამ არ არის მითითებული მათი ადგილმდებარეობა.

მაგალითად, მითითებულია ფასიდის სამიტროპოლიტოს როდოპოლისის, საისინის, პეტრასა და ზიგანას კათედრების შესახებ, მაგრამ არ არის მითითებული კონკრეტულად სად მდებარეობდნენ ეს საეპისკოპოსო ქალაქები.

ეს კათედრები სად მდებარეობდნენ ტრაპეზუნტის რეგიონში თუ სხვაგან სადავოა ბოლო ორი საუკუნის მანძილზე.

კერძოდ, საერთაშორისოდ აღიარებული მეცნიერი – პროფესორი **ნ. ადონცი, თავის მრავალრიცხოვან შრომებში ერთმნიშვნელოვნად მიუთითებდა, რომ აღნიშნული ფასიდის სამიტროპოლიტოს როდოპოლისის, საისინის, პეტრასა და ზიგანას კათედრები მდებარეობდნენ ტრაპეზუნტ-არზრუმ-ზიგანას რეგიონში, რომელსაც ლაზიკა ერქვა.**

მიუხედავად ამისა, ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში წყაროს პირდაპირი მითითების გარეშე დამკვიდრდა თვალსაზრისი, რომ აღნიშნული კათედრები მდებარეობდნენ დასავლეთ საქართველოში.

ეს მოსაზრება ამჟამად კვებავს სხვადასხვა სეპარატისტულ დაჯგუფებებს.

ქართული, სომხური, ბერძნულ-ლათინური და ბიზანტიური წყაროები სხვას მიუთითებენ ისევე, როგორც მონაცემები კულტურის სფეროდან.

დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კულტურა I ათასწლეულში

დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კულტურა I ათასწლეულში ქართულია და არა ბიზანტიური.

ცნობილი ისტორიკოსი ნ. ლომოური დარწმუნებულია, რომ დასავლეთ საქართველო „ყველა არსებულ წყაროთა მონაწილით, ვიდრე IX ს-მდე რჩებოდა ეკლესიურად კონსტანტინოპოლის პატრიარქზე დაქვემდებარებულად“ (ნ. ლომოური, საქართველოსა და ბიზანტიის კულტურულ ურთიერთობათა ზოგიერთი ასპექტი, კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული, XIV, 2011, გვ. 124).

მიუხედავად ასეთი შეხედულებისა, ის ვერ გაექცა ფაქტებს და აღიარებს, რომ დასავლეთ საქართველოში ამ პერიოდის ქრისტიანული კულტურა ქართულია და არა ბიზანტიური.

თუ დასავლეთ საქართველო IV ს-დან IX ს-დე, თითქმის, 500 წლის მანძილზე, კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდა ეს ფაქტი უნდა აესახა საეკლესიო არქიტექტურასა და კულტურას.

საბედნიეროდ, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო არქიტექტურა და ქრისტიანული კულტურა მიუთითებს არა ამ რეგიონის ბიზანტიური ეკლესიის წიაღში ყოფნის შესახებ არამედ ქართულისა.

დამახასიათებელი არქიტექტურული ელემენტებით დასავლეთ საქართველოს ბაზილიკები (**ბიჭვინთა, ციხისძირი, ნოქალაქევი, სეფიეთი**) ეთანადებიან ზოგადქართულ საეკლესიო სტილს და არა ბიზანტიურს. კერძოდ, ნ. ლომოური ამის შესახებ წერს:

1) სამნავიანი ბაზილიკები საქართველოში განსხვავდებიან ბიზანტიურისაგან, რადგანაც მათ არქიტექტურულ სახეს აქვთ ბიზანტიურისაგან განსხვავებული მკვეთრად გამოხატული თავისებურება და განსხვავდებიან ამ ტიპის საყდრების კლასიკური ნიმუშისაგან (მაგ. შუა ნავი შედარებით მოკლეა, არა აქვს სვეტების რიგი, გვერდითი ნავეები ვიწროა და სხვა). „ნიშანდობლივია, რომ ჩამოთვლილი ელემენტები მჟღავნდება დასავლეთ საქართველოს ბაზილიკებზეც (**ბიჭვინთა, ციხისძირი, ნოქალაქევი, სეფიეთი**)... უფრო მეტიც, სამნავიანი ბაზილიკის ასეთი თავისებურებები ახასიათებს ციხისძირში (ანუ ძველ პეტრაში) გამოვლენილ ეკლესიებსაც“ (იქვე, გვ. 124)

2) სამნავიანი ბაზილიკების გარდა საქართველოში ჩამოყალიბდა უგუმბათო ტაძრის სრულიად განსხვავებული სახეობა ე.წ. „სამეკლესიანი ბაზილიკები“ (ერთ ბაზილიკაში მოქცეულია სამი ნავი, რომელიც ერთმანეთისაგან გაყოფილია კედლებით, სამივე ნავს აქვს საკუთარი საკურთხეველი და აქვს სხვა ორიგინალური ნიშნები, უცნობი ბიზანტიური არქიტექტურისათვის. „ასეთი „სამეკლესიანი ბაზილიკები“ ერთდროულად გამოჩნდა აღმოსავლეთ საქართველოში და ძველი აფხაზეთის ტერიტორიაზედაც – ძველი გაგრის ეკლესია“ (იქვე, გვ. 125).

3) „თითქმის სრულ დამოუკიდებლობას ბიზანტიური საეკლესიო ხუროთმოძღვრებისაგან ამჟღავნებენ ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძრები, რომელ-

თაც ვ. ბერიძის სიტყვით განვლეს განვითარების თავისებური გზა, მარტივიდან რთულისაკენ, ძველი გავაზისა და თბილისის ქვაშვეთის უბრალო ტეტრაკონქიდან მცხეთის ჯვრისა და მისი ტიპის რთული აღნაგობას ძეგლებამდე. ეს ტიპი არის ქართული ხუროთმოძღვრების ორიგინალური ქმნილება, რომელიც შემდგომ სომხეთშიც გავრცელდა, მაგრამ ბიზანტიის სხვა პროვინციებში მას არ ეძებნება პარალელები. მათ წინამორბედს საქართველოში წარმოადგენს საცხოვრებელი ნაგებობების დარბაზული ფორმა. ამ ტიპის ნაგებობებია – ატენის სიონი – ქართლში, ძველი შუამთა კახეთში, მარტვილის ღვთისმშობლის ტაძარი – ოდიშში, ჩამუსი ტაოში“ (იქვე, გვ. 125) ე.ი. **მარტვილის ტაძარი ქართული და არა ბიზანტიური სტილისაა.**

4) „დამოუკიდებელი არქიტექტურული მიმართულება“ დამახასიათებელი ისეთი ტაძრებისთვის, როგორცაა სვეტიცხოველი, **ბაგრატი**, ალავერდი, იშხანი, ბანა, ხახული და ა.შ. ყველა ამათი საფუძველი იყო, ადგილობრივი, საუკუნეთა განმავლობაში თანდათან შემუშავებული ეროვნული წარმომავლობის თავისებურებანი. ეს დასკვნა ვრცელდება აფხაზეთში აგებულ ისეთ ეკლესიებზე, როგორცაა **ბზიფის, ანაკოფიის, ლიხნის, მოქვის, გაგრის ეკლესიები**“ (იქვე, გვ. 125).

ე.ი. ბაგრატის, ბზიფის, ანაკოფიის და სხვა დასავლეთ საქართველოს ტაძრები „საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებული ეროვნული არქიტექტურული თავისებურებანი“ ყოფილა. ამით ისინი განსხვავდებიან ბიზანტიურისაგან.

არქიტექტურულად დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო ხელოვნება ერთ მთლიანობას წარმოადგენდა, რაც შედეგი იყო ერთიანი ქართული საეკლესიო იურისდიქციისა.

მაშასადამე არქიტექტურული ფაქტებით დასტურდება ძველ ქართველ მემკვიდრეთა ცნობები, რომ დასავლეთ საქართველო არ ყოფილა ბიზანტიურ საეკლესიო იურისდიქციაში. ამას მიუთითებს **ბიჭვინთის, ციხისძირის, ნოქალაქევის, სეფიეთის, გაგრის, მარტვილის, ბაგრატის, ბზიფის, ლიხნის, მოქვის და სხვა საეკლესიო არქიტექტურა.**

ბიჭვინთის მოზაიკის შესახებ იგივე შეიძლება ითქვას. ის „არ ნახულობს არსად ანალოგს გარდა საქართველოსი, რაც აძლევს მკვლევარებს საფუძველს ეს მოზაიკა მიაკუთვნონ ამ დარგის ადგილობრივ სკოლას“ (იქვე, გვ. 123)

ეს საეკლესიო ხელოვნება არ ადასტურებს იმ თვალსაზრისს თითქოსდა აფხაზეთის ბიჭვინთაში იყო ბიზანტიელი ეპისკოპოსის რეზიდენცია. ადგილობრივი კულტურის ელემენტები დადასტურდა **ბიჭვინთის ეკლესიის ნანგრევებში**“ (IV-VI სს.) მხედველობაშია მოზაიკები, რომელნიც ავლენენ ადგილობრივ ხელოვნებასთან მჭიდრო კავშირს“ (იქვე, გვ. 123).

სინამდვილეში ბიზანტიური საეპისკოპოსო კათედრა და რომაული გარნიზონები იდგა ტრაპეზუნტის რეგიონში მდებარე პიტია-პიტიუნტში, ხოლო **აფხაზეთის ბიჭვინთა – თავიდანვე ქართული პოლიტიკური და კულტურული სივრცის ნაწილი იყო.**

მაშასადამე, დასავლეთ საქართველო ბერძნულ-ლათინური, ქართული და სომხური წყაროების მიხედვით, საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შემავალ ერთ-ერთ ოლქს შეადგენდა მისი გაქრისტიანებისთანავე, როგორც ითქვა, ამას მიუთითებს – **ბერძნულ-ლათინური და ბიზანტიური წყაროებიდან:** გელასი კესარიელის, გელასი კვიზიკელის, ლაზიკის მიტროპოლიტ გერმანეს, ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქების დოსითეოსისა (Досифей) და ქრისანტოს (Χρισανφ) ცნობები და სხვა.

ქართული წყაროებიდან: რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილება, ქართლის ცხოვრება, სხვა ქართული მათიანეები, გიორგი მთაწმიდელის, ეფრემ მცირის, ნიკოლოზ კათალიკოსისა და სხვათა ცნობები.

სომხური წყაროებიდან: აგათანგელოზის, მოვსეს ხორენაცის, უხტანესისა და იოანე კათალიკოსის ცნობები. საბოლოოდ, კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ქართული, ბერძნულ-რომაული და სომხური წყაროები ერთმნიშვნელოვნად მიუთითებენ დასავლეთ საქართველოში ქართული ეკლესიის იურისდიქციის შესახებ.

სამწუხაროდ, არცერთ ამ წყაროს, ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსი ყურადღებას არ აქცევს და ინტერესის სფერო მხოლოდ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოთა ნუსხებით ე.წ. ნოტიციებით ამოიწურება, რომლებშიც დასახელებული ლაზეთის ეპარქიის საეპისკოპოსოებს რატომღაც დასავლეთ საქართველოში ათავსებენ. ნოტიციებში, ცხადია, არ არის არავითარი მითითება მათი ადგილმებარეობის შესახებ. მაგ., სად მდებარეობდა როდოპოლისი? ტრაპეზუნტის რეგიონში თუ ვარციხესთან? ამ საკითხის შესახებ საუკუნოვანი კვლევა-ძიება გრძელდება. მაგ., როგორც ითქვა, ისეთ ცნობილი ისტორიკოსი როგორიც იყო ნ. ადონცი ამ საეპისკოპოსოს (და ასევე, ფაზისის სამიტროპოლიტოს სხვა საეპისკოპოსოებს) ათავსებდა ტრაპეზუნტის რეგიონში ის მიიჩნევდა, რომ ყოველთვის აქ მდებარეობდა ისტორიული ლაზიკა. და ის შედიოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში.

ამასვე, რომ ფიქრობდნენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში ეს ჩანს, XX ს-ის პირველი ნახევრის ათენში დაბეჭდილი ბერძნული რუკიდან, რომელიც თან ერთვის ამ ნაშრომს.

ამ რუკაზე ნათლად ჩანს, რომ მაგალითად, როდოპოლისის ცნობილი ეპარქია მდებარეობდა ტრაპეზუნტის რეგიონში და მოიცავდა მთიან რეგიონს რიზეს სამხრეთიდან ვიდრე ზიგანას (გუმუშხანეს) უღელტეხილამდე.

სამწუხაროდ, საბჭოთა საისტორიო სკოლის გავლენით, ბოლო წლებში, თავის ბოლო ნაკვლევებში, ისეთ ცნობილ მკვლევარს, როგორც არის დარუზესი, მიუჩნევია, რომ თითქოსდა, კონსტანტინოპოლი თავის იურისდიქციას დასავლეთ საქართველოში ახორციელებდა X ს-ის დასაწყისამდე (879-907 წლამდე), მაგრამ ეს ასე რომ არ იყო თუნდაც გიორგი მერჩულის ცნობიდანაც ჩანს, რომლის მიხედვითაც წმიდა გრიგოლ ხანძთელი აფხაზეთში დაახლ. 826 წელს ჩავიდა და მას იქ არავითარი ბერძნული კათედრა არ დახვედრია, პირიქით, ეს მინა-წყალი იყო ქართული ეკლესიის ზრუნვის არეალი.

ზემოთ მოყვანილიდან გამომდინარე უნდა დავასკვნათ:

აფხაზეთის საკათალიკოსო, ისტორიულად ქართული ეკლესიის ერთ ნაწილს წარმოადგენდა, რომლის მეორე ნაწილი იყო ქართლის საკათალიკოსო.

არასწორი შეხედულება საქართველოს ეკლესიიდან აფხაზეთის საკათალიკოსოს გამოყოფის შესახებ XVI ს-ის შემდეგ

საბჭოთა ეპოქის სამეცნიერო წრეების გავლენით ამჟამადაც დანერგილია თვალსაზრისი, თითქოსდა შუა საუკუნეებში აფხაზეთის საკათალიკოსო გამოეყო საქართველოს ეკლესიას და ამის შედეგად მოიპოვა მისმა კათალიკოსმა საკუთარი ეპისკოპოსების კურთხევისა და დადგენის უფლება, მაგალითად, მკვლევარი გ. კალანდია წერს თავისი ნაშრომის რუსულ რეზიუმეში: «Абхазский католикосат отделился от церкви Грузии» (გ. კალანდია, **ოდიშის საეპისკოპოსოები, 2004, გვ. 272**).

პრინციპულად არასწორი შეხედულებაა.

საქმე ისაა, რომ აფხაზეთის საკათალიკოსოს არ შეეძლო გამოყოფა საქართველოს ეკლესიისაგან, იმ მიზეზის გამო, რომ თვითონვე წარმოადგენდა საქართველოს ეკლესიას, ქართულ ეკლესიას.

როგორც ადამიანის რომელიმე ორგანოს არ შეუძლია ადამიანისაგან გამოყოფა და დამოუკიდებელი არსებობა, ასევე არ შეეძლო შუა საუკუნეებში აფხაზეთის ეკლესიას საქართველოს ეკლესიისაგან გამოყოფა, რადგანაც თვითონვე წარმოადგენდა საქართველოს ეკლესიას – აღმოსავლეთ საქართველოს მუსულმანთაგან დაპყრობის შემდეგ, XVII საუკუნიდან, აფხაზეთის საკათალიკოსომ თავის თავზე აიღო საქართველოს ეკლესიის ხელმძღვანელობის ფუნქცია. ეს იყო რთული პროცესი, რომელიც აღწერილია ქვემოთ.

როგორც ითქვა, აფხაზეთის საკათალიკოსო, ისტორიულად ქართული ეკლესიის ერთ ნაწილს წარმოადგენდა, ზოგად ქართული ეკლესიის მთლიანობა მიიღწეოდა საერთო საეკლესიო სამართლით, საერთო სჯულისკანონით, საერთო ქართული საღვთისმსახურო ენით, საერთო ტრადიციებითა და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის საერთო მეთაურობით.

აფხაზეთისა და ქართლის საკათალიკოსოების პირველიერარქთა შორის ერთს უხუცესი, ხოლო მეორეს უმრწემესი ეწოდებოდა.

ერთიან ქართულ ეკლესიაში წოდება „კათალიკოსი“ შეესაბამებოდა ბერძნული საპატრიარქოების „მიტროპოლიტის“ წოდებას. როგორც ბერძნული საპატრიარქოს მიტროპოლიტს უშუალოდ ექვემდებარებოდნენ თავისი ეპისკოპოსები, ასევე ქართლის კათალიკოსს ექვემდებარებოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები, ხოლო აფხაზეთის კათალიკოსს დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები, **ორივე ეს საკათალიკოსო ერთიანი ქართული ეკლესიის მხოლოდ საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეულები (სამიტროპოლიტო ოლქები) იყვნენ. როგორც ითქვა, მათი ზემდგომი საეკლესიო ინსტიტუტი იყო საერთო სჯულისკანონის და საეკლესიო სამართლის შემუშავებელი ადგილობრივი საეკლესიო კრებები. პატრიარქის მოვალეობა იყო უზუნველყო სრულიად საქართველოს ეკლესიაში (ე.ი.ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოებში) საერთო სჯულისკანონის დაცვა.**

აფხაზეთისა და ქართლის კათალიკოსთა მონაწილეობით საეკლესიო კრებების მიერ გამოცემულ კანონებს მთელს საქართველოში (ცხადია აფხაზეთშიც) სავალდებულოდ აღსასრულებელი ძალა ენიჭებოდა (მათ შორის სამოქალაქო სამართლის სფეროშიც).

მაგ. XVI საუკუნის საეკლესიო სამართლის ძეგლში, რომელსაც „სამართალი კათალიკოსთა“ ეწოდება, ნათქვამია: „ქ. სახელითა და ღვთისათა: მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოჲსა კათალიკოზმან-პატრიარქმან მალაქია, მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან აფხაზეთის კათალიკოზმან მამათმთავარმან ევდემონ, დავსხედით და შევკრიბენით ყოველნი ეპისკოპოზნი აფხაზეთისანი... დავიდევით სჯულისკანონი და ჩვენცა იმისგან გამოვიღევით... და სჯულისკანონიცა ასრე ბრძანებს“... (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, 1963, გვ. 393-397).

აფხაზეთის საკათალიკოსოს ამ საეკლესიო კრებამ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მეთაურობით გამოსცა 15 კანონი. ამ კრების კანონები სავალდებულოდ აღსასრულებელი იყო მთელი საქართველოს ტერიტორიაზე, თუმცა ის აფხაზეთში იქნა მიღებული და ისინი აფხაზეთის საკათალიკოსოს ეპისკოპოსებმა დაამტკიცეს, ესენი იყვნენ **ქუთათელი, გენათელი, ჭყონდიდელი, ბედიელი, მოქველი, დრანდელი, ცაგერელი, ხონელი, ნიკორწმიდელი, ცაიშელი (ჩიშელი) ეპისკოპოსები.**

„უხუცეს“ პირველიერარქად ანუ „საქართველოს პატრიარქად“, როგორც წესი, ირჩევდნენ მცხეთელ კათალიკოსს, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში ბიჭვინთელ ანუ აფხაზეთა კათალიკოსს გადაეცემოდა ეს ტიტული („საქართველოს პარტიარქი“).

მაგალითად, შაჰ-აბასის შემოსევების შემდეგ (XVII საუკუნესა და XVIII ს. I ნახევარში) აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოებმა დაკარგეს სუვერენიტეტი (მუსულმანური მმართველობის ქვეშ მოექცნენ), ხოლო დასავლეთ საქართველო ძველებურად მართლმადიდებელ მეფე-მთავართა მიერ იმართებოდა.

ამ ფაქტმა გაზარდა დასავლეთ საქართველოს მმართველთა (მეფეთა და კათალიკოსთა) ავტორიტეტი, რაც მათ ტიტულატურაზეც აისახა – **აფხაზეთის კათალიკოსთა ტიტულატურაში გამოჩნდა ტიტული „საქართველოს პატრიარქი“**, მაგალითად, XVIII ს-ის აფხაზეთის კათალიკოსი გრიგოლი თავის მიერ გამოცემული დოკუმენტებს ხელს აწერს ასე – **„გრიგოლ მწყემსი ქრისტეს მიერ ყოვლისა საქართველოჲსა კათალიკოსი“** („ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. III, გვ. 675).

ასევე ზოგიერთი სხვა აფხაზეთის კათალიკოსიც თავის თავს საქართველოს პატრიარქს უწოდებდა XVII ს-ის ბოლოსა და XVIII ს-ის დასაწყისში, ანუ ის არა მხოლოდ აფხაზეთის არამედ სარულიად საქართველოს უხუცესს პირველიერარქად თვლიდა თავის თავს.

ეს ფაქტი ასახულია უცხოურ წყაროებშიც. უცხოური წყაროების თანახმად ამ ეპოქაში აფხაზეთის კათალიკოსი სრულიად საქართველოს (იბერიის) უხუცეს (უპირატეს) პირველიერარქად ითვლებოდა, მაგალითად ანტიოქიურიუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი (XVII ს.) ამის შესახებ წერდა:

„იბერიაში ორი ავტოკეფალური არქიეპისკოპოსია, რომელთაც ქარ-

თველები უწოდებენ კათალიკოსებს. ქვემო იბერია, რომელსაც ძველად კოლხეთს და ლაზიკას უწოდებდნენ, აქვს ეპარქიები იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთში, სვანეთსა და მესხეთის ნაწილში. ზემო და ქვემო იბერიას შორის საზღვარი არის ქედი, რომელიც კავკასიის მთებში იწყება, ქართულად ქულფარგი ეწოდება, ქვემო იბერიის კათალიკოსი პატივით უფრო მეტია ზემო იბერიის კათალიკოსზე, რადგანაც ის უკვე ისავროსის დროს, 720 წელს, კათალიკოსი იყო ქვემო იბერიისა... იბერები ქვემო იბერიის კათალიკოსს მიიჩნევენ უფროს კათალიკოსად, რადგანაც მეფე, ე.ი. იმერეთის თავი, მათთან იწოდება მთელი იბერიის მეფეთა-მეფედ“ (დოსითეოსი, იერუსალიმელი პატრიარქები, თავი V, გვ. 510, წიგნიდან: „სარდელი მიტროპოლიტი მაქსიმი, ქართული ეკლესია და მისი ავტოკეფალია. თეოლოგია, ათენი, 1966 წ.).

დას. საქართველოს ეკლესიას უცხოელები უწოდებდნენ „ქვემო იბერიის ეკლესიას“, (იხ. სარდელი მიტროპოლიტი მაქსიმი, საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია „თეოლოგია“, ათენი, 1966).

საქართველოს ანუ იბერიის სამეფოს მთლიანობა დაარღვია თავდაპირველად VI ს-ში სპარსთა, ხოლო VII ს-ში არაბთა შემოსევება, ამის შედეგად VIII ს-დან საქართველოს კუთხეებში ჩამოყალიბდა რეგიონალური ქართული სახელმწიფოები. ერთერთი ასეთი იყო აფხაზთა სამეფო.

VIII საუკუნის II ნახევარში შექმნილ „აფხაზთა სამეფოში“ შევიდა და მისი ძირითადი ნაწილი გახდა იბერიის სამეფოს ყოფილი ტერიტორიები დასავლეთ საქართველოში – ეგრისი, გურია, თაკვერი, არგვეთი, სვანეთი, **ამიტომაც აფხაზთა სამეფოს VIII-X საუკუნეებში „ქვემო იბერიას“ უწოდებდნენ.**

არსებობდა ორი იბერია: ზემო იბერია – ანუ აღმოსავლეთი საქართველო და „ქვემო იბერია“ – ანუ დასავლეთი საქართველო.

საერთოდ, IV ს-დანვე დასავლეთ საქართველო (ქვემო იბერია) მცხეთის ანუ ერთიანი იბერიის ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა IV ს-დანვე. ამის შესახებ წერს რუის-ურბნისის კრება: **(წმიდა ნინომ მოაქცია ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა მცხოვრებნი როგორც აღმოსავლეთში ისე დასავლეთში, ამავე კრების განსაზღვრებით ანდრია მოციქულმა სახარება იქადაგა ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა, სომხური საეკლესიო წყაროებიც აღნიშნავენ, რომ დასავლეთ საქართველო იმყოფებოდა მცხეთის საეკლესიო იურისდიქციაში. მაგალითად, ამ წყაროებში აღინიშნება რომ კირიონი ქართლის კათალიკოსი VI ს-ის ბოლოსა და VII ს-ის დასაწყისში მართავდა დასავლეთ საქართველოს ეპარქიებსაც. კირიონი, „ეგრისის, გუგარქისა და ქართლის არქიეპისკოპოსად ანუ კათალიკოსად იყო ნაკურთხი „წინანდელ წესთა თანახმად“ (იოანე დრასხანაკერტელი, „სომხეთის ისტორია“, გვ. 10).**

მეორე იერუსალიმელი პატრიარქი ხრისანფი ამბობს: „საქართველოში, რომელსაც ადრე იბერია ერქვა, იყო ორი ავტოკეფალური არქიეპისკოპოსი, რომელთაც ჩვეულების თანახმად უწოდებენ კათალიკოსებს და არა არქიეპისკოპოსებს. ასე მათ მართო ქართველები უწოდებენ. ამათგან ერთი, ე.ი. არქიეპისკოპოსი ქვემო იბერიისა, იწოდება იმერეთის, ოსეთის,

გურიის და სრულიად ქვემო იბერიის უნეტარეს კათალიკოსად, ანუ მარტივად, სრულიად იბერიის უნეტარეს კათალიკოსად, როგორც უფროსი ზემო იბერიის კათალიკოსზე. ხოლო მეორე, ე.ი. ზემო იბერიისა, იწოდება ქართლის, კახეთის, ალვანეთის და სრულიად ზემო იბერიის უნეტარეს კათალიკოსად... რომელი იმპერატორის დროს, ან რომელ კრებაზე გახდა ის საარქიეპისკოპოსო, ჩვენ ზუსტად ვერ დავადგინეთ, მაგრამ **26 ივნისის სვინაქსარში ვპოულობთ, რომ იოანე, გოთეთის ეპისკოპოსი, ხელდასმული იქნა იბერიის კათალიკოსის მიერ, რადგანაც რომაულ ქვეყნებში ბატონობდა ხატმებრძოლთა ერესი, ასე რომ, როგორც ჩანს, ერეკლეს შემდეგ ისავრამდე ქვემო იბერია საარქიეპისკოპოსო გახდა“... (დოსითეოსი, იერუსალიმელი პატრიარქები, თავი V, გვ. 510, წიგნიდან: „სარდელი მიტროპოლიტი მაქსიმი, ქართული ეკლესია და მისი ავტოკეფალია. თეოლოგია, ათენი, 1966 წ.).**

ეს იერუსალიმელი პატრიარქები XVII საუკუნეში ცხოვრობდნენ.

XVIII საუკუნის II ნახევარში აღსდგა აღმოსავლეთ საქართველოში სახელწიფოებრივი სუვერენიტეტი და სამეფო ტახტი კვლავ მართლმადიდებელმა ხელმწიფებმა დაიჭირეს, ამ ფაქტა ძველი ავტორიტეტი დაუბრუნა მცხეთელ კათალიკოსს, და ის ძველებურად „უხუცეს“, პირველპატრიარქად იქცა ქართულ საეკლესიო სამყაროში.

ეს ფაქტი საეკლესიო სამართლის სფეროშიც აისახა, მაგალითად აფხაზ კათალიკოსთა ტახტზე მჯდომი წმ. დოსითეოს ქუთათელის დროს ანტონ კათალიკოსის დიკასტერიის (საეკლესიო სასამართლოს) სამართლის სფეროში შედიოდა აღმოსავლეთთან ერთად დასავლეთ საქართველოც (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს საეკლესიო კრებები, 2003, ტ. III, გვ. 7-9). სამართლებრივად და ადმინისტრაციულად XVIII ს-ის ბოლოს დოსითეოს ქუთათელის დროს ისევე, როგორც ყოველთვის IV ს-დან საქართველოს ეკლესია ერთიანი იყო.

XIX ს-ში მთელი ეს სისტემა მოიშალა, რადგანაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებამ.

1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთის მთავრობამ (1917 წლის 25 ივლისს მინისტრთა თავმჯდომარე ა. კერენსკისა და უწმიდესი სინოდის ობერპროკურორის ა. კარტაშევის ხელისმონერით) დაუბრუნა საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია, რომელიც იქამდე 1917 წლის (12) 25 მარტის აქტის საფუძველზე აღდგენილად გამოაცხადეს საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრებმა და მრევლმა (იქვე, ტ. III, გვ. 121).

ავტოკეფალიის გამოცხადების შემდეგ საეკლესიო კრებამ ეკლესიის პირველიერარქს აღუდგინა სრულიად საქართველის კათალიკოს პატრიარქის ტიტული, მაშასადამე, ის აერთიანებდა საუკუნის მანძილზე უკვე არ არსებულ (გაუქმებული) ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოებს და მას უკვე უშუალოდ ექვემდებარებოდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები.

ამის შემდეგ ტიტული მიტროპოლიტი აღნიშავდა მხოლოდ პატივს ეპისკოპოსისა და არა იერარქიულ თანამდებობას. ამჟამად, ეს ტიტული მხოლოდ საეპისკოპოსო ჯილდოს წარმოადგენს. შესაბამისად ცხუმ-აფხაზეთის ეპარ-

ქიის მმართველის თანამდებობრივი ტიტული არის ეპისკოპოსი და მას ღვან-ლისათვის შესაძლოა ჯილდოს სახით ეპოქოს მთავარეპისკოპოსის ანდა მიტროპოლიტის წოდება.

1917 წლის საეკლესიო კრების მიერ საქართველოს პატრიარქს მიენიჭა უფლება მუდმივად ან დროებით მართავდეს რომელიმე ეპარქიასაც. 1917-18 წლების კრებებმა მას სამართავად გადასცა მცხეთა-თბილისის ეპარქია, ხოლო 2010 წლის კრებამ (წმ. სინოდმა) სამართავად გადასცა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია (ამასთანავე ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას უწოდა ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია).

(სხვადასხვა წლებში საქართველოს პატრიარქები სხვა ეპარქიებსაც მართავდნენ, მაგ. მანგლისისა, ქუთაისისა და სხვა).

შესაბამისად ამჟამად საქართველოს პატრიარქი ასე იწოდება – „უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, დიდი მეუფე მამაი ჩვენი ილია“.

აფხაზეთის საკათალიკოსო – საქართველოს საპატრიარქოს ერთ-ერთი სტრუქტურული ნაწილი

წყაროთა ცნობით, საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციაში შედიოდა:

- ა. აღმოსავლეთ საქართველო
- ბ. დასავლეთ საქართველო;
- გ. სამხრეთ საქართველო და მართლმადიდებლური სომხეთი;
- დ. ჩრდილო კავკასია და ჰერეთ-ალბანეთი;

ა. აღმოსავლეთ საქართველოს ეპარქიები იმართებოდა ქართლის კათალიკოსის მიერ, რომელსაც როგორც წესი, ენიჭებოდა ტიტული „სრულიად საქართველოს პატრიარქი“, ის იყო სრულიად საქართველოს ეკლესიის უზენაესი მმართველი.

ბ. დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოების სამართავად, როგორც ითქვა, ჩამოყალიბდა აფხაზეთის საკათალიკოსო, რომელშიც შედიოდა ბიჭვინთის, მოქვის, დრანდის, ბედიის, ჭყონდიდის, ქუთაისისა და სხვა საეპისკოპოსოები, ის ერთიანი ქართული ეკლესიის ნაწილი იყო.

გ. სამხრეთ საქართველოსა და სომხეთში საქართველოს საპატრიარქოს მრავალი ეპარქია და საეპისკოპოსო გააჩნდა – აწყურის, კუმურდოს, ბანას, იშხანის, არზრუმის, ანისის, ყარსის, ვალაშკერტისა და სხვა საეპისკოპოსოები. მათ დაემატა და თანდათან ჩამოყალიბდა ასევე „სომხეთის სამიტროპოლიტო“.

დ. ჩრდილო კავკასიისა და ჰერეთ-ალბანეთის ეპარქიების მართვისათვის საქართველოში ჩამოყალიბდა სამიტროპოლიტო ერთეული, რომელსაც ხუნძეთის საკათალიკოსო ეწოდებოდა, ხუნძეთის კათალიკოსის ოქროპირის სახელი შემოგვინახა სინას მთის ქართული მონასტრის აღაპებმა (როგორც

ითქვა, წოდება კათალიკოსი იგივეა, რაც არქიეპისკოპოსი და მიტროპოლიტი ბიზანტიური ეკლესიისა. ამიტომაც ეწოდებოდა ქართულ წყაროებში მაგალითად, კვიპროსის არქიეპისკოპოსს – „კვიპროსის კათალიკოსი“).

საქართველოს საპატრიარქოს ერთ-ერთი სტრუქტურული ნაწილის – ხუნძეთის საკათალიკოსოს იურისდიქცია მოიცავდა ჩრდილო კავკასიას, დაღესტანსა და ასევე ჰერეთ-ალბანეთის ერთ ნაწილს (იხ. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, II, 1998, გვ. 214).

მასში შედიოდა ანწუხის, წახურის, ხუნძეთისა და სხვა საეპისკოპოსოები.

მაშასადამე, საქართველოს საპატრიარქოში შედიოდა მისი სტრუქტურული ერთეულები – ქართლის, აფხაზეთისა და ხუნძეთის საკათალიკოსოები და ასევე სომხეთის სამიტროპოლიტო.

შესაბამისად, საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციაში შედიოდა ვრცელი ტერიტორია ჩრდილო კავკასია კავადან (თეოდოსიოპოლ ყირიმის ნახევარკუნძულიდან) – ალბანეთამდე, ვანის ტბიდან (ვალაშკერტიდან) არზრუმამდე (იქვე, გვ. 215-228).

როგორც ვთქვით, საქართველოს პატრიარქი იმავე დროს ატარებდა ქართლის კათალიკოსის ტიტულს, რადგანაც ის ერთდროულად ორი საეკლესიო ტახტის მფლობელი იყო, წარმოადგენდა სრულიად საქართველოს ეკლესიის მეთაურსა და ასევე მისი ერთერთი ნაწილის – ქართლის საკათალიკოსოს მეთაურს, ამის გამო მას „უხუცესი“, ხოლო საქართველოს საპატრიარქოს მეთაურ ნაწილის – აფხაზეთის საკათალიკოსოს მეთაურს „უმრწემესი“ ანუ უმცროსი ეწოდებოდა.

საქართველოს საპატრიარქოში, როგორც ადრე აღვნიშნეთ, შედიოდა აგრეთვე სომხეთის სამიტროპოლიტო. სომხეთის მიტროპოლიტი უშუალოდ ექვემდებარებოდა ქართლის კათალიკოსს. ხოლო საპატრიარქოში ასევე შემავალი ჩრდილო კავკასიის ქრისტიანები და ჩრდილო კავკასიაშივე მდებარე ხუნძეთის კათალიკოსი უშუალოდ საქართველოს პატრიარქს ექვემდებარებოდა. აღნიშნულთა გამო საქართველოს საპატრიარქოს სტრუქტურას გრაფიკულად ასეთი სახე ექნება:

ურთიერთდამოკიდებულება საკათალიკოსოთა შორის

საქართველოს საპატრიარქოში, წყაროთა თანახმად, შედიოდა: 1. ქართლის საკათალიკოსო; 2. აფხაზეთის საკათალიკოსო; 3. სომხეთის სამიტროპოლიტო; 4. ჩრდილო კავკასიის ქრისტიანები (უცხოელები, ხშირად, მათ მეთაურებს არა კათალიკოსებს, არამედ არქიეპისკოპოსებს უწოდებდნენ, ხოლო სრულიად საქართველოს პატრიარქს „კათალიკოსს“, ამასთანავე აფხაზეთის საკათალიკოსოს – „ქვემო იბერიის“ საარქიეპისკოპოსოდ, ქართლისას კი „ზემო იბერიის“ საარქიეპისკოპოსოდ მოიხსენიებდნენ).

ყოველ საკათალიკოსოში შედიოდა საეპისკოპოსოები.

დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოები უშუალოდ ექვემდებარებოდა აფხაზეთის კათალიკოსს, აღმოსავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოები

კი – ქართლის კათალიკოსს. ქართლის კათალიკოსსა და აფხაზეთის კათალიკოსს შორის უფროს-უმცროსობითი დამოკიდებულება არსებობდა.

საქართველოს საპატრიარქოს მეთაურად – პატრიარქად, როგორც წესი, ქართლის კათალიკოსს სვამდნენ, ანუ ქართლის კათალიკოსი იმავე დროს საქართველოს პატრიარქი იყო, მაგრამ არსებობდა გამონაკლისიც, როდესაც აფხაზეთის კათალიკოსები, როგორც უცხოური, ისე ქართული წყაროებით სრულიად საქართველოს პატრიარქებად მოიხსენებინან. ამ საკითხს ქვემოთ ვეხებით.

საქართველოს საპატრიარქოს მეთაურს ოფიციალურად ეწოდებოდა – **„ყოვლისა საქართველოჲსა პატრიარქი და ქართლისა კათალიკოსი“** (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, გვ. 51). ქართლის კათალიკოსი იმავე დროს საქართველოს პატრიარქი იყო.

სიტყვა „პატრიარქი“ – შუა საუკუნეთა საქართველოში ითარგმნებოდა და იხმარებოდა მისი ქართული თარგმანი „მამამთავარი“. 1103 წლის დოკუმენტში პატრიარქს ასე მოიხსენიებენ – **„იოვანე წმიდისა კათალიკოსისა და ყოვლისა საქართველოჲსა ყოვლად ღირსისა მამათ-მთავრისა მრავალნი არიან წელნი“** (დიდი სჯულისკანონი, 1975წ., გვ. 553), XIII საუკუნის დოკუმენტშია – **„წმიდისა მამათმთავარსა ჩუენსა არსენის ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზსა...“** (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, 1970 წ., გვ. 161),

1610 წლის – **„ყოვლისა საქართველოჲსა მამათმთავართმთავარმან კათალიკოზმან პატრონმან ზებედემ“** (იქვე, გვ. 388); **„ყოვლისა აღმოსავლისა და ჩრდილოჲსა დიდმან მამამთავარმან, კათალიკოზმან პატრონმან ზებედემ“** (იქვე, გვ. 390); 1616 წლის – **„ყოვლისა საქართველოჲსა დიდმან მამათმთავართმთავარმან, ქართლისა კათალიკოზმან პატრონმან იოვანემ“** (იქვე, გვ. 342);

აქ ყურადღება უნდა მიექცეს, რომ ქართული ეკლესიის მეთაურს ეწოდება საქართველოს მამამთავარი, ანუ პატრიარქი და ქართლის კათალიკოსი. საქართველო და ქართლი XI საუკუნის შემდეგ ერთი და იგივე ცნებები არ არის, საქართველო „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“ მოქცეულ ქვეყანას, ხოლო ქართლი – ლიხის მთის აღმოსავლეთით მდებარე პროვინციებს ერქვა, ამიტომაც, როცა ქართული ეკლესიის მეთაურს უწოდებენ საქართველოს პატრიარქსა და ქართლის კათალიკოსს, ჩვენ ისევე უნდა გავიგოთ, როგორც წერენ – ის მთელი, სრულიადი, „ყოველი“ საქართველოს პატრიარქი იყო და ამავე დროს კათალიკოსი ქართლისა (თუმცა XI საუკუნემდე „ქართლი“ სრულიად საქართველოს ეწოდებოდა).

ზემოთ მოყვანილი ამონაწერებიდან აშკარად ჩანს, რომ სრულიად საქართველოს პატრიარქი იმავე დროს არის ქართლის კათალიკოსი, ანუ საქართველოს მამამთავარი აერთიანებს ორ ტახტს – ქართლის კათალიკოსისას და საქართველოს პატრიარქისას. ის ორი ტახტის მპყრობელია. აფხაზეთის კათალიკოსსა და ქართლის კათალიკოსს შორის დამოკიდებულება თუ როგორი სახის იყო, გარკვეულია მეცნიერთა მიერ – „მცხეთის პატრიარქი, აფხაზეთის კათალიკოსისათვის გახდა „მამა“, თვით აფხაზეთის კათალიკოსი „უმრწმესი“

(უმცროსი) კათალიკოსი“ (ბ. ლომინაძე – საქართველოს საპატრიარქო და მისი ავტოკეფალია. საღვთისმეტყველო კრებული, 1981 წ., #12, გვ. 97);

ხშირად დასავლეთ საქართველოს კათალიკოსები თავიანთ თავს „ქვემო ივერიის“, ანუ აფხაზეთის კათალიკოსს უწოდებდნენ (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, 1970, გვ. 923); ხოლო აღმოსავლეთ საქართველოსი – „ზემო ივერიის“ ანუ „ზემო საქართველოს“ კათალიკოსებს. (იქვე, გვ. 901); „სრულიად ივერიად“ ანუ „სრულიად საქართველოდ“ ორივე საკათალიკოსოს ტერიტორია მოიხსენიებოდა.

საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდეგ XV-XVI საუკუნეებიდან, აფხაზეთის საკათალიკოსო არ გამოყოფია „ქართულ ეკლესიას“, როგორც წერს ათეისტური ეპოქის ზოგიერთი მეცნიერი, პირიქით, როგორც დოკუმენტები აჩვენებს აფხაზეთის კათალიკოსებმა სრულიად საქართველოს ეკლესიის მეთაურებად-პირველიერარქად წარმოადგინეს თავიანთი თავი.

ქართული ეკლესიის მთლიანობას ადასტურებს ის ფაქტები, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის დარღვევის შემდეგაც აფხაზეთის კათალიკოსები ეკლესიის ურღვევობის შენარჩუნების მიზნით თავიანთ თავს სრულიად საქართველოს პატრიარქსა და მაკურთხეველს უწოდებდნენ. მაგალითად, XVIII ს-ის აფხაზეთის კათალიკოსი გრიგოლი თავის მიერ გამოცემული დოკუმენტებს ხელს აწერს ასე – **„გრიგოლ მწყემსი ქრისტეს მიერ ყოვლისა საქართველოჲსა კათალიკოსი“** („ქართული სამართლის ძეგლები“, III, გვ. 675);

ასევე ზოგიერთი სხვა აფხაზეთის კათალიკოსიც თავის თავს საქართველოს პატრიარქს უწოდებდა XVII ს-ის ბოლოსა და XVIII ს-ის დასაწყისში, ანუ ის არა მხოლოდ აფხაზეთის არამედ სრულიად საქართველოს მაკურთხეველად თვლიდა თავის თავს.

ეს ფაქტი ასახულია უცხოურ წყაროებშიც.

უცხოური წყაროების თანახმად ამ ეპოქაში აფხაზეთის კათალიკოსი სრულიად საქართველოს (იბერიის) უხუცეს (უპირატეს) პირველიერარქად ითვლებოდა, მაგალითად ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი (XVII ს.) ამის შესახებ წერდა – **„იბერიაში ორი არქიეპისკოპოსია, რომელთაც ქართველები უწოდებენ კათალიკოსებს. ქვემო იბერია, რომელსაც ძველად კოლხეთს უწოდებდნენ, აქვს ეპარქიები იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთში, სვანეთსა და მესხეთის ნაწილში. ზემო და ქვემო იბერიას შორის საზღვარი არის ქედი, რომელიც კავკასიის მთებში იწყება, ქართულად ქულფარგი ეწოდება, ქვემო იბერიის კათალიკოსი პატივით უფრო მეტია ზემო იბერიის კათალიკოსზე ... მეფე, ე.ი. იმერეთის თავი, მათთან იწოდება მთელი იბერიის მეფეთა-მეფედ“** (დოსითეოსი, იერუსალიმელი პატრიარქები, თავი V, გვ. 510, წიგნიდან: Митрополит Сардский Максим, «Церковь Грузии и ее автокефалия» феология, Афины, 1966 стр. 51).

მეორე იერუსალიმელი პატრიარქი ხრისანფი ამბობს: **„საქართველოში, რომელსაც ადრე იბერია ერქვა, იყო ორი არქიეპისკოპოსი, რომელთაც ჩვეულების თანახმად უწოდებენ კათალიკოსებს და არა არქიეპისკოპოსებს. ასე მათ მარტო ქართველები უწოდებენ. ამათგან ერთი, ე.ი. არქი-**

ეპისკოპოსი ქვემო იბერიისა, იწოდება იმერეთის, ოსეთის, გურიის და სრულიად ქვემო იბერიის უნეტარეს კათალიკოსად, ანუ მარტივად, სრულიად იბერიის უნეტარეს კათალიკოსად, როგორც უფროსი ზემო იბერიის კათალიკოსზე. ხოლო მეორე, ე.ი. ზემო იბერიისა, იწოდება ქართლის, კახეთის, ალბანიის და სრულიად ზემო იბერიის უნეტარეს კათალიკოსად... რომელი იმპერატორის დროს, ან რომელ კრებაზე გახდა ის საარქიეპისკოპოსო, ჩვენ ზუსტად ვერ დავადგინეთ, მაგრამ 26 ივნისის სვინაქსარში ვპოულობთ, რომ იოანე, გოთეთის ეპისკოპოსი, ხელდასხმული იქნა იბერიის კათალიკოსის მიერ, რადგანაც რომაულ ქვეყნებში ბატონობდა ხატმებრძოლთა ერესი, ასე რომ, როგორც ჩანს, ერეკლეს შემდეგ ისაგრამდე ქვემო იბერია საარქიეპისკოპოსო გახდა“... (ნიგნიდან: Митрополит Сардский Максим, «Церковь Грузии и ее автокефалия» феология, Афины, 1966 стр. 49).

ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქები ერთიანი სახელმწიფოს დანაწევრების შემდეგ ეწვივნენ საქართველოს, იმყოფებოდნენ აფხაზეთის საკათალიკოსოში XVII ს-ში, თავიანთი თვალთ ნახეს, შეაფასეს და წიგნების სახით გამოაქვეყნეს საქართველოს ეკლესიის ყოფა თავიანთ ეპოქაში.

მათი აღწერიდან ნათლად ჩანს, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს დაშლის შემდეგ აფხაზეთის საკათალიკოსო კი არ გამოეყო ქართულ ეკლესიას, როგორც ბოლო დროს წერს ზოგიერთი ისტორიკოსი, არამედ პირიქით, აფხაზეთის კათალიკოსი „სრულიად იბერიის უნეტარეს კათალიკოსად“ იწოდა, ანუ სრულიად საქართველოს ეკლესიის მეთაურად წარმოადგინა საკუთარი თავი. ეს ფაქტი აფხაზეთის საკათალიკოსოს საბუთებითაც დასტურდება. ფაქტი, რომ საქართველოს დაშლა-დანაწევრებისას აფხაზეთის კათალიკოსები თავიანთ თავს სრულიად საქართველოს პატრიარქებად მიიჩნევდნენ, ამ ეპოქის საქართველოს ეკლესიის მთლიანობის უტყუარი ნიშანია.

ისმის კითხვა, რატომ მიიჩნიეს აფხაზეთის კათალიკოსებმა თავისი თავი სრულიად საქართველოს პატრიარქად აღნიშნულ ეპოქაში? ამ კითხვის პასუხისათვის მასალას გვაძლევენ თვით უცხოელი პატრიარქები თავიანთ აღწერებში. ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქების ეპოქაში, აღმოსავლეთ საქართველოს მაჰმადიანური სპარსეთის სახელმწიფო დაეპატრონა და სამწყსო ქართლ-კახეთის მაჰმადიანი მეფე-ხანების ხელქვეითად იქცა, რამაც ქართლის საკათალიკოსო დააკნინა (წმ. ევდემონ კათალიკოსო ციხის მაღალი კოშკიდან გადმოაგდეს და მოკლეს, მრავალი სხვა კათალიკოსი დააპატიმრეს ანდა ქვეყანა დაატოვებინეს), ასეთ კრიტიკულ დროს სრულიად იბერიის მრევლი მათ ჭეშმარიტ მეფედ ქრისტიან იმერეთის მეფეს მიიჩნევდა. პატრიარქი ხრისანფი წერს: „მეფე, ე.ი. იმერეთის თავი, მათთან იწოდება მთელი იბერიის მეფეთა-მეფედ“, შესაბამისად, მსგავსადვე, დოსითეოსის სიტყვით – „არქიეპისკოპოსი ქვემო იბერიისა, იწოდება... სრულიად იბერიის უნეტარეს კათალიკოსად, როგორც უფროსი ზემო იბერიის კათალიკოსზე“.

როგორც ითქვა, უცხოელი პატრიარქები აფხაზეთის საკათალიკოსოს „ქვემო იბერიის საარქიეპისკოპოსოს“, მის მეთაურს კი „სრულიად იბერიის კათალიკოსს“ უწოდებდნენ.

აფხაზეთის ანუ ქვემო იბერიის კათალიკოსმა საქართველოს (სრულიად იბერიის) ეკლესიის მეთაურობა იმ დროს მიიღო, როდესაც ქართლ-კახეთს მაჰმადიანი მეფე-ხანები მართავდნენ თითქმის 150 წლის მანძილზე.

ღვთის შეწევნით XVIII ს-ის 50-იან წლებში ქართლ-კახეთის ტახტზე კვლავ ქრისტიანი მეფეები ავიდნენ, ამ მომენტმა კვლავ გააძლიერა ქართლის საკათალიკოსო, მან კვლავ დაიბრუნა ძველი ავტოტიტეტი და ძველებურად კვლავ იწოდა საქართველოს კათალიკოსად.

ეს ფაქტი საეკლესიო სამართლის სფეროშიც ასახა, მაგალითად ანტონ კათალიკოსის დიკასტერიის (საეკლესიო სასამართლოს) სამართლის სფეროში აღმოსავლეთთან ერთად დასავლეთ საქართველოც შედიოდა (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს საეკლესიო კრებები, 2003, ტ. III, გვ. 7-9).

სამართლებრივად და ადმინისტრაციულად XVIII ს-ის ბოლოს აფხაზეთის კათალიკოსთა ტახტზე მჯდომი წმ. დოსითეოს ქუთათელის დროს საქართველოს ეკლესია ერთიანი იყო ისევე, როგორც ყოველთვის IV ს-დან.

XIX ს-ში მთელი ეს სისტემა მოიშალა, რადგანაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებამ.

ლაზიკის ეპარქია

იბერებისა და ლაზების საერთო წინაპრები ქალდეველები ანუ ხალიბები იყვნენ. ისინი ერთი ხალხისაგან წარმოიშვნენ.

საზოგადოდ, ქართველების საერთო ქვეყანა იყო სახელმწიფოებრივი გაერთიანება დაიანე-დიაოხი (ქრისტეშობამდე XII-VIII საუკუნეებში), ასევე ქართველთა ყველა ტომის სამშობლო იყო იმავე ტაო-არზრუმ-ქალდეას მომცველი ხალიბების ქვეყანა ქალდე-ხალიტუ.

ქრისტეშობამდე VI საუკუნისათვის ხალიტუს უკვე სასპერთა ქვეყნის სახელით იცნობდნენ. თანდათანობით ამ ტერიტორიებზე უცხოური სახელმწიფოებრიობა მტკიცდებოდა, ხოლო ქართული პოლიტიკური ცენტრები უფრო ჩრდილოეთით მდებარე ადგილებს ითვისებდა (ხალხის გამრავლებისა და ასევე სამხრეთიდან ძლიერი სახელმწიფოების ზენოლის გამო).

რომაულ ხანაში აღნიშნული ქართული მოსახლეობით დასახლებული ტრაპეზუნტის მხარის დასავლეთით მდებარე ქალაქმა პოლემონიონმა თავისი სახელი მისცა მთელ პროვინციას – „პოლემონის (პოლემონიაკის) პონტოს“. მას რომის იმპერიის აღმოსავლეთის საზღვრების დაცვის თვალსაზრისით განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

IV ს-ში ტრაპეზუნტი და კერასუნტი, ასევე ნეოკესარია, კომანია და სხვა მიეკუთვნებოდა პოლემონიაკის პონტოს.

V ს-ში ტრაპეზუნტში იდგა პონტოს პირველი ლეგიონი, რაც ამ ქალაქს ანიჭებდა განსაკუთრებულ როლს, როგორც თავდაცვისას, ისე იმპერიის აღმოსავლეთის საზღვრების დაცვისას. პ. ინგოროყვას კვლევით კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოთა ნუსხებში ე.წ. ნოტიციებში ტრაპეზუნტის კათედრას ასევე ეწოდება „პოლემონის პონტოს კათედრა“ (პ. ინგო-

როყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 237, შენიშვნა 1), კერძოდ #3 და #4 ნოტიციაში (806-815 წლები) და ასევე #5 ნოტიციაში (820-829 წლები) ტრაპეზუნტის კათედრა პოლემონის პონტოს კათედრად იწოდება (იქვე, გვ. 237).

VI ს-ში იუსტინიანეს XXVIII (28-ე) ნოველაში პოლემონიაკის პონტოს ქალაქებიდან დასახელებულია ნეოკესარია, კომანა, ტრაპეზუნტი, კერასუნტი, პოლემონია და ასევე ციხე-სიმაგრეები (და არა ქალაქები) – პიტიუნტი და სებასტოპოლი „ამ სასაზღვრო სიმაგრეების იქით იყო ლაზიკა“ (Далее этих рубежей находилась Лазика) (კარპოვი, გვ. 59).

ნ. ადონცი, პ. ინგოროყვა და სხვა მეცნიერები ამ პიტიუნტსა და სებასტოპოლისს ათავსებენ ათინასთან ახლოს ოფ-რიზეს რეგიონში. ამ პიტიუნტთან იწყებოდა ლაზიკის სამეფოს საზღვარი.

მეზობლად ქალდეაში (სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით), მდებარეობდა ასეთივე სახელის მქონე საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული „ეპარქია ლაზიკაში“. ზოგადად, ამ ორივე ერთეულს ერთი სახელი „ლაზიკა“ ერქვა.

VII ს-ის შუა წლებში დაარსდა „არმენიაკის“ თემი ანუ თემა (მას არმენიაკონის თემსაც უწოდებენ). ეს თემა თავის მხრივ სამ „ტუმად“ (სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულად) იყოფოდა. ხალდია (ქალდეა) არმენიაკის თემის ერთერთ ტუმაში შეიყვანეს. დასავლეთით არმენიაკის თემას მდ. გალისი საზღვრავდა, ნ. ადონციით აღმოსავლეთით მისი საზღვარი ფასისამდე (ე.ი. ჭოროხამდე) აღწევდა.

824-863 წლებში არმენიაკის თემა დაიშალა და ქალდეა ცალკე თემად გამოიყო (კარპოვი, გვ. 64).

ქალდიას დედაქალაქი იყო ტრაპეზუნტი. ქალდეას თემს თავისი ძველი სახელი – ლაზიკაც შემორჩა, ამიტომ მას საეკლესიო დოკუმენტებში, რომელიც ძველ ტრადიციას უკეთ ინახავდა, ზოგჯერ უწოდებდნენ – ეპარქიას ლაზიკაში. ის იყო ეკლესიური ლაზიკა, ხოლო პოლიტიკური ლაზიკა პიტიუნტისა და სებასტოპოლისის იქით ანუ ჭოროხის მიმართულებით არსებობდა, როგორც აღინიშნა.

ფასიდი (ფასისი) თავდაპირველად იყო ეკლესიური ლაზიკის დედაქალაქი, მაგრამ VII-VIII საუკუნეებში თანდათანობით ტრაპეზუნტი გადაიქცა დედაქალაქად, ამიტომაც შემდგომ აქ (ტრაპეზუნტში) ჰქონდა კათედრა ლაზიკის ეპარქიის მმართველ ფასიდის (ფაზისის) ეპისკოპოსს.

ნიკეის VII მსოფლიო კრების (787) აქტებს მიტროპოლიტი ქრისტეფორე ხელს აწერდა სხვადასხვა სამი დაზუსტებით – „ეპისკოპოსი ფასიდისა“, „ეპისკოპოსი ფასიდისა ე.ი. ტრაპეზუნტისა“, „ეპისკოპოსი ტრაპეზუნტისა“; ის იყო როგორც ტრაპეზუნტის, ასევე მისსავე დაქვემდებარებაში დარჩენილი ფასიდის მიტროპოლიტი, თავისი ხელმოწერით ტრაპეზუნტელმა ქრისტეფორემ თავისი პრეტენზია დაადასტურა ფასიდა – ფაზისის მიმართ.

როგორც აღინიშნა, 787 წელს მიტროპოლიტობის პატივის მოსურნე ტრაპეზუნტელმა ეპისკოპოსმა ქრისტეფორემ მსოფლიო კრების აქტებს ხელი მოაწერა, ასევე, როგორც ფასიდის ეპისკოპოსმა („ეპისკოპოსი ტრაპეზუნტისა და ფასიდისა“).

პიტიუნტი ერქვა ციხე-ქალაქს ათინასთან, საფიქრებელია, რომ აქვე იყო ქალაქი ფასიდი. ეს ტერიტორია ქალდეას თემს ეკუთვნოდა, რამაც უფლება მისცა ქალდეას თემის საეკლესიო მმართველს ტრაპეზუნტელ ქრისტიანთა ათინა-ფასიდაზეც განეცხადებინა თავისი პრეტენზია.

სახელი ფასიდა-ფაზისი ამ რეგიონში საკმაოდ გავრცელებული იყო. მაგალითად ფაზისი ერქვა მდ.კელკიტს, ჭოროხს მის ქვემოწელში, ასევე არც თუ მოშორებით, მდ არაქსს ზემოწელში. სახელი ფაზისი ერქვა ქალაქს ჭოროხის შესართავთან ზღვისპირზე, პატარა ქალაქს არაქზე (ფასინლერი), ასევე ქალაქ პოლემონსაც (ფადისა).

ძველ პოლემონს ფადისა რომ ჰქვია ეს ნათქვამია 2001 წელს ვაშინგტონში დაბეჭდილ წიგნშიც “Byzantine Seals “

“30. Polemonion

Polemoniona twin town witch Fadisane/Fatsa, gave its name the rivier Boleman“ (Catalogue of Bizantine Seals at Dumbarton oaks and in the Fogg Museum of art, volome 4, the East, 2001, 83).

ფადისა/ფატსასთან გამავალ მდინარეს ამჟამადაც ბოლემონი/პოლემონი ჰქვია. ეს სახელი ფასიდი, როგორც ითქვა, ჩანს, ერქვა ასევე ათინასაც.

თავდაპირველად აქ უნდა ჰქონოდა კათედრა ლაზიკის ეპარქიის მმართველ ფასიდის (ფაზისის) ეპისკოპოსს. მას ოთხი კათედრა ექვემდებარებოდა – ზიგანასი (ტრაპეზუნტიდან 70-მდე კმ-ში მდებარე ქალაქისა ქალდეაში), საისინისა (ასევე ტრაპეზუნტის რეგიონში), პეტრასი (ის ტრაპეზუნტის დასავლეთით-ტრიპოლისთან, ანდა არზრუმის მიმართულებით მდებარეობდა) და როდოპოლისისა (ზიგანას ახლოს, სამხრეთით-დასავლეთით მდებარე ქალაქისა). ისინი ქმნიდნენ ლაზიკის ეპარქიას, რომელიც წყაროებში VII ს-დან ჩანს.

როგორც ითქვა, 824-863 წლებში არმენიაკის თემის დაშლამ, ხალდიის ცალკე თემად გამოყოფამ, სამხედრო და პოლიტიკურმა არასტაბილურობამ გამოიწვია ძველი საეპისკოპოსო კათედრების – ზიგანას, პეტრას, როდოპოლისის და საისინის სახელების გაქრობა-დამცრობა. მათ ადგილას ახალი ქალაქები და შესაბამისი კათედრები წარმოიქმნა. მაგალითად, ზიგანას ნაცვლად – ლერიონი და ა.შ.

ძველი საეპისკოპოსო ქალაქებიც გადანაწილდა ახალ თემებს შორის. მაგალითად, იქამდე საეპისკოპოსო ქალაქი პეტრა, შესაძლოა ხალდიის თემს აღარ მიაკუთვნეს. როდოპოლისი ჩანს რიზეს კათედრამ მიისაკუთრა და უფუნქციოდ დატოვა.

არმენიაკის თემის დაშლის შემდეგ (რომელსაც ძველი პოლემონიაკის პონტოს ადგილი ეჭირა) ეკლესიაში მიღებული ტერმინოლოგიით ლაზიკა მხოლოდ ქალდიის თემს ეწოდა (იქამდე, როგორც აღინიშნა ლაზიკა მთელ პოლემონის პონტოს ერქვა, განსაკუთრებით მის მთიანეთს და ლაზიკის ეპარქიაც პოლემონის პონტოს მთიან რეგიონს – ხალდია-ქალდეას მოიცავდა).

საეკლესიო გეოგრაფიული ტერმინოლოგია განსხვავდებოდა საეროსაგან, მას შემდეგ, რაც ტრაპეზუნტთან მდებარე იქამდე ლაზების ქვეყნად ნოდებული ვრცელი რეგიონი ბიზანტიამ მიისაკუთრა, მას პოლიტიურად სხვადასხვა სახელები (პოლემონის პონტო, არმენიაკონი და სხვა) უწოდა, მაგრამ საეკლესიო დოკუმენტაციაში მას მაინც ლაზიკას უწოდებდნენ, ამ რეგიონისათვის ბუნებრივ სახელს. ეს სახელი „ლაზიკა“ ბიზანტიამ უწოდა ასევე ქალდიას მეზობლად ახალდაპყრობილ ტერიტორიას ხუფათიდან ჭოროხის მიმართულებით.

მაშასადამე, შემდგომი გაფართოების კვალდაკვალ ბიზანტიამ პოლიტიკურად ლაზიკა უწოდა უკვე ქალდიის უშუალო მეზობლად მდებარე ახალდაპყრობილ ტერიტორიას ჭოროხის შესართავის ხეობაში (კერძოდ, მას უწოდა „ლაზთა სამეფო“). მაგრამ ქალდეაში ბიზანტიურ საეკლესიო ერთეულს ძველებურადვე ერქვა - „ლაზიკის ეპარქია“ ანუ სამიტროპოლიტო, ამის მიზეზს გვიხსნის ნ. ადონცი.

ნ. ადონცის თანახმად, საეკლესიო გეოგრაფიამ შემოინახა იმპერიის ძველი ადმინისტრაციული დაყოფის (დიოკლეთიანეს დროინდელი) სახე იმით, რომ თავის საჭიროებისთვის იყენებდა მას. ე.ი. ლაზიკის ძველი სახელი, მისი ტერიტორიის ძველებური გაგება შემოინახა მხოლოდ საეკლესიო ტერმინოლოგიამ და რეალურმა საეკლესიო-ადმინისტრაციული დაყოფის სახემ.

ნ. ადონციტ ლაზიკაში ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოში შემავალი ბიზანის, პაიპერტის, კერამევის, ლერიონისა და სხვა საეპისკოპოსოები, შესაბამისი ქალაქები განლაგებულნი იყვნენ თეოდოსიოპოლის-ტრაპეზუნტის შემაერთებელი გზის სანაპირო რეგიონში, ანუ ისტორიული ქანეთში, მათ მომცველ საეკლესიო ოლქს ეწოდებოდა „სამიტროპოლიტო ლაზიკაში“, ანუ სწორედ ამ მხარეებს ერქვა ლაზიკა ბიზანტიური საეკლესიო გეოგრაფიის მიხედვით და არა დასავლეთ საქართველოს.

„ლაზიკა“ იმჟამინდელი ბერძნული ეკლესიური გაგებით ერქვა აღნიშნულ რეგიონს (ე.ი. ქალდეა-ჭანიკას) და არა დასავლეთ საქართველოს.

ისტორიულად, V ს-მდე რიზეს სანახები შედიოდა ქართლის სამეფოს კლარჯეთის საერისთავოში, მათ შორის „სპერი, ბოლო კლარჯეთისა და ზღვისპირი“, შემდეგ ეს ტერიტორია (დაახლოებით რიზედან ხუფათამდე) უშუალოდ შეიერთა ბიზანტიამ, ამავე დროს იქამდე კლარჯეთში შემავალი ბაიბურდის რეგიონიც ბიზანტიამ უშუალოდ შეიერთა, დანარჩენი კლარჯეთი მართალია ბიზანტიამ დაიპყრო, მაგრამ მას ბუფერული „თავისუფალი ქვეყნის“ სტატუსი მიანიჭა, მის მმართველს კი „ლაზთა მეფე“ უწოდა (გუბაზ I [450-470 წწ.]). ლაზთა მეფის მფლობელობაში ყოფილი კლარჯეთის საერისთავოს დაახლოებით მესამედი დარჩა და ის მოიცავდა ზღვისპირს ხუფათიდან ჭოროხამდე და მცირე ტერიტორიას მის ზემოთ (შემდგომ ციხისძირამდე და ურეკამდე), ლაზეთის სამეფოში ასევე შედიოდა ჭოროხის რეგიონი და მისი ხეობა ართვინის ჩათვლით და არტანუჯის ხეობა ვიდრე არსიანის ქედამდე.

V ს-ის II ნახევარში კლარჯეთის ეს დაპყრობილი ნაწილი ანუ ბიზანტიურად „ლაზთა სამეფო“ ვახტანგ გორგასალმა ბიზანტიელი დამპყრობლები-საგან გაათავისუფლა და ქართლის სამეფოს უკან დაუბრუნა.

ამ ღვაწლს დანვრილებით აღწერს „ქართლის ცხოვრება“.

VI საუკუნისათვის რიზეს რეგიონში უკვე მკვეთრად იყო გამოხატული ქართველების (ჭანების) ბიზანტიის წინააღმდეგ მიმართული განმათავისუფლებელი მოძრაობა, რაც შებრძოლებებითაც გამოხატებოდა. ქალდეა-ზიგანას რეგიონი რიზესთან ერთად მის ეპიცენტრში იყო მოქცეული. ქალდელებს, ასევე, ლაზებიც ერქვათ. VI ს-ში ქართული სახელმწიფოებრივი კრიზისის გამო, აღნიშნულ რეგიონს (ე.ი. ისტორიულ კლარჯეთს, რომლის ზღვისპირა და ჭოროხის ხეობაში მოქცეულ ნაწილს ბიზანტიელები ლაზიკას უწოდებდნენ) კვლავ ბიზანტიელები დაეპატრონენ, აღადგინეს მეფობა და ლაზთა მეფეებად დანიშნეს ნათე I (დაახლ. 510-530), გუბაზ II (540-554) და ნათე II (554-580).

როგორც აღინიშნა, ლაზიკის ეპარქიის მომცველი ტერიტორია არ მდებარეობდა „ლაზთა სამეფოში“, რადგანაც ლაზიკის ეპარქია ძირითადად ქალდეას ოლქს მოიცავდა რიზემდე, ხოლო ლაზთა სამეფო, როგორც ითქვა, ხუფათთან იწყებოდა და არსიანის ქედამდე გრძელდებოდა. თუმცა კი ისინი, ორივენი, ისტორიულ ლაზიკაში მდებარეობდნენ.

არაბთა შემოსევებმა ვითარება შეცვალა. ბიზანტიის საზღვრები ტრაპეზუნტამდე შემცირდა. ლაზთა სამეფო დავიწყებას მიეცა.

არაბთა შემოსევებმა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური სახეც შეცვალა. იქამდე ქართული წყაროებით ის ქართლის სამეფოს ნაწილს წარმოადგენდა და სტრაბონის ცნობით კერკეტებითა და ჰენიოხებით იყო დასახლებული. ქართული წყაროებით მას ეგრისი, არგუეთი და გურია ერქვა.

ეტიმოლოგიურად სიტყვების – „კერკეტისა“ და „ეგრისის“ (ასევე სიტყვების „არგუეთისა“ და „გურიის“) ფუძეები თითქოსდა ერთმანეთს ეთანადება: „კერკ“ და „ეგრ“ (ასევე „არგუ“ და „გურ“). თუ გავითვალისწინებთ გადასვლას გ-კ-ქ, მაშინ „კერკ“ მოგვცემს „გერგ“-ს, რაც „ეგრ“ (არგ, გურ) ფუძეს ეთანადება. (გერგ=ეგრ-არგ-გურ). იგივე ფუძე „გრ-რგ“ უდევს საფუძვლად ქართველთა და მათი ქვეყნის აღმნიშვნელ ყველა სახელწოდებას (გეორგიენ, გურძ, გურჯ, გოგარენ, გუგარქ და სხვა).

კერკეტების ტომს ქალდეებთან უნდა ჰქონოდა ეთნიკურ-ნათესავური კავშირი, რადგანაც უცხო წყაროებით კერკეტების ანუ კერკიტების ტომი ქალდეაშიც ცხოვრობდა (შემდგომ ჭანეთში). ქალდეა კი ივ. ჯავახიშვილის სიტყვით ყველა ქართული ტომის სამშობლო იყო. დასავლეთ საქართველო (სტრაბონის შემდგომი წყაროებით) უფრო ეგერ-სვანებით იყო დასახლებული. აფსილები და მისიმიანები მათი ნაწილი უნდა ყოფილიყო.

მაშასადამე, პოლიტიკური ლაზიკა ხუფათიდან დაახლოებით რიონამდე ვრცელდებოდა, მას დასავლეთ საქართველოში იბერია და აბაზგია ესაზღვრებოდა. ეკლესიური ლაზიკა კი, სხვა იყო, ის როგორც რამდენჯერმე ითქვა, ტრაპეზუნტის ვრცელ რეგიონს ერქვა.

ლაზიკის მართლმადიდებლური ნაწილი VII-VIII საუკუნეებში

წმიდა მაქსიმე აღმსარებელი, რომელიც კავკასიაში გადმოასახლეს, კეთილმორწმუნეებსა და მართლმადიდებლებს უწოდებს აბაზგიისა და იბერიის მთავრებს (ამ საკითხს ჩვენ მივუძღვენით საგანგებო ნაშრომი).

მის ეპოქაში გამარჯვებული მონოთელიტები დევნიდნენ მართლმადიდებლებს. ლაზიკა კი ამ ერესის გავლენის სფეროში მოქცეულა ჰერაკლე კეისრის ტრაპეზუნტში მოსვლის შემდეგ სპარსეთში ლაშქრობის წინ.

მაქსიმე აღმსარებელი 645 წელს მონოთელიტებთან კართაგენში დისპუტის შემდეგ 662 წელს კავკასიაში გადაასახლეს, ის მთელ იმპერიაში სახელგანთქმული იყო მონოთელიტებთან ბრძოლით, ამიტომ, ცხადია, ის მართლმადიდებლად არ მოიხსენიებდა აღნიშნულ (აბაზგიისა და იბერიის) ქართველ მთავრებს, მას თავისი თვალით რომ არ ენახა მათი სარწმუნოებრივი სახე.

მაშასადამე, სარწმუნოებრივად ლაზიკა ორ ნაწილად ყოფილა გაყოფილი, ტრაპეზუნტის მიმდებარე ანუ სამხრეთ ლაზიკა კონსტანტინოპოლში იჟამად გაბატონებულ აღმსარებლობას ანუ მონოტელიტობას აღიარებდა, ხოლო ჩრდილო ლაზიკა, იგივე ქვემო ივერია ანუ დასავლეთ საქართველო მართლმადიდებლობის ნიაღში დარჩენილა, ამიტომაც უწოდებდა მაქსიმე აღმსარებელი იბერიისა და აბაზგიის მთავრებს მართლმადიდებლებს.

მონოთელიტობა აღიარებდა, რომ ქრისტეში ორი ბუნებაა მოცემული, მაგრამ მისი ნება და ქმედება ღმერთკაცურია. ეს დოგმატი ჩამოყალიბდა 620-იან წლებში კავკასიაში.

კერძოდ კი, ლაზიკაში ჰერაკლე კეისრის, სერგი კონსტანტინოპოლელისა და კიროს ფასისელის თათბირისა და მიმონერის შედეგად, ხოლო 633 წელს გამოაქვეყნა ალექსანდრელმა პატრიარქმა კიროს ფასისელმა (ფასიდელმა).

ჩვენში მიიჩნევენ „VII საუკუნეში კავკასიის ეკლესიების ოფიციალური მრწამსი მონოთელიტური იყო (ზ. ალექსიძე, ქსე, 7, გვ. 98).

ზ. ალექსიძის ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება ფაქტი იმისა, რომ წმიდა მაქსიმე აღმსარებელი „მართლმადიდებლებს“ უწოდებდა იბერიისა და აბაზგიის მთავრებს. რადგანაც, ამ მოსაზრებას, რომ „VII ს-ში კავკასიის ეკლესიების ოფიციალური მრწამსი იყო მონოთელიტური“ არ ადასტურებს მაქსიმე აღმსარებლის მიერ აბაზგიისა და იბერიის მთავრების „კეთილმორწმუნეებად“ მოხსენიება, მაგრამ მონოთელიტობის ერთ-ერთი ცენტრი ნამდვილად იყო ე.წ. „ეკლესიური ლაზიკა“ ანუ ტრაპეზუნტის მიმდებარე რეგიონი, რომელსაც ქალდეასაც უწოდებდნენ. რადგანაც, აქ, ლაზიკაში, კერძოდ კი, ტრაპეზუნტში შეხვდა ჰერაკლე კეისარი ერესიექებს.

საერთოდ, ტრაპეზუნტის რეგიონს ჰერაკლე კეისრის ეპოქაშივე ერქვა „ლაზიკა“. მაშასადამე, დასავლეთ საქართველო არ იყო მონოთელიტური, ხოლო კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში შემავალი ქალდეა-ლაზიკა მონოთელიტური იყო. ამიტაც მართლდებიან ქართული წყაროები, რომელნიც IV ს-დანვე ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შემავალ დასავლეთ საქართ-

ველოს მუდამ მართლმადიდებლურად მიიჩნევენ, რასაც წმ. მაქსიმეს ცნობაც მიუთითებს.

ჰერაკლე კეისრის სპარსეთში ლაშქრობის სავარაუდო მარშრუტები ცნობილია, ის პირველად 627 წელს ჩავიდა ლაზიკის მთავარ ქალაქ ტრაპეზუნტში.

ლაზიკას ქართველი წმიდა მამები უწოდებდნენ „სოფელი მეგრელთა“ და მის ადგილმდებარეობას განსაზღვრავდნენ ტრაპეზუნტის რეგიონში. მაგალითად, მივიდა ანდრია ტრაპეზუნტში „სოფელსა შინა მეგრელთასა“ (ექვთიმე მთაწმიდელი), მაშასადამე მაქსიმე აღმსარებლის ეპოქაშიც ტრაპეზუნტის ოლქს ლაზიკა ერქვა, ეს იყო ეკლესიური ლაზიკა ანუ ლაზიკის ეპარქიის მომცველი რეგიონი, როგორც აღინიშნა, მისგან განსხვავებდნენ პოლიტიკურ ერთეულ ლაზიკას, ის იწყებოდა ხუფათთან და მოიცავდა დასავლეთ საქართველოს ერთ ნაწილსაც. ეს ლაზიკა მართლმადიდებლური იყო. ამას მონიშნავს მაქსიმე აღმსარებლის წერილები, ხოლო ლაზიკის ის ნაწილი, რომელიც მოიცავდა ტრაპეზუნტის ოლქს იყო მონოთელიტური, აქ შეხვდა ჰერაკლე კეისარი ერესიარქებს. აი, აქ, ამ ლაზიკაში, ტრაპეზუნტ-ქალდეას რეგიონში უნდა ვეძიოთ ჩვენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეპარქიები ლაზიკაში, მისგან განსხვავებით დასავლეთ საქართველო მართლმადიდებლური იყო.

ტრაპეზუნტი ლაზიკის ქალაქი იყო VII ს-ში ჰერაკლეს ლაშქრობის დროს და ასეთად დარჩა ის შემდგომაც.

901-907 წლებით დათარიღებულ მე-7 ნოტიციაში იხსენიება – „ტრაპეზუნტი ლაზიკისა“.

აბაზგიის ეპარქია

XX ს-ში ქართულ ისტორიოგრაფიაში ჩამოყალიბდა თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც აფხაზეთის საკათალიკოსო ჩამოყალიბდა არა ქართული ეკლესიის წიაღში, არამედ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს – აბაზგიისა და ლაზიკის ეპარქიების გაერთიანების შედეგად.

ეს დასკვნა ეწინააღმდეგება ძველქართულ საეკლესიო წყაროებს ამ საკითხთან დაკავშირებით (მაგალითად, ცნობას – „ამან ბაგრატ (ქართველთა მეფემ) განაჩინა კათალიკოსი აფხაზეთს“, ასევე რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მიერ გამოცემული „ძეგლისწერის“ ცნობებს და სხვ.). ამ მიზეზის გამო აღნიშნული მკვლევარები უნდობლობას უცხადებენ ქართულ წყაროებს და, როგორც ისინი აცხადებენ, თავიანთ მოსაზრებას ამყარებენ ბიზანტიურ წყაროებზე.

განვიხილოთ შესაბამისი ბიზანტიური წყაროები, კერძოდ კი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოთა ნუსხები (ნოტიციები) და პროკოფი კესარიელის ცნობები (რადგანაც, როგორც ითქვა, ქართველი მკვლევარები მათ ასახელებენ წყაროებად აბაზგიის ეპარქიის შესახებ მსჯელობისას).

ჩვენამდე მოღწეულ ყველა ნოტიციაში „აბაზგიის ეპარქიის“ საკითხი დაკავშირებულია „სებასტოპოლის ავტოკეფალიასთან“.

სებასტოპოლის (სებასტოპოლისის, სებასტუპოლის) ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო ნახსენებია სულ ოთხ ნოტიციაში.

ამ ოთხი ნოტიციიდან 2 ნოტიციაში (VI-სა და VIII-ში) სებასტოპოლის ავტოკეფალია შედის „ამასიის ეპარქიაში“, ხოლო დარჩენილ 2 ნოტიციაში (I-სა და VII-ში) სებასტოპოლის ავტოკეფალია შედის „აბაზგიის ეპარქიაში“ (გეორგიკა, IV, ნან. II. გვ.120-141).

ამ შეუსაბამობის გამო მეცნიერთა წინაშე დაისვა საკითხი, სინამდვილეში რომელ ეპარქიაში შედიოდა სებასტოპოლისის ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო – აბაზგიის ეპარქიაში თუ ამასიის ეპარქიაში?

თავისთავად სებასტოპოლისი იყო საკმაოდ ცნობილი ციხე-სიმაგრე, სადაც ბიზანტიური სამხედრო დანაყოფი იდგა, ამიტომაც ის ნახსენებია ასევე სხვა წყაროში, კერძოდ, V ს-ის სამოხელეო ჩამონათვალის სიაში (ნოტიცია დიგნიტაუმ).

Notitia dignitatum-ში აღნიშნულია, რომ **სებასტოპოლსა და პიტიუნტში თავისი ჯარები განლაგებული ჰყავდა არმენიის დუკას.**

ბიზანტიის იმპერიამ თავის მიერ დაპყრობილ არმენიასა და პონტოსპირეთში ჩამოაყალიბა სამხედრო ოლქი, რომლის მეთაურსაც მიენიჭა ტიტული „არმენიის დუკა“ (Dux).

Notitia dignitatum-ის სიაში ჩამოთვლილია, რომ **არმენიის დუკას თავისი სამხედრო დანაყოფები ჰყავდა – „ტრაპეზუნტში, რიზეში, კენეპარამბოლეში, ზიგანასთან, მოხორაში, უსიპორტში, პიტიაში (პიტიუნტსა) და სებასტოპოლისში“** (გეორგიკა I, 1961, გვ. 175).

ამ პუნქტების ადგილსამყოფელის შესახებ ნ. ადონციმ თავის ცნობილ ნაშრომში „არმენია იუსტინიანეს ეპოქაში“ (1908) დაასკვნა:

„არმენიის დუკა თავის ძალაუფლებას ვერ ავრცელებდა ისეთ დაშორებულ რეგიონში, როგორცაა აფხაზეთი, ამიტომაც ნოტიციებსა და აღნიშნულ სამოხელეო ჩამონათვალში სებასტოპოლისი უნდა ვეძებოთ არა აფხაზეთში, არამედ პონტოსპირეთში“ (ნ. ადონცი, დასახ. ნაშრ. გვ. 206).

ნ. ადონციმ (და შემდეგ პ. ინგოროყვამ) დაადგინეს, რომ პიტიუნტი მდებარეობდა რიზე-ათინას რეგიონში, სებასტოპოლისი კი პიტიუნტის სიახლოვეს, ნ. ადონცის აზრით სებასტოპოლისი ათინას რეგიონში მდებარეობდა, რადგანაც, მისი აზრით, აქამდე აღწევდა არმენიის დუკას სამხედრო ოლქის საზღვარი.

ამასთანავე ის აღნიშნავდა რომ „სებასტოპოლისის“ სახელი ასევე პონტოს რეგიონში ერქვა მის მეორე კუთხეში მდებარე ქალაქს, რომელიც ამასიასთან ახლოს მდებარეობდა.

შემდეგში **ს. ყაუხჩიშვილმა სებასტოპოლისის საკითხი დაუკავშირა აღნიშნულ ქალაქ ამასიას.** ისაა ნახსენები ნოტიციებში.

როგორც აღინიშნა, ორ ნოტიციაში სებასტოპოლისის საარქიეპისკოპოსო შედის ამასიის ეპარქიაში, ეს ფაქტი აღძრავდა მრავალ კითხვას.

ს. ყაუხჩიშვილმა ასე გადაჭრა ეს საკითხი – მან მიიჩნია, რომ ეს ფაქტი არის ნოტიციების შეცდომა, რომ ნოტიციებში უნდა ეწეროს არა სიტყვა „ამასია“ არამედ სიტყვა „აბასგია“.

შემდგომში თავისი მოსაზრების შესაბამისად, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოთა ნუსხების გამოქვეყნების დროს, **ს. ყაუხჩიშვილმა ბერძნულ ნუსხებში შეცვალა სიტყვა „ამასია“ სიტყვა „აბაზგიით“.**

კერძოდ, ნოტიცია VI-ში მას შეხვდა ასეთი წინადადება – „**35, ეპარქია ამასიისა „სებასტოპოლის არქიებისკოპოსი“ (ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, გეორგიკა, ტომი IV, ნაწილი მეორე, 1952, გვ. 139).**

მან ამ წინადადებას დაურთო შემდეგი შენიშვნა – „**აშკარა შეცდომაა, უნდა იყოს აბასგიას (აბასგიას→ამასგიას→ამასიას) (გეორგიკა, IV, ნაწ. II, გვ. 139, შენიშვნა 2).**

შემდეგ კი მან მის მიერ გამოქვეყნებულ კონსტანტინოპოლის საეპისკოპოსოთა ნოტიციების საგანგებო ცხრილში სიტყვა „ამასიის“ მაგიერ დაწერა სიტყვა „აბასგია“, ოღონდ არა ქართული შრიფტით, არამედ ბერძნულით, ამით კი მკითხველს შეექმნა მყარი შთაბეჭდილება, რომ ბერძნულ დედანში თითქოსდა ნამდვილად ეწერა სიტყვა „აბაზგია“, მაშინ, როცა ნოტიციების დედანში ეწერა „ამასია“.

კერძოდ, აღნიშნულ ნოტიციათა ნუსხაში **ნოტიცია VI-ში მან დაწერა აბასგიას, სებასტოპოლელის ბერძნული შრიფტით** (იხ. ნუსხა ნოტიციებისა გეორგიკა, IV, ნაწ. II, 1952, გვ. 192-სა და გვ. 193-ს შუა ფურცელი), მაშინ როცა ბერძნულ დედანში ეწერა „ამასიას, სებასტოპოლელის“.

იგივე ქმედება გამეორდა მეორეჯერაც, კერძოდ, მან ნოტიცია VI-ის გარდა ასევე ნოტიცია VIII-შიც შეცვალა სიტყვა „ამასია“ სიტყვა „აბაზგიით“.

კერძოდ, 141-ე გვერდზე ნოტიცია VIII-ში მან სიტყვა „ამასიას“ დაურთო შენიშვნა – „**უნდა იყოს აბასგიას – „აბასგიისა“ (იქვე, გვ. 139).**

შემდეგ კი მან ნუსხებში ნოტიცია VIII-შიც „ამასიას“ მაგივრად დაბეჭდა სიტყვა „აბაზგია“ ბერძნული შრიფტით (იხ. ნოტიციათა ცხრილი, ფურცელი მოთავსებული გვ. 192-სა და გვ. 193-ს შუა, გეორგიკა, IV, ნაწ. II).

ს. ყაუხჩიშვილის შესწორებათა შედეგად მკითხველს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ „სებასტოპოლისი“ იყო არა პონტოს რეგიონში არამედ აფხაზეთში, რადგანაც როგორც ითქვა მან ორ – **ნოტიცია VI-სა და VIII-ში დაწერა – „აბასგიას სებასტოპოლელის“, მაშინ როცა უნდა დაეწერა – „ამასიას სებასტოპოლელის“ (იხ. გეორგიკა, IV, ნაწ. II, ფურცელი 192 გვერდსა და 193-ე გვერდს შორის)**, ისევე როგორცაა აღნიშნულ ნოტიციებში და მისი შეცვლა-სწორება არ იყო საჭირო.

ნოტიციათა დედნებში ამ ჩასწორებას, მათ ამ ცვლილებას ცხადია მოჰყვა თავისი თეორიული მსჯელობაც.

კერძოდ, შესაბამის სამეცნიერო წრეებში შეიქმნა შთაბეჭდილება თითქოსდა აფხაზეთში ნიკოლოზ მისტიკოსის დროს არსებობდა სებასტოპოლისის ბერძნული კათედრა კონსტანტინოპოლის დაქვემდებარების ქვეშ. ამიტომაც დაწერა კიდევაც ს. ყაუხჩიშვილმა:

„ნიკოლოზ მისტიკოსს ახალ საეკლესიო ეკთესისში, რომელიც მან 901-907 წლებში შეადგინა ლეონ კეისართან ერთად კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ კათედრათა შორის შეაქვეს (ძველი ტრადი-

ციით) „სებასტოპოლის (ცხუმის) საერქიეპისკოპოსო აფხაზეთში“, თუმცა ეს უკანასკნელი კათედრა ფაზისის მიტროპოლიასთან და ნიკოფსიის საერქიეპისკოპოსო კათედრასთან ერთად უკვე მცხეთის საკათალიკოსოს განმგებლობაშია (იხ. ზემოთ გვ. 194-196 და განსაკუთრებით გვ. 201)“ – წერს ის.

ყოველივეს შეჯამების შემდეგ ს. ყაუხჩიშვილი ნიკოლოზ მისტიკოსის მიერ შედგენილ X ბ ნოტიციის განხილვის დროს წერს:

„ამ ნოტიციაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს შემდეგი გარემოება: საარქიეპისკოპოსოთა ნუსხაში 47-ე წერია სებასტოპოლი, ხოლო კონსტანტინე პორფიროგენეტის დროინდელ რედაქციაში სებასტოპოლის (ე.ი. აფხაზეთის) საარქიეპისკოპოსო აკლია“ (გეორგიკა, IV, ნან. II გვ.196).

ამის მიზეზად მას მიაჩნია შემდეგი:

„კონსტანტინე პორფიროგენეტის მეფობის წინა ხანებში აფხაზეთის საარქიეპისკოპოსო ჩამოშორდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს და დაუკავშირდა მცხეთის საკათალიკოსოს“ – წერს ის, თუმცა კი მიიჩნევს, რომ, როგორც ითქვა, ნიკოლოზ მისტიკოსმა (კონსტანტინოპოლის პატრიარქმა), თითქოსდა „ძველი ტრადიციით სევასტოპოლის (ცხუმის) საარქიეპისკოპოსო შეიტანა კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ კათედრათა შორის“ (იქვე, გვ 216).

ისმის კითხვა, თუკი ეს სებასტოპოლისი აფხაზეთის ცხუმია და ის ნიკოლოზ მისტიკოსის მიაჩნდა თავის კათედრად, და თუ ეს კათედრა აფხაზეთა მეფეებმა გააუქმეს და მცხეთას დაუქვემდებარეს, რატომ არ გამოთქვამს ამ მტაცებლობის გამო თავის პროტესტს ნიკოლოზ მისტიკოსი სწორედ ამ აფხაზეთა მეფეებისადმი გაგზავნილ ცნობილ წერილებში?

სინამდვილეში ნოტიციებში ნახსენები სებასტოპოლისი (და შესაბამისად სებასტოპოლისის საარქიეპისკოპოსო) მდებარეობდა არა აფხაზეთში, არამედ ამასიას რეგიონში, ქართული ეკლესიის იურისდიქციის ფარგლებს გარეთ, ძველთაგანვე კონსტანტინოპოლის დაქვემდებარებაში.

ამ სებასტოპოლისს არაფერი აკავშირებდა არც აფხაზეთთან და არც ცხუმთან, ის არსებობდა ზემოთ აღნიშნულ X საუკუნის დასაწყისშიც და ამიტომ შეიყვანა ის ნიკოლოზ მისტიკოსმა თავის მიერ შედგენილ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოთა ნუსხებში 901-907 წლებში.

ნოტიციებში ნახსენები „სებასტოპოლისი“ მდებარეობდა ამასიასთან ახლოს და ის იყო მნიშვნელოვანი ქალაქი ეკონომიკურად განვითარებული ამასიას ბიზანტიური რეგიონისა.

მაშასადამე, უნდა დავასვენათ, რომ აბასგიის ეპარქია ნახსენებია არა ოთხ ნოტიციაში, არამედ მხოლოდ ორში.

ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა, თუ კი სებასტოპოლისის ავტოკეფალური კათედრა მდებარეობდა არა აფხაზეთში, არამედ ამასიას რეგიონში, რატომაა ორ ნოტიციაში (I-სა და VII-ში) ნახსენები სიტყვა აბასგია?

მიზეზი ამისა უნდა იყოს შემდეგი გარემოება – აღნიშნული VII-X საუკუნეების ნოტიციები გადაწერილია ძალზე გვიან XVII-XVIII საუკუნეებში.

ნოტიციათა გადაწერის ეპოქაში ამასია და პონტოს რეგიონი უკვე დიდი ხნის გამუხსლიმანებული იყო, ხოლო ამასიის ძველი ქრისტიანული დიდება დავინწყებული, მაშინ, როცა გადაწერის დროს, XVII-XVIII საუკუნეებში, აფხაზეთის საკათალიკოსო ქრისტიანულად გაძლიერებული იყო და ამით სახელგანთქმული. ამ ფაქტმა ჩანს გავლენა იქონია გადაწერისას.

დედანში თავდაპირველად, ჩანს, ეწერა „ეპარქია ამასიისა – სებასტოპოლის ავტოკეფალი“, ხოლო შემდეგ ორ ნოტიციაში სიტყვა „ამასია“ ხელნაწერის გადამწერის შეცდომის შედეგად, შეიცვალა სიტყვა „აბაზგიით“ (აბასგიით).

ამ შეცდომის მიზეზს გვიხსნის ს. ყაუხჩიშვილი.

ჩვენი ერის სახელოვანმა მეცნიერმა ბატონმა სიმონ ყაუხჩიშვილმა დაადგინა, რომ ეს ორი სიტყვა („ამასია“ და „აბასგია“) ხელნაწერთა გადამწერს შესაძლოა ერთმანეთში არეოდა, რადგანაც ყაუხჩიშვილის მიერ ჩატარებული ეტიმოლოგიური კვლევით, ისინი მსგავსად იწერება: „აბასგიას→ამასგიას→ამასიას“ (გეორგიკა IV, ნან. II, გვ. 139). ამის გამო, მისი დასკვნით, შესაძლოა ასეთი გადასვლა – ამასიას→აბასგიას. ამ მსგავსებამ გადამწერი შეაცდინა და მან სიტყვა „ამასია“ უნებლიეთ შეცვალა მისთვის უფრო ცნობილი სიტყვით – „აბასგიით“.

ჩვენმა საზოგადოებამ უკრიტიკოდ მიიღო ს. ყაუხჩიშვილის შესწორება ნოტიციისა, როცა მან ამასიის ნაცვლად „აბასგია“ დაწერა. ჩვენც გამოვიყენეთ ყაუხჩიშვილის მიერ ჩატარებული ეტიმოლოგიური კვლევა – „აბასგიას→ამასგიას→ამასიას“ (გეორგიკა IV, ნან. II, გვ. 139). დავეთანხმეთ მას და აღვადგინეთ I და VII ნოტიციების თავდაპირველი სახე, როგორც ითქვა, არსებობს ასეთი გადასვლა – ამასიას→აბასგიას.

მაშასადამე, ჩვენი აზრით თავდაპირველად, დედანში, ეწერა „ეპარქია ამასიისა – სებასტოპოლის ავტოკეფალი“ და არა „ეპარქია აბასგიისა“.

საერთოდ, როგორც ითქვა, **კონსტანტინოპოლის საეპისკოპოსოთა ნუსხებმა (ნოტიციებმა) ჩვენამდე მოაღწია გვიანდელი XVII-XVIII საუკუნეების ხელნაწერების სახით (იქვე, გვ. 140)**, ამ დროს უკვე კარგა ხნის გაუქმებული იყო ამასიის ეპარქია, რომელიც ნოტიციათა I წყების შედგენისას ბიზანტიურ პროვინცია „არმენია I-ში“ მდებარეობდა.

იმდენად დაშორებული იყო ნოტიციების გადამწერი (XVII-XVIII სს-ში) ძველ ბიზანტიურ ხანას (VI-VIII სს.), რომ **მას ერთმანეთშიც კი ერევა არა მხოლოდ ამასია და აბასგია, არამედ არმენია I და არმენია II, რასაც ს. ყაუხჩიშვილიც აღნიშნავს.**

ნოტიცია I-ში და ნოტიცია VII-ში მწერალმა მისთვის უცნობი „ამასიის ეპარქიის“ ნაცვლად უნებლიეთ ჩაწერა „აბაზგიის ეპარქია“ და ეს უნებლიე შეცდომა უნდა ყოფილიყო.

დასკვნა: ამჟამად მიღებული თვალსაზრისით აბაზგიის ეპარქია ნახსენებია ოთხ ნოტიციაში, ჩვენ დავადგინეთ, რომ აბაზგიის ეპარქია ნახსენებია არა ოთხ, არამედ მხოლოდ ორ ნოტიციაში – I-სა და VII-ში.

ამ ორ ნოტიციასთან დაკავშირებით ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება, რომ თავდაპირველად, I და VII ნოტიციებში ეწერა „ამასიის ეპარქია, სე-

ბასტოპოლის (სებასტოპოლის) არქიეპისკოპოსი“ და შემდეგ კი მათში ხელნაწერის გადამწერის მიერ უნებლიედ სიტყვა ამასიის ნაცვლად დაიწერა სიტყვა – აბაზგია და მიღებული იქნა ასე – „აბაზგიის ეპარქია, სებასტოპოლის არქიეპისკოპოსი“.

ამ მოსაზრებას ადასტურებს ის, რომ ამჟამადაც VI და VIII ნოტიციებში სისწორით წერია – „**ამასიის ეპარქია, სებასტოპოლის არქიეპისკოპოსი**“.

ეს სისწორით შედგენილი VI და VIII ნოტიციები, როგორც ითქვა, XX ს-ში თავისი მოსაზრების შესაბამისად შეასწორა ს. ყაუხჩიშვილმა.

VI და VIII ნოტიციებში ს. ყაუხჩიშვილმა სიტყვა ამასიის მაგიერ დაწერა სიტყვა აბასგია.

ამის შედეგად მიღებულმა საერთო სურათმა, რომ თითქოსდა ოთხი ნოტიცია მიუთითებდა „აბაზგიის ეპარქიის“ არსებობას შეცდომა წარმოშვა.

მაშასადამე, აბაზგიის ეპარქიის არსებობა ნოტიციების მიხედვით ძალზე საეჭვოა, უფრო მეტიც, სხვა წყაროები არ ადასტურებენ მის არსებობას, მაგალითად ბ.ხორავა მიუთითებს, თითქოსდა პროკოფი კესარიელი ახსენებდეს აბასგიის ეპარქიას.

სინამდვილეში, პროკოფი კესარიელი არ ახსენებს „აბაზგიის ეპარქიას“, ამიტომაც **ამ საკითხის რკვევისას მას წყაროდ ვერ გამოვიყენებთ.**

პროკოფი კესარიელი ახსენებს არა „აბაზგიის ეპარქიას“, არამედ მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ მის ეპოქაში იუსტინიანემ გასაქრისტიანებლად იქამდე წარმართ აბაზგებს ევნუქი გაუგზავნა (სხვა ზღვისპირა ქართული ტომები იქამდე უკვე ქრისტიანები იყვნენ, კერძოდ ლაზები, აფსილები, მისიმიელები და სვანები (იხ. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, „პროკოფი კესარიელი, აგათია სქოლასტიკოსი, მენანდრე, თეოფილაქტე სიმოკატა, თეოფანე, ეპიფანე კონსტანტინოპოლელი და იმპერატორი იუსტინიანე ლაზიკის შესახებ“, 2011).

ძველი ავტორისაგან მხოლოდ პროკოფი კესარიელი გვაძლევს აბაზგების გაქრისტიანების შესახებ მწირ ინფორმაციას. სხვა ყველა ავტორი (ევაგრი სქოლასტიკოსი VI ს.) და იოანე ზონარა (XI-XII სს.) დასავლეთ საქართველოზე საუბრისას იყენებენ პროკოფი კესარიელიდან გამომდინარე ცნობებს აბასგებთან დაკავშირებით, მსგავსადვე ნიკიფორე ქსანთოპულოსი და ფილოთეოს კოკინოსი ასევე იყენებს პროკოფის აღნიშნულ ცნობას (გ. ალიბეგაშვილი, წმ. ეფრემ მცირე და ქრისტიანული კულტურის საკითხები, 2010, გვ. 33).

პროკოფის ცნობა კი ძალზე ძუნწია – აბაზგებმა „**მიიღეს საქრისტიანო რწმენა და იუსტინიანე მეფემ მათ პალატის ერთი ევნუქთაგანი გაუგზავნა**“ (იქვე, გვ. 33).

გ. ალიბეგაშვილი ფიქრობს, რომ აბაზგებმა არა იუსტინიანეს მიერ მიიღეს ქრისტიანობა, არამედ უკვე ქრისტიან აბაზგებს გაუგზავნა ევნუქი (იქვე, გვ. 33) მისი აზრით დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობა უკვე IV ს-დან არსებობდა (იქვე, გვ. 32).

რუის-ურბნისის კრება მართლაც, დასავლეთ საქართველოს (საერთოდ, ერთიან საქართველოს) მიიჩნევდა წმიდა ნინოს ამიერ მოქცეულად, ამიტომაც წერდა, – წმიდა ნინოს მიერ ქრისტიანობა მიიღო „**ყოველმა სავსებამ ყოველ-**

თა ქართველთა ნათესავისა“ (უფრო ადრე კი ანდრიას ასევე საქართველოს მთლიან ქვეყანაში უქადაგნია – „ყოველსა ქვეყანასა საქართველოვასა“).

ქართული წყაროების ამ ცნობებს ამტკიცებენ გელასი კესარიელის, გელასი კვიზიკელისა და სხვათა ცნობები, მაგალითად გელასი კესარიელი მიიჩნევდა, რომ წმიდა ნინომ მოაქცია „იბერები და ლაზები“ (გეორგიკა, I, გვ. 180).

საბოლოო დასკვნა: პროკოფი არ იძლევა ცნობას „აბაზგიის ეპარქიის“ შესახებ, ამ საკითხისათვის მისი წყაროდ მოხმობა არ შეიძლება.

მსგავსადვე, ნოტიციები არ შეიძლება გამოყენებული იქნას წყაროდ „აბაზგიის ეპარქიის“ შესახებ მსჯელობისას, მისი ძალზე კრიტიკული შესწავლის გარეშე, რაც ჯერჯერობით არ ჩატარებულა, უფრო მეტიც, მოღწეული ნოტიციები უფლებას იძლევა ითქვას, რომ „აბაზგიის ეპარქია“ ისტორიულად არც არსებულა.

მხოლოდ XX საუკუნის სამეცნიერო წრეებში წყაროთა არა სათანადო ინტერპრეტირებით წარმოიშვა თვალსაზრისი ამ ეპარქიის სავარაუდო არსებობის შესახებ, შემდგომ კი ეს თვალსაზრისი რეალობად იქნა მიჩნეული.

ასეთ საორჭოფო შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს არა უცხოურ, არამედ ადგილობრივ, განსაკუთრებით კი თვით აფხაზეთის საკათალიკოსოში შექმნილ უამრავ წყაროს, მათში აფხაზეთის საკათალიკოსო მისი ჩამოყალიბების დღიდანვე ქართული ეკლესიის წიაღს უკავშირება და არა კონსტანტინოპოლისას.

კონსტანტინოპოლური წარმოშობისად რომ მიეჩნიათ აფხაზეთის საკათალიკოსო, საეკლესიო სეპარატისტები იმერეთის მეფე გიორგი VI და სხვანი თავიანთი სეპარატისტული მიზნების განსახორციელებლად დასავლეთ საქართველოში მიიწვევდნენ კონსტანტინოპოლელ იერარქებს და არა ანტიოქიის პატრიარქს.

ანტიოქიის პატრიარქი მიწვეული იქნა, რადგანაც მიიჩნეოდა რომ ივერიის ეკლესიები თავდაპირველად ანტიოქიას ემორჩილებოდა.

აფხაზეთის საკათალიკოსოს უცხოელები „ქვემო ივერიის“ ეკლესიას უწოდებდნენ.

ანტიოქიელ-იერუსალიმელი პატრიარქები დოსითეოსი და ქრისანფი, რომლებმაც პირადად მოიხილეს აფხაზეთის საკათალიკოსო, მას „ქვემო ივერიის“ ეკლესიას უწოდებენ.

ქვემო და ზემო ივერიის ეკლესიებზე კი (ე.ი. ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოებზე) თავის თავდაპირველ უფლებამოსილებაზე ანტიოქია აცხადებდა პრეტენზიას და არა კონსტანტინოპოლი.

მხოლოდ XX ს-ის სამეცნიერო წრეებში დაუკავშირეს აფხაზეთის საკათალიკოსო კონსტანტინოპოლს, რაც წყაროებს ეწინააღმდეგება.

მაგალითად თ. ქორიძის აზრით „**აფხაზეთის საკათალიკოსოს წარმოქმნამდე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე კონსტანტინოპოლის საპატრიარქოზე დაქვემდებარებული სამი საეკლესიო კათედრა არსებობდა: აბაზგიის იგივე სებასტოპოლისის (ცხუმის სოხუმის), სამთავარეპისკოპოსო, ნიკოფსიის სამთავარეპისკოპოსო და ფაზისის (ლაზიკის) სამიტროპოლიტო მასში შემავალი ოთხი „როდოპოლისის (დღ. ვარციხე), ცაიშის,**

პეტრას (დღ. ციხისძირი), ძილიანევის (დღ. გუდაყვა) საეპისკოპოსო. აფხაზეთის საკათალიკოსო ამ საეკლესიო კათედრათაგან შეიქმნა, რაც დაახლოებით IX ს-ის 80-90-იან წწ-ში უნდა მომხდარიყო“.

ის წერს „ძველი ბიზანტიური საეპისკოპოსოების მოშლა და მათ ნაცვლად ახალი ქართული ეპარქიის დაარსება“ – „IX-X სს-ში დასავლეთ საქართველოში ბერძნულენოვანი ღვთისმსახურება ქართულით შეიცვალა“.

სინამდვილეში კი, როგორც აღინიშნა, „აბაზგიის ეპარქიის“ არსებობა წყაროებით არ დასტურდება, ასევე საეჭვოა „ლაზიკის სამიტროპოლიტოს“ არსებობა დასავლეთ საქართველოში.

ნ. ადონცის სახელგანთქმული გამოკვლევების („არმენია იუსტინიანეს ეპოქაში“) თანახმად ლაზიკის კათედრები (ზიგანა – და არა ზიგანევი), საისინი (და არა ცაიში!), როდოპოლისი (და არა ვარციხე) და პეტრა მდებარეობდნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ქართველებით დასახლებულ პონტო-ქალდეას რეგიონში, რომელსაც ბერძნული წყაროები ლაზიკას უწოდებენ.

რუის-ურბნისის კრებისა და სხვა ქართული თუ სომხური წყაროების თანახმად დასავლეთ საქართველოზე თავიდანვე ვრცელდებოდა საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია.

წმიდა ნინო იყო იბერების და ლაზების განმანათლებელი გელასი კესარიელის ცნობით, რუის-ურბნისის ძეგლისწერით წმიდა ნინოს დროს დასავლეთ საქართველო ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა, რადგანაც წმ. ნინომ განანათლა „ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“, იოანე სომეხთა კათალიკოსის ცნობით VI ს-ის ბოლოსა და VII ს-ის დასაწყისში კირიონ მცხეთის კათალიკოსი იმავდროულად ეგრისის არქიეპისკოპოსიც იყო, ვახუშტის ცნობით დასავლეთ საქართველოში „სამოქალაქოს“ რეგიონი მცხეთის სამთავროს ტაძარში მჯდომ მთავარეპისკოპოსს ემორჩილებოდა, ხოლო რაჭა-იმერეთის მთიანი რეგიონი ნიქოზის ეპისკოპოსს. დასავლეთ საქართველოში იმთავითვე იყო ქართულენოვანი მსახურება, ამიტომაც ცილისწამებაა, თითქოსდა იქ მოიშალა ბერძნულენოვანი კათედრები IX-X ს-ში და მათ ნაცვლად ქართულენოვანები დაარსდნენ.

აფხაზეთის საკათალიკოსო VIII-IX სს-ში ჩამოყალიბდა ქართული ეკლესიის წიაღში (და არა კონსტანტინოპოლისა), საქმე ისაა, რომ ამ საუკუნეებში მკვეთრად გაიზარდა მრევლის რიცხოვნობა, რასაც თან დაერთო აფხაზეთის ქართული სახელმწიფოს შექმნა.

ამ გარემოებამ მოითხოვა დასავლეთ საქართველოში ზოგად ქართული ეკლესიის წიაღშივე არსებული საეკლესიო სტრუქტურის ადგილობრივ სამიტროპოლიტო ოლქად გარდაქმნა ისევე, როგორც ეს მიღებულია სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებში.

ამის შედეგად უკვე IX ს-დან ქართული ეკლესიის წიაღში ორი სამიტროპოლიტო ოლქი ანუ, როგორც ქართველები უწოდებდნენ, საკათალიკოსო არსებობდა.

ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოები იყვნენ ზოგადქართული ერთიანი ეკლესიის ადმინისტრაციული ერთეულები, მათი ეკლესიური ერთიანობა კი მიიღწეოდა საერთო სჯულისკანონით, საერთო საეკლესიო სამარ-

თლით, საერთო საეკლესიო კრებების მიერ გამოცემული დადგენილებების აღსრულებით, რაც სავალდებულო იყო ორივე ადმინისტრაციულ საეკლესიო ერთეულში, საერთო საეკლესიო ტრადიციებით, საერთო საღვთისმსახურო ენითა და კულტურით. ეკლესიის ასეთი მოწყობის წესი დღესაც გააჩნია სხვა ძველ ეკლესიებს.

მაგალითად, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს აქვს მრავალი სამიტროპოლიტო ოლქი, რომელთა ეკლესიური ერთიანობა მიიღწევა მსგავსადვე.

საქართველოს ეკლესიაში, როგორც ითქვა, VIII-IX სს-ში ფორმირებულ იქნა ახალი სამიტროპოლიტო ოლქი, რომელსაც ეწოდა „აფხაზეთის საკათალიკოსო“ და მას მცხეთამ იურისდიქციაში გადასცა დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალი, ხოლო ქართველთა კურაპალატმა მეფე ბაგრატმა IX ს-ში დაადასტურა აფხაზეთის საკათალიკოსოს ჩამოყალიბება:

„ამან ბაგრატ განაჩინა კათალიკოსი აფხაზეთს“, ესაა ქართულ წყაროებში ასახული რეალობა, ხოლო „აბაზგიის ეპარქია“ მეცნიერული შენათხზია.

ასე, რომ აფხაზეთის საკათალიკოსო იყო ქართული ეკლესიის წიაღში არსებული ერთ-ერთი სამიტროპოლიტო ოლქი, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ზოგად ეკლესიური სამართლისათვის.

რაც შეეხება XV-XVII საუკუნეებს, არაა მართალი თითქოსდა ამ დროს „დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო გამოვიდა მცხეთის საპატრიარქოს იურისდიქციიდან“ – ასეთი ფორმულირებაც უცნაურია.

საქმე ისაა, რომ აფხაზეთისა და მცხეთის საკათალიკოსოები არსებობდნენ ძველთაგანვე და ისინი ორივენი ქმნიდნენ ერთ ქართულ ეკლესიას საერთო სჯულისკანონითა და საერთო საეკლესიო კრებებით, სწორედ საერთო საეკლესიო კანონები იყო უმაღლესი საეკლესიო მმართველობა, ხოლო კათალიკოსები იყვნენ ადმინისტრაციული უზენაესი აღმასრულებლები საეკლესიო კრებათა დადგენილებებისა.

აფხაზეთის საკათალიკოსო თვითვე წარმოადგენდა ქართული ეკლესიას, მისი სარწმუნოებრივი სინმინდის მცველს, ამიტომაც მისმა მეთაურებმა იმ საუკუნეებში როცა მცხეთა-თბილისი და აღმოსავლეთ საქართველო მუსულმან მეფეთა მიერ იმართებოდა, რამაც დაამცირა აღმოსავლეთ საქართველოს სარწმუნოებრივი ავტორიტეტი – თვითვე წარმოაჩინეს თავიანთი თავი ვითარცა სრულიად საქართველოს ანუ „ყოვლისა საქართველოჲსა მწყემსებად“. რაც საბუთებშიცაა ასახული. ასე რომ „დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო კი არ გამოვიდა მცხეთის საპატრიარქოს იურისდიქციიდან“ მას კი არ გამოეყო, არამედ ზოგადქართული ეკლესიის მმართველის ფუნქციაც მიენიჭა რაც აფსუებისა და ჩერქეზების შემოსევა-გაბატონებამდე ე.ი. XVIII ს-ის დასაწყისამდე გაგრძელდა, რასაც უცხოელი პატრიარქებიც (დოსითეოსი და ქრისანფი) აღნიშნავენ. XVIII ს-ის II ნახევარში, მის შემდეგ რაც აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიან მეფეთა მმართველობა „აღსდგა მცხეთამ კვლავ დაიბრუნა მუსულმან მეფეთა 150 წლიანი მმართველობისას შელახული ძლიერება და უზენაესობა სრულიად საქართველოს ეკლესიაში (იხ. ამ საკითხის შესახებ მიტრ. ანანია ჯაფარიძის გამონვლილვითი გამოკვლევები). ე.ი. ზოგადი წესი, რომლის თანახმადაც ერთიან ქართულ ეკლესიაში

ქართლის კათალიკოსი უხუცესად იწოდებოდა და აფხაზეთის კათალიკოსი უმრწემესად, დროებით შეიცვალა ქართლ-კახეთში მუსულმან მეფეთა 150 წლოვანი ბატონობისას, მათ დაამცრეს ქართლის კათალიკოსობა, ამ დროს ზოგადქართული ეკლესიის ლიდერობა თავიანთ ხელში აიღეს აფხაზეთის კათალიკოსებმა, რაც მათ ტიტულატურასა (ამ დროს ისინი თავიანთ თავს „ყოფლისა საქართველოჲსა პატრიარქს უწოდებდნენ“) და უცხოურ წყაროებშიც აისახა (ანტიოქია-იერუსალიმელი პატრიარქების დოსითეოსისა და ქრისანფის ცნობით ივერიაში არის ორი არქიეპისკოპოსი, რომელთაც ქართველები კათალიკოსებს უწოდებენ. მათგან უფროსი არის ქვემო ივერიის (აფხაზეთის) კათალიკოსი), ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა XVIII ს-ის 50-იან წლებამდე. ქართლ-კახეთში ქრისტიან მეფეთა ტახტის აღდგენამ კვლავ აღამაღლა ქართლის საკათალიკოსო, და პირიქით, ჩრდილო კავკასიიდან შემოსეული ადიღე-ჩერქეზ-აფსუა წარმართების აფხაზეთში გაბატონებამ დაამცრო აფხაზეთის საკათალიკოსო (იხ. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, „აფხაზეთის საკათალიკოსო“, თბ., 2012 წ.).

მაშასადამე, აფხაზეთის საკათალიკოსო მისი ჩამოყალიბებისთანავე ზოგადქართული ეკლესიის ნაწილს წარმოადგენდა და არა კონსტანტინოპოლის ეკლესიისა.

პიტიუნტი და ბიჭვინთა სხვადასხვა პუნქტები იყვნენ

იყო თუ არა ბიჭვინთა ქალაქი არქეოლოგიური მონაცემებით? არქეოლოგიური ნაშთები არ მიუთითებენ, რომ ცნობილი ბიჭვინთა ანტიკურ ეპოქაში იყო ქალაქი, ამიტომაც თვით ბიჭვინთის გამთხრელი გ. ლორთქიფანიძე არა არქეოლოგიური მონაცემებით ამტკიცებს მის ქალაქობას, არამედ წერილობითი წყაროებით.

ის წერს – ბიჭვინთა ქალაქი იყო, რადგანაც აქ კათედრა ჰქონდა პიტიუნტის ეპისკოპოსს. „საეპისკოპოსოები ამ დროს მხოლოდ ქალაქებში არსებობდა“ (იქვე, გვ. 173).

მაშასადამე, არა არქეოლოგიური მონაცემები ამტკიცებენ აქ, ბიჭვინთაში ქალაქის არსებობას, არამედ მხოლოდ თეორიული მსჯელობით მივიდა მეცნიერი ამ დასკვნამდე, რადგანაც ბიჭვინთა დ პიტიუნტი ერთი და იგივე პუნქტად მიაჩნია, მაგრამ სხვა მოსაზრებაც არსებობს, ვთქვათ, თუნდაც ისეთი სახელოვანი, მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერისა, როგორიცაა ნ. ადონცი.

პიტიუნტის საეპისკოპოსო კათედრის ადგილმდებარეობას ნ. ადონცი და პ. ინგოროყვა მიუთითებდნენ არა ბიჭვინთაში, არამედ რიზე-ათენის რეგიონში. აქ ეგულებოდათ მათ ცნობილი ქალაქი პიტიუნტი.

თუ არქეოლოგიური მონაცემებით ვერ მტკიცდება ბიჭვინთის ქალაქობა, მაშინ ქალაქ პიტიუნტის ნაშთები არქეოლოგებმა სხვაგან უნდა ეძიონ.

არქეოლოგიური მასალებით ერთმნიშვნელოვნად არ დასტურდება, რომ ბიჭვინთა იყო პიტიუნტი, მართლაც ძველქართული საისტორიო ტრადიციული შეხედულებით ბიჭვინთა ქართული პუნქტი იყო, პიტიუნტი კი ანტიკუ-

რი ქალაქი და საეპისკოპოსო ცენტრი. ისინი სხვადასხვა რეგიონებში მდებარეობდნენ. მოგვიანო წყაროში, რომელიც მურვან ყრუს ეხება, პიტიოტა ცხუმს ეწოდება. უფრო ადრეული, IV ს-ის პიტიუნტი ოფ-რიზე-ათინას რეგიონში ეგულებოდათ.

მაშასადამე, საეჭვოა აბაზგიის ეპარქიის ერთ-ერთ ცენტრალურ კათედრად ბიჭვინთის გამოცხადება, რადგანაც თვით ისაა საეჭვო იყო თუ არა პიტიუნტი და ბიჭვინთა ერთიდაიგივე პუნქტი.

პიტიუნტი და ბიჭვინთა სხვადასხვა ერთმანეთისაგან ძალზე დაშორებული პუნქტები ყოფილა, კერძოდ პიტიუნტი რიზე-ათინას რეგიონში მდებარეობდა და ბერძნულ-რომაულ ქალაქს წარმოადგენდა, რომელსაც იმპერიის ჯარი იცავდა, ხოლო ბიჭვინთა აფხაზეთის საკათალიკოსოს დაფუძნების შემდეგ ქართულ საეკლესიო ცენტრად იქცა.

მართლაც, ათენა ანუ ათინა (ათენი) ახლოს მდებარეობდა პიტიუნტთან, რადგანაც მათ ერთად ახსენებს სტრაბონი (VII, 5, 7).

თავის მხრივ პიტიუნტი ანუ პიტიუნტი I ახლოს მდებარეობდა მდ. ფაზისთან.

მაგალითად, ზოსიმეს ცნობიდან, ჩანს, რომ ჯერ მდებარეობდნენ, „ფაზისის სიმაგრეები“ ე.ი. პიტიუნტი და სებასტოპოლისი შემდეგ კი იყო ბიზანტიის იმპერიის საზღვარი, რომელიც მდ. ფაზისზე იყო დადებული.

ამასვე ადასტურებს ზოსიმე სხვაგანაც, კერძოდ სკვითებმა, როცა მათ პიტიუნტის სიმაგრე ვერ აიღეს, იქვე, იმავე რეგიონში მდ. ფაზისზე ჩაუშვეს ლუზა და შემდეგ გაცურეს ტრაპეზუნტისაკენ (ანტიკური კავკასია, 2010, გვ. 425-426).

იდგა თუ არა აფხაზეთის ბიჭვინთაში რომაულ-ბიზანტიური ლეგიონი, ჯარის ნაწილი? რით მტკიცდება, რომ იქ ლეგიონი იყო დაბანაკებული? ამის დამტკიცებას ცდილობენ ძალზე სუსტი დასაბუთებით.

მაგალითად, მიიჩნევა, რომ კილურადის აღმოჩენილი „ლათინურ დამლიანი კერამიკული ფილები და კრამიტები, დოკუმენტურად ადასტურებენ რომის XV ლეგიონის საქმიანობას ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ახ.წ. II ს. დასასრულსა და III ს. დასაწყისში“ (Кигурадзе Н., Лорткипанидзе Г. Клеима XV легиона. Вестник древней истории, №2, 1987, с. 87-96), მაგრამ რა მდგომარეობა იყო VI-VIII სს-ში (ანუ ბერძნული კათედრების მოქმედების პერიოდში) აქ კვლავ იდგა ბიზანტიური ჯარი?

მ. მშვილდაძე, მაგალითად მიიჩნევს, რომ ამ ჯარის აქ დგომას ადასტურებს იქ აღმოჩენილი გლიპტიკური მასალა. კერძოდ კი გემა ლომის, დაფნის გვირგვინის და თუთიყუშის გამოსახულებით, რომლებიც საფლავებში აღმოჩნდა. ეს ასტროლოგიური და საყოფაცხოვრებო ნიშნების მქონე გემები შესაძლოა ნებისმიერი არასამხედრო პირის საკუთრებაც ყოფილიყო.

მ. მშვილდაძე იმონებებს ო. ნევეროვის კვლევას, რომლის მიხედვითაც „ლომი რომის ლეგიონის სიმბოლო გახდა“, ამიტომაც აღმოჩენილი გემა მ. მშვილდაძემ დაუკავშირა რომის ლეგიონს (მ. მშვილდაძე, რომის ლეგიონები პიტიუნტის ტერიტორიაზე, კრებულში „ჩვენი სულიერების ბალავარი“, IV, 2012, გვ. 192).

ეს დაკავშირება საეჭვოა, ასევე დაფნის ფოთოლი და თუთიყუში მან რატომღაც რომის ლეგიონს დაუკავშირა. ამის შემდეგ კი დაასკვნა თითქოსდა ბიჭვინთაში ნამდვილად იდგა რომაული ლეგიონები, და წერს: „**პიტიუნტი-ბიჭვინთა შავიზღვისპირეთის ყველაზე მნიშვნელოვან კულტურულ ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენდა“ თავისი რომაული ჯარითა და ბერძნული კათედრით (იქვე, გვ. 192).** ეს დასკვნა ფაქტებს არ ეფუძნება.

რომაული ჯარი და საეპისკოპოსო კათედრა რიზე-ათინას გვერდით მდებარე პიტიუნტში იდგა და არა ბიჭვინთაში, ნ. ადონცისა და პ. ინგოროყვას კვლევით, ხოლო ბიჭვინთა იმთავითვე მხოლოდ ქართული ეკლესიის აფხაზეთის საკათალიკოსოსთან იყო დაკავშირებული.

ბიჭვინთის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი

ი. კვაშილავა წერს:

„**ბიჭვინთაში ძლიერი ქრისტიანული ცენტრი არსებობდა. IV ს-ში იქ იდგა ბაზილიკური ეკლესია, მდიდრულად მორთული. V ს-ში ამ ბაზილიკის ნანგრევებზე აუგიათ დიდი სამნავიანი ბაზილიკა. X-X ს-ში აღმართეს დიდი დღემდე შემორჩენილი ტაძარი, რომლის აგებას უკავშირებენ ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანეს (527-565). მართლაც, მისი ბრძანებით 536 წ. აშენებულა ღვთისმშობლის ტაძარი მაგრამ სად ბიჭვინთაში თუ ანაკოფიაში? (ახალ ათონში)“.**

ამ მოსაზრებას მთლიანად ეწინააღმდეგება ბიჭვინთის არქეოლოგთა მიერ მოპოვებული მონაცემები.

ბიჭვინთის გამთხრელ-არქეოლოგის გ. ლორთქიფანიძის დასკვნით – „**არქეოლოგიური მონაცემების თანახმად V ს. 70-იან წლებში ქალაქი პიტიუნტი დანგრეული და გადამწვარია ჰუნების მიერ. დანგრეულია კანაბეში განლაგებული საეკლესიო ნაგებობები. საეკლესიო ცხოვრების აღორძინება შეინიშნება VI-VII სს.**“ (ნ. კილურაძე, გ. ლორთქიფანიძე, III-IV სს. ადრექრისტიანული სამარხები ბიჭვინთაში, კრებულში „ჩვენი სულიერების ბალავარი“, IV, 2012, გვ. 175). მაგრამ, განსაკუთრებითაა აღსანიშნავი, რომ VI საუკუნის საეკლესიო ნაგებობის ნაკვალევიც არაა აღმოჩენილი. **იუსტინიანეს ეპოქის საეკლესიო ნაგებობის ნაშთები ბიჭვინთაში არ აღმოჩნდა.** ძველი ქართული საეკლესიო ისტორიოგრაფიას არასოდეს დაუკავშირებია ბიჭვინთის ტაძარი იუსტინიანესთან, ასეთი აზრი მხოლოდ XIX-XX სს.-ში გაბატონდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისას, როდესაც ყოველგვარი ძველქართული საეკლესიო მიღწევა მიზანმიმართულად კინდებოდა. ბიჭვინთის ტაძარი აგებულია აფხაზეთის საკათალიკოსოს დაფუძნების შემდეგ, ანუ VIII-X საუკუნეებში, შესაბამისად ის ქართული საეკლესიო არქიტექტურითაა ნაგები.

აქედან გამომდინარე, **ბიჭვინთის დღევანდელი ტაძრის აგება არ უნდა დაუკავშირდეს იუსტინიანეს. X ს-ში აგებული ეს ტაძარი მთლიანად ქართული ნაგებობაა, ბერძნული წარსულის გარეშე.**

აღსანიშნავია, რომ ბიჭვინთაში არც IV საუკუნის საეკლესიო ნაგებობის ნაშთი აღმოჩნდა, მაგრამ, აღმოჩნდა რაღაც ნაგებობის ნაშთი.

ბიჭვინთის IV საუკუნის ამ ნაგებობის ეკლესიად მიჩნევა სეჭვოა.

გ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ „ბიჭვინთის კანაბეში აგებული მოზაიკურ იატაკიანი ბაზილიკა“ ზოგიერთ ცნობილ მკვლევარს მიაჩნია არა ეკლესიად, არამედ მორტარიუმად (Леквинадзе В. О древнейшей базилике Пителинта, Вестник древней истории, М., 1976, №2, с. 189).

დასაშვებია ისიც, რომ ეს ბაზილიკა არც ეკლესია იყო და არც მორტარიუმი, რადგანაც „მის გარშემო და მის შიგნით სამარხები არ არის მიკვლეული“ (გ. ლორთქიფანიძე, იქვე, გვ. 174).

სამარხები კი ეკლესიასა და ეკლესიის გარშემო უნდა ყოფილიყო. მაგრამ საფლავები აღმოჩენილია სხვაგან ე.წ. „ბიჭვინთის კონცხზე“ (იქვე, გვ. 174).

შესაბამისად არქეოლოგია ვერ ადასტურებს, რომ ბიჭვინთა იყო ცნობილი საეკლესიო ცენტრი პიტიუნტი, სადაც კათედრა ჰქონდა I მსოფლიო კრების მონაწილე ცნობილ ეპისკოპოს სტრატოფილეს. მიზეზი ამისა უნდა იყოს ის, რომ პიტიუნტი მდებარეობდა არა აფხაზეთის ბიჭვინთაში, არამედ ოფ-რიზე-ათინას რეგიონში, სადაც მის ადგილმდებარეობას, როგორც ითქვა, მიუთითებდნენ ცნობილი მეცნიერები, ნადონცი და პ.ინგოროყვა, ალბათ უფრო ქალაქ ოფთან, სადაც საეკლესიო კათედრა IV ს-ის დასაწყისში დაუარსებია ივერიის განმანათლებელ ქალს, 1651 წლის იმ ცნობით, რომელიც ლაზიკის მიტროპოლიტმა გერმანემ მიაწოდა რუსეთის მეფეს, რაც დღემდეა დაცული არქივში. უნდა დავასკვნათ, რომ სხვა პუნქტი იყო პიტიუნტი და სხვა ბიჭვინთა. ეს პუნქტები ერთმანეთს მხოლოდ ბოლო საუკუნეებში დაუკავშირეს. ბიჭვინთის ტაძარი არაა იუსტინიანეს მიერ აგებული, ის ქართული საეკლესიო არქიტექტურის ნაყოფს წარმოადგენს.

გ. ჩუბინაშვილის თვალსაზრისით ქ. სენაკთან ნოქალაქევის ეკლესია შესაძლოა იყოს იუსტინიანეს მიერ აბაზგიაში აგებული ღვთისმშობლის ტაძარი (გ. ჩუბინაშვილი, ნოქალაქევის საკითხისათვის. თუშ. ტ. XI, გვ. 118). ამავე თვალსაზრისს ავითარებს ი. კულაკოვსკი (ი. კულაკოვსკი „სად აიგო იუსტინიანეს მიერ აბაზგების ეკლესია?“ არქეოლოგიური შენიშვნები, V, 1897, გვ. 33, რუს. ენაზე).

ჭყონდიდი

საფიქრებელია, რომ დასავლეთ საქართველოში დაფუძნებული ახალი ქართული სამიტროპოლიტო ოლქის – აფხაზეთის საკათალიკოსოს თავდაპირველი ცენტრი იყო არა ბიჭვინთა, არამედ ჭყონდიდი, რომლის კათედრა გიორგი აფხაზთა მეფეს დაუარსებია. ის თავდაპირველადვე ყოფილა სახელოვანი ქრისტიანული სამლოცველო სინმიდე, დაკავშირებული ანდრია მოციქულის ქადაგებასთან, მას იქამდე წარმართების ცნობილი სალოცავი ხე – ჭყონი მოუთხრია და მის ადგილას ჯვარი აღუმართავს.

რა არის ჭყონი? ჩვენში გავრცელებული აზრით, ჭყონი მუხაა, ეტიმოლო-

გიური ძიება კი სხვა სურათს აჩვენებს. ჭყონი, ჩანს, ერქვა ურთხლის ხეს ან ძელქვას. მარტივლში, ჭყონდიდის ტაძრის ეზოში ძველი ძელქვებია, მაგრამ არაა ძველი მუხა (მაგრამ, სულ ახლახან დარგეს მუხის ნორჩი ნერგი). ვფიქრობ, ნიშანი ჭყონდიდისა ძელქვა ანუ ურთხელ-უთხოვრის ხეა.

თანხმოვანთა ჯგუფი „ჭყ“ ხშირად ურთიერთმონაცვლეობს თხ, ტყ, ჯღ ჯგუფთან (მაგალითად: თხაპნის-ტყაპნის-ჯღაპნის), შესაბამისად, „ჭყ-ონი“ იგივეა, რაც „თხ-ონი“.

„თხო“ ფუძე აქვს ხეს, „უთხოვარს“ – მისი თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო თხო-რი. ძელქვას ასევე ეწოდება – უთხოვარი (უთხუარი), რომელიც „თხ“ ფუძიდან აგებული სიტყვაა. სიტყვა ჭყონი გვაძლევს თხო-ნ-უთხ-მელას (ურთხმელი, უთხოვარი) და არა სიტყვას – მუხა.

ჭყონი უნდა იყოს ადგილობრივი სახელი ძელქვისა, ანუ უთხოვარისა (ურთხმელისა).

ჭყონდიდი ნიშნავს უთხოვრის ანდა ურთხელის დიდ ხეს.

აღსანიშნავია, რომ არა მხოლოდ ისტორიულ საქართველოში, არამედ ხეთურ სამყაროშიც ურთხელი წმინდა ხედ ითვლებოდა (ნ. ხაზარაძე, კავკასიურ-ახლო აღმოსავლური სამყარო, 2012, გვ. 276).

პიტუნიტი და ლაზიკის განმანათლებელი წმიდა ნინო

ბიჭვინთა, VIII საუკუნიდან ვიდრე XVII საუკუნემდე, თითქმის ათასი წლის მანძილზე „ქვემო იბერიის“ ანუ აფხაზეთის საკათალიკოსოს სასულიერო ცენტრს წარმოადგენდა, აქ ედგათ ტახტი დასავლეთ საქართველოს მომცველ აფხაზეთის საკათალიკოსოს მეთაურებს, აქედან მართავდნენ ეპარქიებსა და მრევლს.

აფხაზეთის საკათალიკოსო მუდამ ქართულენოვანი იყო, მათი მეთაურები იყვნენ ქართველი დიდებულები ბაგრატიონების, აბაშიძეების, ჩხეტიძეების, გურიელების, ქვარიანების, ათაბაგების, ნულუკიძეების, ლორთქიფანიძეების, საყვარელიძეების, ერისთავების და სხვა ქართული საგვარეულოს წარმომადგენლები. იყვნენ ქართველი მამულიშვილები და ამაცობდნენ იმით, რომ, როგორც თვითონ წერენ – „ჩვენ ქართველნი ღვთისმშობლის წილხდომილნი ვართ“ (მაგალითად, აფხაზეთის კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის ბიჭვინთისადმი შეწირულობის წიგნში ნათქვამია- „პირველწოდებულსა ანდრეას მოეცა ჩრდილოეთისა ქვეყანა მოქცევად ჩვენებითა წმიდისა ღვთისმშობელისათა, რამეთუ ჩვენ ქართველნი მისნი წილხდომილნი ვართ, (და წინა) კათალიკოზთა ბიჭვინთისა ღვთისმშობელისათა მსახურება საყდრისა დიდად ეღვანათ“ (ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 727). ისინი ამავე საბუთებში პირველსაუკუნეთა IV-V საუკუნეთა ქართულ სახარებებს წმიდა წიგნებად მიიჩნევდნენ, და წერდნენ – „ჩვენი სახარებანი წმიდად თარგმნილია“, ერთერთ საბუთში კი მათ მიერ გაღებულ სხვა მდიდარ შენაწირებთან ერთად ნახსენებია „მოხატული ქართლის ცხოვრება“. არსებობს სხვა უამდევი ათასწლოვანი დამადასტურებელი საბუთი მრევლისა და იერარქების ქართველო-

ბისა, ქართული ეკლესიის წევრობისა (მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, აფხაზეთი, 2001, გვ. 52-55).

ბიჭვინთასთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, რომ არცერთ ქართულ წყაროში არაა ოდნავი მითითებაც კი, რომ ოდესმე ბიჭვინთა ბერძნული ან ბიზანტიური ეკლესიის მიერ იყო დაარსებული, პირიქით, ბიჭვინთის წარსული ქართულ ეკლესიასთანაა დაკავშირებული. წყაროთა მიხედვით ბიჭვინთა – ქართული ეკლესიის ნაყოფია. შეხედულება ბიჭვინთის წარსულთან დაკავშირებით შეიცვალა, ძირითადად, XX საუკუნეში და ამჟამად მიღებული შეხედულებით ბიჭვინთა არის ბერძნულ-რომაული წყაროების **პიტიუნტი ანუ, იგივე, პითია**.

მიიჩნევა რომ ბიჭვინთელი ეპისკოპოსი მონაწილეობდა I მსოფლიო კრებაში 325 წელს. მაგრამ სხვა აზრისა იყო ცნობილი მეცნიერი ნ. ადონცი, ასევე პ. ინგოროყვა და სხვანი, მათი აზრით **პიტიუნტი მდებარეობდა არა აფხაზეთში, არამედ ისტორიული საქართველოს სხვა რეგიონში, რომელიც მოიცავს ოფ-ათინა-რიზეს ოლქს და ლაზიკა ერქვა**.

ნ. ადონცი თავისი აზრის ერთერთ საბუთად მიიჩნევს იმას, რომ რომაულ წყაროთა ცნობით პიტიუნტსა და სებასტოპოლისში თავისი მუდმივი საჯარისო ნაწილი ჰყავდა დაბანაკებული „არმენიის დუქსს“, რომელიც იყო პონტომცირე არმენიის რომაული სამხედრო ოლქის მხედართმთავარი.

ადონცის სიტყვით, არმენიის დუქსის გავლენის სფეროში არ შედიოდა დასავლეთ საქართველო და მით უმეტეს მისი შორეული მხარე ცხუმ-ბიჭვინთას ოლქი, აქ მას არ შეეძლო თავისი საჯარისო დანაყოფის დაბანაკება (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საეპისკოპოსოები ლაზიკაში, 2011, გვ. 212).

პ. ინგოროყვა პიტიუნტს ოფ-რიზეს რეგიონში ათავსებს, ამასთანავე უთითებს ძველ ავტორებსა და ძველ რუკებს, სადაც პიტიუნტი ტრაპეზუნტსა და ჭოროხს შორის ზღვისპირზეა მოთავსებული, საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის სამხრეთ საზღვართან. ამავე აზრს სხვა წყაროებით ადასტურებენ ახალი მკვლევარები (გ. ანდრიაძე, უცნობი ისტორიული საქართველო, ქრისტიანული ლაზეთი, 2012).

ქართული და სომხური ეკლესიების იურისდიქციის საზღვრების შესახებ გარკვეულ ცნობებს იძლევა წმიდა გრიგოლ სომეხთა განმანათლებლის არაბული თარგმანი, რომელიც VII-IX საუკუნეებს მიეკუთვნება.

მიღებული თვალსაზრისით აღნიშნულ არაბულ ხელნაწერში იკითხება თითქოს წმიდა გრიგოლმა თავისი ეპისკოპოსები გააგზავნა ლაზეთში, მაგრამ ჯერ კიდევ 1908 წელს მიუთითა ცნობილმა მეცნიერმა ნ. ადონციმ, რომ მან (წმ. გრიგოლმა) თავისი ეპისკოპოსი გააგზავნა არა ლაზეთში, არამედ „არზანენაში“, ის წმ. გრიგოლის ცხოვრებას არაბულ ხელნაწერებში კითხულობს არა სიტყვა „ლაზეთს“, არამედ „არზანენას“ ასე, რომ ლაზეთი, და მით უმეტეს აფხაზეთი, არ იყო წმიდა გრიგოლის სამოღვაწეო არეალი (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საეპისკოპოსოები ლაზიკაში, 2011, გვ. 432).

პირიქით, ლაზეთი იყო წმიდა ნინოს სამოღვაწეო არეალი გელასი კესარიელისა და გელასი კვიზიკელის თანახმად. ხოლო ლაზიკის მიტროპოლიტ გერმანეს ცნობით ივერთა განმანათლებლის მიერ ყოფილა დაარსებული ოფის

საეპისკოპოსო კათედრა (გ. ანდრიაძე, უცნობი ისტორიული საქართველო, ქრისტიანული ლაზეთი, 2012, გვ, 83-93). აქვე, როგორც ითქვა, მიუთითებენ პიტიუნტის კათედრის მდებარეობასაც. შესაძლოა ოფისა და პიტიუნტის კათედრები ერთი და იგივე იყო. და აქ, ანუ ლაზეთში, იღვანა წმ. ნინომ იბერი-აში გამგზავრებამდე, ალბათ 310-320-იან წლებში.

გელასი კესარიელი და გელასი კვიზიკელი წერენ, რომ წმიდა ნინომ მოაქცია „იბერები და ლაზეთი“. ეს უძველესი IV-V სს. ცნობები მიუთითებენ, რომ ლაზეთი – წმიდა ნინოს სამოღვაწეო არეალი იყო და არა წმიდა გრიგოლისა, მართლაც, ხორენაცის ცნობით წმიდა ნინომ იქადაგა „კლარჯეთიდან მასქუთებამდე“, ე.ი. კლარჯეთ-ლაზეთი წმიდა ნინოს სამოღვაწეო არეალი იყო.

წმიდა ნინოს დროს, ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, კლარჯეთში შედიოდა არა მხოლოდ ერთი მცირე ხეობა არტანუჯის ოლქში, არამედ ვრცელი არეალი, მასში ტაოსა და სპერთან ერთად შედიოდა ზღვისპირეთი, რომელსაც ქართულ წყაროებში „სოფელი მეგრელთა“ ანუ ლაზიკა ეწოდება, ასე, რომ ხორენაცის ცნობითაც, წმიდა ნინოს სამოღვაწეო არეალი ყოფილა ლაზიკა.

დაარსა თუ არა წმიდა ნინომ თავის მიერ მოქცეულ ლაზიკაში საეპისკოპოსო კათედრა? სწორედ ამ კითხვას უპასუხა ლაზიკის მიტროპოლიტმა გერმანემ რუსეთის მეფის კარზე XVI ს-ში. ამ დროს რუსეთში ჩავიდა ლაზიკის მიტროპოლიტი გერმანე, რომელმაც განაცხადა, რომ რიზე-ოფის რეგიონი იმთავითვე იყო ქართული ეკლესიის იურისდიქციის სფერო, რადგანაც ეს მხარეები ივერიასთან ერთად განანათლა ივერიის განმანათლებელმა და მან ლაზეთში, ოფში დაარსა პირველი საეპისკოპოსო კათედრა.

ჩანს, ოფის საეპისკოპოსო ცენტრი, სადაც, იმხანად ლაზიკის მიტროპოლიტს ჰქონდა კათედრა, წმიდა ნინოს დაარსებული იყო.

ძველ დროს აქ იყო ცნობილი ფასიდის სამიტროპოლიტო ცენტრი, რომელსაც შემდგომ VI-VII სს-ში დაექვემდებარნენ ზიგანას, როდოპოლისის, საისინისა და პეტრას საეპისკოპოსოები.

ლაზიკა-კლარჯეთის ამ რეგიონს რთული ისტორია ჰქონდა. IV ს-ში ის შედიოდა ქართლის სამეფოში, V ს-ში მიიტაცა ბიზანტიამ, V ს-შივე დაიბრუნა ვახტანგ გორგასალმა, VI ს-ში ის ისევ მიიტაცა ბიზანტიამ ჭოროხის ხეობასთან ერთად, რის გამოც გაჩაღდა სპარსეთ-ბიზანტიის ომები ლაზიკისათვის, ამ ომში გაიმარჯვა ბიზანტიამ, რაც დაგვირგვინდა VII ს-ში ჰერაკლე კეისრის სპარსეთში გამარჯვებით. VIII ს. შემდეგ ეს მხარეები სადავო გახდა არაბებსა და ბიზანტიელებს შორის. რამაც ხანგრძლივი არასტაბილურობის გამო გამოიწვია როდოპოლისის, ზიგანას, საისინისა და პეტრას საეპისკოპოსო კათედრების დამცრობა-გაუქმება. მალევე ამ მიწა-წყალზე შეიქმნა ბიზანტიური ადმინისტრაციული ერთეული “არმენიაკონის” სახელწოდებით. კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით ამ თემს არმენიაკონი ეწოდა იმის გამო, რომ მის მახლობლად ცხოვრობდნენ არმენიელები. ამ თემს მალევე დაუბრუნდა თავისი ნამდვილი სახელი და ეწოდა „ქალდიას თემი“. ის მდებარეობდა ტრაპეზუნტის სამხრეთის მთიანეთში და მოიცავდა აგრეთვე ზემოთ აღნიშნულ ზღვისპირა რეგიონსაც ოფ-ათინას მიმართულებით. ეკლესიურად აქ მდებარე ოლქს ერქვა „ეპარქია ლაზიკაში“, ნ. აღონცისა და ასევე ჩვენი კვლევით

აქ მდებარეობდნენ ზემოთ აღნიშნული საეპისკოპოსოები. კერძოდ, ზიგანა მდებარეობდა ტრაპეზუნტის სამხრეთით 70 კმ მანძილზე, სადაც ამჟამად არის პუნქტი გუმუშხანე. იქვე მდებარეობდა როდოპოლისის საეპისკოპოსო კათედრა, კერძოდ რეგიონში, სადაც ამჟამად არის ცნობილი სუმელას მონასტერი. აღონცის ცნობით პეტრას საეპისკოპოსო კათედრა მდებარეობდა თეოდოსოპოლ-არზუმსა და ბაიბურთ-პაიპერტს შორის. ხოლო საისინის საეპისკოპოსო კათედრა არდასასა და ძველ ქალაქ ნიკოპოლს შორის.

აღონცის, ინგოროყვას და ასევე სხვა მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ პიტიუნტის საეპისკოპოსო კათედრა IV საუკუნეში მდებარეობდა ოფ-რიზეს რეგიონში. ეს რეგიონი როგორც ზემოთ აღვნიშნეთ გააქრისტიანა წმიდა ნინომ. შესაბამისად, პიტიუნტის კათედრა მისი დაარსებულია. ხორენაცის ცნობით წმიდა ნინომ ჯერ იქადაგა კლარჯეთში და შემდგომ შიდა იბერიაში. ასევე გელასი კესარიელის ცნობაში წმ. ნინო იხსენიება ლაზების განმანათლებლად. როგორც ითქვა, მცხეთაში მოსვლამდე წმ. ნინოს გაუნათლებია ლაზიკა VI ს-ის 10-20-იან წლებში, ამ დროს დაუარსებია პიტიუნტის საეპისკოპოსო კათედრა, რომლის ეპისკოპოსმა სტრატოფილემ მონაწილეობა მიიღო 325 წლის I მსოფლიო ეკლესიის მუშაობაში.

როგორც ითქვა, ძველი ქართველი მთარგმნელები, როგორც მთაწმიდელები, ისე სხვები, სიტყვა „ლაზიკას“ მიიჩნევენ უცხო სიტყვად. ისინი „ლაზიკის“ ფარდ ქართულ შესატყვისად მიიჩნევენ სიტყვას: „სოფელი მეგრელთა“, მაგალითად, ანდრიას „მიმოსვლის“ თარგმანის დროს მათ სიტყვა ლაზიკა თარგმნეს, როგორც „ტრაპეზუნტი-სოფელი მეგრელთა“, და ასეა კიდევ შესული „ქართლის ცხოვრების“ დანართში (ანდრიას „მიმოსვლის“ აღწერისას).

აღსანიშნავია, რომ იგივე შესატყვისი „სოფელი მეგრელთა“ შესულია 691 წლის ტრულის საეკლესიო კრების ეპისკოპოსთა ხელის მოწერაშიც. დედანშია – „თეოდორე, ეპისკოპოსი ფასიდისა, ლაზიკაში“. რაც ქართველმა მთარგმნელმა ასე გადმოიღო – „თეოდორე, ეპისკოპოსი ფასოყსა, სოფელსა შინა მეგრელთასა“. ასევე დედანში ეწერა „იოანე, ეპისკოპოსი ქალაქ პეტრონისა, ლაზიკაში“, ქართველმა მთარგმნელმა გადმოიღო „იოანე, ეპისკოპოსი ქალაქისა პეტრონისა, ქვეყანასა შინა მეგრელთასა“.

ცნობილი ისტორიკოსი თედო ჟორდანი ფიქრობდა, რომ ფასიდი (ქართულად ფასოყ) ფოთს ერქვა, ამიტომაც თავის მიერ გამოცემულ ტრულის კრების კანონებს დაურთო საკუთარი კომენტარი „ფასოყ-ფოთსა იტყვის“, სინამდვილეში კი ქალაქი ფასიდი უფრო სამხრეთით ჭოროხსა და ტრაპეზუნტს შორის მდებარეობდა.

მამასადამე, უნდა დავასკვნათ, რომ კრებას ესწრებოდნენ ჭოროხ-ტრაპეზუნტის რეგიონის ქალაქების ქართველი ეპისკოპოსები, მაგრამ, რადგანაც ეს რეგიონი, იმჟამად, შედიოდა ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში, აღნიშნული ეპისკოპოსები კანონიკურად კონსტანტინოპოლის ეკლესიის იურისდიქციას მიეკუთვნებოდნენ.

აღნიშნული ლაზიკის საეპისკოპოსოები მდებარეობდნენ ქართველთა ისტორიულ სამშობლოში, კერძოდ, ტრაპეზუნტის რეგიონის ქალდეას თემში. მამასადამე არაა მართებული ამჟამად მღებული თვალსაზრისი, თითქოს „აფ-

ხაზეთის საკათალიკოსომ შეცვალა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებული ლაზიკის სამიტროპოლიტო და აბაზგიის საარქიეპისკოპოსო ეპარქიები“. როგორც ითქვა აფხაზეთის საკათალიკოსო ქართული ეკლესიის წიაღში აღმოცენდა, ხოლო აბაზგიის ეპარქია შეცდომით ამასიის ეპარქიას უწოდა გვიანი ეპოქის (XVII-XVIII სს.) ხელნაწერის გადამწერმა.

კონსტანტინოპოლის პატრიარქის ნიკოლოზ მისტიკოსის წერილები აფხაზთა მეფეებს

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს არასოდეს განუცხადებია პრეტენზია დასავლეთ საქართველოში თავისი ძველი იურისდიქციის შესახებ.

საქართველოს ეკლესიის მიმართ კონსტანტინეპოლს მსგავსი პრეტენზია რომ ჰქონოდა გამოთქვამდა როგორც წარსულში, ისე მეოცე საუკუნეში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის პროცესის დროს.

ცნობილი ბერძენი კანონიკი სარდელი მიტროპოლიტი მაქსიმე თავის წიგნში „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია“ (ათენი, 1966) კონსტანტინეპოლის არავითარ პრეტენზიას არ გამოთქვამს საქართველოს ეკლესიის მიმართ.

ეს თვალსაზრისი კიდევ უფრო ადრე გამოთქვა ცნობილმა კვლევარმა მ. თარხნიშვილმა. ის წერს: „**ბიზანტიას არც პატრიარქობის დროს არც სხვა რომელიმე ხანაში არავითარი პრეტენზია არ განუცხადებია საქართველოს ეკლესიის შესახებ**“ (მ. თარხნიშვილი, წერილები 1994, გვ. 463).

აღნიშნული მოსაზრების თვალსაჩინო მაგალითია კონსტანტინოპოლის პატრიარქ ნიკოლოზ მისტიკოსის წერილები აფხაზთა მეფეების მიმართ (იქვე, გვ. 436-438).

ბიზანტიის გამორჩენილმა იერარქმა ნიკოლოზ მისტიკოსმა, რომელიც წმ. ფოტის მოწაფე იყო, მრავალი პრინციპული მნიშვნელობის წერილი მიწერა თავისი ეპოქის მნიშვნელოვან სახელმწიფო და საეკლესიო პირებს. მათ შორის ის წერდა აფხაზთა მეფეებსაც. მ. თარხნიშვილის გამოკვლევით მას 902 წელს წერილი მიუწერია აფხაზთა მეფე **ბაგრატისათვის, 906-907 წელს კონსტანტინესათვის, 924-925 წლებში მეფე გიორგისათვის.**

საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსთა კვლევით ნიკოლოზ მისტიკოსის ეპოქა, IX-X საუკუნეები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო „დასავლეთ საქართველოს ეკლესიისათვის“, რადგანაც იქიდან თითქოსდა ამ ეპოქაში განდევნილი იქნა ბერძნული საღვთისმსახურო ენა, განდევნილი იქნენ ბერძენი სასულიერო პირები, გაუქმდა ბერძნული ეპარქიები და საეპისკოპოსო კათედრები. მათი ადგილი კი თითქოსდა დაიჭირა ქართულმა.

როგორც ცნობილია, ზემოთ აღნიშნული აფხაზთა მეფე გიორგის მიერ დასავლეთ საქართველოს ცენტრში დაარსებული იქნა **ჭყონდიდის საეპისკოპოსო** კათედრა. ცხადია თუ დასავლეთ საქართველო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში იმყოფებოდა, მის ცენტრში ჭყონდიდის ქარ-

თული საეპისკოპოსო კათედრისა და ეპარქიის დაარსება შეზღუდავდა კიდევ იქ ბერძნულ ეკლესიას ანუ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს კანონიერ უფლება-მოსილებას, ეს კი უნდა ასახულიყო და აისახებოდა კიდევ მეფე გიორგისადმი მიწერილ კონსტანტინოპოლის პატრიარქის მიერ მიწერილ წერილებში, ეპოქის სხვა დოკუმენტებში.

ამ კუთხით სურათის შესასწავლად კარგი საშუალებაა სწორედ ამ ეპოქის კონსტანტინოპოლელი პატრიარქის ნიკოლოზ მისტიკოსის წერილები.

აფხაზთა სამეფო, როგორც ცნობილია მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს.

902 წელს კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი დასავლეთ საქართველოს (აფხაზთა) მეფე ბაგრატს უწოდებს „ღვთის მოყვარესა და ზნე ტკბილ“ ადამიანს, რომელიც სიყვარულს ბადებს ნიკოლოზ მისტიკოსის გულში. უფრო მეტიც პატრიარქი მეფეს უწოდებს „ღვთის კაცს“, საკუთარ შვილს, მამობრივი ამბორით ესალმება მას. პატრიარქი მეფეს უწონებს „ღვთივ აღტყინებულ მისწრაფებას“ ალანთა ერის სახსენლად. ერთი სიტყვით პატრიარქი ძალზე აქებს და ყოველმხრივ ემადლიერება აფხაზთა მეფეს.

წერილიდან სრულებით არ ჩანს რაიმე კვალი იმისა, რომ დასავლეთ საქართველოში იზღუდებოდა ბერძნული საეკლესიო იურისდიქცია, არ ჩანს რაიმე კვალი იმისა, რომ ამ სამეფოში გააუქმეს ბერძნული საეპისკოპოსო კათედრები და რომ მისი ბერძენი მღვდელმთავრები იღვენებოდნენ.

თუკი პატრიარქ ნიკოლოზ მისტიკოსის დროს შეიცვალა ისეთი ცნობილი ბერძნული საეკლესიო კათედრების სტატუსი, როგორებიც იყვნენ ფასისის, როდოპოლისის, ზიგანას, საისინისა და პეტრას კათედრები, იმდენად, რომ ისინი ჩამოაყალიბეს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს და შეიყვანეს ქართული ეკლესიის იურისდიქციაში, ცხადია ეს ადგილობრივი მთავრობის ნებართვით მოხდებოდა.

ადგილობრივ მეფეებს კი იმ დროისას – ბაგრატს, კონსტანტინესა და გიორგის თბილ წერილებს წერდა კონსტანტინოპოლის პატრიარქი.

შეუძლებელია ამ დიდმნიშვნელოვანი ეპარქიების დაკარგვით კონსტანტინოპოლი აღშფოთებული რომ არ ყოფილიყო, მით უმეტეს დასავლეთ საქართველოს მთავრობის მიმართ.

როგორც ითქვა, აღნიშნულ თბილ წერილებში საერთოდ არ იხსენიება „გაუქმებული“ დიდმნიშვნელოვანი როდოპოლისის, საისინის, ზიგანასა თუ პეტრას კათედრები და იქ მხოლოდ ახალქრისტიან ალანებზეა საუბარი.

ცხადია თუკი კონსტანტინოპოლის პატრიარქი დიდ მზრუნველობას იჩენდა აფხაზეთში სტუმრად მყოფი ალანის ეპისკოპოსის მიმართ და თხოვდა აფხაზთა მეფეებს ყოველმხრივ, ყოველი საშუალებით დახმარებოდა ალანის ეპისკოპოსს, მითუმეტეს გაცილებით უფრო დაეხმარებოდა ბერძენ სასულიერო პირებს თუ ისინი დასავლეთ საქართველოში **უკათედრებოდ დარჩნენ და იღვენებოდნენ.**

აღნიშნული წერილების განხილვა უფლებას გვაძლევს გამოვთქვათ აზრი, რომ **IX-X საუკუნეებში აფხაზთა სამეფოში მსგავს დევნას ადგილი არ ჰქონია.**

ნიკოლოზ მისტიკოსის ყველა წერილი აფხაზთა მეფეების მიმართ გულთადაი და გულთბილია.

კერძოდ, 906-907 წლებში პატრიარქი აფხაზთა ახალ მეფეს კონსტანტინესაც წერს წერილს. მას უწოდებს „ბრწყინვალე საყვარელ შვილს“, ხოლო მის გარდაცვლილ მამას ბაგრატს კი უწოდებს **ნეტარს**, რომლის გარდაცვალება კონსტანტინოპოლმა ჯეროვნად იგლოვა.

პატრიარქი ღმერთს ჰმადლობს იმის გამო, რომ გარდაცვლილის ნაცვლად ტახტზე ავიდა მამის სათნოების მქონე ახალი ხელმწიფე, გონიერი და ბრძენი. ახალ მეფესაც პატრიარქი სთხოვს დაეხმაროს ალანის ეპისკოპოსს და გააუმჯობესოს მისი საცხოვრებელი პირობები.

თითქმის 20 წლის შემდეგ კონსტანტინოპოლის პატრიარქი წერილს წერს მეფე გიორგის. უწოდებს მას კეთილშობილს, რომელიც ღმერთმა დაადგინა, და შემკობილია სულიერი შარავანდედით. პატრიარქი გამოთქვამს დიდ სიხარულს, რომ მეფე ბრწყინვალე მაგალითს იძლევა თავისი კეთილშობილი ქცევებით.

წერილიდან ჩანს, რომ მეფეს და პატრიარქს იქამდეც ჰქონიათ წერილობითი ურთიერთობა. მეფეს დაინტერესება გამოუთქვამს გაეგო ბულგარეთის ამბები. პატრიარქი პასუხობს მას და თხოვს როგორც შეშვენის მის მეფურ დედებსა და ბრწყინვალეობას ძველებურად დაიცვას პატრიარქთან გულწრფელი მეგობრობა. პატრიარქი ამ წერილში მეფეს მეგობარს უწოდებს სამჯერ.

მ. თარხნიშვილის მიერ თარგმნილი ამ წერილებიდან კარგად ჩანს, რომ **902-925 წლებში დასავლეთ საქართველოში ადგილი არ ჰქონია ბერძნული ეკლესიის დევნას და არც წინა ეპოქაში წინა მეფეების დროს.**

მაშასადამე, IX-X საუკუნეებში კონსტანტინოპოლის საპატრიარქო არ გამოთქვამდა პრეტენზიას ქართული ეკლესიის მიმართ.

ისმის კითხვა IX-X საუკუნეებში ქართული ეკლესია თუკი შეიჭრა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში, ამ ეპოქის კონსტანტინოპოლელი პატრიარქები (მაგალითად, ნიკოლოზ მისტიკოსი) რატომ არ გამოთქვამდნენ პრეტენზიებს ქართული ეკლესიის მიმართ?

პასუხი ასეთია: სინამდვილეში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეპარქიები ლაზიკაში განლაგებულნი იყვნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ტრაპეზუნტის ახლო მთიანეთში, რომელსაც წყაროებში „სოფელი მეგრელთა“ ერქვა. აქ იყვნენ განლაგებულნი ფაზისის სამიტროპოლიტოს პეტრას, ზიგანას, როდოპოლისისა და საისინის ეპარქიები.

აქედან გამომდინარე დასავლეთ საქართველო არ შედიოდა კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში.

ბუნებრივია არარსებული ბერძნული საეპისკოპოსოების გაუქმება შეუძლებელი იყო, და ამიტომაც **კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს არასდროს გააჩნდა პრეტენზიები საქართველოს ეკლესიის მიმართ.**

აფხაზეთის საკათალიკოსო, ისტორიულად ყოველთვის ზოგად ქართული ეკლესიის ერთ ნაწილს წარმოადგენდა, ქართული ეკლესიის მეორე ნაწილი იყო ქართლის საკათალიკოსო.

ზოგად ქართული ეკლესიის მთლიანობა მიიღწეოდა საერთო საეკლესიო სამართლით, საერთო სჯულისკანონით, საერთო ქართული საღვ-

თისმსახურო ენით, საერთო ტრადიციებითა და საქართველოს პატრიარქის საერთო მეთაურობით. ამ ორ პირველიერარქს შორის ერთს უხუცესი, ხოლო მეორეს უმრწემესი ეწოდებოდა.

ერთიან ქართულ ეკლესიაში წოდება „კათალიკოსი“ შეესაბამებოდა ბერძნული საპატრიარქოების „მიტროპოლიტის“ წოდებას.

როგორც ბერძნული საპატრიარქოს მიტროპოლიტს უშუალოდ ექვემდებარებოდნენ თავისი ეპისკოპოსები, ასევე ქართლის კათალიკოსს ექვემდებარებოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები, ხოლო აფხაზეთის კათალიკოსს დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები, ხოლო ორივე ეს საკათალიკოსო ერთიანი ქართული ეკლესიის საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეულები (სამიტროპოლიტო ოლქები) იყვნენ.

როგორც ითქვა, მათი ზემდგომი საეკლესიო ინსტიტუტი იყო საერთო სჯულისკანონის და საეკლესიო სამართლის შემმუშავებელი ადგილობრივი საეკლესიო კრებები.

ეს საკათალიკოსოები აღიარებდნენ ასევე უპირატესი პირველიერარქის ავტორიტეტს. მას „უხუცეს პატრიარქს“ უწოდებდნენ. მისი მოვალეობა იყო უზრუნველყო სრულიად საქართველოს ეკლესიაში (ე.ი. ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოებში) საერთო სჯულისკანონის დაცვა, საჭიროების შემთხვევაში ახალი საერთო კანონების შემუშავება (მაგ., XVI ს-ის „სამართალი კათალიკოსთა“).

აღსანიშნავია, რომ საეკლესიო კრების მიერ აფხაზეთისა და ქართლის კათალიკოსთა მონაწილეობით გამოცემულ კანონებს მთელს საქართველოში (ცხადია აფხაზეთშიც) სავალდებულოდ აღსასრულებელი ძალა ენიჭებოდა სამოქალაქო სამართლის სფეროშიც.

ზოგიერთ საეკლესიო-საკანონმდებლო კრებას მიღებული აქვთ კანონები, რომელნიც უფრო საერო-სამოქალაქო სამართლის სფეროს განეკუთვნებიან, ასეთებია მაგალითად, სასჯელთა ჩამონათვალი ქურდობისათვის, ყაჩაღობისათვის და სხვა მსგავსი. როგორც აღინიშნა ამ კანონებს სავალდებულოდ აღსასრულებელი ძალა ენიჭებოდა.

„უხუცეს“ პირველიერარქად ანუ „საქართველოს პატრიარქად“, როგორც წესი, ირჩევდნენ მცხეთელ კათალიკოსს, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში ბიჭვინთელ ანუ აფხაზთა კათალიკოსს გადაეცემოდა ეს ტიტული („საქართველოს პატრიარქი“).

მაგალითად, შაჰ-აბასის შემოსევების შემდეგ (XVII საუკუნესა და XVIII ს-ის პირველ ნახევარში) აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოებმა დაკარგეს სუვერენიტეტი (მუსულმანური მმართველობის ქვეშ მოექცნენ), ხოლო დასავლეთ საქართველო ძველებურად მართლმადიდებელ მეფე-მთავართა მიერ იმართებოდა.

ამ ფაქტმა გაზარდა დასავლეთ საქართველოს მმართველთა (მეფეთა და კათალიკოსთა) ავტორიტეტი, რაც მათ ტიტულატურაშიც აისახა. მაგალითად, აფხაზეთის კათალიკოსთა ტიტულატურაში გამოჩნდა ტიტული „საქართველოს პატრიარქი“, უცხოური წყაროების თანახმად, ამ ეპოქაში, აფხაზეთის კათალიკოსი სრულიად საქართველოს (იბერიის) უხუცეს (უპირატეს)

პირველიერარქად ითვლებოდა. მაგალითად, ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი (XVII ს.) ამის შესახებ წერდა:

„იბერიაში ორი ავტოკეფალური არქიეპისკოპოსია, რომელთაც ქართველები უწოდებენ კათალიკოსებს. ქვემო იბერია, რომელსაც ძველად კოლხეთსა და ლაზიკას უწოდებდნენ, აქვს ეპარქიები იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთში, სვანეთსა და მესხეთის ნაწილში... ზემო და ქვემო იბერიას შორის საზღვარი არის ქედი... ქვემო იბერიის კათალიკოსი პატივით უფრო მეტია ზემო იბერიის კათალიკოსზე... იბერები ქვემო იბერიის კათალიკოსს მიიჩნევენ უფროს კათალიკოსად, რადგანაც მეფე, ე.ი, იმერეთის თავი, მათთან იწოდება მეფეთა-მეფედ“ (სარდელი მიტროპოლიტი მაქსიმი, ქართული ეკლესია და მისი ავტოკეფალა „თეოლოგია“, ათენი, 1966 წ. გვ. 48, თარგმანი ბერძნულიდან რუსულად, 1981).

XVIII საუკუნის II ნახევარში აღსდგა აღმოსავლეთ საქართველოში სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი და სამეფო ტახტი კვლავ მართლმადიდებელმა ხელმწიფეებმა დაიჭირეს, ამ ფაქტმა ძველი ავტორიტეტი დაუბრუნა მცხეთელ კათალიკოსს, და ის ძველებურად „უხუცეს“ პირველპატრიარქად იქცა ქართულ საეკლესიო სამყაროში, რაც ცხადია საეკლესიო სამართლის სფეროშიც აისახა, მაგალითად აფხაზ კათალიკოსთა ტახტზე მჯდომი წმ. დოსითეოს ქუთათელის დროს ანტონ კათალიკოსის დიკასტერიის (საეკლესიო სასამართლო) სამართლის სფეროში შედიოდა აღმოსავლეთთან ერთად დასავლეთ საქართველოც (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს საეკლესიო კრებები, 2010 წ.).

XIX ს-ში მთელი ეს სისტემა მოიშალა, რადგანაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებამ.

1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთის სახელმწიფომ დაუბრუნა საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია, რომელიც იქამდე 1917 წლის 25 მარტის აქტის საფუძველზე აღდგენილად გამოაცხადა საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრებმა და მრევლმა.

რუსეთის იმჟამინდელმა მთავრობამ ცნო საქართველოს ეკლესიის შინაგანი სტრუქტურა, კერძოდ, ავტოკეფალიის გამოცხადების შემდეგ საეკლესიო კრებამ ეკლესიის პირველიერარქს მიანიჭა სრულიად საქართველოს კათალიკოს პარტიარქის ტიტული. მაშასადამე, ის აერთიანებდა უკვე საუკუნის მანძილზე არ არსებული (გაუქმებული) ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსო კათედრებს. მას უკვე უშუალოდ ექვემდებარებოდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები. ამის შემდეგ ტიტული მიტროპოლიტი აღნიშავდა მხოლოდ პატივს ეპისკოპოსისა და არა იერარქიულ თანამდებობას. ეს ტიტული მხოლოდ საეპისკოპოსო ჯილდოს წარმოადგენს.

შესაბამისად, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველის თანამდებობრივი ტიტული არის ეპისკოპოსი და მას ღვანლისათვის შესაძლოა ჯილდოს სახით ეპოქოს მთავარეპისკოპოსის ანდა მიტროპოლიტის წოდება.

საქართველოს პატრიარქს მიენიჭა უფლება მუდმივად ან დროებით მართავდეს რომელიმე ეპარქიასაც. 1917-18 წლების კრებებმა მას სამართავად გადასცა მცხეთა-თბილისის ეპარქია, 2010 წლის კრებამ (წმ. სინოდმა) ცხუმ-

აფხაზეთის ეპარქია, სხვადასხვა წლებში საქართველოს პატრიარქები სხვა ეპარქიებსაც მართავდნენ, მაგ. მანგლისისა, ქუთაისისა და სხვა.

აფხაზეთის საკათალიკოსო, ვითარცა ქართული ეკლესიის ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეული (ბერძნული სამიტროპოლიტოს ფარდი) და-აარსა საქართველოს საეკლესიო მმართველობამ, რაც ხელმწიფის კარის მი-ერაც იქნა დადასტურებული („ამან ბაგრატ განაჩინა კათალიკოზი აფხაზეთს“ – გვამცნობს ქართლის ცხოვრება), დასავლეთ საქართველო იმთავითვე ქარ-თული ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა (IV ს-დანვე), აფხაზეთა სამე-ფოს ჩამოყალიბებამ წარმოქმნა საფუძველი ქართული ეკლესიის აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსებისა. ამიტომაც არაა სწორი ნ. ლომოური, რომელიც აცხადებს რომ VIII ს-ში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს გამოეყო დასავ-ლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ეკლესიაც (ნ. ლომოური, 2009, გვ. 40-46).

იოანე მინჩხი – „ქართველი“

ძველ ქართველ მოღვაწეებს სახელებს უწოდებდნენ არა რეგიონული წარმომავლობის, არამედ ზოგად-ეროვნული იდენტობის შესაბამისად.

მაგალითად, წმიდა ილარიონს, მიუხედავად იმისა, რომ ის იყო კახეთი-დან, რაც მის ბიოგრაფიაშიცაა ასახული, უწოდებდნენ „ქართველს“.

არგვეთის (შემდგომი იმერეთის) ერისთავებსაც წმ. დავითსა და კონს-ტანტინეს „ქართველნი“ ერქვათ, თუ არას ვიტყვიტ ტაოელი იოანე მთანმი-დელისა თუ ჯავახელი გიორგი მთანმიდელის შესახებ, რომელთაც წყაროებ-ში ასევე „ქართველნი“ ერქვათ. გამონაკლისი არაა აფხაზეთა სამეფოს მოლ-ვანენიც, კერძოდ, მაგალითად ჭყონდიდის სანახებში მცხოვრებ პოეტსა და კომპოზიტორს ივანე მინჩხს „ქართველი“ ერქვა მთელი ქართული სამყაროს მოღვაწეთა მსგავსად.

იოანე მინჩხი, ჩანს დაიბადა სოფელ ინჩხურში, მარტვილის სანახებში, ამავე სოფელში თითქმის ათასი წლის შემდეგ დაიბადა ასევე უდიდესი პატ-რიარქი წმიდა ამბროსი ხელაია, ინებოს უფალმა, რომ კიდევ ათასი წლის შემ-დეგ ამავე სოფელმა კვლავ განანათლოს საქართველო.

იოანე ანუ ივანე მინჩხი იყო ქართული ლექსის დიდოსტატი, იმდენად სახელოვანი პოეტი და მუსიკოსი, რომ მისი საგალობლები X ს-ში მთელ ქართულ სამყაროში გავრცელდა.

მინჩხი არა მარტო წერდა ტექსტებს (თანამედროვე სიტყვებით რომ ვთქვათ), არამედ მათ ურთავდა მუსიკალურ კომპოზიციებს. უფრო მე-ტიც. მას შემოუღია ქართული გალობის ახალი ფორმა, ე.წ. „სპადუქნი“ და „მორთულნი“.

„სახელდობრ, ეს გალობანი მოიცავს არა ცხრა სალექსო საზომის მონაცვლეობას ცხრა მუსიკალურ კომპოზიციასთან ერთად, არამედ აქ ხუთი სალექსო საზომი შეწყობილია ცხრა მუსიკალურ კომპოზიციასთან“ (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 672).

მის საგალობელთა შესახებ აღნიშნულია: „თქმულნი ნეტარისა მინჩხისა ქართველისანი“ (იქვე, გვ. 671).

ივანე მინჩხი, როგორც ითქვა, წარმოშობით ჭყონდიდის სანახებიდან – ინჩხიდან (ინჩხური) ყოფილა. ამიტომაც მას „მინჩხს“ ეძახდნენ.

მისი წარმოშობის ადგილი განუდიდება აფხაზთა მეფე გიორგი II-ს, რომელსაც ძლიერ უყვარდა და პატივს სცემდა ივანე მინჩხს, იმითაც, რომ ჭყონდიდში საეპისკოპოსო კათედრა განუწესებია.

ივანე მინჩხი X საუკუნის 70-იან წლებში გარდაცვლილა (იქვე, გვ. 670). ის იყო რუსთაველის ერთ-ერთი წინამორბედი.

კონსტანტინოპოლის პატრიარქის ნიკოლოზ I-ის ადრესატი მეფე გიორგი II იოანე მინჩხის სიტყვით – „დიდი და კარგი“

წმიდა პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი (გარდ. 925წ.), როგორც ცნობილია, წერილებს წერდა აფხაზთა მეფე გიორგი II-ს, საბჭოთა ეპოქის მკვლევარების სიტყვით, სწორედ მის ეპოქაში (X-ის დასაწყისში), თითქოსდა, ქართულმა ეკლესიამ კონსტანტინოპოლს ჩამოართვა კათედრები აფხაზეთში (დასავლეთ საქართველოში) და მათზე თავისი უფლება განახორციელა. მიიჩნევა, რომ ცნობილი საეპისკოპოსოების (ფაზისისი, როდოპოლისის, საიხინის, პეტრას, ზიგანას) დაკარგვით კონსტანტინოპოლმა დაკარგა თავისი იურისდიქცია მთელ დასავლეთ საქართველოზე (აფხაზეთზე).

თუ ეს ნამდვილად ასე იყო და ქართულმა ეკლესიამ მართლაც წაართვა კონსტანტინოპოლს ეპარქიები დასავლეთ საქართველოში, ფაქტი უნდა აესახა წმ. პატრიარქ ნიკოლოზ მისტიკოსის წერილებს.

აისახა თუ არა ასეთი უმწვავესი მომენტი ნიკოლოზ მისტიკოსის წერილებში აფხაზთა მეფის მიმართ?

არავითარი ოდნავ მინიშნებას, ან ნაკვალევს წერილები ამისას არ შეიცავს.

პირიქით, არსებობს საბუთი, საიდანაც კარგად ჩანს, რომ არავითარი ტერიტორიული პრეტენზია არ არსებობდა კონსტანტინოპოლისა და (დას. საქართველოს) აფხაზეთის მეფეთა შორის.

აღსანიშნავია, რომ სომეხთა პატრიარქისადმი წერილში იგივე ნიკოლოზ მისტიკოსი წერს ასეთ რაიმეს: „კავკასიის და აფხაზეთის მიწები შენს „იურისდიქციაში იგულე“. მას სადავო საკითხები რომ ჰქონოდა დასავლეთ საქართველოს მიმართ, სომეხ პატრიარქს მიწერდა კიდევ ამის შესახებ და იტყოდა, რომ მიწები აფხაზეთში შედიოდნენ კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში და, ცხადია, უფრო მწვავედ ამასვე მიწერდა აფხაზთა მეფეს გიორგი II-ს.

როგორ ფასდებოდა გიორგი მეფე ეკლესიის მიერ?

მას იოანე მინჩხი საეკლესიო საგალობლის წარწერაში „დიდს და კარგს“ უწოდებდა. ისაა დიდი მართლმადიდებელი მეფე, რომელსაც კონსტანტინოპოლის პატრიარქი წერდა წერილებს, ხოლო ქართული ეკლესიის მოღვაწენი დიდად აქებდნენ.

დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ჭყონდიდში X საუკუნეში შექმნილ საგალობელს აქვს ზედწერილი „ეს გალობანი მას კარგსა გიორგი მეფესა, დიდსა, დიდითა ვედრებითა აღუწერვებიან მინჩხისადა“. ესაა ის აფხაზთა მეფე გიორგი II (922-957), რომელსაც წერილებს წერდა პატრიარქი კონსტანტინოპოლისა, იგი იყო ქართული ენისა და კულტურის უდიდესი მოყვარული, იმდენად, რომ ის ევედრებოდა, „დიდი ვედრებით“ მიმართავდა თავისი სამეფოს პოეტსა და კომპოზიტორს ივანე მინჩხს, რომ მას დაეწერა ახალი ქართული საგალობლები.

მეორე მხრივ, ნიკოლოზ მისტიკოსიც ევედრებოდა, როგორც წერილებიდან კარგად ჩანს, აფხაზთა მეფეს გიორგი II-ს თავისი მფარველობა არ მოეკლო ალანის ეპარქიისადმი. მიუხედავად ხვეწნა-მუდარისა და შესაბამისი მიმართვისა, ჩანს, გიორგი მეფეს იმდენად დიდი ყურადღება არ მიუპყრია უცხო პატრიარქის სათხოვრისადმი. სამაგიეროდ, მისი ყურადღება მშობლიურისადმი მიპყრობილი. მისი „ვედრების“ შედეგად ივანე მინჩხს, ვითარცა კომპოზიტორს და პოეტს, შემოუღია დამოუკიდებელი სალექსო საზომები ე.წ. „სპადუქნი“ და „მორთულნი“, ცხადია, თავისი შესაბამისი მუსიკით (მუსიკალური კომპოზიციით), რომელსაც აღტაცებით შეხვედრია მთელი ქართული სამყარო X საუკუნეში, რის გამოც აფხაზეთის გარეთაც ის ძლიერ გავრცელებულა (პ. ინგოროყვა, გ. მერჩულე, გვ. 672).

სინურ ხელნაწერში დაცულ საგალობელს ივანე მინჩხის მიერ დართული აქვს შემდეგი კიდურწერილი: „წმიდაო გიორგი, შეენიე გიორგი მეფესა წინაშე მეუფეთა მეუფისა და ადიდე“ (იქვე, გვ. 670).

აბაზგიის ავტოკეფალია – ს. ყაუხჩიშვილის შეცდომა

ცნობილია, რომ არსებობდა აბაზგიის სამთავრო, მაგრამ არსებობდა თუ არა „აბაზგიის ავტოკეფალური ეპარქია“?

ეს კითხვა დაისვა, რადგანაც წყაროებში მის ნაცვლად არცთუ იშვიათად გვხვდება „ამასიის ავტოკეფალური ეპარქია“.

კვლავ დავუბრუნდეთ იმ საკითხს, რომ ს. ყაუხჩიშვილის („გეორგიკა“, IV, ნაწილი 2) ნოტიციების ცხრილებში კონსტანტინოპოლის ავტოკეფალურ არქიეპისკოპოსთა შორის რამდენჯერმე გვხვდება „აბაზგიის“ ეპარქია, კერძოდ, ნოტიცია I-ში, ნოტიცია VI-ში, ნოტიცია VII-ში და ნოტიცია VIII-ში, მაგრამ აქ ყველაზე საინტერესო ის მომენტია, რომ თვით **ს. ყაუხჩიშვილისავე განმარტებით, ზოგიერთი ნოტიციის ბერძნულ დედანში, სინამდვილეში წერია არა „აბაზგია“, არამედ „ამასია“.**

მოხდა ისე, რომ ს. ყაუხჩიშვილმა ამ ხელნაწერების გამოცემისა, ყველგან სადაც კი ეწერა „ამასიის ეპარქია“, ყველგან ჩაწერა „აბაზგიის ეპარქია“.

ამის მიზეზია ს. ყაუხჩიშვილის მოსაზრება, რომ დედანში დაშვებულია შეცდომა და „ამასიის“ ნაცვლად ყველგან ჩაწერა „აბაზგია“. მან გა-

მოცა შესაბამისი ბერძნული ტექსტები და აქაც, ბერძნულად გამოცემულ ტექსტებში არ აისახა ხელნაწერებში არსებული სიტყვა „ამასია“.

თანაც „ამასიის“ ნაცვლად თავის მიერვე დაბეჭდილ ბერძნულ ტექსტებში შეცვალა სიტყვა „ამასია“ სიტყვა „აბაზგიით“ და ასევე დაბეჭდა ბერძნულად და პარალელურად, ქართულად.

ს. ყაუხჩიშვილის ამ ქმედებამ, როცა მან ბერძნულ ტექსტში რამდენიმე ადგილზე შეცვალა სიტყვა „ამასია“ სიტყვა „აბაზგიით“ და ასეთი შეცვლილი სახით დაბეჭდა (გამოსცა), მკვლევართა თაობებს შეუქმნა შთაბეჭდილება, თითქოსდა, ბერძნულ დედანში ყველგან ნამდვილად დაწერილია „აბაზგის ავტოკეფალია“, სინამდვილეში კი დიდ ნაწილში წერია „ამასიის ავტოკეფალია“.

„ამასია“ იყო ტრაპეზუნტთან ახლოს ცნობილი სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრი და ამ ქალაქის ეპისკოპოსს დიდი გავლენა ჰქონდა. თვით ს. ყაუხჩიშვილის ცნობით, ნოტიცია VI-ს დედანში „ავტოკეფალურ არქიეპისკოპოსთა“ ნუსხაში წერია – „35. ეპარქია ამასიისა – სებასტოპოლის არქიეპისკოპოსი“ (გეორგიკა IV, ნაწილი 2, 1952, გვ. 139).

ს. ყაუხჩიშვილმა დედნის ამ ჩანაწერს დაურთო შენიშვნა – „ამჟამად შეცდომაა, უნდა იყოს „აბაზგიას“ (გეორგიკა, IV, 2, გვ. 139, შენიშვნა 2).

ამის შემდგომ წიგნზე თანდართულ ოფიციალურ განზოგადებულ ნოტიციათა ცხრილში ს. ყაუხჩიშვილმა „ამასიის“ ადგილას ჩაწერა „აბაზგია“ (იხ. გვ. 192-თან ჩართული სქემა). სინამდვილეში კი ქალაქი სებასტოპოლი სწორედ ქალაქ ამასიას რეგიონში მდებარეობდა, თუმცა სებასტოპოლი შესაძლოა ცხუმსაც ერქვა (ს. ყაუხჩიშვილმა ჩანს ამ სახელის „სებასტოპოლის გამო“ მიიჩნია ამასია აბაზგიად).

მსგავსადვე, ნოტიცია VIII-ში ასევე „ავტოკეფალურ არქიეპისკოპოსთა ნუსხაში წერია – „ეპარქია ამასიისა – სებასტიუპოლის არქიეპისკოპოსი“ (გეორგიკა, IV, 2, გვ. 141). აქაც დედანს ს. ყაუხჩიშვილმა დაურთო შენიშვნა – „უნდა იყოს „აბასგიისა“ (იქვე, გვ. 141) და შემდგომ ყველგან ნოტიცია VIII-ში დედნის „ამასია“ ს. ყაუხჩიშვილის მიერ შეცვლილი იქნა „აბასგიით“ და მკითხველისთვის მიწოდებული იქნა ბერძნული შრიფტით. მკითხველს ექმნება შთაბეჭდილება, რომ ამ თითქოსდა დედანში სინამდვილეში წერია „აბასგია“. რაც ასე არ არის.

ასე რომ, „აბასგია“ ავტოკეფალურ საეპისკოპოსოთა რიცხვში სინამდვილეში არ ყოფილა მოხსენიებული ნოტიცია VI-სა და ნოტიცია VII-ში, მაშასადამე, დარჩა ნოტიცია I და ნოტიცია VIII. ამ ნოტიციებში ნამდვილად არის მოხსენიებული სახელი „აბასგია“? მე პირადად ძალზე ვეჭვობ, თუმცა ეს საინტერესო საკვლევი საკითხია. მიზეზი ისაა, რომ იმ ტერიტორიას სადაც ქართული წყაროებით მდებარეობდა „აფხაზეთის საერისთავო“, (ე.ი. ტერიტორია მდ კლისურას იქით) ბერძნულ წყაროებში ეწოდება „ალანია“. ამიტომაც თუ ამ ტერიტორიაზე საარქიეპისკოპოსო მდებარეობდა ბერძნულ წყაროებში მისი სახელი იქნებოდა „ალანიის საარქიეპისკოპოსო“ და არა აბაზგიისა. ეს საკითხი ბერძნულის კარგმა მცოდნე მომავალმა თაობამ უნდა გამოიკვლიოს.

ალბანეთისა და ხუნძეთის საკათალიკო იურისდიქცია

(ალბანეთის საკათალიკოსო,
ხუნძეთის საკათალიკოსო)

მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის წიგნი „ალბანეთისა და ხუნძეთის საეკლესიო იურისდიქცია“ შეეხება საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციაში შემავალი ქრისტიანული დაღესტნის საეკლესიო ცხოვრებას შუა საუკუნეებში. წყაროების ჩვენებით აღმოჩნდა, რომ ჩრდილო კავკასია და დაღესტანი ისტორიულად დასახლებული იყო ქართველებითა და ქართული საეკლესიო ენის მქონე მრავალრიცხოვანი მრევლით, რომელნიც გაერთიანებულნი იყვნენ ხუნძეთის საკათალიკოსოში, ხოლო თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრები ქრისტიანული მოსახლეობა გაერთიანებული იყო ალბანეთის საკათალიკოსოში. არაბთა დაპყრობის შემდეგ ალბანეთის საკათალიკოსომ მიიღო მონოფიზიტური აღმსარებლობა და სომხური ეკლესიის ნაწილად იქცა.

გარდა ამისა წიგნში გადმოცემულია სხვა მრავალი საკითხი, რომელიც საინტერესოა მკითხველისათვის.

ალბანეთის საკათალიკოსო

კავკასიის ალბანეთს სპარსელები, არაბები და სირიელები უწოდებდნენ არანს, ქართველები კი რანს.

ქრისტეშობამდე II საუკუნეში ალბანეთის 26 ტომის (სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 4, 7) გაერთიანებით წარმოიქმნა ალბანეთის სამეფო.

სტრაბონმა ალბანელების განსახლების არეალად წარმოადგინა მინაწერილი მოქცეული კავკასიონის ქედსა და მტკვრის ქვემო დინებას შორის კასპიის ზღვის სანაპიროზე (სტრაბონი, გეოგრაფია, XI), შემდგომ საუკუნეთა წყაროები არ იძლევიან საშუალებას ერთმნიშვნელოვნად განისაზღვროს კავკასიის ალბანეთის საზღვრები, რადგანაც ალბანელების განსახლების არეალი მნიშვნელოვნად შეიცვალა ისტორიულ ალბანეთში მასქუთების (მასაგეტების) ჩასახლების შემდეგ (ახ.წ. I-II ს.).

I-II საუკუნეებში ალბანეთის ძირითად ნაწილში ჩასახლებულმა მასქუთებმა ჩამოაყალიბეს სახელმწიფო, რომლის დედაქალაქი იყო ქ. ჩოლი (ჩორი). მასქუთების დასახლების სიღრმე კასპიის ზღვიდან მტკვარ-არაქსის შესართავამდე აღწევდა. აქამდე (აღნიშნულ მტკვარ-არაქსის შესართავამდე) მტკვრის მარცხენა სანაპიროს მხრიდან აღწევდა ჰერეთის, ხოლო მარჯვენა სანაპიროს მხრიდან რანის ოლქის საზღვარი.

(პლინიუს მცირეს მიერ ნახსენები ალბანელების მასქუთებამდელი დედაქალაქი კაპალაკი ახლოს მდებარეობდა კასპიის ზღვასთან (შესაბამისად, ის არ იყო ქალაქი ყაბალა, რომელიც ჰერეთის ოლქში მდებარეობდა). ძვ.წ. I საუკუნეში ქართლის სამეფომ ალბანეთისგან დაიბრუნა ჰერეთი).

მასქუთების ჩასახლების შემდეგ ალბანელების კულტურულ-პოლიტიკურმა ცენტრებმა მათი განსახლების ძირითადი რეგიონიდან (კასპიისპირეთიდან) უფრო ჩრდილო-დასავლეთით, რანისა და ჰერეთის მიმართულებით, გადმოინაცვლა. ალბანთა ტომები დასუსტდნენ, მათი საცხოვრისის უმთავრეს კერად საქართველოს საზღვრებთან მდებარე შემდეგდროინდელი რანი იქცა.

ამის შემდგომ ალბანეთად, ძირითადად, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მინა-წყალი იწოდა, რომელსაც, როგორც ითქვა, ქართველები რანს უწოდებდნენ.

სავარაუდოდ, კასპიისზღვისპირეთიდან მიგრირებული ალბანელების ჩასახლებამდე რანის ოლქი, მსგავსად ჰერეთისა, ქართულენოვანი ტომებით იყო დასახლებული.

ამ მოსაზრების გამოთქმის უფლებას იძლევა მოვსეს ხორენაცისა და მის მიერ დამონშებული აგათანგელოზის ცნობები, რომ წმიდა ნინომ იქადაგა ქართველთა შორის „ვიდრე მასქუთება-მდე“.

მასქუთებამდე ანუ მტკვარ-არაქსის შესართავამდე კი რანისა და ჰერეთის ოლქები მდებარეობდნენ. შესაბამისად, ხორენაცისა და აგათანგელოზის ცნობებით ისინი ქართველებით ყოფილა დასახლებული ჯერ კიდევ IV საუკუნეში წმიდა ნინოს ქადაგების დროს როგორც აღინიშნა, მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქვეყანას მტკვარ-არაქსის შესართავამდე ჰერეთი ერქვა, ის რანს უშუალოდ ესაზღვრებოდა, მათ ერთმანეთისაგან მტკვარი ჰყოფდა (ჰერეთი იგივე ყაბალას ოლქია).

მტკვარ-არაქსის შესართავამდე ქართველთა ცხოვრების შესახებ ინფორმაციას იძლევა მოვსეს ხორენაცის აღნიშნული ცნობა, ის წერს – „სანატრელი ნუნე წავიდა იქედან, რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით ქართველთა ქვეყნის სხვა კუთხეებიც დაემოძღვრა... მან იქადაგა სახარება კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარამდე, მასქუთთა საზღვრამდე, როგორც ამას აგათანგელოზი გაუწყებს შენ“ (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ. 172).

მამასადამე, ხორენაცისა და აგათანგელოზის ცნობით წმ. ნინომ იქადაგა მასქუთების საზღვრამდე, ანუ მტკვარ-არაქსის შესართავამდე (თითქმის შემდეგდროინდელ შამახამდე), რომლის იქითაც მასქუთების ქვეყანა მდებარეობდა.

აღნიშნული წყაროებით, მტკვარ-არაქსის შესართავამდე ქართულენოვანი ხალხი ცხოვრობდა, V საუკუნეში ვითარება მკვეთრად შეიცვალა, რადგანაც რეგიონში ალბანეთის დედაქალაქები ბაილაქანი და პარტავიბარდავი აიგო. ამ რეგიონის ყოფილ ქართულენოვნებს ტოპონიმიკაც მიუთითებს (მაგალითად, სახელი „ბარდავი“ სახელ „გარდმანიდანაა“ ნანარმოები, სიტყვა „გარდ“ კი ქართველთა ეთნოფუძეა – „ქართ, გარდ“. ასევე

ამ რეგიონთან მცხოვრები ტომის სახელი იყო „გარგარ“, რომლის სახელიც იმავე ფუძე-ძირიდან ნანარმოები, შესაძლოა ეს ტომი ალბანიზაციამდე ქართულენოვანი იყო).

ეთნოდემოგრაფიული სურათი, როგორც აღინიშნა, შეცვალა ალბანეთის უმთავრეს ნაწილში ანუ კასპიისპირეთში მასქუთების ჩასახლებამ, ალბანური მოსახლეობა ორად გაყო, ძირითადი ნაწილი რანის ოლქში აღმოჩნდა დასახლებული, მცირე კი ჩოლის რეგიონში კავკასიის მთებისაკენ, მათ ლფინებს, ჭილბებსა და სხვადასხვა სახელებს უწოდებდნენ სატომო ნიშნის მიხედვით.

სომხური წყაროებით ალბანეთად, მაინც, უკვე მასქუთებით დასახლებული მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქვეყანა მიიჩნევა კასპიისპირეთიდან კავკასიის მთებამდე. ალბანეთის საკათალიკოსოს იურისდიქცია მთელ აღნიშნულ, მასქუთებითა და ასევე ეთნიკური ალბანელებით დასახლებულ მიწა-წყალს მოიცავდა ჩოლის, კასპიისპირეთისა და რანის რეგიონების ჩათვლით.

ქრისტიანობის გავრცელებამ ხელი შეუწყო აღნიშნული მიწა-წყლის მრავალეთნიკური მოსახლეობის კონსოლიდაციას. მაგრამ, ეს პოლიეთნიკურობა იქცა მთავარ მიზეზად იმისა, რომ მცდელობათა მიუხედავად ვერ ჩამოყალიბდა და ვერც გავრცელდა საერთო ალბანური ენა და კულტურა.

ტრადიციული გადმოცემით კავკასიაში ერთერთ უძველეს ალბანეთის ეკლესიაში უქადაგნია მოციქულთა მონაფე ელისეს (ელიშეს). მის შესახებ არსებობს ორი გადმოცემა.

პირველი გადმოცემის მიხედვით ალბანეთში ქრისტიანობა შევიდა უშუალოდ იერუსალიმიდან სომხეთის გვერდის ავლით განმანათლებელ ელიშეს მიერ, რადგანაც (ელიშე) ელისე იყო უფლის ძმის იაკობის მონაფე. ეს გადმოცემა მიუღებელი გახდა VII ს-ის შემდეგ, რაც ალბანეთის ეკლესიამ თავისთავადობა დაკარგა და სომხური ეკლესიის ნაწილად გადაიქცა. ახალი ვერსიით „ელისე იყო სომხეთის განმანათლებელ წმიდა მოციქულ თადეოზის მონაფე და მხოლოდ შემდეგ შეხვდა ის მოციქულ იაკობს“ – კერძოდ, სომხეთში წმ. მოციქულ თადეოზის ქადაგებათა შემდეგ მისი მონაფე ელისე იერუსალიმში დაბრუნებულა, მიუღია კურთხევა ეპისკოპოს იაკობისგან, უფლის ძმისაგან და დაბრუნებულა უკან ალბანეთში, სადაც ჩორის ციხე-სიმაგრესთან ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგება დაუწყო.

ორივე ვერსიას გადმოგვცემს მოვსეს კალანკატუაცის ალბანთა ქვეყნის ისტორია (I, IV; I 6; III 16; III 23).

„მასქუთების მხარეში“¹⁰⁰ მოციქული ელისე წამებით აღსრულებულა, ის იქცა ალბანთა ქრისტიანობის სიმბოლოდ.

III საუკუნეში ალბანეთის ქვეყანა სასანიდების ძალაუფლების ქვეშ აღმოჩნდა.

იმჟამად, როგორც აღინიშნა, ისტორიული ალბანეთის დიდ ნაწილში მტკვარ-არაქსის შესართავიდან (შემდეგდროინდელ შამახადან) კასპიის ზღვამდე, მასქუთების მხარეში, IV საუკუნეში სომხური წყაროებით, გრიგორ განმანათლებლის შვილიშვილს გრიგორისს უქადაგნია და მასქუთთა ხელით მონამეობრივად აღსრულებულა.

გრიგორის უწოდებდნენ ივერიისა და ალბანეთის ეპისკოპოსს.

ამ წოდებასთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, იმჟამად მასქუთების ქვეყნის მოსაზღვრე ჰერეთი და რანი ჯერ კიდევ მიიჩნეოდა ივერიის (ივერიის) ერთერთ ნაწილად და ამიტომ ისიც იბერიად იწოდებოდა. ამ მოსაზრებას განამტკიცებს ისიც, რომ შემდეგდროინდელ ჰერეთის დედოფალ დინარას რუსული წყაროები ივერიის დედოფალს უწოდებდნენ.

ამ მოსაზრების საფუძველი, არის მოვსეს ხორენაცის აღნიშნული ცნობა, რომ მასქუთებამდე (ანუ მტკვარ-არაქსის შესართავამდე) იქადაგა წმიდა ნინომ. ის, როგორც აღინიშნა, წერდა, რომ წმიდა ნინომ ქართველთა ქვეყნის კუთხეები დამოძღვრა მასქუთთა საზღვრამდე (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ.172), ამიტომაც ამ რეგიონის (ანუ მტკვარ-არაქსის შესართავამდე მდებარე ჰერეთის) შემდეგდროინდელი მმართველი დინარა ივერიის დედოფლად იწოდა, მსგავსად ჰერეთის ახლო მასქუთთა შორის მქადაგებელი გრიგორისისა, რომელსაც ივერიისა და ალბანეთის ეპისკოპოსი ერქვა.

ალბანეთის ისტორიკოსი მოვსეს კალანკატუაცი თავისი შრომის დიდ ნაწილს უთმობს იმის აღწერას, რომ მის დროს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე რანის ოლქში მდებარე უტიკი და არცახი ალბანური პროვინციები იყვნენ.

მაშტოცის ეპოქაში, V ს-ის 10-იან წლებში ალბანეთის დედაქალაქი იყო მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ქალაქი ფაიტაკარან-ბაილაკანი, სადაც მცხოვრებ გარგარელთა ენა მიღებულ იქნა ალბანურ სალიტერატურო ენად (ზ. ალექსიძე, ალბანური მწერლობის ძეგლები სინას მთაზე, 1998, გვ. 10)

შემდეგში ალბანეთის მეფეებმა V ს. შუა წლებში ალბანეთის სახელმწიფოს აღდგენისთანავე ალბანეთის ახალი დედაქალაქი კვლავ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე დააფუძნეს. კერძოდ, ალბანეთის მეფემ ვაჩე II-მ (444-463) ალბანეთის დედაქალაქი, კულტურულ-პოლიტიკური ცენტრი პარტავი (ბარდავი-ბარდა) მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ააგო. ეს ქალაქი იქცა ალბანეთის კულტურულ და პოლიტიკურ ცენტრად, ამის გამო შეიცვალა საეკლესიო-სალიტერატურო ენაც. იქაური (ე.ი. არანული) ენა იქცა ალბანელთა სალიტერატურო ენად (ზ. ალექსიძე, ალბანური მწერლობის ძეგლები სინას მთაზე, 1998, გვ. 11).

საზოგადოდ, ალბანეთი თავისი დედაქალაქებით, საეკლესიო და კულტურის ცენტრებით მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა და ალბანეთის კათალიკოსები ქალაქ პარტავში იხდნენ.

ალბანური კულტურა ასევე ვრცელდებოდა ქ. ჩოლის (დერბენდთან) ახლოს მთიანეთში მცხოვრებ ლფინთა და ჭილბთა ალბანურ ტომთა შორისაც.

სასანიდების სპარსეთი ყოველმხრივ ცდილობდა რეგიონში ყველაზე მსხვილი, ანგარიშგასაწევი პოლიტიკური ერთეულის – არმენიის მიმართ ლოიალური ყოფილიყო, ამ გზით ის ცდილობდა როგორმე გაევერცელებინა ზოროასტრიზმი, შესაბამისად ისინი აღიარებდნენ არმენიის ხელისუფლე-

ბის მიერ სამხრეთ კავკასიის სხვა პატარა ხალხების დამორჩილების ფაქტს, თუმცა უნდა ითქვას, რომ ზოროასტრიზმი იმჟამად მიუღებელი იყო კავკასიის ყველა ხალხისათვის.

სპარსელთა წინააღმდეგ სამხრეთ კავკასიის ხალხების 450-451 წლების დიდი აჯანყების პირველი ეტაპის შემდეგ, აჯანყება ალბანეთში გაგრძელდა. 457 წელს აჯანყებულებმა დაიჭირეს დერბენდის ანუ ჩოლის (ჩორის) გადასასვლელი კასპიისპირზე, ორწლიანი სამხედრო მოქმედებანი სპარსთა ჯარებთან დამთავრა იმით, რომ სპარსელებმა დიდი თანხის საფასურად ჩრდილო კავკასიიდან გადმოიყვანეს ჰუნი-ონოგურები, რომლებიც შეიჭრნენ ალბანეთში და 462 წელს დაიწყეს ხანგრძლივი ომი ალბანეთთან, 463 წელს აჯანყება დამარცხდა და ალბანეთში სამეფო ხელისუფლება გაუქმდა.

შემდგომ ალბანეთს მართავდა სპარსი მარზაპანი (მოვსეს კალანკატუაცი, ალვანთა ქვეყნის ისტორია I, 10).

სასანიდების მიერ ალბანეთის სამეფო ხელისუფლების გაუქმების შემდეგ (462 ან 463 წ.) რაც ალბანეთში დაარსებული იქნა სამარზაპანო, მასში შევიდა კასპიისპირა პროვინციები, ასევე უტიკი, არცახი და უტიკის ჩრდილოეთით მდებარე ქართული მიწა-წყალის ერთი ნაწილი თბილისის მიმართულებით, ჰერეთთან (ყაბალას რეგიონთან) ერთად.

ალბანთა სამეფოს გაუქმების შემდეგ, ალბანეთის აღნიშნული სპარსი მარზაპანებიც (მეფისნაცვლები) 30 წლის მანძილზე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ისხდნენ.

არაბობამდელ ეპოქაშიც ალბანეთის ძირითადი ნაწილი მოიცავდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ქვეყანას, ეს ხაზგასასმელია იმის გამო რომ ამჟამინდელი სომხური, და შესაბამისად ქართული, ისტორიოგრაფია უსაფუძვლოდ მიიჩნევს, რომ თითქოსდა ალბანეთი მხოლოდ მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქვეყანას ერქვა და მას ალაზნის ხეობაშიც კი ათავსებენ.

ვაჩე II-ს ნათესავმა ვაჩაგან III (487-510) აღადგინა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ალბანთა სამეფო.

ვაჩაგან III-ის სიკვდილის შემდეგ კვლავ გაუქმებული იქმნა ალბანთა სამეფო, აქ ირანმა აღადგინა ალბანეთის სამარზაპანო, ამ სამარზაპანოში ჰერეთის შეყვანის გამო VI საუკუნიდან ქართული წყაროები მთელ ალბანეთს ჰერეთს უწოდებდნენ.

ალბანეთი ქართლთან და სომხეთთან ერთად VI საუკუნეში სპარსეთის მმართველობის ქვეშ მოექცა, VII ს. ბოლოსათვის კი არაბებისა.

ალბანეთში პოლიტიკური უპირატესობა მოიპოვა უტიკის (გარდმანის) ოლქმა. მისი მმართველი ჯუანშერი (640-680) მართლმადიდებლური აღმსარებლობის იყო. მისი მემკვიდრე ვარაზ-თრდატიც ასევე მართლმადიდებელი იყო, ამის გამო 705 წელს ის მართლმადიდებლობის მდევნელმა ქვეყნის მპყრობელმა არაბებმა თანამდებობიდან გადააყენეს და არანი (ანუ ალბანეთი) ხალიფატის შემადგენლობაში უშუალოდ შეიყვანეს, კერძოდ სახალიფოს იმ პოლიტიკურ ადმინისტრაციულ ერთეულში, რომელსაც არმენია ერქვა, მისი ცენტრი იყო ქალაქი დვინი.

დვინის სომხური საკათალიკოსო გაძლიერდა, ის ახლა ალბანეთსაც აკონტროლებდა, ვითარცა არმენიაში შემავალ ერთერთ ოლქს.

არმენიის შემადგენლობაში ალბანეთი (არანი) დარჩა თითქმის IX საუკუნის ბოლომდე.

შესაბამისად, არაბებმა აიძულეს ალბანეთის ეკლესია, რომ მას სომხური ეკლესიის აღმსარებლობა გაეზიარებინა, მიზეზი ამისა იყო არაბთა ხელისუფლების მფარველობა სომხური ეკლესიის მიმართ, მისი ანტიბიზანტიური მიმართულების გამო.

იქამდე, VII საუკუნის ბოლოს, როგორც მოვსეს კალანკატუაცის შრომიდან ჩანს, არაბულმა ხელისუფლებამ ალბანური ეკლესია სასტიკად დასაჯა პრობიზანტიური ანუ ქალკედონიკური მიმართულებისათვის და ის სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიას დაუმორჩილა, ამის შემდგომ კიდევ უფრო გაღრმავდა ალბანეთის მოსახლეობის არმენიზაცია და ისლამიზაცია.

მოვსეს კალანკატუაცი ასე აღწერს ალბანეთის ეკლესიის თავისთავადობის გაუქმებას VII საუკუნის ამბების აღწერისას – „ალბანეთის საკათალიკოსო ტახტზე ავიდა ქალკედონიტი ნერსესი გარდმანის (უტიკის) ეპისკოპოსი. მას მხარს უჭერდა ალბანეთის ქალკედონიტი დედოფალი სპარამი, ვარაზ-თრდატის მეუღლე. სომხეთის კათალიკოსმა ელიამ ამ ამბის შეტყობინებისთანავე ნერსესს არაბებთან უჩივლა. არაბ ხელისუფალს სომეხთა კათალიკოსმა მიწერა – „სომხეთი ღმერთის ნებით არაბებს ემორჩილება და ემსახურება, ალბანელები და სომეხები ქრისტიანები არიან, მაგრამ ალბანელთა კათალიკოსი, რომელიც პარტავში ზის, შეუთანხმდა ბერძენთა იმპერატორს, იხსენიებს მას ლოცვებში და ალბანელთა ქვეყანას აიძულებს, მიიღოს ბიზანტიური სარწმუნოება“ (მოვსეს კალანკატუაცი „ალვანთა ქვეყნის ისტორია“, ძველი სომხურიდან თარგმნილი ლ. დავლიანიძე-ტატიშვილის მიერ, 1985 წ. 139).

სომეხთა კათალიკოსმა მოუწოდა ამირას, რომ ალბანელი ქალკედონიტები დაესაჯა. ამირამ სასწრაფოდ აღასრულა სომეხთა კათალიკოსის ნება.

არაბთა ამირამ სომეხთა კათალიკოსს შეატყობინა, რომ მან ალბანეთში გაგზავნა დიდი ჯარი, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა ქალკედონიტი ალბანელები სომხურ სარწმუნოებაზე მოექცია – მათ „...ჩვენი ხელისუფლებისაგან გამდგარი ალვანელები თქვენი სჯულის მიხედვით სიმართლეზე უნდა მოაქციონ“ (იქვე, გვ. 139). რადგანაც, არაბებს ქალკედონიტები მიაჩნიათ არაბთა ხელისუფლებისაგან განდგომილებად, ხოლო „სომხური სარწმუნოების“ მქონენი თავიანთ ერთგულ ღვთის კაცებად.

შემდეგ ატყობინებს, რომ „ჩვენი მსახური შენს წინაშე პარტავში სისრულეში მოიყვანს სასჯელს, ნერსესსა და მის თანამოაზრე ქალს რკინის ჯაჭვით გადააბამენ და შერცხვენილებს სამეფო კარზე მოიყვანენ, რათა ყველამ იხილოს მეამბოხეთა შეურაცხყოფა“ (იქვე, გვ. 139).

სომეხთა კათალიკოსი საგანგებოდ ჩავიდა ალბანეთში, ქ. პარტავში, დაჯდა მთავარ ტაძარში და ბრძანა მისთვის დასასჯელად მიეგვარათ ალბანთა კათალიკოსი ნერსესი. შეშინებული ალბანელთა კათალიკოსი დაიმაღლა, შემდეგ შეიპყრეს და მიიყვანეს სომეხთა კათალიკოსის წინაშე. „მრა-

ვალრიცხოვან შეკრებილთა შორის ელიას წინაშე უპასუხოდ იდგა უბედური. მეფის ბრძანებით მას მძიმე სასჯელი გამოუტანეს: გადააბეს ფეხით ფეხზე იმ ქალთან (უტიკის დედოფალ სპარამთან) და შორეულ ქვეყანაში გასაგზავნად მოამზადეს, მაგრამ ვერ აიტანა ეს ტანჯვა და რვა დღის შემდეგ გარდაიცვალა“ (იქვე, გვ. 140). სომეხმა მღვდლებმა ალბანური ქალკედონიტური ლიტურატურა გაანადგურეს.

კერძოდ, არაბებმა და ალბანეთში საგანგებოდ ჩასულმა სომეხებმა ალბანთა კათალიკოს ნერსესის ქალკედონიტური ალბანური წიგნები, რომლითაც სავსე იყო ზანდუკი, წყალში ჩაყარეს.

მოვსეს კალანკატუაცი წერს – „...ნერსესის „წვალებით“ სავსე წიგნები, რომლითაც ავსებული იყო ზანდუკი, წაიღეს და მთლიანად მდინარე ტრტუტში ჩაყარეს...“ (იქვე, გვ. 140).

დევნის ამ ეპოქაში, გადარჩა მხოლოდ ის ალბანური წიგნები და ხელნაწერები, რომელნიც ლტოლვილმა ალბანელმა ქალკედონიტმა ბერებმა ქართულ მონასტრებში მიიტანეს. სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში ქართულ ხელნაწერთა შორის აღმოჩენილი ალბანური ხელნაწერები მიუთითებს არა ალბანელი ბერების „ქართიზაცია-გაქართველებას“, როგორც წარმოადგინა ბატონმა ზ. ალექსიძემ, არამედ გამოხატავს იმ პროცესს, რომლის შედეგადაც ალბანეთიდან ლტოლვილი ალბანელი ქალკედონიტი ბერები თავიანთი ალბანური ხელნაწერებით თავს აფარებდნენ ქართულ მონასტრებს, ვითარცა მართლმადიდებლურ კერებს. მათ ამით სიცოცხლე გადაირჩინეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ალბანელთა კათალიკოს ნერსესის მსგავსად სიკვდილით დასჯიდნენ.

ამის შემდეგ ალბანელთა საეკლესიო კრების მონაწილეებმა პირობა დადეს, რომ ალბანეთის კათალიკოსის კურთხევა მოხდებოდა მხოლოდ სომეხთა კათალიკოსის მიერ – „ალბანთა კათალიკოსის კურთხევა უნდა მოხდეს სომეხეთში „წმიდა გრიგორის ტახტზე, თუ ალბანეთის კათალიკოსი გაბედავს და არ ეკურთხება სომეხეთში – ის კათალიკოსად არ ჩაითვლება“ (იქვე, გვ. 143).

შეთანხმება დაიდო სომეხური წელთაღრიცხვით 148, ანუ 699 წელს. კრებას სომეხთა კათალიკოსი ელია თავმჯდომარეობდა.

აქედან ჩანს, VII საუკუნის ბოლოს როგორ შეძლო სომეხურმა ეკლესიამ მთლიანად გაბატონებულიყო ალბანურ ეკლესიაზე. ამის შემდეგ ალბანურ ეკლესიაში არაბთა ძალდატანებით აიკრძალა ქალკედონიტობა და ალბანელებმა „სომეხური სარწმუნოება“ მიიღეს, რასაც შედეგად მოჰყვა ალბანურ ეკლესიაში უკვე დანერგილი სომეხურენოვანი წირვა-ლოცვის სრული გაბატონება. ალბანური ეკლესია მთლიანად გაითქვიფა სომეხურ ეკლესიაში (იქვე, გვ. 144).

მონოფიზიტი მოვსეს კალანკატუაცი ჩამოთვლის ალბანეთის მამამთავრებს. უძველესი ხანიდან თავისთავადობის გაუქმებამდე. ის წერს – „...უწინდელ პატრიარქთა საქმენი, დრო და სახელები დაკარგულან...“ (გვ. 168). ალბანთა განათლების წყარო ყოფილა წმიდა ელიმა, „შემდეგ იყო ყრმა გრიგორისი, სომეხთა განმანათლებლის გრიგორის შვილიშვილი“...; „...შექ-

მნა ნეტარმა მესროპმა ალვანური დამწერლობა. მანვე დიდი შრომის შედეგად ანბანი მისცა სომხებსა და ქართველებს. შემდეგ იყო უფალი აბასი, რომელმაც სომხური ნელთალრიცხვის დასაწყისში საპატრიარქო ტახტი ჩორიდან პარტავში გადაიტანა... მისი დროიდან ჩვეულებად იქცა დაენერათ ასეთი პატივი: „ალვანთა, ლფინთა და ჩორის კათალიკოსი“. დვინის კრებიდან მას მიუთითეს, რათა ელიარებინა მხოლოდ ერთბუნებიანობა ქრისტიესი...“ (გვ. 168). „უფალი ვირო... მან ხაზარი შათის ტყვეობიდან გაათავისუფლა სომხები, ქართველები და ალვანელები... უფალი ზაქარია... (მან) სიუნქის ეპისკოპოსად აკურთხა ვინმე ვრთანესი, რაც მოხდა სომეხთა ნების გარეშე“ (გვ. 168). „უფალი ნერსესი... მას გონება აერია, მოინდომა ალვანელთა კეთილშობილი სახლი სომეხთაგან ჩამოეშორებინა და ქალკედონიტური რწმენისათვის დაემორჩილებინა“. „უფალმა მიქაელმა დასწყევლა აგრეთვე ქართველთა მწყემსი თალალე, რადგანაც მან ნება დართო უკანონო ქორწინებას“. „უფალი სამუელი... მან თვითონ, ხელდასხმის გარეშე მიიღო სამამთავრო პატივი, რის გამოც განთავისუფლებულ იქნა. ხელმეორედ ხელდასხმა მიიღო სომეხთა კათალიკოს გეორგისაგან დვინში. უფალი იუნანი... კათალიკოს გეორგის დაუკითხავად მივიდა ალვანეთში და ხელდასხმაც მის გარეშე მიიღო, შემდეგ თვითონ გეორგმა ხელმეორედ აკურთხა ის“ (იქვე, გვ. 170). აქ „ქართველებად“ ჰერები იწოდებიან, რომელნიც მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ცხოვრობდნენ, ხოლო ალვანელები (ალბანები) ძირითადად მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ცხოვრობდნენ (მათ მოპირდაპირე მხარეს), უტიკსა, არცახსა და სხვა ოლქებში (რანში). ალბანთა არმენიზაცია სწრაფი ტემპით წარიმართა არაბთა დროს, მას თან დაერთო მოსახლეობის ისლამიზაცია. უტიკელთა ანუ უდიელთა მცირერიცხოვანი ნაშთები, მცირერიცხოვანი მოსახლეობა, ამჟამად უდინებად (რუსული ფორმით „უდინ“) იწოდებიან, ისინი კავკასიასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რეგიონებში ცხოვრობენ, მათ შორის საქართველოშიც.

ალბანეთის ქალაქებში ბარდავში, დერბენდში და შემახაში არაბთა გარნიზონები ჩადგა, ამით ალბანეთის ისლამიზაცია უფრო გაძლიერდა, შესაბამისად IX-X საუკუნეებისათვის განჯასა და ბარდაში არაბული მუსლიმანური საამიროები წარმოიქმნა. IX საუკუნეში ჩამოყალიბდა შირვან-შაჰების სახელმწიფო, ხოლო მტკვრის სამხრეთით არსებობას განაგრძობდნენ ალბანეთის უკვე არმენიზებული ოლქების სამთავროები – ფარისოსში, ხარჩენსა და სხვაგან.

ასეთ რთულ დროს ჰერეთი ქრისტიანობას ინარჩუნებდა, თუმცა არამართლმადიდებლურს, ვითარცა არაბთა ალბანურ ოლქში შემავალი ერთერთი ქვეყანა.

როგორც აღინიშნა, ჰერეთი მდებარეობდა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ვართაშენიდან (მასთან მდებარე პუნქტ გულგულა-ფილფილადან) ვიდრე მტკვარ-არაქსის შესართავამდე (მას ასევე ყაბალას ოლქი ეწოდება) რანის მოპირდაპირე მხარეს. ამ ორ ოლქს (ე.ი. რანსა და ჰერეთს) ერთმანეთისაგან მდ. მტკვარი აშორებდა და მათ ერთმანეთთან მჭიდრო პოლიტიკური კავშირი ჰქონდათ.

კავკასიაში ხურამიტების (816-837) აჯანყების დამარცხების შემდგომ, აჯანყების მეთაური ბაბეგი ჰერეთის მმართველმა შეიპყრო და გადასცა არაბულ ხელისუფლებას, მადლიერების ნიშნად ხალიფამ ჰერეთის მმართველი რანის მმართველადც დანიშნა, რანი და ჰერეთი ამის შემდგომ გაერთიანდნენ.

მოვსეს კალანკატუაცი წერს – მთავარ საჰლ სმბატთან 837 წელს „...სამეფოდან დიდი ჯილდო ერგო. მას უწყალობეს სომხეთის, იბერიისა და ალვანეთის მთლიანი გამგებლობა მთავრის უფლებით“ (იქვე, გვ. 161). როგორც ითქვა, აქ „იბერიის“ ქვეშ ჰერეთი იგულისხმება.

ჰერეთის მმართველის მემკვიდრემ ჰამამმა 893 წელს მიიღო რანის ანუ ალბანთა მეფის ტიტული, მას ქართული წყაროები „ჰერეთის მეფეს“ უწოდებენ, ის მართავდა მტკვრის ორივე სანაპიროს ქვეყნებს, ჰერეთსა და რანს, მაგრამ ალბანთა მეფის ტიტულზე თავის პრეტენზიას ასევე აცხადებდა ხაჩნის სამთავროს მეთაური, რომელიც ანისელ ბაგრატიონებს ექვემდებარებოდა. ალბანთა მეფის ტიტულზე პრეტენზიებს ასევე აცხადებდნენ ლორე-ტაშირის მმართველი კვირიკიანებიც.

ჰერეთ-რანის დედოფალმა დინარამ X საუკუნეში თავისი ქრისტიანული მოსახლეობა გაათავისუფლა სომხური ეკლესიის იურისდიქციისაგან და დაუბრუნა ქართული ეკლესიის წიაღს – მართლმადიდებლობას.

X საუკუნეში, როგორც ითქვა, ვოლგისა და კასპიის ზღვის გავლით მოლაშქრე რუსულმა დრუჟინამ რამდენჯერმე მოაღწია ჰერეთამდე და რანის დედაქალაქ ბარდამდე. ამ რუსულ დრუჟინასა და მის მოლაშქრეებს ჰერეთში შეხვდა მართლმადიდებელი მოსახლეობა, ამიტომაც რუსული წყაროები აღნიშნულ რან-ჰერეთის დედოფალ დინარას მოიხსენიებენ ვითარცა ივერიის მართლმადიდებელ მმართველს, რომელმაც თავის ქვეყანაში სარწმუნოება ააღორძინა, რუსულ წყაროებში დინარას ივერიის დედოფლად მოხსენიება მიუთითებს იმის შესახებ, რომ ჰერეთი ანუ მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქვეყანა ქართულენოვანი იყო და ამიტომაც ის შესაბამისად ივერიად განიხილებოდა (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. II. 2012, გვ. 178).

[(მტკვრის მარცხენა ანუ „მტკვრის იქითა“ სანაპიროს ქვეყნის ქართულენოვნებას მიუთითებს ასევე სტრაბონის ცნობა. სტრაბონი „მტკვრის იქითა“, ანუ მარცხენა სანაპიროს ქვეყანას გოგარენეს, იბერების ისტორიულ ტერიტორიად მიიჩნევს, რომელიც პარიადრეს კალთებთან და ხორძენესთან ერთად ქრისტეშობამდე II საუკუნეში არმენიამ ჩამოართვა იბერებს. სტრაბონი წერს – „მოგვიტხრობენ, რომ წარსულში არმენიის პატარა ქვეყანა გაფართოვდა არტაქსიასა და ზარიადრიას ომების შედეგად. ისინი იყვნენ ანტიოქ დიდის მხედართმთავრები, მისი დამარცხების შემდეგ კი მეფეები გახდნენ. მათ ერთად გააფართოვეს თავიანთი სამფლობელო, ჩამოაჭრეს რა ირგვლივ მცხოვრებ ხალხებს ოლქები, კერძოდ, ...იბერებისაგან მიიტაცეს პარიადრეს მთისწინეთი, ხორძენე და გოგარენე, რომელიც კირის მეორე მხარესაა, ხალიბებს და მოსინიკებს ჩამოაჭრეს კარენიტი და ქსერქსენე, მცირე არმენიის მოსაზღვრე ნაწილები“ (სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 14, 5). სტრაბონის გოგარენე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე

ანუ „კირის მეორე მხარეს“ მდებარეობდა, მისგან განსხვავებით, სომხურ წყაროებში ხშირად ნახსენები გუგარქი ძირითადად მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ქვეყნებს მოიცავდა. გოგარენე და გუგარქი სხვადასხვა ოლქები იყვნენ, თუმცა ისინი ერთი, ქართველი, ხალხით იყვნენ დასახლებულნი. სტრაბონის ცნობიდან გამომდინარე ქართული წყაროების ყაბალას ოლქი გოგარენეს შეესაბამება, როგორც ითქვა, ჰერეთი მდებარეობდა ვიდრე მდ. თეთრწყლამდე (აღსუმიდე) მტკვარ-არაქსის შესართავამდე, ის, სხვა ქართულ მიწებთან ერთად უცხოელთა მიერ ივერიად იწოდებოდა თუმცა, განსახილველ დროს ხშირად ალბანეთში შედიოდა)].

IX საუკუნის შემდგომ, სახალიფოს მხარდაჭერის გამო, ჰერეთ-რანის სამეფო გაძლიერდა, შეძლო მეზობელი ოლქების დამორჩილება.

IX საუკუნეში გაძლიერებულმა ჰერეთის სამეფომ შეძლო მიეერთებინა კახეთის მნიშვნელოვანი პუნქტები ალაზნის მარცხენა სანაპიროს მხარეს (თანამედროვე საინგილო და მისი მომიჯნავე სოფლები) და ასევე ზოგიერთი პუნქტი ალაზნის მარჯვენა მხარეს.

X საუკუნეში კახეთის სამთავრომ უკან დაიბრუნა ის ციხე-სიმაგრეები და სოფლები, რომელნიც მისგან ჰერეთის სამეფომ მიიტაცა.

XI საუკუნის დასაწყისში 1010 წლისათვის წარმოიქმნა კახეთისა და ჰერეთის გაერთიანებული სამეფო, რომელიც 1104 წელს შემოუერთა დავით აღმაშენებელმა გაერთიანებულ საქართველოს.

საქართველოს სამეფოს 1118 წელს შემოუერთა ტაშირ-ძორაგეტიც და საქართველოს მეფემ მიიღო ტიტული აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, ის ასევე იყო შაჰანშა და შირვანშა (შირვანშაჰი). ამ ტიტულატურაში რანს შეესაბამება გაფართოების შემდეგ დროინდელი ჰერეთი.

მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ქვეყნები კვლავ დარჩა სომხური ეკლესიის იურისდიქციაში, რამაც გამოიწვია იქაური მოსახლეობის სრული არმენიზაცია. ხაჩენის, არცახისა და უტიკის ალბანური ოლქები საბოლოოდ გასომხდნენ.

მარჯვენა სანაპიროს მოსახლეობა ასევე განიცდიდა ისლამიზაციას კასპისპირეთის მოსახლეობასთან ერთად, ამის გამო ალბანეთი ძირითადად მუსლიმანურ ქვეყნად გადაიქცა, მისი ქრისტიანული მოსახლეობა სომხური ეკლესიის იურისდიქციაში მოექცა.

ე.წ. ალბანეთის „ივერიის“ ანუ ჰერეთის მცხოვრებნი ქართული ეკლესიის წიაღში გაერთიანდნენ. საქართველოსთან „ალბანეთის ივერიის“ საზღვარი გადიოდა, ქალაქ ყაბალასა და ვარდაშენს შუა ქედზე, რომელსაც ამჟამადაც „ქართველთა მთა“ (გურჯი დალი) ეწოდება. შემდეგ დროინდელი შაქი ამ მთა-ქედის მარცხენა მხარეს მდებარეობდა (შაქის ოლქი, იმჟამად იყო კახეთში შემავალი მინა-წყალი). ეს მთა („გურჯი დალი“) ერთმანეთისაგან ყოფდა კახეთსა და ჰერეთს.

აღნიშნული „ქართველთა მთის“ მარჯვნივ მდებარე ყაბალას ოლქს, როგორც ითქვა, ჰერეთი ერქვა.

ჰერეთი იწყებოდა ამ მთის ახლო სოფელ ფილფილასთან (ძველი გულგულა, ლეონტი მროველის მიერ ნახსენები პუნქტი მდებარეობდა აქ, და

არა თელავთან) და გრძელდებოდა მდინარე თეთრწყლამდე, ანუ აღსუმდე.

ჰერეთი ალბანეთის შემადგენლობაში მუდმივად არ შედიოდა, ის, უფრო ხშირად, ქართლის სამეფოს ერთერთ საერისთავოს წარმოადგენდა, მიზეზი ამისა იყო ის, რომ ალბანეთის მოსახლეობა იყო მრავალენიკური. ალბანეთში აგრეთვე ცხოვრობდნენ მასქუთები, სუჯები, გელები, უტიელეები, ლვინები, ჭილბები და სხვა ტომები, ისინი სხვადასხვა ენაზე საუბრობდნენ.

როგორც აღინიშნა, IV-V საუკუნეებში ალბანური სალიტერატურო ენა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ტომების მეტყველების შესაბამისად აიგო. კერძოდ, ალბანური სალიტერატურო ენა ჯერ გარგარელთა დიალექტს დაეფუძნა, შემდეგ კი ბარდის (უტიკის) რეგიონისას, აქედანაც ჩანს, რომ ალბანეთის საკათალიკოსოს იურისდიქციის ძირითადი ტერიტორია მტკვრის მარჯვენა სანაპიროს რეგიონი იყო (და არა მარცხენა სანაპიროსი, როგორც თანამედროვე სომხურ საისტორიო მეცნიერებაში მიიჩნევენ, მართლაც რანი და არანი მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ქვეყნებს ერქვა).

(საბჭოთა ეპოქის ქართულ ისტორიოგრაფიაში სომხური XIX-XX სს. ისტორიოგრაფიის გავლენით, დასაბუთების გარეშე, ალბანეთად განიხილავდნენ კახეთის მიწა-წყალს სოფელ ალვანიდან მტკვარ-ალაზნის შესართავამდე. ამასთანავე, იმჟამად გავრცელდა მტკიცება, თითქოსდა სახელი სოფელ ალვანისა ალვანეთის (ალბანეთის) ქვეყნის სახელიდან მომდინარეობს. სინამდვილეში კი, სახელი ალვანი მცენარე ალვის სახელიდანაა ნაწარმოები და მას არაფერი აკავშირებს რან-არან-ალბანეთთან).

V საუკუნეში ჩამოყალიბებული ალბანეთის საკათალიკოსომ თავისთავადობა დაკარგა VII საუკუნეში და ის სომხური ეკლესიის ნაწილად გადაიქცა. ალბანეთის მოსახლეობამაც არმენიზაციის შედეგად ეროვნული იდენტობა დაკარგა, ამასთანავე ხდებოდა მისი ისლამიზაცია.

საქართველოს პატრიარქი ჩინეთ-დაღესტანსა და შაჰ-შირვანში

საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია მოიცავდა ვრცელ მინა-წყალს, მათ შორის ჩრდილო კავკასიას. ამის შესახებ გვაქვს, როგორც წერილობითი, ისე მატერიალური წყაროები.

განსაკუთრებითაა აღსანიშნავი ე.წ. მაღალაშვილისეული სახარების მინაწერი. ამ მინაწერიდან ჩანს, რომ 1310 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ექვთიმეს მოუხილავს თავისი სამწყსო კახეთსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში.

მაღალაშვილის სახარების 1310 (სხვა კვლევით 1318) წლის მინაწერი:

„ქ. ოდეს სანატრელმან მან პატრიარქმან ჩვენმან ექვთიმე მოიხილა კახეთს: ანწუხისა საეპისკოპოზო და მიერიტვან გადმოვიდა ნახურს, კაკელისენს და მოვლო საყდარნი: კასრი სამეზისა, ყუმი ღმრთისმშობლისა, ლექართის წმიდისა მოციქულთა სწორისა ნინოისი, ზარს წმიდისა მთავარმონამისა გიორგისი, ვარდიანს წმიდისა აბოისი, განუხს არჩილისი, ქიშ-ნუხს – ღმრთის-მშობლისაი, ვართაშენს ელიასი, თა(ბა)სარანს ყოვლადწმიდისა მოციქულისა პეტრესი, კულად საყდარნი ხუნძთა, ნახჩთა, თოშეთისა, ნეკრესისა, ლაგოეთისა, ბელაქანისა, მაჯ-ფიფინეთისა, ფერიჯან-მუხახ-მამრეთისა და ყოვლის ვაკისა, ესე იგი არს ძველი მოვაკანისა და ელისენისა, ვერხვიანით ზეგანით გამო ივრის მდინარის ჩასართავამდე ალაზნისა და ამან სანატრელმან ექვთიმე მიბრძანა ქურმუხისა მთავარეპისკოპოსსა და ყოვლისა მთიულეთისა წინამძღვრისა კვირილე დონაურსა გარდაწერინებად სახარებისა და წარგზავნად თითოეულისათვის ეკლესიისა. მეცა გარდავანერინენ კაკისა წმიდისა ბარბარეს ტაძრისა მღვდელსა იასე ქიტიაშვილსა და ათორმეტთა მისთა მონაფეთა და წარგზავნენ საყდართა, მონასტერთა და შვიდთა სასწავლებელთა თავს-მდგომთადმი და ვუბრძანე სწავლებად სჯული ჭეშმარიტი და ფილასოფოსობა, მამათა ცხოვრება „ქართლის ცხოვრება, და ცხოვრება ალვანიისა, ესე იგი არს სავანიისა, რომელ დაწერა პეტრე ლაგაძემან და ვინმე სომეხმა გა(...) იგი და საკუთრივ დაწერილად გამოაცხადა და სომეხთაც ადვილად იწამეს ჩვეულებისამებრ“ (კ. კეკელიძე ეტიუდები, II, 1941, გვ. 314-315).

აღნიშნულ მინაწერში ჩამოთვლილია თუ, საქართველოს პატრიარქმა კახეთში რომელი სამრევლოები მოინახულა.

ესენი ყოფილან:

1. ანწუხის საეპისკოპოსო;

2. ნახურის რეგიონი (იგივე ნუქეთი, ნახეთი);

3. კაკელისენი, სადაც მან მოილოცა (ქალაქ ან სოფელ) კასრის ყოვლადწმინდა სამეზის ეკლესია, ყუმის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესია, სოფელ ლექართის მოციქულთაწმინდისა წმინდა ნინოს ეკლესია, სოფელ ზარის მთავარმონამე წმიდა გიორგის ეკლესია, სოფელ ვარდიანის წმინდა

აბოს ეკლესია, სოფელ განუხში წმინდა მონამე არჩილის ეკლესია, სოფელ ქიშნუხში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესია, სოფელ ვართაშენში წმინდა ელიას ეკლესია;

4. ტაბასარანი (მისი სახელი მინანერში ასოებნაკლულია).

საქართველოს პატრიარქს ტაბასარანის რეგიონში მოციქულ პეტრეს ეკლესია მოულოცავს (ესაა ეკლესია დაღესტნის ტაბასარანისა).

ტაბასარანის გარდა, პატრიარქს მოუხილავს ასევე ქართული ეკლესიები დაღესტნის სხვა ოლქებშიც. ქართული ეკლესიებით მოფენილი იყო ვრცელი რეგიონები დაღესტნისა:

5. ხუნძეთი;

6. ნახჩეთი;

საქართველოს პატრიარქი ნახჩეთის ანუ ჩეჩნეთ-ინგუშეთის ეკლესიების მოლოცვის შემდეგ გადმოსულა თუშეთში.

7. თუშეთი;

თუშეთის შემდეგ მოუხილავს ეკლესიები კვლავ კახეთში:

8. ნეკრესი, ლაგოეთი, ბელაქანი, მაჯ-ფიფინეთი, ფერიჯან-მუხახ-მამრეთი;

მათ შემდეგ კვლავ გაუგრძელებია გზა და მოუხილავს ვრცელი რეგიონები:

9. მოვაკანი ანუ ვაკე;

10. ელისენი (ტერიტორია ვერხვიანის ზეგანიდან მდინარე იორ-ალაზნის შესართავამდე).

ჩანს ზემოთ ჩამოთვლილი გეოგრაფიული ერთეულების მეტი ნაწილი კახეთში შედიოდა და ეკუთვნოდა ქურმუხის მთავარეპისკოპოსის ეპარქიას.

ქურმუხის მთავარეპისკოპოსს ასევე ეწოდებოდა „ყოვლისა მთიულეთისა წინამძღვარი“.

მის საგამგებლოში შედიოდა „ყოველი მთიულეთის“ ეკლესიები, როგორც ჩამოთვალეთ ესენი ყოფილან: – ნახური, კაკელისენი, ტაბასარანი დაღესტანში, იქვე ხუნძეთი, ნახჩეთი, ასევე თუშეთი და სხვა ზემოთ ჩამოთვლილი კახეთის სოფლები, მათ შორის ასევე მოხსენებულია ანწუხის საეპისკოპოსო, ასევე ნეკრესი სადაც შესაძლოა ეპისკოპოსი იჯდა.

ქურმუხის მთავარეპისკოპოსს კირილე დონაურს დაუვალებია (ქალაქ) კაკის წმინდა ბარბარეს ტაძრის მღვდლისათვის იასე ქიტიაშვილისათვის ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ეკლესიაში გაეგზავნა წმინდა სახარების წიგნი.

მთავარეპისკოპოსს კირილე დონაურის ამ დავალების აღსასრულებლად კაკის წმინდა ბარბარეს ტაძრის მღვდელს იასე ქიტიაშვილს „სამწერლობოში“ შეუკრებია თავისი თორმეტი მონაფე, რომელთაც გადაუწერიათ დაღესტნის, ჩეჩნეთისა და კახეთ-თუშეთის ჩამოთვლილი ეკლესიებისათვის წმინდა სახარების წიგნები.

შემდგომ ეს წიგნები გაუგზავნიათ აღნიშნული რეგიონის ეკლესიებსა, მონასტრებსა და სასწავლებლებში.

კერძოდ, ქურმუხის მთავარეპისკოპოსს ამ მთიან მხარეებში ჰქონია შვიდი სასწავლებელი. მათ რექტორებს ეწოდებოდა – „თავსმდგომნი“.

ამ უკანასკნელთ ანუ სასულიერო სასწავლებელთა რექტორებს (თავსმდგომებს) მთავარეპისკოპოსმა უბრძანა მოსწავლეებისათვის ესწავლებინათ:

1. „მჯული ჭეშმარიტი“ ანუ წმინდა წერილი და კატეხიზმო;
2. ფილოსოფია;
3. მამათა ცხოვრება ანუ პატროლოგია;
4. ქართლის ცხოვრება ანუ საქართველოსა და მისი ეკლესიის ისტორია;
5. საისტორიო წიგნთაგან ალვანის ანუ ალბანეთის ისტორია, ალბანეთს აქ ეწოდება „ალვანია ესე იგი არსს სავანია“.

იქვე აღნიშნულია, რომ „ალვანიის ისტორია“ დაუნერია ვინმე პეტრე ლაგაძეს და შემდეგ მისი ეს თხზულება რომელიღაც სომეხ პლაგიატორს მიუსაკუთრებია და გაურყენია (დაუმახინჯებია) თავისი შეხედულების მიხედვით – „საკუთრივ დანერილად გამოაცხადა და სომეხთაც ადვილად ინამეს ჩვეულებისამებრ“ (იქვე, გვ. 17).

განვიხილოთ თუ სად მდებარეობდნენ ჩამოთვლილი პუნ-ქტები:

1. ანწუხი

ანწუხი მდებარეობდა დაღესტანში, მდინარეების ანდისა და ავარიის კოისუს ხეობებში, თანამედროვე ბუინაკისა და ხასავიურტის რაიონებში. ამჟამად ანწუხთა თემი შედის ავარიელების ტომში.

იოანე ბატონიშვილის ცნობით, ანწუხელები იყო ქართულენოვანი ტომი და მათ ქართული, ვითარცა მშობლიური ენა იცოდნენ მე-18 საუკუნეშიც, თუ ასე იყო, ამი მიზეზი უნდა ყოფილიყო ის, რომ მათ თემს მწყსიდა ადგილობრივი „ეპისკოპოსი ანწუხისა“ ანუ მათ საკუთარი ეპისკოპოსი ჰყავდათ.

ავარიელებად ითვლებიან – ანწუხები, ინხოელები, კუკინები, სიუხები და ტინდელები, წყაროს მიხედვით 1310 წლისათვის ანწუხი კახეთში შედიოდა. ანწუხში ყოფილა საეპისკოპოსო, მაშასადამე იმ დროისათვის ანწუხელები იყვნენ კარგი ქრისტიანები და იმდენად მრავალი სამრევლო და ეკლესია ჰქონიათ რომ ისინი ერთ ეპარქიად გაუერთიანებიათ ანწუხის საეპისკოპოსოში, რომელიც თავის მხრივ საქართველოს საპატრიარქოში შედიოდა.

მკვლევარ ფატიმათ ტახნაევას სიტყვით „ავარიულ სოფლებში შემონახულია გადმოცემა, რომლის თანახმადაც აულების ახლო მდებარე მრავალრიცხოვანი ნასოფლარები და ნაქალაქარები ძველად დასახლებული იყო ქრისტიანებით. ზოგიერთ შემთხვევაში ამ ქრისტიანებს „ქართველებად“ მოიხსენიებენ“ (ფ. ტახნაევა, ქრისტიანული კულტურა შუასაუკუნეთა ავარიამი (VII-XVI სს.) პოლიტიკური ისტორიის რეკონსტრუქციის კონტექსტში, რუს. ენაზე, <http://www.Krotov.info/histori>, გვ.1).

ადგილობრივი ავარიული სახალხო გადმოცემები იმის შესახებ, რომ ავარია თავდაპირველად ქრისტიანებითა და ქართველებით იყო დასახლე-

ბული განამტკიცა არცთუ დიდი ხნის აღმოჩენილმა არაბულენოვანმა წყარომ, რომელსაც „ირხანის ისტორია“ ეწოდება. ის მოლნეულია ოთხი ხელნაწერით, მათგან ზოგიერთი ხელნაწერი ჩართულია მეორე წყაროში, რომელსაც „დერბენდ-ნამე“ ეწოდება.

ეს ხელნაწერები ასახავენ დაღესტნის ისტორიის თემურ-ლენგის შემდგომ პერიოდს.

ირხანის ისტორიაში ასახულია დაღესტნის სხვადასხვა სოფლებისა და ოლქების ისტორია.

ქართველების დაღესტანში ცხოვრებას შეეხება მისი (ირხანის ისტორიის) რამდენიმე მუხლი, მაგალითად, ხელნაწერშია: – „მცხოვრებნი ოლქ ხიდალისა [ოლქი ხიდი] – იყვნენ ქართველები“ (ირხანის ისტორია, www.volistil.info|texsts|Dokumenty|Kavkaz|VI|Dag-sron|ist, გვ.1|6).

ამ ხელნაწერის კომენტარებში განმარტებულია, რომ ნაგულისხმებია გიდატელის თემი, რომელსაც ამჟამად უჭირავს ერთი ნაწილი რაიონი „სოვეტსკოესი“.

ამავე ირხანის ისტორიაში ნახსენებია ქრისტიანული თავდადება იმ „თავადებისა და აზნაურებისა“, რომელთაც ქრისტესთვის სისხლი დაღვარეს და თავი დადეს მუსულმანების შეტევისას სოფელ ხირკასის ციტადელის, (ციხე-სიმაგრის) დაცვისას.

ხელნაწერშია – „შემდეგ გაიმართა შებრძოლება ხირკასში, რომელიც მთელი კვირა გაგრძელდა. სოფელი აღებულ იქნა, მაგრამ დარჩა აუღებელი ერთი კვარტალი, სოფლის ზემო ნაწილში, სადაც მათი რაისები და ემირები – თავატიილები და აზნაურალები იყვნენ გამაგრებულები. მუსულმანებმა ორი თვის მანძილზე ვერ შეძლეს ამ გამაგრებული კვარტალის აღება. საბოლოოდ ის აღებული იქნა უზენაესი ალაჰის, მსოფლიოს ხელმწიფის შემწეობით. მუსულმანებმა ყველა დახოცეს ვინც იქ შეხვდათ, მათი გამოკლებით ვინც ისლამი მიიღო“ (იქვე, გვ. 4|6).

ხირკასის ანუ სოფ. არკასის ზემო ნაწილში შემორჩენილია შთამბეჭდავი ზომების ციტადელი, რომელიც XIV საუკუნემდე არსებობდა, ამ ნაშთებს ნაქალაქარს უწოდებენ (იხ. ატაევი, არკასის ნაქალაქარი).

მსგავსი „ემირები და რაისები“ (ანუ „თავატიილები და აზნაურალები“ – თავადები და აზნაურები) ხირკასის მომდევნო სოფელ ირხანშიც ყოფილან და ისინი იქაც მდგრად იბრძოდნენ ქრისტესთვის მუსულმანების წინააღმდეგ, ამიტომაც ამ სოფლებმა როცა შეიტყვეს თუ როგორი სისასტიკით ამოხოცეს მებრძოლი ქრისტიანები სხვა სოფლებში, დახოცეს თავიანთი ემირები და რაისები, და მიიღეს ისლამი. ხოლო ირხანის სულთანი გაიქცა კილბახის ოლქში, სადაც ქრისტიანები ეგულებოდა, მაგრამ გზაზე ერთ ადგილას, რომელსაც „ახალი“ ერქვა მოუხდა მუსულმანებთან შებრძოლება, სადაც მოკლეს (იქვე, გვ. 4|6).

ფ. ტახნაევას კვლევით XIV საუკუნის ქრონიკის „ირხანის ისტორიის“ ცნობით გიდატელის თემის „ხიდის“ ოლქის მცხოვრებნი იწოდებიან ქართველებად.

მათ შესახებ ამჟამადაც არსებობს გადმოცემები – მაგალითად, სოფლების ბაცაღლას, უნტის, შულანის და კულაბისა და მიმდებარე ხუტორების ტერიტორიაზე ძველად მცხოვრებნი, ადგილობრივი გადმოცემით, ავარიულ ენაზე – „გურჟიხლიებად“ (ქართველობად) იწოდებოდა, ამ სოფლების ძველ სასაფლაოებზე ცნობილია ქრისტიანული დაკრძალვის ფორმები და ჯვრების მრავალრიცხოვანი გამოსახულება.

ამ რეგიონში შემორჩენილია ერთერთი ადრეული ქართული ქრისტიანული ძეგლი – ქვის ფრაგმენტი ძველქართული წარწერით, რომელიც აღმოჩნდა სოფელში, რომელსაც ეწოდება „ვარჩი“. ეს სოფელი მდებარეობს ჰერეთ-კუმუხ-ანდაალ-გიდატელ-ხუნძახის შემაერთებელ გზაზე (ფ. ტახნაევა, დასახ. ნაშრ., გვ.3).

დალესტანის შემსწავლელ მეცნიერებაში სახალხო გადმოცემებზე დაყრდნობით საკითხიც კი დგას ავარიელი ხალხის ქართული ეთნოგენეზის შესახებ (იქვე, გვ. 3).

ავარიის ქრისტიანული წარსულის მრავალრიცხოვანი ძეგლებია – ავარიის ვრცელი ტერიტორიის მომცველი ქრისტიანული სამაროვნები, ისინია ხუნძახში, გიდატლში, ანდალალაში, სოფლებში, ურადაში, ტიდიბში (შამილის რაიონში), საკუთრივ სოფელ ხუნძახში, გალაში (ბატლაიჩში), ხარახში, ტინდში, კვანადაში (ჩუმადინის რაიონი), რუგუჯაში, კუდალში (გუნიბის რაიონი), მიატლში (ყიზილიურტის რ-ნი), ბოტლიხში (ბოტლიხის რ-ნი).

ქრისტიანული წარსულის მრავალრიცხოვანი ძეგლებია ასევე დიდოეთში, დიდო – კაპუჩინსკის რაიონში, აქ ატაევმა შეისწავლა ბეჟთას ქრისტიანული სასაფლაო.

მსგავსი ქრისტიანული ნაშთი მრავალია მთელ დალესტანში. მაგალითად, ს. ურადას ქრისტიანულ სამაროვანზე აღმოჩენილი X-XIV სს. ქვის ჯვრები. ატაევი ამ სამაროვანს VIII-X სს-ით ათარიღებს.

ამ სამაროვნებიდან ჩანს, რომ ავარიის მოსახლეობის როგორც მალალი, ისე დაბალი ფენები ქრისტიანული იყო, ამ ძეგლებით არ დასტურდება არაბი ავტორების ცნობები, რომელთა მიხედვითაც სარირში (ავარიაში) თითქოსდა მხოლოდ მეფე და მისი ლაშქარი აღიარებდნენ ქრისტიანობას.

ხუნძახშიც მრავალი ქრისტიანული სამაროვანია, მაგალითად სოფელ გალლაში VII-XI საუკუნეებისა, ადგილ ტადრაალში XIV-XV სს-სა. თვით სოფელ ხუნძახის დიდი ქრისტიანული სასაფლაო (ფ. ტახნაევა, ქრისტიანობა ავარიაში, დასახ. ნაშრ., გვ. 6). ქრისტიანული წარსულის მრავალი ძეგლია ჩამოთვლილი ფ. ტახნაევას ნაშრომში, ისინი მთელი დალესტანის მრავალ პუნქტს მოიცავენ, განსაკუთრებით ხუნძახის პლატოზე, გიდატლის და ანდალალას თემებში.

დალესტანის ქრისტიანობის უმთავრესი მოწმობაა იქ არსებული ეკლესიების ნაშთები. ისინი ძირითადად X-XI სს. თარიღებიან. მიუხედავად, რომ მათ სისტემატურად და მიზანმიმართულად ანადგურებდნენ XIX-XX სს-ში ახალი

რელიგიის – ისლამის მიმდევრები და შემდეგ ათეისტები, მათი ნაშთები მაინც საკმაოდ შემორჩა.

მთიან დაღესტანში, რომელსაც ძველ საქართველოში კახეთის მთიულეთი ერქვა, საეკლესიო ნაგებობათა ნაშთები აღმოჩენილია სოფლებში რუგაჯაში, ნაკაზუხში, ზაიბში და სხვაგან. ისლამის შესაბამისად გადაუკეთებიათ ეკლესიები სოფლებში – თადრაალში, ამიტლიში, არკასში და სხვაგან.

არქეოლოგებმა ავარიაში აღმოაჩინეს VII-XIV სს-ის რვა ეკლესიის ნაშთი. ფ. ტახნაევამ შეძლო ავარიაში 18 ეკლესიის არსებობის გამოკვლევა (იქვე, გვ. 8).

მათგან მთლიანი სახით შემორჩენილია მხოლოდ ერთი – დათუნას ეკლესია. (X-XI სს). ავარიის სოფ. ზემოჩირიურტში აღმოჩნდა 4 ეკლესიის ნაშთი (VI-VII საუკუნეებისა, მდ. სულაკის ხეობაში).

დაღესტნის ერთი ყველაზე მსხვილი ქალაქი VIII-XV სს-ში ყოფილა არკასი, მისი ნაქალაქარი 26 ჰექტარზეა განვრცობილი. მისმა ქრისტიანმა დამცველებმა თავდადებით იბრძოლეს მომხვდურ მუსულმანებთან თემურ-ლენგის ეპოქაში. როგორც აღინიშნა, ქალაქის მეთაურებს ქართული ტიტულები – „თავადები და აზნაურები“ ჰქონდათ.

ფ. ტახნაევამ აღნიშნავს, რომ „ქართული ფეოდალური ტიტულატურა ავარიაში ცნობილია XI საუკუნიდან – „ნუცალი“, „თავადო“, „აზნაურალ“ („არნახურალ“) საქართველოს პოლიტიკური გავლენისა და ქრისტიანობის XI-XIV სს-ში გაძლიერებისას“ (იქვე, გვ. 12).

ჩვენი ფიქრით, VIII-X სს-ში დაღესტნის მთიანეთში არანაკლებ იყო გავრცელებული ქრისტიანობა, კახეთის საქორეპისკოპოსოსა და კახეთის სამეფოს სიძლიერის პერიოდში და უფრო ადრეც, როცა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში არაბებს ძალზე დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ მთიელი წაწარები.

წაწარების ერთერთი ბუდე სამურის ხეობაშიც უნდა ყოფილიყო, რაც კახეთის ქრისტიანობას აძლიერებდა. ტერმინი „ნუცალი“ ამ კავშირს ადასტურებს. კერძოდ, „ნუცალი“ უნდა იყოს სახეცვლილი ფორმა ტერმინ „ნაცვალისა“, ის ალბათ იყო კახეთის ქორეპისკოპოსის ან მეფის ნაცვლის სახელი კახეთის მთიულეთში, ანუ მთიან დაღესტანში, თუმცა მიიჩნევა, რომ ის მაჭის ერისთავის ნაცვალი იყო.

ქართული ქრისტიანობის განვრცობა დაღესტანში უნდა ვივარაუდოთ IV-VI საუკუნეებიდანვე, საქართველოს მთიანეთში ქრისტიანობის მასობრივი გავრცელებისთანავე, რაც ქართველთა და დაღესტნელთა იმჟამინდელი ეთნოპოლიტიკური ერთიანობით იყო განპირობებული.

აღნიშნულ ნაქალაქარ არკასში სამზე მეტი ნაეკლესიარია აღმოჩენილი, რომელნიც მეჩეთებათ გადაუკეთებიათ, ისევე, როგორც დერბენდის ბაზილიკური ეკლესია.

ფ. ტახნაევას ვარაუდით არკასის ეკლესიები არსებობდნენ 1396 წლის თემურის ჯარის დარტყმებამდე.

როგორც აღინიშნა, ადგილობრივი ისტორიული წყაროს „ირხანის ისტორიის“ ცნობით ხირკასის (არკასის) აღება გაუჭირდა თემურის ჯარებს. სოფლის ასაღებად მათ ერთი კვირა დასჭირდათ, მაგრამ ამ სოფლის ერთი კვარტლის ასაღებად, სადაც „ტავატილები და არნახურალები“ (თავადები და აზნაურები) იყვნენ გამაგრებულები, ორი თვე დასჭირდათ.

მთელ დაღესტანში აღმოჩენილია განსაკუთრებით დიდი რაოდენობის ჯვრები, სხვადასვა ზომისა და ფორმისა, მართლაც VI-VII საუკუნეებში საქართველოში განსაკუთრებულად დიდ პატივს მიაგებდნენ ჯვრებს და მათ ყველგან მრავლად დგამდნენ.

2. ნახური

ნახური მდებარეობდა დაღესტანში, მოიცავდა მდინარე სამურის ზედა ნელის ხეობას. ეს არის თანამედროვე რუტულის რაიონი, რომელიც ესაზღვრება ზაქათალას, კახისა და ბელაქნის რაიონებს. ამჟამად ნახურთა რიცხვი 25.000 კაცია, ხოლო ნახური სოფელია დაღესტანში.

ძველად ნახურის ოლქის ცენტრი ყოფილა ნუქეთი.

XVII საუკუნეში შაჰ-აბასმა კახეთის მეფეს ალექსანდრე II-ს ჩამოართვა კაკის რეგიონი ქურმუხთან ერთად და გადასცა ნახურელ ლეკებს.

ნახურელები კახეთის ამ ნაწილში გაბატონდნენ XVII საუკუნის მერე. ნუქეთი და ნახური სინონიმები ჩანან. ალ-ყაზვინის ცნობით „XIII ს-ის შემდეგ ნახურში ყველანი მუსლიმები არიან“, ეს ასე, რომ არ ყოფილა აჩვენებს მაღალაშვილის ოთხთავის მინანერი.

3. კაკელისენი

კაკელისენი ერქვა ბელაქანის, ზაქათალასა და კახის რაიონებს, მდინარე გიშის წყლამდე, როგორც ითქვა ეს რაიონები XVII საუკუნეში დაიპყრეს სპარსელებმა და იქ გააბატონეს ნახურელი და ავარიელი ლეკები. ავარიელთა ლეკების ე.წ. „თავისუფალი თემები“ საინგილოში არის: ქარ-ბელაქანი, კატეხი, მუხახი და ქინიხი. ნახურელი ლეკების თავისუფალი თემები საინგილოში არის – ნახური, ელისუ და ყარადუკულაკი. კახეთის ამ დაპყრობილ ნაწილს ერთ პერიოდში „ნახური“ ანუ ნუქეთი ეწოდა.

ძველი ნუქეთი, როგორც ითქვა, XVII საუკუნემდე მოიცავდა დაღესტნის ტერიტორიას თუშეთიდან ვიდრე საამურის სათავემდე.

XVII საუკუნის შემდეგ ყოფილი კახეთის ცენტრს ზაქათალას, ბელაქანისა და კახის რაიონებს ეწოდა ახალი ნუქეთი. ის ფაქტიურად მოიცავდა ყოფილი მაჭის საერისთავოს. მაჭი ცნობილი არის VIII საუკუნიდან. XI საუკუნის შემდეგ მაჭის საერისთავო მოიცავდა ტერიტორიას მაჭის წყლიდან შაკიხამდე (შექამდე). ალაზნიდან ხუნზახამდე, აქ შედიოდა პუნქტები – გიში, შაკიხი, კასრი, ლაკუასტი.

მაჭის საერისთავო 1471 წელს გააუქმა კახეთის მეფე ლევანმა. როგორც ითქვა XVII საუკუნის შემდგომ იქ გაბატონდნენ ნუქეთელი ლეკები და ამ ტერიტორიასაც შესაბამისად მათი სატომო სახელი ეწოდა. საერთოდ კაკი – ქალაქ კახს ერქვა.

I. კასრი

კასრი ყოფილა ქალაქი ნუქეთისა. როგორც ჩანს, ის აუგია VIII საუკუნეში არჩილ მეფეს. „მაღალაშვილის ოთხთავის“ მინაწერში ჩამოთვლილ ეკლესიათა შორის იხსენიება კასრის წმ. სამების საყდარი – პირველი ცნობა მის შესახებ დაკავშირებულია მეფე არჩილთან (VIII ს.). „მოვიდა არჩილ კახეთად, და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურყვნა იგინი, აღაშენა ეკლესია საძმორს, შეირთო ცოლი ასული გურამ კურაპალატისა, რომელი იყო შვილთაგან ვახტანგ მეფისათა, ბერძნის ცოლისა ნაშობთა, და დაჯდა ნუქეთს, და აღაშენა კასრი, და ხევსა ლაკუასტისასა აღაშენა ციხე, და პოვნა ნუქეთს მთავარნი, რომელთადა მიებოძა ვახტანგ მეფესა ნუქეთი, და იყო მაშინ რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნზთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა – სახელით აზუხუასრო და არა ინება მისგან წაღებად ნუქეთი. და აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატს ორთა წყალთა შუა ხოლო ნუხპატელნი უწინარეს იყვნეს კაცნი წარმართნი და მხეცისბუნებისანი, არამედ ყრუსა მოესრა სიმრავლე მათი. და იძულებით მონათლნა არჩილ იგინი“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 243). შემდგომში მეფე არჩილმა ნუქეთი და ქალაქი კასრი გადასცა სომხეთიდან მოსულ ბაგრატიონ პიტიახშებს, რომელნიც ვასალური სახით ეყმნენ არჩილს.

გ. მარჯანიშვილის კვლევით ქალაქი კასრი მდებარეობდა ქალაქ კახთან ახლოს, დასავლეთით, მდინარე კობალას მახლობლად (გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი, 2005, გვ. 32). ჩვენ ეს მოსაზრება საეჭვოდ მიგვაჩნია, რადგანაც ჩანს ქალაქი კასრი მდებარეობდა მდინარე სამურის სათავესთან ახლოს. მაგრამ სხვა პუნქტი კასრი ქალაქ კახთანაც მდებარეობდა. ჩანს სწორედ ეს უკანასკნელი მოუხილავს პატრიარქ ექვთიმეს, რადგანაც ოთხთავის მინაწერში ნახსენები კასრის ყოვლადწმინდა სამების ეკლესია კაკელისენში მდებარეობდა. გ. მარჯანიშვილის აზრით, როგორც ითქვა ის მდებარეობდა ქალაქ კასრის დასავლეთ მხარეს. ეკლესიასთან ახლოს ყოფილა ქვით ნაგები და შიგნიდან გალესილი ძველისძველი დიდი ცისტერნა, საზედაშე ქვევრი, მისი სიგრძე და სიმაღლე ყოფილა 2 მეტრი. შესაძლოა ამ ცისტერნას უწოდებდნენ კასრს და მისი სახელი დაერქვა ეკლესიასაც.

კასრის ეკლესია იყო ყოვლადწმინდა სამებისა.

II. ყუმი

ყუმის ღვთისმშობლის ეკლესია, მდებარეობს კახის რაიონში. ითვლება რომ ყუმის ეკლესია VI საუკუნისაა, ყუმი მდებარეობს კახის რაიონის სოფელ ლეკითთან, იგივე ლექართთან ახლოს, მის გვერდით. აქ დღესაც დგას ეკლესიის ნანგრევი, შვერილაფსიდიანი სამნავიანი ბაზილიკა. გ. მარჯანიშვილის კვლევით ეს ის VIII საუკუნის ეკლესიაა (და არა VI საუკუნისა).

III. ლექართი

ლექართის წმიდა ნინოს ეკლესია მდებარეობს კახის რაიონში. სოფელ ლექართს ახლა ლეკითი ეწოდება. სოფელთან ჩრდილოეთ მხარეს მდებარეობს

რეობს მონასტრის ნანგრევები, ხოლო სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით ორი ეკლესიის, აბანოსა და ქარვასლისაგან შედგენილი კომპლექსი. ლეკითის ტეტრაკონქის სტილით ნაგები ეკლესია ბანას ტიპის მრგვალი ტაძარი ყოფილა VIII-IX საუკუნეებისა, ე.ი. არჩილ მეფის დროინდელი. აღნიშნული ლეკითის მონასტერსაც ასევე ჰქონია მრგვალი ეკლესია, მათ შორის ორი დიდი გუმბათიანი და სამი მცირე დარბაზი (გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი, გვ. 28). ყველა ჩამოთვლილი ეკლესია – „ქართული ძეგლების ფართო წრეს განეკუთვნება“ (იქვე, გვ. 29). წმინდა ნინოს სახელზე ნაგები ეკლესიის დასახელება მიუთითებს, რომ ამ მხარეებში უქადაგანია ქართველთა განმანათლებელ წმიდა ნინოს.

IV. ზარი

ზარის წმ. გიორგის ეკლესია – მდებარეობს ზაქათალას რაიონში ს. ზარნას (ძვ. ზარი) მთის წვერზე, მრგვალი ნაგებობაა, ასეთივე სახელი აქვს შექის რაიონის სოფელ ორთაზეიზითის, ძველი ზედგზითის ეკლესიას, რომელიც მოხატული ყოფილა ქართულ წარწერებიანი ფრესკებით. „გასული საუკუნის 80-იან წლებში აქ გაირჩეოდა მთავრული (ასომთავრული) ასოები „ვზ“ და „მსტოლ“ (გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი, გვ. 36).

ამ სოფელს ს. კარაპეტიანი ზაიზიტს უწოდებს, მდებარეობდა ქ. შაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით 8-9 კმ დაშორებით (ამჟამინდელი ორთა ზაიზიტი აზერბაიჯანის შექის რაიონში). ამჟამადაც ამ ეკლესიას წმ. გიორგის უწოდებენ. მის მოსახლეობას ს. კარაპეტიანი და მისი წინამორბედები „გამუსულმანებულ სომხებს“ უწოდებენ, რადგანაც მიიჩნევენ, რომ მთელი ამ მხარის მოსახლეობა ეთნიკური სომხები იყვნენ, რომელნიც გამუსულმანდნენ (ს. კარაპეტიანი, საკუთრივ ალბანეთის რეგიონები შაქსა და კაპალაკში“ „Кавказ и Византия“, ტ. 6, გვ. 231). ეს მოსაზრება სრულიად უსაფუძვლოა, რადგანაც აქ სომხები ძირითადად პასკევიჩმა გადმოსახლა XIX ს-ში ყარაბაღიდან, რის შემდეგაც მათ ადგილობრივი ქართული ეკლესიები აითვისეს, რადგანაც გამუსულმანებულ მკვიდრ მოსახლეობას (ყოფილ ქართველებს) ეს ეკლესიები უპატრონოდ ჰქონდათ დატოვებული. ნ. კარაპეტიანის ზაიზიტის ეკლესიისა და გ. მარჯანიშვილის ზედგზითის ეკლესიების გეგმები იდენტურია. ზარის წმ. გიორგის ეკლესია კი, როგორც ითქვა, ზაქათალას რაიონში მდებარეობდა.

V. ვარდიანი

სოფელ ვარდიანში მდგარა წმ. აბოს ეკლესია. „ვარდ“ ფუძე-ძირით ძველი, ისტორიული კახეთის ამ რეგიონში მრავალი პუნქტი მოიხსენიება, მათ შორის ვარდაშენი (ვართაშენი) და მის სამხრეთით ამჟამინდელი „ვარდანლი“. მის მახლობლად გადიოდა გზები, რომელნიც ერთმანეთში აკავშირებდა შემახას განჯასთან, ასევე კაპალაკსა და შექს დერბენდ-ჩოლთან, საბოლოოდ ყველა ეს გზა თბილის-მცხეთას უკავშირდებოდა.

აღსანიშნავია, რომ მაღალაშვილის სახარების მინაწერში არ იხსენიება სიტყვა „ჰერეთი“, თუმცა კი ამჟამად კატეგორიულად აცხადებენ, რომ ეს მინაწერი ჰერეთის ეკლესიებს შეეხება. საქმე ისაა, რომ სინამდვილეში ჰერეთი მდებარეობდა არა აქ, არამედ ჩამოთვლილი ეკლესიების აღმოსავლეთით კაპალაკსა (ყაბალასა) და მტკვარ-არაქსის შესართავს შორის. ეს იყო ალბანეთის ნაწილი. ამჟამად არასწორად მიიჩნევა, თითქოსდა ჰერეთი ერქვა ტერიტორიას შექიდან გურჯაან-ბოდბის ჩათვლით. ანუ იმ მინაწეალს, რომელსაც ქართულ წყაროებში კახეთი ეწოდება, ხაზგასმითაა აღსანიშნავი რომ ამ წყაროში (მაღალაშვილის სახარების მინაწერში) ის კახეთად მოიხსენიება და არა ჰერეთად. ჩამოთვლილი ეკლესიების სახელებიც მიუთითებს, რომ მათ არაფერი აკავშირებდათ ალბანეთის ეკლესიასთან. მათი სახელები – წმიდა ნინო, წმიდა არჩილი, წმიდა აბო, წმიდა გიორგი მიუთითებს, რომ ისინი ქართული სამყაროს ეკლესიებია, ქართველ განმანათლებელთა, წმინდანთა და მეფეთა სახელობისა და არა ალბანელებისა. თუმცა ს. კარაპეტციანი აყალბებს რა მაღალაშვილის მინაწერს, არწმუნებს მკითხველს, თითქოსდა ეს ეკლესიები ალბანელთა განმანათლებელ ელიშესთან იყო დაკავშირებული. მაღალაშვილის მინაწერში კი, როგორც ითქვა, არ იხსენიება არც სიტყვა „ჰერეთი“ და არც სიტყვა „ელიშე“.

ს. კარაპეტციანი იმასაც კი წერს, თითქოსდა ამ მინაწერში „წმიდა ელიშეს 12 მოწაფე იხსენიება“, მაშინ როცა მინაწერში იხსენიება არა I საუკუნის წმინდანის, არამედ XIV საუკუნის მღვდლის იასე ქიტიაშვილის სახელი, რომელსაც ქალაქ კაკში ჰყოლია 12 მოწაფე, რომელთაც გადაუწერიათ სახარების წიგნები ჩამოთვლილ ეკლესიებში დასარიგებლად.

ს. კარაპეტციანი უხეშად, განუკითხავად აყალბებს წყაროებს.

ასეთი გაყალბება კი, ამ მინაწერის სიტყვებით, ძველდაც ერთ-ერთი ჩვეულება ყოფილა ს. კარაპეტციანის წინამორბედებისა. მასში ნათქვამია – „ცხოვრება ალვანიისა, ესე იგი არს სავანიისა, რომელ დანერა პეტრე ლაგაძემან, ვინმე სომეხმან გა(რყვნა) იგი და საკუთრივ დანერილად გამოაცხადა და სომეხთაც ადვილად იწამეს ჩვეულებისამებრ“.

ალვანია – აღნიშნული ეკლესიების რეგიონის უშუალო მეზობლად, მის აღმოსავლეთით მდებარეობდა და ამიტომ მისი ისტორიის შესწავლაც საჭიროდ იყო ცნობილი.

ვარდიანში ყოფილა წმიდა აბოს ეკლესია.

წმიდა აბო – ქართული ეკლესიის წმინდანი იყო, რომელსაც იცნობდა მთელი ქართული სამყარო VIII ს-სა ანუ წმ. არჩილის ეპოქისა, ეს ეკლესიაც არჩილს უნდა დაუკავშირდეს.

VI. განუხი

განუხის წმ. არჩილის ეკლესია უნდა მდებარეობდეს შაქსა და ვართაშენს შორის. პუნქტი ლანუხი ქურმუხთან ახლოსაა შაქის მხარეს.

მისი ეკლესიის სახელიდან (წმ. არჩილი) ჩანს, რომ ის კახეთში წმ. არჩილის მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული და არა ალბანეთის ეკლესიასთან.

ცნობილია, რომ წმ. არჩილი თავის საბრძანებელში გადავიდა კახეთში არაბთა მპყრობელობისას და იქ მრავალი ქალაქი და ეკლესია ააშენა. მათ შორის ჩანს განუხის ეკლესიაც.

VII. ქიმ-ნუხი

ქიმ-ნუხშია ღვთისმშობლის ეკლესია. კიში – იგივე ქიში, ნაჩვენებია შაქთან ახლოს მდინარე ქიშისწყლის მარჯვენა სანაპიროზე. იქ მდებარე ეკლესიას მიიჩნევენ „გიშის საეპისკოპოსოდ“.

გიშის ეკლესია, შაქის მახლობლად – მცირე ნაგებობაა, XI ს-ში განუახლებიათ. გ. ჩუბინიშვილი წერდა: „შეუძლებელია მისი მიჩნევა უკვე VI ს-ში არსებულ საეპისკოპოსო კათედრად. საფიქრებელია, რომ გიშის კათედრა X-XII სს-ში გადატანილი იქნა იქვე 5 კმ-ით დაშორებულ ქალაქ ნუხაში. ეკლესია ხელმეორედ გამოყენებული იქნა პასკევიჩის ბრძანებით XIX ს. 50-60-იან წლებში გადმოსახლებული სომხების მიერ“ (გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი, გვ. 26).

საერთოდ, სხვაა ქართული წყაროების გიშის საეპისკოპოსო და სხვაა სომხურ-ალბანური გისის საეპისკოპოსო. გისის ცნობილი საეპისკოპოსოს მდებარეობა ივარაუდება მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე გარდმან, შაკაშენ, უტის რეგიონში, კერძოდ კი პარტავთან ახლოს, მის ჩრდილოეთით (იხ. ბ. არუთინიანის სომხეთის რუკა), ხოლო ქართული გიშის საეპისკოპოსო სულ სხვა რეგიონში – შექთან მდებარეობდა.

შაკიხი ერქვა შექსა და მის რაიონს. სომხური წყაროების „გარდმანი“ (გარდაბანი) და ქართული შაკიხი – ერთმანეთის მეზობლები იყვნენ. ერთი მტკვრის მარჯვენა, ხოლო მეორე მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა. ეს საინტერესოა ჩელეთის ადგილმდებარეობის განსაზღვრისათვის.

კახეთის ქალაქი ჩელეთი უნდა ვეძიოთ შექის რაიონში, რადგანაც მის მშენებლობაში გარდაბნელები მონაწილეობდნენ.

მართლაც, სოფელი „ჩალეთი“ ს. კარაპეტიანის რუკაზე მდებარეობს ვართაშენ-ვარდაშენთან ახლოს, მის დასავლეთით. ამ ჩალეთის გასწვრივ – მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, როგორც აღვნიშნეთ, ისტორიული გარდმანის პროვინცია მდებარეობს.

ქართლის ცხოვრება წერს – „კახოსს მისცა კავკასიასა და კახეთის მთა-სა შორის, არაგვთგან ვიდრე ტყეცბადმდე, რომელ არს საზღვარი ჰერეთისა და ამან კახოს ალაშენა ჩელეთი, კუხოს შეენია შენებასა ჩელეთისასა, რამეთუ დედა ციხე კახოსის ხვედრი იყო და მისცა კახოსს შენენისათვის და შეენია შენებასა ჩელეთისასა, რომელსა ბერ ერქვა პირველშენებელსა კახეთისასა“ (ქ.ც., ტ. I, გვ. 9).

ჩელეთის საეპისკოპოსო ვახტანგ გორგასალის დროს იხსენიება ხორნაბუჯსა და აგარაკს შორის, ეს აგარაკი მდებარეობდა „ხუნანის გამართებით (იქვე, გვ. 199).

ამ განლაგებიდან ჩანს, რომ ჩელეთის საეპისკოპოსო მდებარეობდა ხორნაბუჯ-ხუნანის რეგიონში, ანუ იქ სადაც ჩვენ ვვარაუდობთ ქალაქ ჩე-

ლეთის მდებარეობას, შაქსა და ვართაშენს შორის, როგორც აღვნიშნეთ აქ მართლაც მდებარეობს პუნქტი ჩალეთი თავისი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესიით (ს. კარაპეტიანი, 2005, რუკა, გვ. 252).

ამ რეგიონში უნდა ყოფილიყო ტყეცა – საზღვარი ჰერეთთან, კერძოდ კაბალა-ყაბალსა და ვართაშენს შორის, აქ გამავალ მთას „გურჯი დაღის“ იქაურები საქართველოს საზღვრად მიიჩნევდნენ.

ამ მთის დასავლეთით ზაქათალა, კახისა და ბელაქანის რაიონებში ისტორიულად მდებარეობდნენ კახეთის სამეფოს დედაქალაქები ბაზარქალაქ-ზაგემი და სხვა სამეფო რეზიდენციები, აქ იყო კახეთის ყველაზე ნაყოფიერი მიწა-წყლი, სხვა ტერიტორიები კახეთისა – ძირითადად ნაკლებდასახლებული იყო.

ჩვენი კვლევით „კახეთის მთას“ უწოდებდნენ გომბორის ქედს. ის კახეთსა და კუხეთს ერთმანეთისაგან ჰყოფდა.

მიწები არაგვიდან გულგულა-ტყეცამდე ანუ კაბალა-ხილხალამდე – კახეთს ეკუთვნოდა. მართლაც, მოვსეს კალანკატუაცის ცნობით ხილხალა – საქართველო-ალბანეთის საზღვრად მიიჩნეოდა.

ყაბალაზე გადიოდა ჩორსა და განძა-ალბანეთს დაკავშირებული გზა. ამ გზით შემოდოდნენ ჩორ-დერბენდიდან ალბანეთის ეკლესიების დასანგრევად ჩრდილოკავკასიელები.

როგორც ითქვა, ეს რეგიონი, ანუ ზაქათალა-კახი-ბელაქანის მომცველი მიწა-წყალი სპარსეთმა მიიტაცა – სადაც მისი ქართველი მოსახლეობა ძირითადად ასიმილირდა ჩრდილოკავკასიიდან ჩამოსახლებულ ლეკებში, რომელთაც სამართავად გადაეცათ კიდევაც ეს ტერიტორიები.

ბელაქანის რაიონში განსაკუთრებულად, და საერთოდ საინგილოში, ბევრი ლეკი მიუთითებდა თავის ქართულ წარმოშობას, მაგალითად, გალაჯოვეების წინაპრები ვაჩნაძეები ყოფილან, ნასტაგალოვებისა – ერისთავები. ბევრ ლეკს სცოდნია, რომ მათი წინაპრები ქართველები იყვნენ, და სცოდნიათ კიდევ თავიანთი ქართული გვარები.

ქიშ-ნუხამდე ანუ გიშისწყლამდე მიწა-წყალი კახეთად ითვლებოდა. გიშის ტაძარი, როგორც აღვნიშნა ქ. ნუსხალის (შექის) ჩრდილოეთით 6 კმ მოშორებით მდებარეობდა. გიშის საეპისკოპოსო – ვახტანგ გორგასლის დაარსებულად ითვლება. ისტორიულად გიში ასამ და ასათ გრიგოლისძეებს ეკუთვნოდათ.

ასათ გრიგოლისძეს საღირ კოლონკელისძისგან მძლავრობით მიუტაცნია ჰერეთის ერისთავობა და ასევე მას მიუტაცნია არიშიანისაგან ადგილი საქართველოს სახელმწიფო დარბაზში (პარლამენტში), კერძოდ ის „დაჯდა სასთაულით“ არიშიანის ადგილზე დარბაზობის დროს.

ასათ გრიგოლისძემ ჰერეთის ერისთავობა გადასცა თავის შვილს გრიგოლს.

ოქროს ხანის პერიოდში ასათ გრიგოლის ძის მონოდებით ანუ „წვევით“ საქართველოს ჯარმა დალაშქრა ქვეყანა „განძას ქვემოთ ბელაყნამდის, რახსის პირი მასისამდე“ (ქ.ც., II, გვ. 40).

„განძის პირის“ ქვეყანა – ჰერეთის მოპირდაპირე მხარეს, მტკვრის მეორე, მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა. ჰერეთში შედიოდა არეში ანუ არიში. ყვარყვარე ათაბაგმა 500 კაციით ილაშქრა არეშში. იქაური ვაჭრის დასასჯელად, მან გაიარა ფარავნის ტბა, დმანისი, ხუნანი, „განვიდა მტკვარს და მივიდა არეშს“.

ხუნანიდან გზა მიემართებოდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მხარეს და თანამედროვე მინგეჩაურის ტბის ოდნავ ქვემოთ კვეთდა მტკვარს. ამ მხარეს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ყოფილა არეში.

მაშასადამე, ქართველთა წინაპრების ქართლოსისა და კახოსის დროიდან ეს მიწა-წყალი ქართულ სახელმწიფოებრივ სფეროში შედიოდა, ხოლო შემდგომ, ვახტანგ გორგასლის, წმ. არჩილ მეფის თუ ათაბაგების ეპოქაში ქართულ საეკლესიო იურისდიქციაში, ამას მიუთითებს გიშის ქართული საეპისკოპოსოს, ქიშნუხის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის, ვარდიანის წმიდა აბოს და განუხის წმიდა არჩილ მეფის ქართული ეკლესიების არსებობა.

ამ მხარეში, როგორც აღინიშნა, მდებარეობდა კახეთის ძველი ქალაქი ჩელეთი (და არა ერწო-თიანეთში, ამჟამინდელ სიონის წყალსაცავთან, როგორც ამჟამად მიიჩნევა).

ქართლის ცხოვრებით ჩელეთი – მნიშვნელოვანი ნაგებობა ყოფილა, მართლაც ამ ნაგებობათა ნაშთი დღემდეა შემორჩენილი შაქის რაიონის სოფელ ჩელეთში, რომელსაც გ. მარჯანიშვილი „ჯალეთს“ უწოდებს. კერძოდ, აქ შემორჩენილია დიდი სასახლის ნანგრევები, მისი სიგრძე 16-17 მეტრია. აქვეა ჩელეთის ანუ ჩალეთის, ჯალეთის ეკლესია.

VIII. ვართაშენი

ვართაშენის ეკლესია – წმ. ელიას სახელობისა.

სოფელი ვართაშენი მდებარეობს შაქის აღმოსავლეთით, ყაბალა, კაპალაკის მარცხნივ. XVIII ს-ში ვართაშენში მცხოვრები უდები თავიანთ თავს უწოდებდნენ ასე – „ვართ ალბანელები და ეროვნებით უტიელები“ (გ. მარჯანიშვილი, გვ. 51).

არცახი და უტი ერქვა არმენიზებულ ალბანურ პროვინციებს ვართაშენის გასწვრივ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. არცახელებმა და უტიელებმა შეძლეს გამირულად შეენარჩუნებინათ ქრისტიანობა ალბანეთის ისლამიზაციის საუკუნეებში, მაგრამ საბოლოოდ უტიელები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ უტის რეგიონი და თავი, მახლობლად, ჯერ კიდევ ძლიერ საქართველოში ვართაშენისათვის შეეფარებინათ. საქართველოს სახელმწიფოებრივი სიძლიერის დროს უტიელები თავდაცვის მიზნით გადასახლდნენ ისტორიული ალბანეთიდან ანუ მტკვრის მარჯვენა სანაპირო ქვეყნიდან, იქვე მახლობლად – მარცხენა სანაპიროზე – ანუ საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

უტი ერქვა ალბანურ პროვინციას სწორედ ვართაშენის მოპირდაპირე მხარეს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. ამ პროვინციას ასევე ერქვა მეორე

სახლი „არანდაკი“ (არანის ქვეყანა) – მის ხალხს უტიელები ერქვა პროვინციის სახელის მიხედვით.

სოფელ ვართაშენში, რომელიც ახლა ქალაქი და რაიონული ცენტრია რამდენიმე ეკლესია არის.

ვართაშენი იხსენიება 1310 წლის განსახილველ დოკუმენტში.

XIX საუკუნეში სოფელში ყოფილა სამასი კომლი მოსახლე. მათ შორის ასი კომლი ყოფილა ქართველი მართლმადიდებლების ოჯახი და მათ გარდა უტიელებიც (უდინები).

ეს აღწერა იმით არის საინტერესო, რომ ს. კარაპეტციანის სიტყვით, ის ჩაუტარებია თვით სომეხ სამღვდელოებას XIX საუკუნის მეორე ნახევარში. სომეხი სამღვდელოება კი ტენდენციურად იყო განწყობილი, რაც გამოიხატებოდა იმით, რომ ყოველი ხერხით ცდილობდნენ დოკუმენტებში გაეზარდათ მოსახლეობაში სომეხთა ანუ მონოფიზიტთა რიცხოვრივი რაოდენობა.

მიუხედავად ამ მდგომარეობისა, მათი აღწერით სოფელ ვართაშენის მოსახლეობის ერთი მესამედი ქართველი მართლმადიდებელი ყოფილა. არა ზოგადად მართლმადიდებლების რიცხვი ყოფილა ასეთი, არამედ ეთნიკური ქართველებისა.

ამ სოფელში ასევე ცხოვრობდნენ ეგრეთწოდებული უდინები (უტიელები), სომხები, ებრაელები და სუნიტი მუსულმანები.

1890 წლისათვის მოსახლეობის ნილობრივ რაოდენობაში ქართველი მართლმადიდებლების რიცხვი შემცირებულია. კერძოდ, ამ წელს ვართაშენში მოსახლეობდა 680 ოჯახი (კომლი). მათგან 450 ყოფილა მონოფიზიტური აღმსარებლობისა (მონოფიზიტთა შორის ჩამოთვლილები არიან ეთნიკური სომხები და ეთნიკური უდინები), 150 ყოფილა მართლმადიდებლური ქართული ოჯახი, 200 ებრაული და 30 მუსულმანური. სომეხთა და მონოფიზიტ უდინთა საერთო რაოდენობა ყოფილა 1463 კაცი. აღწერის მასალებიდან ჩანს, რომ ოჯახი შედგებოდა 3-4 კაცისაგან, ამიტომაც უნდა ვივარაუდოთ ვართაშენის 150 ქართული ოჯახი შედგებოდა 450-600 კაცისაგან.

კიდევ ერთი აღწერა ჩაუტარებიათ 1913 წელს და ამ დროს ვართაშენში ცხოვრობდა 2914 კაცი (ს. კარაპეტციანი, შუა საუკუნეთა არქიტექტურის ძეგლები საკუთრივ ალბანეთში, შაქისა და კაპალაკის გავარებში, წიგნი „Кавказ и Византия“, #6, 1988, გვ. 246).

ამ აღწერათა შემდგომ დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, რასაც მოჰყვა რევოლუციები და საქართველო-აზერბაიჯანის კონფლიქტი საინგილოსათვის, გასაბჭოება, საინგილოს დაუფლება აზერბაიჯანის მიერ. ქართველთა მიზანმიმართული დევნა ამ რეგიონში. ამ მიზეზის გამო ვართაშენის ქართველობა იძულებული გახდა გადმოსახლებულიყო საქართველოში კერძოდ, კახეთში. საქართველოში დასახლების შემდგომ ისინი მუდმივად აცხადებდნენ, რომ ისინი იყვნენ ეთნიკური ქართველები და აღწერებშიც ქართველებად ეწერებოდნენ. მაგრამ მათ ეთნიკურ ვინაობაში ეჭვი შეიტანეს თბილისის სამეცნიერო წრეებმა. ქართიზაციის თეორიის გავლენით

ისინი აცხადებდნენ რომ კახეთში ჩასახლებული ვართაშენელები იყვნენ არა ეთნიკური ქართველები, არამედ უდინები, რადგანაც ვერ წარმოედგინათ აზერბაიჯანის შორეულ სოფელში ქართული მოსახლეობის ცხოვრება. თბილისელი მეცნიერები მრავალ სამეცნიერო ექსპედიციას აწყობდნენ კახელ ვართაშენელებთან, უმტკიცებდნენ მათ, რომ ისინი იყვნენ არა ქართველები, არამედ ეთნიკური ალბანელების ბოლო, გადარჩენილი მცირე რაოდენობა, უდინები. მოუწოდებდნენ შეესწავლათ და აღედგინათ თავიანთ მეტყველებაში უდინური ენა. ეს მაშინ როცა XIX საუკუნის სომხური აღწერებითაც კი აზერბაიჯანის ვართაშენში ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ ქართულ და უდინურ ოჯახებში და მათ კარგად იცოდნენ თავიანთი ეთნიკური ვინაობა.

ვართაშენში ქართველებს თავიანთი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიაც ჰქონიათ და ასევე იქვე ყოფილა მონოფიზიტური ეკლესიაც, ხოლო ვართაშენის გარეუბნებსა და სასაფლაოებზე სხვა ეკლესიებიც მდგარან. ქართული 1310 წლის საბუთის მიხედვით ვართაშენში მდგარა წმინდა ილია წინასწარმეტყველის („ელიას“) სახელობის ეკლესია. ეს ეკლესია პასკევიჩის შემდგომ XIX საუკუნეში ჩასახლებულ ყარაბახელ სომხებს თავისებურად, მონოფიზიტურად გადაუკეთებიათ და მისთვის უწოდებიათ ალბანეთის განმანათლებელ მოციქულ ელიშეს სახელი. შეუთხზიათ ლეგენდაც, რომ თითქოს იქ არის დაკრძალული ამ მოციქულის ორი მონაფე, რომელზეც აღმართული არის სამლოცველო. ამ ლეგენდას ს. კარაპეტიანი ამატებს კიდევ ერთ სიახლეს, რომელიც შეიძლება ითქვას არის სრული უზუსტობა და არასწორი ინფორმაცია, თითქოსდა მოციქულ ელიშეს მონაფეთა საფლავებზე აღმართული სამლოცველოები მოხსენიებულია 1310 წლის ჩვენს მიერ განსახილველ ქართულ დოკუმენტში. სინამდვილეში ამ დოკუმენტში ნახსენებია ვართაშენის წმიდა ილია წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესია და მასში საერთოდ არ იხსენიება არც მოციქული ელიშე და არც მისი მონაფეები. ჩვენი თვალსაზრისით ვართაშენში შესაძლოა არც იყო ძველი სომხური ეკლესიები, რადგანაც ს. კარაპეტიანის მიერ გამოქვეყნებული სომხური წარწერები XIX საუკუნეს განეკუთვნება.

როგორც აღინიშნა, ვართაშენის რაიონშია სოფელი ჩაღეთი (ჭაღეთი) ანუ ჩეღეთი, ჩანს უძველესი კახური ქალაქი. მას ჯაღეთსაც უწოდებენ.

ამ მიდამოებში, გ. მარჯანიშვილის სიტყვით, „ძველი შაქისა და ხაჩმაზის გამყოფ ქედზე, საქართველოსთან დაკავშირებული კიდევ ერთი სახელი – „გიურჯი დალი“ (ქართველთა მთა) არის დაფიქსირებული. გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ვართაშენისა და ჭაღეთის სიახლოვეს გადიოდა საქართველოს საზღვარი“ (გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი, 2005, გვ. 40).

როგორც აღინიშნა სოფელ ჩეღეთ-ჭაღეთში არსებობს სასახლის ნაშთი, რომელსაც გ. მარჯანიშვილი „ტიპიური კახური სასახლეების მსგავსს“ უწოდებს.

ასევე აღინიშნა, რომ სოფელ ნიჯისა და ვართაშენის მცხოვრებ უძებს პეტრე I-ისათვის, XVIII ს-ში გაუგზავნიათ წერილი. უძების თქმით ისინი „აღბანელები და ეროვნებით უტიელები“ არიან. ამ განსაზღვრებაში, აღბანელებისა და უძების ცნება არ ფარავს ერთმანეთს“ (იქვე, გვ, 51).

მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარე რეგიონს სომხურად „უტი“ და ასევე „არანდაკი“ ერქვა (იხ. არუტუნიანის რუკა).

ძველი „უტიკის“ ანუ უტის პროვინციაში მდებარეობდა აღბანეთის დედაქალაქი პარტავი (ბარდა) – „უტიდან ვართაშენში გადასახლებულ უტიელებს XVIII ს-ში ჯერ კიდევ ახსოვდათ თავიანთი ეთნიკური ვინაობა, ისინი იყვნენ ძველი აღბანეთიდან, ამავე დროს კი იყვნენ უტიელები, ანუ ძველი უტიკის მცხოვრები, ტომობრივად უტები ანუ უძები.

XV-XVI საუკუნეებში, ძველ რეგიონში, როცა ქრისტიანთათვის იქ ცხოვრება გაძნელდა, როგორც ითქვა, მათ თავი შეაფარეს ჯერ კიდევ საქართველოს სახელმწიფოში შემავალ შაქი-ვართაშენის რეგიონს, რომელიც მართალია უკვე იწყებდა გამაჰმადიანებასა და სეპარატიზმის გზას ადგა, მაგრამ ვართაშენსა და მის შემოგარენში გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იყო ქრისტიანთათვის.

ვართაშენში, უტიელებს ცხადია დახვდათ ადგილობრივი ქართული მოსახლეობა და ეკლესია. აქვე, ჩანს ეთნიკური სომხური მოსახლეობაც გაჩნდა. ამის შედეგად ვართაშენში აღმოჩნდა ქართული, უტიური, სომხური, ებრაული და მაჰმადიანური მოსახლეობა.

XVIII ს-ში, როგორც პეტრე I-სადმი მიმართვიდან ჩანს, ამ უძინებს (უძებს) კიდევ ახსოვდათ, რომ ისინი აღბანელები და ამავე დროს უტები იყვნენ.

შემდეგში, ვართაშენის ქართულ მოსახლეობას უფრო და უფრო გაუჭირდა ამ რეგიონში ცხოვრება, რადგანაც შაქში მაჰმადიანური ხელისუფლება გაძლიერდა, კახეთის დიდი ნაწილი კი შაჰ-აბასმა კახეთის სამეფოს ჩამოაცილა, ამავე დროს სპარსელთა ნებით შეიქმნა კაკელისენის განდგომილი რეგიონი, რომლის მკვიდრი ქართველი მოსახლეობა აღმოჩნდა ლეკური მმართველობის ქვეშ. ამ რეგიონის ქართველები შესაბამისად ლეკდებოდნენ და მაჰმადიანდებოდნენ.

ამგვარ პირობებში მით უმეტეს გაუჭირდებოდა ვართაშენის ქართველებს, ისინი ჩანს ასიმილირდნენ უტიელებსა, სომხებსა და მაჰმადიანებში. თუმცა, მაინც, XIX ს-ში მათი რაოდენობა 600 ყოფილა, ისინი XX ს-ში ზინობიანში გადასახლდნენ და უკვე ნაწილობრივ დაკარგული ჰქონდათ თვითშემეცნება, მაგრამ მაინც სჯეროდათ, რომ გადარჩენა მხოლოდ საქართველოში შეეძლოთ და ამიტომაც მისკენ ისწრაფოდნენ საბოლოოდ დასაფუძნებლად.

ქართიზაციის თეორია საინგილოს შესახებ

როგორც აღინიშნა, განუხში ანუ ღანუხში მდებარეობდა წმიდა არჩილის ეკლესია და ნახსენებია 1310 წლის მალალაშვილის სახარების მინაწერში, დასახელებულია ვარდიანის წმ. აბოსა და ქიშნუხის ღვთისმშობლის ეკლესიათა შორის. მაშასადამე ის ახლოს ყოფილა ქიშნუხთან და ვართაშენთან. მისი ადგილმდებარეობა ამჟამად ერთმნიშვნელოვნად ცნობილი არ არის. ს. ერემიანი მას ალბანური ოლქის ხენის სახელს უდარებს და ათავსებს ზაქათალას რაიონში.

ქართველი მკვლევარები, როგორც გ. მარჯანიშვილის წიგნიდან ჩანს, მიიჩნევენ რომ ჩვენს განსახილველ რეგიონში (ანუ მდინარე ალაზნის ქვემო წელზე და საინგილოში) ქართველობა არ იყო მკვიდრი მოსახლეობა და იქ ქართველები მოხვდნენ მიგრაციის პროცესის შედეგად. გ. მარჯანიშვილი ამის შესახებ წერს – „პოლიტიკურმა პროცესებმა შექმნა ჰერეთში აღმოსავლურ ქართული ტომების მიგრაციის პირობები. VIII საუკუნისათვის უკვე დასრულებული ჩანს ჰერეთის გაქართლების პროცესი“ (გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი, 2005, გვ. 50).

გ. მარჯანიშვილი ისე, როგორც სხვა ყველა ჩვენი ეპოქის მკვლევარი, ჩვენს მიერ განსახილველ რეგიონს არაქართულ ქვეყანად მიიჩნევს, რომლის ქართიზაცია ანუ როგორც გ. მარჯანიშვილი უწოდებს – „გაქართლება“ – VIII საუკუნისათვის დასრულდა.

ეს მოსაზრებანი მთლიანად ეწინააღმდეგებიან ძველ ქართულ წყაროებს რომელთათვისაც ქართველობა იყო ერთიანი ეთნოსი, ერთიანი ხალხი, რომლითაც დასახლებული იყო ჩვენი რეგიონი.

ამავე თვალსაზრისს ავითარებს V საუკუნეში მოვსეს ხორენაცი. კერძოდ, ის თავის ცნობილ სომხეთის ისტორიაში წერდა, რომ წმ. ნინომ იქადაგა კლარჯეთიდან მასქუთებამდე და ამ რეგიონის მოსახლეობა ანუ კლარჯეთიდან მასქუთებამდე მცხოვრები ხალხი თავისი ტკბილი და ადვილად გასაგები ენით მოაქცია.

ხორენაცი წერს – „სანატრელი ნუნე წავიდა იქედან, რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით ქართველთა ქვეყნის სხვა კუთხეებშიც დაემოძღვრა. მან იქადაგა სახარება კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარამდე, მასქუთთა საზღვრამდე, როგორც ამას აგათანგელოზი გაუწყებს შენ“ (მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 1984, გვ.172).

მოვსეს ხორენაცი, რომელიც კარგად იცნობდა ქართულ სამყაროს იყენებდა ქართულ წყაროებს და ცხოვრობდა თითქმის წმ. ნინოს ეპოქაში არსად აღნიშნავს, რომ კლარჯეთიდან მასქუთებამდე მცხოვრები ხალხი იყო მრავალენიკური, პირიქით ხორენაცი წმ. ნინოს ერთმნიშვნელოვნად უწოდებს ქართველთა განმანათლებელს. მისი სიტყვით კლარჯეთიდან მასქუთებამდე ქართველი ხალხის საცხოვრისი იყო, სადაც წმ. ნინომ იქადაგა.

როგორც ცნობილია, IV საუკუნისათვის მასქუთები ან მასაგატები ცხოვრობდნენ მტკვარ-არაქსის შესართავიდან ჩორ-დერბენტამდე. აქედან მოვსეს ხორენაცის მიერ წმ. ნინოს მიერ მოქცეული მასქუთებამდე მცხოვრები ქართველობის საცხოვრებელი არეალი მოიაზრებოდა მტკვარ-არაქსის შესართავამდე. ამ არეალში თავსდება ისტორიული ჰერეთი. შესაბამისად, ჰერეთი ქართველებით ყოფილა დასახლებული, რომელთაც ესმოდათ ქართველთა განმანათლებლის ენა. აქედან გამომდინარე არასწორია ქართიზაციის თეორია, რომელიც მიიჩნევს, რომ ჰერეთის მხარე VIII საუკუნისათვის „გაქართველდა“ („VIII საუკუნისათვის უკვე დასრულებული ჩანს ჰერეთის გაქართლების პროცესი“ (გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი, 2005, გვ. 50). ქართიზაციის ეს თეორია გამეორება და გაღრმავებაა XIX ს. სომხური საისტორიო შეხედულებებისა, რომელიც საერთაშორისო სამეცნიერო ბრუნვაში შეიყვანეს პროფესორმა ქ. პატკანოვმა და აკადემიკოსმა ნ. მარმა.

მაღალაშვილის სახარების მინაწერის მიხედვით აქვე, სოფელ ლექართში, მდებარეობდა წმ. ნინოს ეკლესია. ამ ეკლესიის სახელი უნდა წარმოადგენდეს მის არეალში წმ. ნინოს მოღვაწეობის ანარეკლს, ანუ ამ ეკლესიის სახელი – წმ. ნინოს – არაა შემთხვევითი და ეთანადება მოვსეს ხორენაცის ცნობას. აქ წმ. ნინოს ქადაგების შესახებ. შესაბამისად, იქ მდებარე სოფლის – ღანუხის სახელწოდებაში ჩვენ არ უნდა ვეძიოთ ალბანური კვალი. მისი სახელი ისევეა ნაწარმოები როგორც სხვა მრავალი პუნქტის სახელი საქართველოში, გ. მარჯანიშვილი სოფელ ღანუხის სახელს უკავშირებს ალბანეთში მცხოვრებ ერთ-ერთი ტომის ხენუკების სახელს.

როგორც აღვნიშნეთ, ღანუხის ეკლესია წმ. არჩილ მეფის სახელზე იყო აგებული. ეს მიუთითებს, რომ ამ რეგიონში უღვანია წმ. არჩილ მეფეს VIII საუკუნეში მურვან-ყრუს დროს, მართლაც, ეს დასტურდება ქართული წყაროებით, რომელნიც მიიჩნევენ, რომ კახეთის ამ რეგიონში მრავალი ციხესიმაგრე ქალაქი და ეკლესია ააგო წმ. არჩილ მეფემ. საზოგადოდ კი, როგორც აღინიშნა, 1310 წლისათვის ამ რეგიონის მრავალი ეკლესია ატარებდა ქართულ სახელს – წმ. ნინო, წმ. არჩილი, წმ. აბო, მათ ემატება წმ. გიორგის, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და ყოვლადწმიდა სამების ეკლესიები.

როგორც ითქვა, გვიან პერიოდში უფრო მეტად XVIII საუკუნეში პასკევიჩის შემდეგ ყარაბაღიდან ჩამოსახლებულ სომხებს ხელში ჩაუგდიათ უკვე გაუკაცრიელებული ძველქართული ეკლესიები და დაურქმევიათ მათთვის ახალი სახელები – წმ. რიფსიმე, წმ. ელიშე და სხვა მსგავსი, თუმცა შეუცვლელად დაუტოვებიათ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და წმ. გიორგის ეკლესიათა სახელები. როგორც ცნობილია სომხურ ეკლესიებს ნაკლებად არქმევდნენ ასეთ სახელებს. ისინი უფრო მეტად არქმევდნენ წმ. გრიგოლს, წმ. გაიანეს, წმ. რიფსიმეს, ასტვაცაცინ, სტეფანოსი და სხვა მსგავსი.

ქართველი მკვლევარები, როცა ისინი ისტორიულ კახეთს ჰერეთად მიიჩნევენ, ვფიქრობ შეცდომას უშვებენ იმის გამო, რომ უმართებულოდ საზღვრავენ პუნქტ ტყე-ტბა-გულგულას ადგილმდებარეობას.

ქართლის ცხოვრების თანახმად პუნქტი გულგულა მდებარეობდა კახეთისა და ჰერეთის საზღვარზე.

ივანე ჯავახიშვილის კვლევებით უკვე ლეონტი მროველს აღარ სცოდნია მისი (გულგულას) ზუსტი ადგილმდებარეობა, მითუმეტეს ის არ უნდა სცოდნოდა ვახუშტის. ამიტომაც ის მხოლოდ ვარაუდობდა, რომ გულგულა ეწოდებოდა თელავის ჩრდილოეთით მდებარე სოფელს. გულგულას მეორე სახელიც ერქვა „ტყეტბა“. ეს სახელი (ტყეტბა) ჩანს ქართულ სამყაროში საკმაოდ გავრცელებული იყო. მაგალითად ამჟამადაც კი ტყეტბა ეწოდება მდინარე ძუსას ხეობაში საზანო – ზესტაფონის, მეორე, შემოვლით, არამთავარ გზაზე მდებარე ერთ-ერთ ადგილს. ასეთი ტყეტბიანი ადგილი მრავალი უნდა ყოფილიყო მცენარეულობითა და მწვანე საფარით სახელგანთქმულ კახის, ზაქათალასა და ბელეჩნის რაიონებში.

მოვსეს კალანკატუაცის ცნობით საზღვარი ალბანეთსა და საქართველოს შორის გადიოდა სოფელ ხილხალაზე, ჩორისა და ალბანეთის დამაკავშირებელ გზაზე. ეს გზა გადიოდა ქ. ყაბალასთან. ვართაშენ ჩრდილოკავკასიის დამაკავშირებელ ამ გზაზე მდებარეობს ამავე ეტიმოლოგიის პუნქტი ფილფილა.

სახელები ფილფილა, ხილხილა და გულგულა, როგორც აღინიშნა მსგავსი ეტიმოლოგიისაა და რადგანაც, ამჟამადაც კი აქ, ფილფილასთან მდებარე ქედს „გურჯი-დალს“ მიიჩნევენ ძველი საქართველოს საზღვრად, და ხალხური მეხსიერება ხაზგასმით მიუთითებს აქ ძველი საქართველოს საზღვრის არსებობას, უნდა ვივარაუდოთ, რომ ტყე-ტბა-გულგულა ერქვა თანამედროვე სოფელ ფილფილას. ეს სოფელი მართლაც ტყეებსა და მდინარეთა ჩანჩქერებშია ჩაფლული და მისი მომცველი რაიონი მთელ აზერბაიჯანში საუკეთესო საკურორტო ზონად ითვლება.

როგორც აღინიშნა, ეტიმოლოგიურად ფილფილა და გულგულა ერთმანეთის მსგავსია, ამიტომაც ძველი ქართული წყაროების ანალიზიდანაც ჩანს, რომ სასაზღვრო პუნქტი გულგულა უნდა იყოს იგივე ფილფალა, ანუ ვართაშენის რეგიონში უნდა ყოფილიყო ისტორიული პუნქტი გულგულა – საზღვარი კახეთსა და ჰერეთ-ალბანეთს შორის.

ჰერეთი ჩვენი კვლევით ერქვა მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქვეყანას ალაზან-იორის შესართავიდან და ფილფილა-გულგულადან მტკვარ-არაქსის შესართავამდე, ხოლო საკუთრივ ალბანეთი ერქვა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ქვეყანას, განძა-უტიკ-არცახის რეგიონს მტკვარ-არაქსის შესართავამდე და იმის იქით კასპიის ზღვამდე ბასკანის ჩათვლით.

1923 წელს ივანე ჯავახიშვილის რედაქტორობით გამოცემულ რუკაზე ხილხალა, ვართაშენ-შაქის რეგიონში მდებარეობს, თუმცა ცნობილი არის მეორე საქართველოს ალბანეთის საზღვარზე მდებარე პუნქტი, თითქმის ამავე სახელისა: „ხილხილა“. მაგრამ ის მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა, ხოლო ჩვენი ხილხალა იგივე თანამედროვე ფილფილაა, ესაა

ძველი გულგულა, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, იქამდე აღწევდა უძველესი ისტორიული კახეთი.

აქვე, ვართაშენ-ფილფილა-გულგულასთან ახლოს, მათ დასავლეთით, უნდა ყოფილიყო კახეთის უძველესი ქალაქი ჩელეთი. ამის დასტურია ისიც, რომ მისი სახელი დღესაც ცოცხალი არის აღნიშნულ რეგიონში შაქსა და ვართაშენს შუა. მას, როგორც ითქვა, ამჟამად ჩაღეთს უწოდებენ.

მართალია სახელი ჩელეთი ემსგავსება ძველქართულ ქალაქ ჟალეთის სახელს, მაგრამ ჩელეთი ჟალეთი არ არის, ერთი შემგომდროინდელ სიონის წყალსაცავთან მდებარეობდა, ხოლო მეორე შაქ-ვართაშენის რეგიონში. ამ რეგიონის ეკლესიების ქართული სახელები უეჭველად მიუთითებს, რომ ეს რეგიონი ქართველებით მჭიდროდ იყო დასახლებული და საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა. ამ რეგიონის ქართველობა, როგორც აღინიშნა უკიდურესად დააზარალა შაჰ-აბასმა, როცა მან ეს მიწა-წყალი კახეთს ჩამოაცილა და სამართავად დაღესტნელ ლეკებს გადასცა. ამ პროცესმა ქართველების ასიმილაცია, რაოდენობის მკვეთრი შემცირება გამოიწვია. ქართველების რაოდენობა აქ კიდევ უფრო შემცირდა XX საუკუნის დასაწყისში სომეხ-აზერბაიჯანელთა კონფლიქტის დროს, ამ დროს მათ მიატოვეს სოფელი ვართაშენი, ასევე სოფელი ნიჯი და თავი შეაფარეს თავიანთ ისტორიულ მშობელ ქართველ ერს, საქართველოს მიწა-წყალს.

1918-1922 წლებში მღვდელ ზინობი სილიკაშვილის მეთაურობით ისინი ვართაშენიდან გადასახლდნენ ყვარლის რაიონში. სულ, როგორც ჩანს, ჩამოსახლებულა 600 კაცამდე. მართლაც, როგორც აღინიშნა 1890 წელს ვართაშენში 150 ქართულ-მართლმადიდებლური ოჯახი ყოფილა. რაც ალბათ გულისხმობს 600 კაცამდე სულადობას, რომელთაც ყვარლის რაიონში სოფელი ზინობიანი დაუარსებიათ. მათაც ამჟამად უდინებს უწოდებენ.

წმ. არჩილ მეფის კახეთში მოღვაწეობა

მაღალაშვილის სახარების მინაწერში დაცული ცნობის მიხედვით კახეთის სოფელ განუხში მდებარე ეკლესია იყო წმიდა არჩილ მეფის სახელობისა, რაც საფუძველს გვაძლევს მოსაზრებისა, რომ ეს ეკლესია არჩილ მეფის მიერ იყო აგებული. მართლაც, ქართლის ცხოვრების ცნობით კახეთში არჩილს მრავალი ეკლესია აუგია.

ქართლის ცხოვრება წერს:

„ამის შემდგომად მოვიდა არჩილ კახეთად და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურ ყვნა იგინი, აღაშენა ეკლესია საძმორს, შიერთო ცოლი ასული გურამ კურაპალატისა, რომელი იყო შვილთაგან ვახტანგ მეფისათა ბერძნის ცოლისა ნაშობთა და დაჯდა ნუქეთს და აღაშენა კასრი და ხევსა ლაკუასტისასა აღაშენა ციხე და პოვნა ნუქეთს მთავარნი, რომელთადა მიებოძა ვახტანგ მეფესა ნუქეთი, და იყო მაშინ რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნზთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა, სახელით აბუხუასრო და არ ინება მისგან წაღებად ნუქეთი და აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატს ორთა წყალთა შუა. ხოლო ნუხპატელნი უწინარეს იყვნენ კაცნი წარმართნი და მხეცისბუნებისანი, არამედ ყრუსა მოესრა სიმრავლე მათი და იძულებით მონათლნა არჩილ იგინი.

განძლიერებულ იყვნეს სარკინოზნი ქუეყანასა რანისასა; დაეპყრათ გაზირი და სომხეთი და ჰბრძოდა მასლამა ბერძენთა, ხოლო ძმისწულნი ადარნასე ბრძმისანი, რომელთა დასწუნეს მამის ძმასა თვალნი, წარმოვიდეს ტარონით შაკიხად, სამნი ძმანი და დაემკვიდრნეს მუნ ბრძანებითა არჩილისათა, რამეთუ ყოველი პირი კავკასიისა, რანით კერძი უმკვიდრო ქმნილ იყო, ხოლო ჰერეთი და კახეთი ჭალაკთა და ტყეთაგან უკეთუ დარჩომილ იყო, და დაემკვიდრნეს სამნივე იგი ძმანი ვიდრე გულგულამდის.

მასვე ჟამსა პიტიახში ვინმე არა შეეშუნეს კლარჯეთს, სხუად წარვიდეს ნახევარნი მათგანნი და შეიპყრეს კლდე ერთი ტაოს, რომელს ერქვა კალმახი და აღაშენნეს ციხედ. ხოლო ნახევარნი მოვიდეს კახეთს არჩილის თანა. ერთსა მათგანსა მისცა ცოლად ნათესავისაგან აბუხუასროსა, რამეთუ დაქურივებულ იყო იგი და არა ესუა ქმარი, და მიუბოძა ნუქეთი ციხით და კასრითურთ. ჟამთა მათ დაეცადნეს სარკინოზნი შემოსვლად ქართლად ყურესა წარსვლითგან წელიწადსა ორმოცდამეათესა. აქა ჟამამდე არღარა შემოვიდოდეს, არამედ მიიღებდეს ხარკსა ერისთავთაგან“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 243).

ამ დოკუმენტში ნახსენებია: კახეთი, საძმორი, ნუქეთი, კასრი, ლაკუასტი, თუშები, ხუნძები, მთის წარმართები, აბუხოსრო, ნუხპატი, რანი, გაზირი, სომხეთი, ტარონი, შაკიხი, ჰერეთი, კლარჯეთი, ტაო, კალმახი და სხვა. ზოგიერთი გეოგრაფიული პუნქტის ადგილსამყოფელი ცნობილია.

აღნიშნულ პუნქტთაგან ზოგიერთი ცნობილი არის „ქართლის ცხოვრების“ იმ ჩანართიდან, რომელიც შეეხება VI მსოფლიო კრების მიერ VII საუკუნეში საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო ეკლესიად გამოცხადებას, კერძოდ იქ ნათქვამია:

„იყოს კათალიკოსი ქართლისა სწორი პატრიარქთა თანა და აკურთხევდეს (სანმცოსა) სამნცოსა თვისსა ქართლსა: გამოლმა გალმა კახეთსა, შაქსა, შირვანსა და მიდგმით წარმოვლით მთისა ადგილისათა, სვანეთისა და ჩერქეზის საზღვრამდის, სრულიად ოსეთსა და ყოველსა ზემო ქართლსა სამცხე საათაბაგოსა...“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 232).

ამ დოკუმენტში ჩამოთვლილია ქართლის ქვეყანაში შემდეგი პუნქტები: გამოლმა კახეთი, გალმა კახეთი, შაქი, შირვანი, ასევე კახეთის, შაქისა და შირვანის მიმდგომი მთის ადგილები ანუ დაღესტანი და ჩეჩნეთი, მათთან ერთად სვანეთი, ჩერქეზეთი, ოვსეთი და ზემო ქართლში სამცხე საათაბაგო.

შეიძლება ითქვას, რომ თითქმის იგივე პუნქტები არის დასახელებული 1310 წლის მალალაშვილის სახარების მინაწერში. როგორც აღინიშნა მასში ჩამოთვლილია შემდეგი სახელები – კახეთში ანნუხის საეპისკოპოსო, წახური, კაკელისენი, კასრი, ყუმი, ლექართი, ზარი, ვარდიანი, განუხი, ქიშნუხი, ვარდთაშენი, თაბასარანი, ხუნძები, ნახჩები, თოშეთი, ნეკრესი, ლაგოეთი, ბელაქანი, მაჯ-ფიფინეთი, ფერიჯან-მუხახ-მამრეხი, ყოველი ვაკე ანუ მოვაკანი, ელისენი, ვერხვიანთ ზეგანი, ივრისა და ალაზნის შესართავი, ქურმუხი, ყოველი მთიულეთი, კაკი, ალვანი ანუ სავანია და სხვა.

1. შირვანი

ყველაზე შორეული პუნქტი, სადაც ამ დოკუმენტების მიხედვით თავის იურისდიქციას ახორციელებდა საქართველოს ეკლესია, იყო შირვანის პროვინცია. ის ამჟამად შედის აზერბაიჯანში და მოიცავს შამახის რაიონს, აქ განვითარებული არის მევენახეობა და ერთ-ერთ ტურისტულ ცენტრად ითვლება. მიიჩნევა, რომ შირვან-შაჰების სახელმწიფო ჩამოყალიბდა VIII საუკუნეში, აბასიდების დინასტიის დასუსტების შემდეგ, შირვან-შაჰების სახელმწიფო შეუერთდა საქართველოს დავით აღმაშენებლის დროს. დავით აღმაშენებლის ერთ-ერთი ტიტული იყო შირვანშაჰი.

2. ჰერეთი

შირვანს მტკვრის მარცხენა სანაპიროს მხრიდან ჰერეთი ესაზღვრებოდა. მართალია, არცერთ აღნიშნულ დოკუმენტში სახელი ჰერეთი ნახსენები არ არის, რადგან არამდგრადი პოლიტიკური ერთეული იყო I ათასწლეულშივე (მისი ძლიერების პერიოდში), ამიტომ II ათასწლეულში მისი ხსენებაც კი გაქრა და დოკუმენტებშიც არ მოიხსენებოდა, მაგრამ ჰერეთის სახელი XX საუკუნეში გააცოცხლეს სამეცნიერო წრეებმა და მას მისთვის იქამდე უჩვეულო ეთნოპოლიტიკური დატვირთვაც მიანიჭეს. კერძოდ, XX ს. მეცნიერებმა ეთნიკურ ჰერებად გამოაცხადეს კახეთის ძირძველი ისტორიული რაიონების კახის, ბელაქნისა და ზაქათალას მოსახლეობა, მაშინ როცა თვით ძველი, თავდაპირველი, I ათასწლეულის ჰერეთი ეთნოსის სახით არც კი ჩამოყალიბებულა. ჰერეთი იყო ქართულენოვანი მოსახლეობით დასახლებული რეგიონი სადავო ალბანეთსა და ქართლს შორის, თანაც ისტორიული ჰერეთი არ მოიცავდა ამ (კახის, ბელაქანისა და ზაქათალას) რაიონებს.

ისტორიული ჰერეთი იწყებოდა არა თელავის სოფელ გულგულადან, არამედ ვართაშენის სოფელ ფილფილადან. სწორედ ამ თანამედროვე პუნქტ ფილფილას ეწოდებოდა ქართულ წყაროში ნახსენები სახელი „ტყეცბა-გოლგოლა“, იგივე გულგულა. ე.ი. იყო ორი გულგულა, ერთი თელავთან, მეორე კი ვართაშენთან, როგორც ითქვა, ისტორიული ჰერეთი იწყებოდა ვართაშენის ფილფილა-გულგულასთან და გრძელდებოდა შამახამდე. უფრო ზუსტად იქვე მდებარე მდინარე აღსუმიდე, ასე ერქვა მდინარეს რომელიც მტკვარს უერთდებოდა მარცხენა სანაპიროს მხრიდან. იქ სადაც მტკვარს მარჯვენა სანაპიროს მხრიდან უერთდება არაქსი.

აღსუს ქართველები თეთრ წყალს უწოდებდნენ. აქ საუკუნეთა მანძილზე გადიოდა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, რაც შეეხება უშუალოდ კახეთსა და ჰერეთს შორის საზღვარს, კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ კახეთ-ჰერეთის საზღვარი გადიოდა აღნიშნულ ფილფილა-გულგულასთან, და საქართველოს სახელმწიფოში შემავალი ჰერეთის აღმოსავლეთი საზღვარი უკვე საქართველოს სახელმწიფოს საზღვარს წარმოადგენდა აღნიშნულ აღსუ-თეთრწყალზე.

დიდხანს, მონღოლთა ბატონობის დამთავრების შემდეგაც, აქამდე აღწევდა საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია შირვანის ქვეყანაში. როგორც აღვნიშნეთ, აქვე შირვანთან მთავრდებოდა ჰერეთის საზღვარი.

ჰერეთი, როგორც აღვნიშნეთ, იწყებოდა ფილფილასთან, რომელიც ერთ დროს მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა (მას ძველ წყაროებში ეწოდებოდა ტყე-ტბა – გოლგოლა). 1923 წელს ივანე ჯავახიშვილის რედაქტორობით დაბეჭდილ რუკაზე ამ ადგილას პუნქტი ხილხალაა ნაჩვენები, როგორც აღვნიშნა ის მდებარეობს ვართაშენის რაიონში. ქალაქ ვართაშენს XX საუკუნის ბოლოს შეუცვალეს სახელი და ოგუზი უწოდეს.

აზერბაიჯანის ოგუზის რაიონი გამოირჩევა თავისი ლამაზი და ხშირი ტყეებით, რადგანაც ამ რაიონის ნახევარი ტყით არის დაფარული. აქ არის ბევრი ჩანჩქერი, წყაროები, თერმული წყლები, ფაუნა ძალზე მდიდარია, მათ შორის ხოხბით და კალმახით, ხარობს ყოველგვარი ხილი, სოფ. ფილფილა სახელგანთქმული არის ხალიჩების მქსოველი ოსტატებით, ამავე სოფელში ცნობილი არის ასევე რიყის ქვით ნაგები კოშკი XVIII საუკუნისა, რომელსაც სულხანიძის კოშკს უწოდებენ, ეს კოშკი არის მდინარე გალაჩაის ნაპირზე ფილფილასთან ახლოს.

ფილფილასთან გადის გზა, რომელიც უღელტეხილით გადადის ჩრდილო კავკასიაში, სამურის ხეობაში, იქიდან ეს გზა მიემართებოდა დერბენდისაკენ, ეს მომენტი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ეთანადება მოვსეს კალანკატუაცის ცნობას და ბადებს თვალსაზრისს, რომ ფილფილა და მოვსეს მიერ დასახელებული ხილხილა ერთიდაიგივე პუნქტია.

მოსეს კალანკატუაცის ცნობით დერბენდის ჩორის ქვეყნიდან ამ გზით, ხილხილას გავლით მტრები აღბანეთის ეკლესიების დასანგრევად მოემართებოდნენ, ე.ი. ჩრდილოკავკასიიდან, სამურის ხეობიდან ფილფილა-ხილხილას გავლით მიემართებოდნენ მტკვრის მარჯვენა სანაპიროსაკენ, ანუ აღბანეთისაკენ. ფილფილას მხარე, მტკვრის მარცხენა სანაპიროს ეს მი-

დამოები ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმითაც, რომ, როგორც აღინიშნა, აქ ერთერთ ქედს „გურჯი დალი“ ქართველთა მთა ეწოდება. გ. მარჯანიშვილი წერს: „გამოთქმული იყო მოსაზრება რომ სწორედ აღნიშნული ქედის არემი ვართაშენისა და ჭალეთის სიახლოვეს გადიოდა საქართველოს საზღვარი“ (გ. მარჯანიშვილი, ჰერეთი, 2005, გვ. 40).

ჭალეთი ამჟამად იწოდება ჩელეთად და არის ვართაშენის ანუ ოგუზის რაიონის ერთერთი სოფელი დასავლეთის მხარეს ანუ საქართველოს მიმართულეებით.

„გურჯი დალის“ ქედამდე ანუ სოფელ ფილფილა იგივე გულგულამდე აღწევდა ქართლის სამეფოს ერთერთი რეგიონის – კახეთის საზღვარი პირველ ათასწლეულში.

ქართლის სამეფოში შემავალ კახეთს და ქართლის სამეფოს მოსაზღვრე ჰერეთს ერთმანეთისაგან გულგულა ჰყოფდა, ანუ აქ გადიოდა არა საქართველოს საზღვარი, არამედ ქართლის სამეფოს საზღვარი ფარნავაზის ეპოქიდანვე, ანუ გულგულამდე იგივე ფილფილამდე აღწევდა კახეთის საზღვარი, ხოლო გულგულადან „თეთრ ნყლამდე“, ანუ აღსუამდე მდებარეობდა ჰერეთი.

მარტივად რომ ვთქვათ გულგულამდე (ფილფილამდე) – იყო კახეთი, ხოლო თეთრწყალ-აღსუამდე ჰერეთი. ე.ი. ჰერეთში შედიოდა ოგუზის ანუ ვართაშენის რაიონი, გაბალა, იგივე კუტკაშენის რაიონი და ისმაილის რაიონი, მასში შედიოდა შემახას რაიონის ერთი ნაწილი, აქედან გამომდინარე კახეთში შედიოდნენ თანამედროვე შექის რაიონი, თანამედროვე გახის რაიონი ანუ კახის რაიონი, თანამედროვე ზაქათალას რაიონი და თანამედროვე ბელაქანის რაიონი.

შექის რაიონის მთავარ ქალაქს ძველად ერქვა ნუხა, აქაურ სოფლებში ისევე როგორც კახეთის ზემოჩამოთვლილ სხვა რაიონებში ეკლესიები აღუმართავს წმ. მონამე არჩილ მეფეს.

კახეთის ეს ეკლესიები და ასევე ჰერეთის ზოგიერთი ეკლესია 1310 წელს მოუხილავს საქართველოს პატრიარქს, ჰერეთს ზოგჯერ ალბანეთსაც უწოდებდნენ და მისი საზღვრები, როგორც აღინიშნა, აღწევდა გულგულამდე ანუ ვართაშენის სოფელ ფილფილამდე, მის დასავლეთით მდებარე შექის ანუ ნუქას რაიონი ისტორიული კახეთის ნაწილი იყო. ამიტომაც ნუხის, შექის, კახის, ზაქათალას და ბელაქანის რაიონებში მდებარე ეკლესიები არ იყვნენ ალბანური ეკლესიები. ისინი იმთავითვე მცხეთის იურისდიქციაში შედიოდნენ და მათ აშენებდნენ კიდევ ქართლის მეფეები.

ამჟამად, ალბანურ ეკლესიებადაა მიჩნეული შექის ანუ ნუხის რაიონის სოფლების ბიდეიზის, ბაშკიუნგიუცის, ორთაზეიზიცის და კიშის (გიშის) ეკლესიები. მიჩნეულია, რომ კიშის ეკლესია წმ. ელისემ (მოციქულმა ელიშამ) ააგო, ეს ეკლესიები თავის მხრივ ს. კარაპეტრიანს სომხურ ეკლესიებად მიაჩნია, მაშინ როცა ამ ეკლესიათა წარსული ისტორიის ნამდვილ და უეჭველ წყაროში, 1310 წლის ქართულ დოკუმენტში ისინი ქართულ იურისდიქციაში მოიხსენიებიან და მეორე ასეთივე წყაროში წმ. არჩილ მეფის ნაღვაწად მიიჩნევა.

რაც შეეხება აზერბაიჯანელ და სომეხ მეცნიერთა თვალსაზრისს, მათ არ გააჩნიათ არავითარი პირდაპირი წყარო და ისინი მხოლოდ ვარაუდებზეა დამყარებული. მაგალითად, ვარდთაშენის ეკლესია 1310 წლის წყაროში იწოდება ელიას სახელობის ეკლესიად, ელია – ყოველთვის ეწოდებოდა წმ. წინასწარმეტყველ ელიას, ხოლო ს. კარაპეტციანს მიაჩნია, რომ თითქოსდა წყარო უთითებს არა ელიას, არამედ – ელიშეს – ალბანეთის განმანათლებელს, შესაბამისად მან ეს ვითომდა ელიშეს ეკლესია ალბანურ იურისდიქციაში მოაქცია. ეს წყაროს ცნობის განგებ დამახინჯებაა.

ოგუზის რაიონის ნახევარზე მეტი ტყითაა დაფარული და აქ არის ბევრი ჩანჩქერი. აქაა ტყეში ჩაფლული სოფელი ფილფილა, იგივე „ტყე-ტბა გულგულა“... დავით აღმაშენებელმა თავის სახელმწიფოს შეუერთა ამჟამინდელ გაბალასა და შამახას შუამდებარე თანამედროვე ისმაილის რაიონი აზერბაიჯანში, რომელიც ისტორიულ ჰერეთში შედიოდა.

3. „შექი – მდებარეობს დიდი აბრეშუმის გზის ტრასაზე“.

შექი არის სიტყვა შაკიხისაგან მიღებული, თავის მხრივ „შაკიხი“ არის იგივე „საკიხი“, ანუ საკახო, ნანარმოებია ფუძიდან „კახ“ („კუხ“, „კიხ“) (აქედან სა-კახ-ო, შა-კიხ-ი, კუხ-ეთი).

ქიმ-ნუხი – სავარაუდოდ მდებარეობდა პუნქტ „გიშთან“ (კიში).

ნუხი – შექის რაიონი (ძველი ნუხა).

ამ ოლქში ხშირია სახელები „ნუხ“ ფუძე-ძირით, მაგ. განუხი და ნუხპა-ტო. „ნოხო“ – გამოქვაბულია ადრეული რკინის სადგამის არტეფაქტებით ბელაქნის რაიონში.

როგორც აღვნიშნეთ 1310 წლის ცნობის მიხედვით საქართველოს პატრიარქმა ექვთიმემ მოიხილა კახეთში ანწუხის საეპისკოპოსო იქიდან გადავიდა ნახურში შემდეგ მოიხილა კაკელისენი და ამ პროვინციის ეკლესიები, კერძოდ ქალაქ კასრში ყოვლადწმიდა სამების სახელობის ტაძარი, სოფელ ყუმში ღვთისმშობლის ეკლესია, სოფელ ლექართში წმ. მოციქულთა სწორ წინოს სახელობის ეკლესია, სოფელ ზარში წმ. მთავარმონამე გიორგის ეკლესია, სოფელ ვარდიანში წმ. აბოს სახელობის ეკლესია, სოფელ განუხში წმ. არჩილის სახელობის ეკლესია, სოფელ ქიშნუხში ღვთისმშობლის ეკლესია, სოფელ ბარდაშენში წმ. წინასწარმეტყველ ელიას სახელობის ეკლესია და მათ შემდეგ მიმოიხილა სხვა პროვინციები: კერძოდ მოუვლია ხუნძეთი, ნახჩთა ქვეყანა, თუშეთი, იქიდან კვლავ გადმოსულა კახეთის მხარეს, მოულოცავს ნეკრესის, ლაგუთის, ბელაქანის, მაჯ-ფიფინეთის, ფერიჯან-მუხახ-მამრეთის და ძველი მოვაკანის, ანუ ვაკის და ელისენის ეკლესიები, რომლებიც მდებარეობდნენ ვერხვიანთ ზეგანიდან იორ-ალაზნის შესართავამდე. ამ დროს პატრიარქ ექვთიმეს მიუცია ბრძანება, ყოველი მთიულეთის წინამძღვარი ქურმუხელი მთავარეპისკოპოს კირილე დონაურისათვის თვითოეულ ამ ეკლესიაში გაეგზავნა სატრაპეზო-სახარების წიგნი. მართლაც, სოფელ კაკის წმიდა ბარბარეს ეკლესიის მღვდელს იასე ქიტიაშვილს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ეს დავალება შეუსრულებია თავის თორმეტ მონაფესთან ერთად.

ქიმ-ნუხის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესია ამ ჩამონათვალში მოთავსებულია ვარდიანსა, განუხსა და ვართაშენს შორის, უნდა ვიფიქროთ, რომ ქიმ-ნუხი ამ რეგიონში მდებარეობდა. აღსანიშნავია, რომ ვარდაშენს – ბარდაშენი ერქვა და მისი სახელი შესაძლოა დაკავშირებული იყოს არა ვინმე პიროვნება...ვარდანთან, როგორც ამჟამად მიიჩნევა იქაური გიდების მიერ, არამედ ქალაქ ბარდას სახელთან, რომელსაც ძველქართულად ბარდავი ერქვა. საფიქრებელია, რომ ქალაქ ბარდას მართლმადიდებელი მოსახლეობა გადასახლდა ახალ რეგიონში, სადაც ამჟამად ვარდაშენი, იგივე ოგუზი მდებარეობს და დააფუძვნა ბარდაშენი. ამ გადასახლებას თითქოსდა ვარდაშენის მოსახლეობის ერთი ნაწილის ეთნოსახელი „უდიელეზი“ (უდინი) მიუთითებს. ისინი ბარდის რეგიონის უტის ცნობილი პროვინციის მცხოვრებთა სახელი უნდა იყოს.

მაშასადამე, უტიელები გადასახლდნენ უფრო ჩრდილოეთით და მათთან გადაიტანეს ძველი პროვინციის – „უტისა“ და მისი მთავარი ქალაქის – „ბარდას“ სახელი – „უტი-უდინები“, „ბარდა-ვართაშენი“.

წყაროებში ასევე ნახსენებია პუნქტი, რომლის სახელიც ხელნაწერებში წაშლილია, თუმცა იკითხება: – „თა...სარანი“, ს. კარაპეტიანი მას დაღესტნის ტაბასარანს უკავშირებს. ის, ჩანს ვარდაშენის რეგიონიდან ჩრდილოკავკასიაში მიმავალ გზაზე მდებარეობდა. „თა...სარანის“ ეკლესია წმ. პეტრეს სახელობისა ყოფილა.

ვარდაშენიდან ფილფილას გავლით ჩრდილო კავკასიაში გადასულ პატრიარქს მოუხილავს ჯერ ტაბასარანის, შემდეგ კი ხუნძთა ეკლესიები.

4. ხუნძთა ეკლესიები ნახსენებია ტაბასარანის შემდეგ.

წყაროში ხუნძეთის ადგილსამყოფელი ცნობილია, მას ამჟამად ავარიელების ქვეყანა ეწოდება დაღესტანში, ავარიელები, როგორც ითქვა, ცხოვრობდნენ მდინარე სულაკის ხეობაში, ასევე შუა და დასავლეთ დაღესტანში, მდინარე ანდისა და ავარის კოისუს ხეობებში, რომლებიც ამჟამად შეადგენდნენ ბუინაკისა და ხასავიურტის რაიონებს.

5. ნახჩთა ეკლესიები

ნახჩებს ამჟამად უწოდებენ ჩეჩნებს, ასევე ვაინახებს, პატრიარქ ექვთიმეს დროს ნახჩების ქვეყანაში, ანუ თანამედროვე ჩეჩნეთში, მრავალი ქართული ეკლესია ყოფილა, რომლებიც საქართველოს პატრიარქმა მოინახულა. იგულისხმება რომ ისინი საქართველოს საპატრიარქოში შედიოდნენ (ნახჩების ქვეყანა იმ დროისთვის უფრო მეტად მდებარეობდა მთის ზონაში, რადგანაც ჩრდილოკავკასიის ვაკე 1310 წლის დოკუმენტში არ იგულისხმება).

ქურმუხის მთავარეპისკოპოსს კირილეს ებარა „ყოველი მთიულეთი“ ანუ კავკასიის მთიანეთის ეკლესიები – ხუნძების, ნახჩებისა და სხვათა.

ჩანს ხუნძთა ეკლესიებში იგულისხმება მდინარე ასას ხეობისა და ტყობაიერდის ეკლესიებიც. ჩანს ისინი მთავარეპისკოპოს კირილე დონაურის წინამძღვრობით იმართებოდა.

6. წყაროში თუშეთი თოშეთად მოიხსენება. ჩანს თუშეთშიც ყოფილა ეკლესიები და მონასტრებიც.

7. თუშეთიდან პატრიარქი ექვთიმე გადასულა და მოუხილავს ნეკრესის, ლაგოეთის (ლაგოდეხის) და ბელაქანის ეკლესიები.

8. შემდეგ წყაროში ნახსენებია მაჯ-ფიფინეთი და ფერიჯან-მუხახ-მამრეთი.

მუხახი მდებარეობს ზაქათალას რაიონში, ქ. ზაქათალას სამხრეთ-აღმოსავლეთით. მის სამხრეთით რამდენიმე კილომეტრში არის სოფელი ალიაბადი. წყაროდან ჩანს, რომ მაჯ-ფიფინეთი და ფერიჯან-მუხახ-მამრეთი მდებარეობდა თანამედროვე ბელაქანისა და ზაქათალას რაიონებში.

ამის შემდეგ წყაროში დასახელებულია „ყოველი ვაკე“ მას ამავე წყაროში ასევე ეწოდება ძველი მოვაკანი და ელისენი, ჩანს ეს უკანასკნელი ანუ ელისენი ვერხვიანთ ზეგანიდან იორ-ალაზნის შესართავამდე მდებარეობდა, ხოლო მოვაკანი ერქვა ვრცელ ტერიტორიას აღნიშნული შესართავიდან მტკვრის ხეობას ვიდრე თითქმის კასპიის ზღვამდე.

როგორც ითქვა, ზაქათალას მომდევნო კახის რაიონის სოფელ კაკში ნმ. ბარბარეს სახელობის ტაძარი ყოფილა ერთ-ერთი უმთავრესი სამწიგნობრო ცენტრი აღნიშნული ვრცელი რეგიონისა, საიდანაც ქართული საღვთისმსახურო წიგნებით მარაგდებოდა ყველა აღნიშნული ეკლესია-მონასტერი, ე.ი. თანამედროვე კაბალას (გაბალას) რაიონიდან ვიდრე ჩეჩნეთისა და დაღესტნის ჩათვლით (შეიძლება შევადაროთ, ტოპონიმი კაბალა-გაბალა, „გაბური“ – სახელი კახეთის მთავარისა და ასევე სახელი „გაბულოცი“).

შენიშვნა:

1) ლექართი – დღევანდელი „ლეკითი“.

2) ზარი – ზარნა.

3) ზაგემი, ბაზარქალაქი – აკსიბაზარი (ზაქათალასთან) – კახეთის მეფეთა რეზიდენცია – ალიაბადთან.

4) მაჭი (VIII ს.) – ლაგოდეხ-ბელაქანის გზაზე, მაჭისწყლთან (ლაგოდეხთან ახლოს) – კახეთის მეფეთა საზამთრო რეზიდენცია.

5) ბოეთანი – კახეთის მეფეთა ერთ-ერთი დიდი რეზიდენცია – მდ. ბელაქანის და ალაზნის შესართავთან. აქ იღებდნენ ელჩებს.

6) „კავკასიის დიდი კედელი“ (საინგილოს დიდი გალავანი – იწყებოდა ყვარლის რაიონის სოფელ საბუედან ვიდრე ნუხამდე (დღევანდელ შექამდე) – ის აუგიათ მტაცებელი ლეკებისაგან თავდაცვის მიზნით XVI-XVII სს-ში, აქ ქართველებს მუდამ ჰყოლიათ დარაჯები (“Тифлисские ведомости”, т. 82, 1830).

7) ქედი „გიურჯი დალი“ (ქართველთა მთა) – ვართაშენისა და ჭალეთის სიახლოვეს – იქაურ ხალხში დაცული გადმოცემით – „გიურჯი დალის ქედის არეში გადიოდა საქართველოს საზღვარი“ – (მარჯანიშვილი, გვ. 40).

8) „შარომატი“ (სარმატი) – „ქართველთა ნათესავი ტომი ჩნდება კავკასიაში“ (ივ. ჯავახიშვილი, „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტ. ეთნოლოგიური პრობლემები, 1950, გვ. 55).

9) „იბერია მდ. არაქსამდე ვრცელდებოდა“ – აპოლოდორი (ძვ. წ. II ს.) [გ. მელიქიშვილი, ურარტუ, 1951, გვ. 138].

10) „ხურიტული და მისი ერთ-ერთი დიალექტი – ურარტული... ყველაზე ახლოს ქართულ-კავკასიურ ენათა ჯგუფთან დგას“ (იქვე, გვ. 143).

11) ისტორიული კახეთის ცენტრი – ზაქათალადან კახის რაიონის ჩათვლით ვიდრე ვარდაშენამდე (შექამდე) შაჰ-აბასმა ჩამოართვა კახეთის მეფეებს და იქ გააბატონა მის მახლობლად მცხოვრები დალესტინის ტომი ნუქებისა, ამიტომაც ამ ტერიტორიას ეწოდა – ნუქეთი XVII ს-ის შემდეგ.

12) XVII ს-მდე ნუქეთი ერქვა დალესტინის თემს მდ. სამურის სათავეში.

13) ქართული წყაროების ცნობით ძველი ნუქეთი მოიცავდა ტერიტორიას თუშეთიდან ვიდრე სამურის სათავემდე დალესტანში.

14) XVII ს-ის შემდეგ გაჩნდა ე.წ. ახალ ნუქეთი (ყოფილ კახეთის ცენტრში ზაქათალას, ბელაქანის, კახის რაიონები), მოიცავდა ყოფილი მაჭის საერისთავოს მიწა-წყალს.

15) მაჭი (VII ს.) „მაჭის საერისთავო (XI ს.) მოიცავდა ტერიტორიას მაჭისწყლიდან შაკიხამდე (შექამდე). ალაზნიდან ხუნძახამდე, აქ შედიოდა პუნქტები – გიში, კახი, ლაკუასტი და სხვა, შაკიხამდე. საერისთავო გააუქმა 1471 წელს მეფე ლევანმა, ძველად, არაბთა შემოსევებისას, მის ალაზნისპირა ნაწილს – „ალაზნის გაღმართი ჩაყოლება – გარდაბანიც“ ერქვა, (მაჭისწყლიდან შაკიხამდე (შექამდე), მისი მოსახლეობა იყო ე.წ. კახნი-გარდაბნელნი, ამ სახელწოდების ქართველობა მიმდებარე ტერიტორიებზეც ცხოვრობდა). არაბთა ნებით ჰერეთმა დაიპყრო, XI ს-სათვის განთავისუფლდა.

16) ბელაქანის, ზაქათალის, კახის, შექისა და ნაწილობრივ ვართაშენის რეგიონები, როგორც აღინიშნა, კახეთს ჩამოაჭრა შაჰ-აბასმა, აქ შექმნა ელისუს სასულთნო და შეიქმნა „ახალი ნუქეთი“ იგივე „ალის-სულთანი“ იგივე მაჭის საერისთავო, სამწყსო გიშელი ეპისკოპოსისა (ისტორიულ კახეთში, მას არასწორედ ამჟამად ჰერეთს უწოდებენ).

17) ძველი ნუქეთი იგივე ნახეთი-ნახური (დალესტანში).

18) ელისენი – მოიცავდა ტერიტორიას ქურმუხიდან ვიდრე გიშისწყლამდე.

19) შაკიხი – შექია.

20) გიში – შექის მახლობლად .

ალბანეთის კათალიკოსების კათედრა მდებარეობდა არა გიშში, არამედ უტის ოლქის ქალაქ ბარდასთან ახლოს „გისის“ მონასტერში. ჭაობიან ადგილას.

21. „გიში“ – ქართველი ეპისკოპოსების კათედრა იყო, ხოლო „გისი“ იყო ალბანეთის კათალიკოსებისა, გიში შექთან მდებარეობდა, ხოლო გისი- ბარდასთან.

ხუნძახის ეპარქია (გაგრძელება)

დალესტნის გიდატლის ოლქი სახელგანთქმულია იმით, რომ იქ არის X-XI საუკუნეების ცნობილი სიძველის – დათუნას ეკლესია. ეს ერთადერთი დაუნგრეველად გადარჩენილი ქრისტიანული ნაგებობაა მთელ დალესტანში. დანარჩენი უამრავი ეკლესია მხოლოდ ნაკვალევისა და ნანგრევების სახითაა შემორჩენილი.

გიდატლის თემში შედიან სოფლები ურადა, ტიდიბი, ხოდოტა, მაჩადა, გენტაბი, კახიბი და სხვები. XIV საუკუნის ქრონიკის „ირხანის ისტორიის“ ცნობით გიდატელები – „ხიდის ოლქის მცხოვრებნი“ იწოდებიან „ქართველებად“. ამ წყაროს ცნობით გიდატელები – ეთნიკური ქართველები იყვნენ.

მთელი მთიანი დალესტანი საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა. დალესტნის ეს ცენტრალური მხარე ქრისტიანობის თავდადებული და მხურვალე მხარდამჭერი იყო, ამით უნდა ავხსნათ დათუნას ეკლესიის გადარჩენა. აქ ბოლო ქრისტიანი თავადის სახელიც ახსოვთ – „კავსარი“, ის სოფელ მაჩადაში ცხოვრობდა, ხოლო სოფლის ეკლესია ისლამის მიღების შემდეგ სოფლელებს დაუნვათ. ყველა აღნიშნულ სოფელში ნაეკლესიარებს აჩვენებენ, გადარჩენილა ეკლესიების ზოგიერთი ქვაც, რომლებიც საცხოვრებელი სახლების კედლებშია ჩაყოლილი.

ხალხური გადმოცემა დათუნას ეკლესიასთან დაკავშირებით ასეთია – აქ ცხოვრობდა ვინმე ქართველი, რომელსაც ერქვა „თავადო“, მან თხოვა ხუნძახის ნუცალს დაეტოვებინა ის ამ ადგილას (როგორც ქრისტიანი), სამაგიეროდ დაეხმარებოდა ნუცალს კახეთში ლაშქრობისას. გიდატლის თემი მდებარეობს საქართველო – ავარიის დამაკავშირებელ გზაზე (იქვე, გვ. 13).

ხუნძახშიც მრავალი ქართული ნაეკლესიარია შემორჩენილი.

ავარიის ისტორიულ ცენტრში ხუნძახის პლატოზე აღმოჩნდა ძალზე მნიშვნელოვანი საეკლესიო ნაშთები.

ყურადღება მიიპყრო ქართველ არქეოლოგთა მიერ სოფელ ხუნძახის ახლო აქაროს დასახლებაში აღმოჩენილმა საეკლესიო ნაშთმა X-XIV საუკუნეებისა, რომლის სიგრძეა 17 მეტრი და სიგანე 8 მეტრამდე. სახურავის ნაწილი მოჭიქურებულ კრამიტისაგან იყო. აქაროს მთაზე აღმოჩნდა ასევე უამრავი ნამსხვრევი ჯვრებისა ასომთავრული და ნუსხახუცური წარწერებით. ეს ჯვრები დაუმსხვრევიათ, ხოლო ეკლესია გადაუნვიათ XIII-XIV საუკუნეებში ხუნძახზე გაზიელთა შეტევის დროს. მუჰამედ რაფი XIII-XIV სს-ში აღწერს ამ შეტევას თავის „დალესტნის ტარიხში“.

ამავე პლატოზეა მეორე ქართული ეკლესია სოფელ ამიტლთან. ამ პლატოზე მდებარე უამრავი საეკლესიო ნაშთი ჯერ კიდევ არ არის გამოკვლეული, მაგრამ ამ ეკლესიებიდან ამოღებული ზოგიერთი არტიფაქტი ცნობილია. მაგალითად, ქართული წარწერა სოფელ ხუნძახის ტადრაალიდან

– „ალაშენეთ ეს ეკლესია წმიდა კოსმა და დამიანესი ჩვენ უჩადადანელებმა“ (ინახება თბილისში, ისტორიის მუზეუმში).

გადმოცემით მეორე ეკლესია მდებარეობდა სოფელ ხინთან, რაც დადასტურდა გათხრებით. აქ ძალზე მნიშვნელოვანია, რომ აქ აღმოჩნდა სეფისკვერის ბეჭედი ხუცური წარწერით – „იესო ქრისტე, ძლევა“ (ნეგატიური დაქარაგმებით) – თარიღდება XIII ს-ით.

იქვე ახლოს ს. ბაიბის ეკლესიის ქვები სახლების მშენებლობაში გამოუყენებიათ, ახსოვდათ, რომ ეკლესია იყო დათუნას ეკლესიის მსგავსი.

გადმოცემით ს. ობიდაშიც ყოფილა ეკლესია, ნაეკლესიარ ადგილზე აღმოჩნდა ქვის ჯვარი. ასე, რომ ხუნძახის პლატოს ქრისტიან მოსახლეობას მრავალი ეკლესია ემსახურებოდა მდ. ავარიის კოისუს ახლოს.

მდ. კაზიკუმუხის კოისუს ხეობაში მდებარე ანდალალის ოლქშიც მრავალი ქართული ეკლესია იდგა. ისლამიზაციამდე ამ ქრისტიანულ ოლქს ერქვა – ვიცხუ, მასში ერთიანდებოდნენ სოფლები – ჩოხი, სოგრატი, ობოხი, მეგები, გამსუტლი, რუგუჯა, კუდალი, კეგორი, სალტა, კოროდა, გუნბი, ხოტორი, გონოდა, ხინდახი. გამოთქმულია აზრი, რომ მათ ქრისტიანობა XIV-XV საუკუნეებამდე შეინარჩუნეს (იქვე, გვ. 18). ამ ტერიტორიას ირხანის ისტორიაში „ჩახაალის ოლქი“ ეწოდება. მის ერთერთ დასახლებას – „წმიდა გიორგის გორა“ ერქვა. აქ აღმოჩნდა ჯვარი „ქრისტიანული წარწერით“ (ე.ი. ქართული წარწერით). აქ მდებარე სოფელ გუნბთან შამილის გამო რუსებმა დიდი ომები გამართეს, რამაც ფ. ტახნაევას სიტყვით, მრავალი ქრისტიანული ნაშთი მოსპო. ზოგიერთი საეკლესიო ქვა სახლის კედლებშიც ჩაუტანებიათ. ერთერთ მათგანზე აღმოჩნდა ქართული წარწერა (სოფელ რუგუჯასთან) – „ქრისტეს ჯვარო, წმიდა გიორგი, შეენიე დარხვას და მის შვილებს“ თარიღდება XIV-XV სს-ში.

ძალზე მნიშვნელოვანია ადგილობრივი გადმოცემა, რომლის მიხედვითაც სოფლები ბაცალა, უნტი, შულანი და კულაბი მათ ახლო მდებარე ხუტორებთან ერთად იწოდებოდა ასე – „გურჯიხლი“, როგორც აღინიშნა ითარგმნება, როგორც „ქართველობა“. ამ სოფლების სამაროვნებზე ცნობილია ქრისტიანული საფლავები და მრავალრიცხოვანი ჯვრები. ფ. ტახნაევა ამ სოფლებთან დაკავშირებით წერს – „ყველაზე ნათელ და ქრისტიანული კულტურის მთლიანად შეუსწავლელ ძეგლს წარმოადგენს ამ ოლქში არსებული ზიარათი – „თამარის საფლავი“, ამ სოფლებთან ახლოს, 5-10 კილომეტრში მთაზე, ადგილზე, რომელსაც „სესდა-გაბური“ ეწოდება, ესაა სოფელ რუგუჯასთან ასევე 5-10 კილომეტრში (იქვე, გვ. 18). ამ ზიარათის ნაგებობის ქვაზე გამოსახულია წმიდა ნინოს ჯვარი – ეს ნაგებობა შემდეგში გადაუკეთებიათ მუსულმანთა სამლოცველოდ და აქ მრავალი მლოცველი დადის. ამ ოლქში მცხოვრები „ქართველობისათვის“ ბუნებრივია „თამარი“ უნდა ყოფილიყო თამარ მეფე, რომლის საფლავსაც საქართველოს სხვადასხვა კუთხე იჩემებდა.

სოფელ ნაკაზუხში 1940 წლამდე მდგარა სამრეკლო, რომელიც ხრამში გადაუგდიათ ათეიზმის მძლავრობისას, ხოლო სოფლის ეკლესიის ნანგრევების მიმართ ხალხი პატივისცემას გამოხატავდა, ითვლებოდა სინმიდედ და გვალვის დროს აქ იკრიბებოდნენ ქალები და აღასრულებდნენ წესებს ნვიმის მოსვლისა (ეს ჩვეულება გავრცელებულია მთელ აღმოსავლეთ საქართველოში). 1990 წლამდე აქ ეკლესიის კედლებიც იდგა. ფ. ტახნაევა – „ანდალალში მუსულმანობის პერიოდამდე ეკლესიების არსებობა ქრისტიანულ ვიცხუსა და კარახის („ქართველობის“) თემში, უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ქრისტიანობა აქ მტკიცედ იყო დამკვიდრებული“ (ფ. ტახნაევა, ქრისტიანობა ავარიში, გვ. 19).

ანწუხის ეკლესიები

ანწუხის თემი 21 სოფლისაგან შედგებოდა. ის მაღალაშვილის სახარების ცნობით მოიხილა საქართველოს პატრიარქმა ექვთიმემ 1310 წელს, შესაბამისად აქ მრავალი ეკლესია მდგარა, მაგრამ ისინი გამოუკვლეველია, რადგანაც ეს თემი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ანწუხი და ხუნძახი დალესტნის მსხვილი საეკლესიო ოლქები იყვნენ. აქ ქართული წყაროების ცნობით არა მხოლოდ საეპისკოპოსოები, არამედ საკათალიკოსოც კი არსებობდა. როგორც აღინიშნა ანწუხის საეპისკოპოსო მოხსენიებული არის მაღალაშვილის სახარების მინაწერში, ხოლო ხუნძახი სინას მთის ქართული წყაროს ცნობით საკათალიკოსო ოლქიც კი ყოფილა, საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციაში.

დალესტნის ქრისტიანობის ბედი შეიცვალა თემურ-ლენგის შემოსევის შემდგომ.

საერთოდ, დალესტანში მუსულმანობა როგორც ჩანს XIII საუკუნიდან ვრცელდებოდა, ის იჭერდა ქრისტიანობის ადგილს, მაგრამ თემურ-ლენგის შემოსევებმა საბოლოოდ მოუღო ბოლო ქრისტიანულ აღმსარებლობას დალესტანში, სწორედ ამ შუა პერიოდში თემურ-ლენგის შემოსევამდე დალესტანში საგანგებოდ იმოგზაურა საქართველოს პატრიარქმა ექვთიმემ. მაშასადამე, ის დალესტანში მივიდა იმ დროს, როდესაც კასპიის ზღვისპირეთიდან თანდათანობით შელწევა დაიწყო მუსულმანობამ. ქრისტიანობის განსამტკიცებლად პატრიარქმა დიდად იღვანა, მისი სამისიონერო მოღვაწეობა დალესტნის მთიანეთის ურთულესი გზებით ჩეჩნეთში, იქიდან თუშეთში, შემდგომ კახეთსა და მიმდებარე რეგიონებში არაქსამდე, უნდა ჩაითვალოს არა მხოლოდ უიშვიათეს მოვლენად, არამედ გმირულ თავდადებადაც, თითქოსდა ის გრძნობდა წინასწარი ხედვით თემურ-ლენგის შემოსევათა შედეგებს და ყველაფერს აკეთებდა მის შესამცირებლად.

თემურ-ლენგი ჩრდილო კავკასიაში

1386-1403 წლებს შორის თემურ-ლენგი 8-ჯერ შემოესია საქართველოს – 1386, 1387, 1394 (ორჯერ), 1399, 1400, 1402, 1403 წლებში.

სამხრეთელი მონღოლები სასტიკად სჯიდნენ საქართველოს ჩრდილოეთთან, ოქროს ურდოსთან, კავშირისათვის. ეს კავშირი განუახლებია დავით VI-ს, მეფემ ისევ ჩრდილოეთისკენ იბრუნა თავისი პოლიტიკური გეზი და კვლავ „წარავლინა ძმა მისი ბაადური დიდსა ყაანისა თოხთას წინაშე“. ეს ხდება XIV საუკუნის დასაწყისში, ანუ თემურ-ლენგის შემოსევებამდე რამდენიმე ათეული წლით ადრე.

ირანის მონღოლებმა ვერ შეძლეს ჩრდილოეთის გზების ხელში ჩაგდება, საქართველო მათ მოკავშირედ არ იქცა და ის გზას უთმობდა სამხრეთისაკენ მოლაშქრე ოქროს ურდოს ჯარებს.

XIV საუკუნის დასაწყისში ირანის პოლიტიკურ წრეებში წარმოშობილა იდეა, რომ ირანს უშუალოდ პოლიტიკური კავშირი ჰქონოდა არა საქართველოსთან, არამედ მის კავკასიელ მეზობლებთან, რომელთა საცხოვრისის მახლობლადაც აღნიშნული გზები გადიოდა.

ამის გამო, 1301 წელს ყაზან ყაენმა შირვანისა და ლეკეთის მთიანეთში გასწია – „აქ მას მორჩილების გამოსაცხადებლად დიდი ხნის წინათ აჯანყებული ლეკების ტომთა მეთაურები წარუდგნენ“.

საქართველოს ოქროს ურდოსთან დაკავშირებით არც თემურ-ლენგის დროს შეუცვლია თავისი პოლიტიკა, ამიტომაც თემურიც, მსგავსად ძველი ირანელი პოლიტიკოსებისა, შეეცადა უშუალოდ დაემორჩილებინა კავკასიელი ტომები. გააერთგულებინა ისინი მათში მაჰმადიანობის გავრცელებით.

როგორც თემურს, ისე ილხანებს, არ შეეძლოთ თავიანთი ლაშქრით დიდი ხნით დაეჭირა აღნიშნული გადმოსასვლელები, ამიტომაც მოიმხრეს ამ გადმოსასვლელების მახლობლად მცხოვრები ტომები. ჩაასახლეს ისინი უშუალოდ ამ გადმოსასვლელების ტერიტორიებზე, და უფრო მეტიც, შეეცადნენ აემხედრებინათ ისინი ქართველ მეფეთა წინააღმდეგ, ამ საშუალებით ფიქრობდნენ გადმოსასვლელებზე ქართველთა სახელმწიფოს კონტროლის გაუქმებას.

1391 წელს თემური თოხთამიშის გასანადგურებლად დაიძრა და დიდ წარმატებას მიაღწია, მაგრამ ოქროს ურდომ მალევე შეძლო გაძლიერება, თოხთამიში 1393 წლისათვის დარუბანდის გზით შირვანშიც კი შეიჭრა. „ცხადია, რომ თოხთამიშ-ხანს საქართველოსა და დაღესტნის მეთაურებთან წინასწარ, შეუთანხმებლივ ასეთი საქმის დაწყება არ შეეძლო,..... გადაწყვიტა, დაესწრო და დარიალანის გადმოსასვლელის ყველაზე უმოკლესი და საშიში გზის ხელში ჩაგდებათ თოხთამიშის ლაშქრისათვის გზა შეეკრა“. თემური შემოიჭრა საქართველოში, კერძოდ კი, არაგვის ხეობაში. ეს იყო მესამე შემოსევა.

1395 წელს თერგის პირას თემურმა თოხთამიში სასტიკად დაამარცხა. ოქროს ურდოს დედაქალაქშიც შეაღწია და გადანვა.

„უკან დაბრუნების დროს თემურ-ლენგმა საგანგებოდ დალაშქრა ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთი, განსაკუთრებით ის ქვეყნები და ხალხები, რომლებიც კავკასიონის მთის ჩრდილოეთის კალთებზე ცხოვრობდნენ და კავშირი ჰქონდათ საქართველოსთან. თემურ-ლენგმა მათ ქრისტიანული რელიგიის საკულტო ძეგლები დაუნგრია და ძალით მიაღებინა ისლამის სარწმუნოება“.

მიუხედავად 1395 წელს ჩრდილო კავკასიის დალაშქრისა, 1398 წელს საქართველოს მეფემ გიორგიმ დარიალიდან გამოიყვანა „სრულიად კავკასიანი“, ე.ი. ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ტომები და დასძრა ნახიჩევანი-საკენ.

ეს იმას მიუთითებდა, რომ ამის შემდეგ კიდევ უფრო მეტად შეეცდებოდა თემურ-ლენგი გაეგრძელებინა მთიელთა შორის მაჰმადიანობა და ჩამოეშორებინა ისინი საქართველოსაგან. თემურმა კვლავ ილაშქრა არაგვისა და ქსნის ხეობაში.

ჩრდილოეთ კავკასიაში „ქრისტიანული სარწმუნოების ნაცვლად მაჰმადიანობამ მოიკიდა ფეხი და ამით, ფაქტიურად უკვე XV საუკუნის დასაწყისშივე შეიქმნა საქართველოს გარშემო მუსლიმანური გარემოცვის რკალი, რამაც დასრულებული სახე მიიღო ოსმალთა მიერ კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ“.

თემურს გაუნადგურებია ჩრდილო კავკასიაში ოსების სამთავრო. აყრილი ოსების ნაწილი დვალებთან, ანუ დარიალისა და მამისონის უღელტეხილების შორის დასახლებულა.

კავკასიის მთებში ოსები ჩინგის ყაენის შემდეგვე შემოვიდნენ, მაგრამ თემურის დროს ეს პროცესი გაძლიერებულა.

„კვლავ შემდგომად მოსვლისა ლანქ-თემურისა და აღების კონსტანტინეპოლისა ემძლავრნენ ოსთა იქით თათარხანნი და აქეთ ლანქ-თემურის ელნი მაჰმადიანნი და შემოივლტოდნენ კავკასიასა შინა და დაიპყრეს კავკასთა ნათესავი, რომელ არიან დვალნი“.

ამ დროისათვის ოსებმა დაიპყრეს დვალეთი და დაიმორჩილეს დვალების ქართული ტომი, იმდენად, რომ ოსები დვალებში ზედა ფენად, დვალები კი ქვედა, დამონებულ ფენად იქცნენ. ასეთივე პროცესები განვითარდა დაღესტანსა და ჩეჩნეთში, აქაც თემურმა სხვადასხვა ტომები შემოიყვანა და ისინი გააბატონა ადგილობრივ ქართული წარმოშობის ქრისტიანულ მოსახლეობაზე, რომელთა ასიმილაციაც სწრაფი ტემპით წარიმართა.

1400 წლისათვის დვალეების აჯანყება ქართველთა მეფის წინააღმდეგ უთუოდ თემურის პოლიტიკის შედეგი იყო.

„ხუნძელი კათალიკოსი ოქროპირი“

თემურ-ლენგის შემოსევებამდე დალესტანსა და ჩეჩნეთში ქრისტიანული სარწმუნოების განსამტკიცებლად იმოგზაურა საქართველოს პატრიარქმა, ალბათ მან წინასწარ თუ განჭვრიტა თემურის ლაშქრობათა გამანადგურებელი შედეგები და სურდა მათი წინასწარი ნიველირება.

იმჟამინდელ მსოფლიოში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, როცა თანდათანობით იშრიტებოდა ძალები ბიზანტიისა და საქართველოს ქრისტიანული სახელმწიფოებისა და მძლავრობდა მაჰმადიანობა, XIV საუკუნეში 1310 წლიდან ვიდრე 1380-იან წლებამდე თემურის შემოსევამდე, ანწუხის და ხუნძახის საეპისკოპოსოების ბაზაზე ჩამოყალიბდა ხუნძეთის საკათალიკოსო.

„ხუნძელი კათალიკოსი ოქროპირი“ ნახსენები არის XIV საუკუნის სინას მთის სინოდიკში.

ჩვენ გამოთქმული გვაქვს მოსაზრება, რომ საქართველოს საპატრიარქო XIV საუკუნისათვის შედგებოდა რამდენიმე საკათალიკოსოსაგან, ესენი იყვნენ აფხაზეთის, ქართლისა და ხუნძეთის საკათალიკოსოები. ამ საკათალიკოსოებს ჰქონდათ იგივე ფუნქცია, რაც გააჩნდათ ბერძნულ საპატრიარქოებში მიტროპოლიებს ანუ ხუნძეთის საკათალიკოსო იყო, ერთერთი მიტროპოლია საქართველოს ეკლესიისა.

იგივე მოსაზრება, ჩვენგან დამოუკიდებლად გამოთქვა ფ. ტახნაევამაც. კერძოდ, ის წერს – „XIV საუკუნის დასაწყისიდან აქ ფუნქციონირებას განაგრძობს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლია, რომელიც წარმოიქმნა ხუნძახის პლატოზე XIII საუკუნის შუა წლებში“ (ფ. ტახნაევა, ქრისტიანობა ავარიში, გვ. 39).

ჩვენი ფიქრით ხუნძეთის საკათალიკოსო ჩამოყალიბდა საქართველოს პატრიარქის ექვთიმეს მიერ ხუნძეთის მოხილვის შემდგომ XIV საუკუნის დასაწყისში. უფრო მეტად საქართველოს მეფის გიორგი ბრწყინვალის დროს (1318-1346).

თემურის შემდგომ, XIV საუკუნის ბოლოსათვის, ხუნძახში და დალესტანში ვითარება აბსოლუტურად შეცვლილი იყო. იქ როგორც ჩანს ხუნძელ კათალიკოსს აღარ დაედგომებოდა და ჩანს ის გამგზავრებულა და თავი შეუფარებია სინას მთის მონასტრისათვის. მსგავსად იმ ეპისკოპოსებისა, რომლებიც მესხეთის ისლამიზაციის გამო ტოვებდნენ თავიანთ კათედრებს და თავს აფარებდნენ სხვა რეგიონებს.

როგორც აღინიშნა, ხუნძეთის საკათალიკოსო ცენტრი უნდა ყოფილიყო სოფელ ხუნძახის ცნობილ პლატოზე, სადაც აქაროსთან აღმოჩნდა ძალზე საინტერესო ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევები, როგორც ჩანს ხუნძეთის საკათალიკოსო მხოლოდ რამდენიმე ათეული წელი არსებობდა. ფ. ტახნაევას ძალზე საინტერესო დაკვირვებით ტერმინი საკათალიკოსო აღნიშნავდა როგორც მთლიანი ავტოკეფალური ეკლესიას, ისე მის დიდ სამიტროპოლიტო ოლქს, სწორედ ასეთი სამიტროპოლიტო სტატუსი ჰქონდა ხუნძეთის საკათალიკოსოს, რომელიც ერთერთი საეკლესიო ერთეული იყო

საქართველოს ეკლესიისა, როგორც ჩანს ის მოიცავდა ხუნძეთთან ერთად მთელ მთიან დაღესტანს.

ფ. ტახნაევას დაკვირვებით ამჟამად ერთმანეთს არ ემთხვევა ავარიელთა ტომის ძველი სახელმწიფოებრივი გაერთიანებისა და ავარიელების გასახლების ამჟამინდელი საზღვრები.

ქართველები დაღესტანში

ფ. ტახნაევა ცნობილი წყაროს „ირხანის ისტორიის“ ცნობებს, დაღესტანის ზოგიერთ ოლქში ქართული მოსახლეობის მკვიდრობის შესახებ ხსნის ისე, თითქოსდა წყაროს ტერმინი „ქართველი, ქართველები“ ნიშნავს არა ეთნიკურ ქართველს, არამედ კონფენსიალურ ქართველს ანუ ნიშნავს იმ დაღესტანელს, რომელიც აღიარებდა ქართულ სარწმუნოებას (მართლმადიდებელ ქრისტიანობას), ჩვენ არ ვეთანხმებით ამ საკითხში ტახნაევას და ვსვამთ კითხვას, თუ ეს ასე იყო, მაშინ როგორღა უნდა ავხსნათ ამავე წყაროს ცნობა ავარიელთა რუსობის შესახებ? ამ წყაროში ავარიელები რუსებად იწოდებიან.

წყაროს ამ ცნობის ანალიზისათვის ჩვენ ალბათ გამოგვადგება თანამედროვე დაღესტანის თითქმის ყველა ტომში დაცული გადმოცემები მათი წარმოშობის შესახებ. ზოგიერთ სოფელში მიუთითებენ ძველი სამშობლოს ადგილსამყოფელის შესახებ.

ამ ტომთა გადმოცემები მიუთითებს რუსეთის ტერიტორიებიდან დაღესტანის მთებში მათი დასახლების შესახებ. ავარიელთა ცნობილი ტომის ნაშთები რუსეთის ტერიტორიის სამხრეთით ცხოვრობდნენ. ეს ის ავარიელებია, რომელნიც V-VII საუკუნეებში ევროპაშიც ლაშქრობდნენ და მას შიშის ზარს ცემდნენ. მათი გადარჩენილი მცირე ნაშთები თემურ-ლენგს დაღესტანში ჩაუსახლებია შემდგომში რუსეთში შემავალი ტერიტორიებიდან.

XIV საუკუნის ავთენტური წყაროს „ირხანის ისტორიის“ ცნობით, ავარიელები „სუფთა წყლის რუსებად“ იწოდებიან.

როგორ უნდა გავაანალიზოთ წყაროს ეს ცნობა – ავარიელების რუსებად მიჩნევა, მაშინ როცა ეს წყარო დაღესტანშივეა შედგენილი, ჩანს თვითმხილველის მიერ.

ირხანის ისტორიაში ავარიელთა რუსობა უნდა აღნიშნავდეს იმას, რომ ავარიელები იყვნენ რუსეთის ტერიტორიებიდან კავკასიაში ჩასახლებული ხალხი, უფრო სწორად იმ ტერიტორიებიდან, რომელნიც შემდგომ რუსეთმა დაიპყრო და წყაროს შედგენის მომენტში რუსეთის ტერიტორიად მოიაზრებოდა. წყარო უნდა აღნიშნავდეს იმ მომენტს, როცა თემურ-ლენგმა რუსეთის სამხრეთის სტეპებიდან მოსახლეობა შეიყვანა დაღესტანის მთიანეთში და მათი დახმარებით თითქმის მთლიანად შეცვალა მკვიდრი ადგილობრივი მოსახლეობის ეთნოსახე. ხალხთა ამ გადასახლების შედეგად მთლიანად

შეიცვალა დემოგრაფიული სურათი, ასეთი ვითარება შუა საუკუნეებში იყო ჩვეულებრივი მოვლენა.

XX საუკუნეშიც კი და XXI საუკუნის დასაწყისში ისე შეიცვალა სამხრეთ კავკასიის ზოგიერთი დიდი ოლქის დემოგრაფიული სურათი, რომ ეს პროცესი მაინცდამაინც ცნობილი და გახმაურებულიც არ ყოფილა. მაგალითად, XX ს-ში შეიცვალა ჩრდილო სომხეთის ეთნოგრაფიული სახე და იქ მცხოვრები თითქმის ნახევარი მილიონი აზერბაიჯანელი სხვაგან გადასახლდა. იგივე მოხდა აფხაზეთსა და ეგრეთნოდებულ სამხრეთ ოსეთში, ამ ოლქებიდანაც თითქმის ნახევარი მილიონი ქართველი სხვაგან გადასახლდა. ასეთი ვითარება უნდა ყოფილიყო როგორც ვახუშტის ისტორიიდანაც ჩანს XIV-XV საუკუნეების კავკასიის მთებში.

თემურ-ლენგის მიზანმიმართული ქმედება ის იყო, რომ აუცილებლად შეეცვალა საქართველოს მიმდებარე ჩრდილო კავკასიის მთიანეთში ეთნოგრაფიული ვითარება და იქ მცხოვრები ქართველობა დაემცრო ან გაქცევებინა სხვადასხვა მეთოდების, მათ შორის რელიგიის გამოყენებით.

თემურ-ლენგი იძულებული გახდა მ-ჯერ შემოსეოდა საქართველოს, რადგანაც ვერ შეძლო მისი სახელმწიფოებრიობის გაუქმება და საბოლოო დამორჩილება.

საქართველოს გაუტეხლობის მიზეზების ძიებისას შენუხებულ თემურ-ლენგს აუხსნეს, რომ საქართველოს სახელმწიფო ძალებს იღებდა ჩრდილო კავკასიიდან, რომელთანაც საქართველო ერთ მთლიან ეთნო-რელიგიურ ერთეულს შეადგენდა.

თემური მიხვდა რომ საქართველოს დასამარცხებლად საჭირო იყო საგანგებო ლაშქრობა ჩრდილო კავკასიაში, რათა შეეცვალა მისი დემოგრაფიული და რელიგიური სახე.

იმჟამად ქრისტიანობა და ქართველობა იდენტური ცნებები იყო, ქართველობასთან ბრძოლა იყო ქრისტიანობასთან ბრძოლა და პირიქით. ჩრდილო კავკასიაში ქართველობის მატერიალური განსახიერება იყო ქრისტიანული ეკლესიები, ქრისტიანული სალოცავები და თვითონ მოსახლეობის ქრისტიანული სარწმუნოება.

ჩრდილო კავკასიაში ქრისტიანობის ამოძირკვა არ იყო ადვილი თემურისათვის, ამიტომაც მან ხერხი იხმარა და რუსეთის სტეპებიდან დაღესტანში, ჩეჩნეთსა და ჩერქეზეთში შეიყვანა უკვე მუსულმანურად მიჩნეული სხვადასხვა ტომები.

ახალი ჩეჩნური ტომები ხაზარეთის ყოფილი სახაკანოსაგან დარჩენილი ეთნიკური ნამსხვრევებისგან შედგებოდა, რომლებიც ჯერ კიდევ იყვნენ იუდაიზმის გავლენის ქვეშ, ახალი დაღესტნური ტომებიც ხაზარების იუდაიზმის გავლენას განიცდიდნენ. თემურის დროს ჩანს ისინი რუსეთის სტეპებში ცხოვრობდნენ, მხოლოდ ასე თუ ავხსნით ირხანის ისტორიაში დართულ ცნობებს დაღესტნის ზოგიერთი თემის ებრაელობის და ზოგიერთი თემის რუსობის შესახებ.

მაშასადამე, წყაროს ცნობაში ტერმინით „ქართველი“ აღინიშნება დაღესტნის მკვიდრი მოსახლეობა თემურის ლაშქრობათა ეპოქაში, ტერმინით

„ებრაელი“ აღინიშნება თემურის ეპოქაში დალესტანში დასახლებული ყოფილი ხაზართა სამეფოსაგან დარჩენილი იუდაური აღმსარებლობის მქონე ეთნიკური ჯგუფები, ტერმინით „რუსი“ აღინიშნება სამხრეთ რუსეთის სტეპებიდან დალესტანში ჩასახლებული სხვადასხვა ტომები.

დალესტანის მკვიდრი მოსახლეობა ქართველებად იწოდებოდა, თუმცა მათ ასევე ჰქონდათ სახელი, რომლითაც საქართველოს სხვა კუთხეებში იცნობდნენ, ეს იყო „ლეკი, ლეკეთი“. ლეკოსი ქართლოსის „თვისად“, ე.ი. ქართველთა თანამეტომედ მიიჩნეოდა სწორედ თემურ ლენგამდე. შემოსულმა ე.წ. „სინო-კავკასიურმა“ ტომებმა იქამდე ქართული წარმოშობის ლეკების ასიმილირება შეძლეს, რის შედეგადაც ახალი შერეული წარმოშობის ხალხი ჩამოყალიბდა, თუმცა დალესტანის ზოგიერთ კუთხეში თავიანთი ქართული წარმომავლობა ახსოვდათ, რაც ნყაროებით და დოკუმენტებით დასტურდება.

ბუნებრივია, დალესტანში ქრისტიანობის დამარცხებისა, მუსულმანობის გამარჯვებისა და ახალი სალხის მკვიდრებზე გაბატონების ეპოქაში და შემდგომ, დალესტანის მკვიდრი მოსახლეობა იღებდა ისლამს და ისინი წარმოადგენდნენ დალესტანის მოსახლეობის უმეტესობას, მაგრამ ისინი სოციალური კიბის უმდაბლეს საფეხურზე მდგარი, დამარცხებულ-დამონებული ხალხი იყო, ხოლო გამარჯვებული მოსახლეობა, ანუ ახლად შემოსული ხალხი იყო დალესტანის ახალი საზოგადოების ზედა ფენა, მმართველობა, რომელთა კულტურა ანუ ისლამის სარწმუნოება სავალდებულო იყო ყოველი თემისათვის. ალბათ, შესაძლებელი არის ასეთი სახით წარმოვიდგინოთ კავკასიის მთებში ახალი ენებისა და ახალი ეთნოსების ჩამოყალიბება XIV-XX საუკუნეებში.

ვახუშტი ბატონიშვილი ასევე აღწერს თანამედროვე ოსი ხალხის ჩამოყალიბებას, კერძოდ, ისტორიულ ოლქ დვალეთში ცხოვრობდნენ მკვიდრი დვალე ქრისტიანები, მათი ქვეყანა დაიპყრო შემოსული ოსების მცირერიცხოვანმა, მაგრამ ორგანიზებულმა ხალხმა, ისინი გაბატონდნენ და შეიქმნენ დვალეთის ახალი საზოგადოების ზედა ფენად, დაბალი ფენა – „გლეხები“ იყვნენ უუფლებო და დამორჩილებული მკვიდრი დვალეები. XVIII საუკუნეში ისინი ჯერ კიდევ ლაპარაკობდნენ თავიანთ დვალურ კილოზე, რომელიც მათ საბოლოოდ დაივიწყეს და მიიღეს ზედა ფენის ოსური ენა, დაივიწყეს თავიანთი ძველი იდენტობა, ჩამოუყალიბდათ ახალი ოსური თვითშემეცნება, ანუ ჩამოყალიბდა ახალი ერი ძველი ეთნოსუფსტრატის საფუძველზე.

მსგავსადვე, ასეთივე გზით ჩამოყალიბდნენ ახალი ერები. მაგალითად ლათინურ ამერიკაში ვთქვათ მექსიკელებისა, რომლის ეთნო საფუძველია დაბალი ინდიური წარმოშობის ტომები, რომელთა კონსოლიდაცია ახალ ერში მოხდა შემოსული ზედა ფენის რელიგიისა და კულტურის გათავისების საფუძველზე.

არ არის გამორიცხული, რომ მსგავსადვე ჩამოყალიბდა კავკასიის ეთნოსები XIV-XX საუკუნეებში.

კავკასიის მრავალრიცხოვანი ეთნოსები თუ ტომები მკვიდრი ადგილობრივი დამარცხებული უმრავლესობისა და შემოსული გამარჯვებული

უმცირესობის ურთიერთშერწყმით უნდა ჩამოყალიბებულიყო უმცირესობისაგან შედგენილი ზედა ფენის ჰეგემონობით, ეს ზედა ფენა იქცა დვრიტად, რომელმაც სრულებით შეძლო ასიმილირება მკვიდრი მოსახლეობისათვის ადათისა და რელიგიის წიაღში.

თავდაპირველად, დაახლოებით XV-XVI საუკუნეებში, დალესტნის მოსახლეობის დაბალი ფენის ენა ქართული ან მისი დიალექტი უნდა ყოფილიყო, რომელიც დაფარულად გამოიყენებოდა ოჯახებში, ალბათ უფრო მოხუცი ქალების მეტყველებაში, ოფიციალურად კი ზედა ფენის ენა იქნებოდა სავალდებულო.

ამავე დროს ალბათ ხდებოდა ახალი საზოგადოების წარმოქმნა ადგილობრივი და შემოსული ზედა ფენის ენის ურთიერთშერწყმით. რადგანაც დალესტანში მრავალი სხვადასხვა წარმოშობის ტომი შემოიყვანა თემურის ისლამიზაციის პროცესმა, შესაბამისად მრავალი ახალი ენა, დიალექტი და ენაკავები ჩამოყალიბდა (რომელთაც ალბათ რაიმე საერთო ექნებათ).

ფ. ტახნაევა აზოგადებს ერთერთ სოფელში არსებულ გადმოცემას, რომლის მიხედვითაც სოფელი ოდესღაც დაუარსებია სამ სომეხ ძმას. ამ განზოგადების შედეგად ნ. მარის თეორიის საფუძველზე მკვლევარი მიიჩნევს, რომ VI-VII საუკუნეებში დალესტანში „სომეხს“ უწოდებდნენ არა ეთნიკურ სომეხს, არამედ აღმსარებლობით მონოფიზიტს, რომლის ცენტრიც სომხეთი იყო. ასევე მიიჩნევს, რომ დალესტანში ალბანურ ეკლესიასაც ჰქონდა გავლენა, მაგრამ, რადგანაც მისივე სიტყვით VII საუკუნეში არაბებმა ალბანური ეკლესია დაუქვემდებარეს სომხურ ეკლესიას, ამიტომ ალბანურმა ეკლესიამ დაკარგა თავის ძალა თვით ალბანეთშივე, ხოლო დალესტანში მით უმეტეს. მისი სიტყვით, ყველა მონოფიზიტს „სომეხს“, ხოლო დიოფიზიტს „ქართველს“ უწოდებდნენ.

ნ. მარის ამ თეორიით თითქოსდა შესაძლებელია განვმარტოთ „ირხანის ისტორიაში“ ნახსენები ინფორმაცია, რომ დალესტნის გავლენიანი თემები „ქართველებით“ იყო დასახლებული ისე, თითქოსდა წყარო ამ „ქართველების“ ქვეშ გულისხმობს არა ეთნიკურ ქართველებს, არამედ სარწმუნოებით მართლმადიდებლებს, მაგრამ მაშინ როგორც ითქვა აუხსნელი დარჩება „ირხანის ისტორიის“ ცნობა ხუნძახელების „რუსობის“ და სხვა თემების „ებრაელობის“ შესახებ, ამიტომაც მიმაჩნია, რომ ჩემეული თვალსაზრისი უფრო მეტად ხსნის ირხანის ისტორიის ცნობებს.

არასწორი უნდა იყოს ფ. ტახნაევას მტკიცებანი, რომ VI-VII საუკუნეებში დალესტანი მონოფიზიტური აღმსარებლობის ქვეყანა იყო, საფიქრებელია, რომ ასომთავრული წარწერების სიმრავლე აღმოჩენილნი დალესტანში სხვას მიუთითებს.

ასომთავრული წარწერები დამახასიათებელი იყო I ათასწლეულში, უფრო მეტად IX-X საუკუნეებამდე. II ათასწლეულში ნაკლებად გამოიყენებოდა ასომთავრული, რადგანაც ნუსხახუცურმა ის თითქმის ჩაანაცვლა, თუმცა ალბათ გამონაკლისებიც იყო, რაც დამატებითაა შესასწავლი. ასომთავრული ჯვრებზე, საქართველოსთვის დამახასიათებელი ქრისტიანული სიმბოლო იყო სწორედ VI-VII საუკუნეებში, დალესტანში კი ისინი მრავლად

აღმოჩნდა, ეს მიუთითებს, რომ იმთავითვე, უკვე VI საუკუნიდანვე (როცა საქართველოს მთიანეთში ზოგადად განივრცო ქრისტიანობა), დალესტანიც ქართული ეკლესიის იურისდიქციის სფეროში შედიოდა.

ავარიის ცენტრები – ანდალალი და გიდატლი, არქეოლოგიური და სხვა ძეგლების მიხედვით საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა ფ. ტახნაევას დასკვნით. მით უფრო რომ „ირხანის ისტორიით“ გიდატლის მოსახლეობა – „ხიდის ოლქის მცხოვრებნი ინოდებიან ქართველებად, ხოლო ადგილობრივი გადმოცემით სოფლების – ბაცადა, უნტი, შულანი და გულაბი მიმდებარე ხუტორებთან ერთად ინოდებოდა „გურჯიხლებად“, რაც ავარიული ენით ითარგმნება როგორც „ქართველობა“.

„ირხანის ისტორიაში“ დალესტნის მნიშვნელოვანი თემის ზედა ფენა-საც ქართული ტერმინებით „თავადობად და აზნაურებად“ ინოდებოდნენ. ავარიაში ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი ადმინისტრაციული ერთეულის მეთაურსაც ქართული სახელი „ნაცვალი“, ჰქონდა ფ. ტახნაევას აზრით ის იყო ერისთავის ნაცვალი, ალბათ მაჭის ერისთავისა.

სახელი ნაცვალი შემდგომ ტრანსფორმირდა როგორც ნუცალი (აღსანიშნავია, რომ ერთ დროს კახეთსაც ეპისკოპოსის ნაცვალი ქორეპისკოპოსი მართავდა).

დალესტანში აღმოჩენილი ქართული ეკლესიების უმრავლესობაც ავარიის ტერიტორიაზეა, ეს ეკლესიები როგორც აღინიშნა მდებარეობდნენ სოფლებში: რუგაჯა, ნაკაზუხი, ზაიდი, იხოდა, ტადრაალი, ხუნძახი, ამიტლი, არკასი, დათუნა და სხვა.

შესაბამისად, ამ საფუძველზე ავარიაში აღმოცენდა კიდევ ქართული საეკლესიო ოლქი ხუნძეთის საკათალიკოსო, რომლის მეთაურიც კათალიკოსი ოქროპირი მოიხსენება XIV საუკუნის სინოდიკში.

სულ მცირე ხუნძახის საკათალიკოსოში ორი ეპარქია – ანწუხისა და ხუნძახისა მაინც შედიოდა. ეს საკათალიკოსო ალბათ განსაკუთრებით გაძლიერდა გიორგი ბრწყინვალის (1314-1346) დროს. საქართველოს პატრიარქმა ექვთიმემ ჩანს, 1310-1318 წლებში მოინახულა ხუნძეთი და მისი ეკლესიები.

თემური ჩრდილო კავკასიაში 1395-1396 წლების თავის სამხედრო კამპანიას 10 წელი ამზადებდა, საქართველოში 1386 წლის შემოჭრის შემდეგ.

მიუხედავად მისი შეჭრისა ავარიის ცენტრმა – გიდატლმა მხოლოდ 1475 წელს მიიღო საბოლოოდ ისლამი, ე.ი. თემურის შეჭრიდან თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, ეს იმას ნიშნავს, რომ ქრისტიანობა ერთი საუკუნე იგერიებდა ისლამის მიმდევრების შეტაკებებს, ხოლო ჩრდილო-დასავლეთ ავარიის პატარა ეროვნებებმა ფ. ტახნაევას სიტყვით კიდევ უფრო გვიან მიიღეს ისლამი. იქამდე ისინი ქართული ეკლესიის წევრები იყვნენ. სახალხო თქმულებები მიუთითებენ მათ სოფლებში ქრისტიანული ეკლესიების არსებობას, არქეოლოგების მიერ სოფლებში აღმოჩენილია ქრისტიანული სამაროვნები. მათ ისლამი ზოგიერთი მკვლევარის აზრით XVII-XVIII საუკუნეებში მიიღეს. ფ. ტახნაევას კვლევით XIV ს-ში, ცნობილია, რომ ამ რეგიონში ისლამი შესულა გიდატლის ცენტრიდან – სოფელ ურატადან.

კიდევ უფრო გვიან მიიღო ისლამი მაღალმთიანი დაღესტნის სხვა რეგიონებში, მათ შორისაა კახეთის ერთ-ერთი ისტორიული რეგიონი მაღალ მთაში – დიდო.

დიდოეთი იყო კახეთის ერთერთი ადმინისტრაციული ერთეული და იმართებოდა „მოურავის“ მიერ, ამასთანავე დიდოეთი იყო ერთერთი სამხედრო ოლქი კახეთის სამეფოსი და დიდოს სამხედრო ოლქი იმართებოდა სასულიერო პირის – ეპისკოპოსის მიერ.

XV ს-ში იწყება გიდატელების ე.წ. „გაზის ლაშქრობები“ დასავლეთ დაღესტანში, კერძოდ კი დიდოში, მათ მხარს უჭერდნენ ავარიელი და კუმუხელი ხანები, დიდოელებმა ამის გამო შეიცვალეს თავიანთი პროქართული ორიენტაცია.

ანწუხელებმა და კაპუჩინელებმა გიდატლის და ხუნძახის წნეხის შედეგად ისლამი მიიღეს XVI-XVII სს-ში. ამის შემდეგ ანწუხი და კაპუჩა თვითონ გადაიქცა ისლამის ფორპოსტად (ფ. ტახნაევა).

ავარიის ქრისტიანობამ, რომელიც წარმატებული იყო VIII-XIV სს-ში, თემურის შემდეგ დაკარგა პოზიციები. ამის მიზეზი იყო ასევე საქართველოს დაშლა 1466 წელს. თემურის შემოსევამდეც ქრისტიანობამ დაკარგა თვისი სახელმწიფოებრივი რელიგიის პოზიცია ავარიაში, თემურის შემოსევამ 1395-1396 წლებში ეს პროცესი დაასრულა. მხოლოდ ჩრდილო კავკასიის დამორჩილების შემდეგ შეძლო თემურმა საქართველოს ასე თუ ისე დაქვემდებარება, მისი ბოლო ლაშქრობა საქართველოში 1403 წლით თარიღდება.

„კახნი გარდაბნელნი“ და ორი გარდაბანი

„მატიანე ქართლისაჲ“-ს ცნობით, ხაზართა მეფის ხაკანის სპასალარს გამოუვლია გზა ლეკეთისა და შესულა კახეთში.

შესაძლოა „გზა ლეკეთისა“ ერქვა თანამედროვე ვართაშენიდან ანუ ოგუზიდან სოფელ ფილფილას გავლით ჩრდილოკავკასიაში, დაღესტანში, მდინარე სამურის ხეობაში შესასვლელს, საიდანაც გზა მიემართება კასპიის ზღვისა და დერბედისაკენ, აქედან გზა შედიოდა ხაზართაში, ამიტომაც შესაძლებელი არის არჩილის მიერ აგებული ციხე-ქალაქი ნუხპატი ამ გზას აკონტროლებდა და სამურის ხეობიდან ვართაშენისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა. აქ ყოფილა კახეთის ის ციხე, რომელსაც შემოადგნენ ხაკანის სპასალარის ჯარები, მათ ტყვედ ჩაუგდიათ არჩილის შვილი ჯუანშერი და მისი და შუშანი. შუშანის გარდაცვალების თარიღად მიიჩნევა 764 წელი.

ხოსროიან მეფეთა (არჩილისა და მირის) შემდეგ „განადიდნა უფალმან მეფობა აშოტ კურაპალატისა, ეუფლა ქართლს და საზღვართა მისთა“ (ქ.ც., ტ. I, 1955, გვ. 252).

ამის გამო აშოტის მემკვიდრე ბაგრატიონ მეფეებს არჩილ მეფის ყოფილი სამეფოს საზღვრებში მოქცეული მიწა-წყალი, მათ შორის კახეთი, თავისად მიაჩნდათ და ვერ ეგუებოდნენ კახეთის დამოუკიდებელ მმართველებს.

კერძოდ, აშოტ კურაპალატის სამფლობელოს საზღვარი ჩრდილოეთით ყოფილა მდ. ქსანი, ხოლო აღმოსავლეთით ქალაქი ბარდავი (მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ქვეყანა), მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქვეყანა კახეთის მთავარ გრიგოლის ხელში ყოფილა. აშოტი გრიგოლის დამოუკიდებლობას არ ცნობდა. აშოტის მხარეზე ყოფილა აფხაზთა მეფე თევდოსი, ხოლო გრიგოლს კახეთის მთიელები, ნანარები და თბილისის ამირა შველოდა.

„შეიბნეს ქსანსა ზედა აშოტ და გრიგოლ, მთავარი კახეთისა და დაიპყრეს ქვეყანა, რომელ ჰქონდა ქართლისაგან და დაიპყრა აშოტ კლარჯეთითგან ვიდრე ქსნამდე“ (ქ.ც., ტ. I, გვ. 253).

ამის შემდეგ არაბებს კვლავ დაუპყრიათ ქართლი და ჰერეთი – „და მოკლეს აშოტ კურაპალატი გარდაბანს, ეკლესიასა შინა და სისხლი მისი, რომელი მაშინ დაითხია, ანცა იხილვების ვითარცა ახალი“ (იქვე, გვ. 253).

აშოტ კურაპალატის მკვლელობის ადგილის შესახებ ორი ცნობა არსებობს. ერთის მიხედვით ის გარდაბნის ეკლესიაში მოკლეს, მეორე ცნობით კლარჯეთში.

გარდაბანიც თავის მხრივ საქართველოში ორ მხარეს ერქვა ერთი იყო ქვემო ქართლისკენ, მეორე კი ალაზნის მიმდებარედ.

მემატიანეს კომენტატორის ცნობით „გარდაბანი – ალაზნის გაღმართი ჩაყოლება“ იყო (ქ.ც., ტ. I, გვ. 254).

უნდა ვივარაუდოთ, რომ „ალაზნის გაღმართი ჩაყოლების“ გარდაბანი ერქვა ალაზნის ხეობაში მდებარე ამჟამინდელ ზაქათალას, ბელაქანისა და კახის რაიონებს, შესაძლოა შაქთან ერთად. ამას მემატიანის სხვა მინიშნებებიც ეთანადებია.

საერთოდ, ამ რეგიონში „გარდ“, „გარ“, ფუძე-ძირის მქონე სახელები სხვადასხვა, მაგალითად, გარგარელთა ტომი ბარდავის მიმართულებით ცხოვრობდა, სტრაბონი გოგარენს უწოდებს „მტკვრის იქით მხარეს“ ანუ მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქვეყანას – სავარაუდოდ, შაქ-კაბალას რეგიონებს, მსგავსადვე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ქვეყანას თბილისის სამხრეთით სომხურ წყაროებში გუგარქი ანუ გუგართა ქვეყანა ერქვა. სიტყვები გარდაბანი, გოგარენა, გუგარქი, გარდმანი და გარგარი – ერთი ეტიმოლოგიური წარმოშობის უნდა იყოს და დაკავშირებული უნდა იყოს ფუძე ძირ „გარდ“-თან.

„გარდ“ ანუ „ქართ“ – ქართველთა ეთნოთვითსახელწოდებაა.

ქართველი, ანუ გარდუელი საერთო ფუძისეული სიტყვაა, რომელზეც აგებული უნდა იყოს ზემოთ აღნიშნული სახელები.

გარგარელებიც შესაძლოა ქართულ ეთნოსთან ახლო ნათესაურ კავშირში იმყოფებოდა. მათი ენა ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი, ის მკვდარ ენათა ჯგუფს განეკუთვნება.

ყოველ შემთხვევაში კახეთი და კახელები გარდაბანთან არიან დაკავშირებული მატიანე ქართლისაჲს მიერ. მაგალითად, მემატიანე წერს: „გამო-

ვიდა საჰაკ ამირა ტფილელი ლაშქრით... და მოვიდეს კახნი გარდაბნელნი შველად საჰაკისა“ (ქ.ც. I, გვ. 255).

„კახნი გარდაბნელნის“ სახელის ხსენება საფუძველს იძლევა ვიგულისხმობთ, რომ გარდაბანი ანუ „ალაზნის იქითა ჩაყოლება“ ეთნიკურად კახელებით იყო დასახლებული, ამიტომაც წერს მემატიანე – „მოვიდეს კახნი გარდაბნელნი“. კახელები გარდაბნის გარდა კიდევ სხვა მრავალ რეგიონებშიც ცხოვრობდნენ, ამიტომაც განმარტავს მემატიანე, რომ ის კახელები, რომელნიც საჰაკის მხარეს იბრძოდნენ – გარდაბნის ქვეყნელები, ალაზნის გაღმართი ჩაყოლების მცხოვრებნი იყვნენ, ამ ქვეყანას მაჭის საერისთავოც დაერქვა შემდგომ.

როგორც ითქვა, აშოტ კურაპალატის აღზევებას ხელი შეუშალა ქართლში კვლავ შემოჭრილმა არაბების ლაშქარმა, რომელსაც ხალილი მეთაურობდა. აშოტის მკვლელობის შემდეგ ისინი კვლავ დაეუფლნენ ქართლს. ხალილიმა თბილისის ამირად დატოვა ალი შუაბის ძე, თვითონ კი უკან დაბრუნდა.

„მას ჟამსა შეითქუნეს გარდაბნელნი და განაჩინეს ქორეპისკოპოსად დაჩი, ძე იოანე ქუაბულის ძისა, და შემდგომად მისსა დასვეს ქორეპისკოპოსად სამოელ დონაური და კუალად მეორედ მოვიდა იგივე ხალილ არაბი, შეიბნეს გარდაბნელნი გავაზს და გააქციეს ხალილ და მოსწყდა სიმრავლე ფრიადი და კუალად დაჯდა ტფილისს ამირად საჰაკ ისმაილის ძე. ხოლო ხალილ მივიდა მესამედ და მოკლეს ჯავახეთს“ (იქვე, გვ. 255).

თბილისის ამირა საჰაკი არ ემორჩილებოდა არაბთა ცენტრალურ ხელისუფლებას, ამიტომაც ის ტახტიდან გადააყენა ხალილიმა და მის მაგიერ ამირობა უბოძა ალი შუაბისძეს, ამის შემდეგ გარდაბნის კახელები შეებრძოლნენ გავაზთან საქართველოში მეორედ შემოჭრილ ხალილს და დაამარცხეს, თბილისის ამირობა ამის შედეგად უკან დაიბრუნა საჰაკმა. მაშასადამე, საჰაკი და კახნი გარდაბნელნი ერთიანი ძალებით ებრძოდნენ ბარდავში დამკვიდრებულ ხალილსა და მის მომხრეებს.

ხალილის სიკვდილის შემდეგ მის ძეს მოჰამედს მიემხრო ბაგრატ კურაპალატი – აშოტ კურაპალატის ძე „და მისცა მას ქართლი“ (იქვე, გვ. 255). ამას არ შეეგუენ „კახნი გარდაბნელნი“ და თბილისის ამირა საჰაკი და შეებრძოლნენ რეხთან მოჰამედსა და ბაგრატ კურაპალატს. ამის შემდეგ მოჰამედი გაიქცა ბარდავში.

გარდაბნელების ქვეყანაში მდებარეობდა პუნქტი ძველი გავაზი, რასაც მემატიანე აღნიშნავს კიდევ.

ძველი გავაზი ლაგოდეხის რაიონში მდებარეობდა. მაშასადამე, „გარდაბანი ალაზნის გაღმართი ჩაყოლება“, ის, როგორც ითქვა ლაგოდეხ, ზაქათალა, ბელაქან, კახის რეგიონს მოიცავდა. მას დამოუკიდებლობა მოუპოვებიათ არაბთაგან და ძლიერ ძალად წარმოჩნდა, კახ-გარდაბნელებს მათ მიერვე ამორჩეული ქორეპისკოპოსი მმართველობდა.

გარდაბნელებს საერთო კრება მოუწყვიათ, სადაც ქორეპისკოპოსად ჯერ დაჩი დაუდგენიათ, მის შემდეგ კი სამოელ დონაური. დაჩი იაონე ქვაბულის შვილი იყო, გამოჩენილი საგვარეულოდან (ქვაბულისძენი). ისინი ქორეპისკოპოსები ყოფილან გარდაბნელებისა, კახეთის საქორეპისკოპო-

სოს სახელით ცნობილი პოლიტიკური ერთეულისა. ქორეპისკოპოსი – საეკლესიო ტერმინია და ნიშნავს ეპისკოპოსის ნაცვალს, იმ დამხმარე სასულიერო პირს, რომელსაც სოფლების, შორეული კუთხეების სასულიერო მმართველობა ევალება.

მაშასადამე, კახეთის, ანუ გარდაბნის ქორეპისკოპოსები ყოფილან სასულიერო პირები – ეპისკოპოსის დამხმარენი.

რომელი ეპისკოპოსი იგულისხმება? შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი იყვნენ ქართლის კათალიკოსის ქორეპისკოპოსები. მაგრამ, იმჟამად, ქართლის კათალიკოსები არაბობის გამო სამცხე-ჯავახეთში იყვნენ გადასულნი, რადგანაც „გარყვნილ იყო საყოფელად მცხეთა“ ანუ მცხეთა იმჟამად (არაბთაგან დანგრევის გამო) კათალიკოსის საცხოვრებლად უვარგისი გამხდარა. კათალიკოსის სამცხეში გადასვლის გამო ცნობილი საეკლესიო კრებებიც სამცხე-ჯავახეთში ჩატარდა გრიგოლ ხანძთელისა და სხვათა მონაწილეობით.

თვითონ კახეთ-გარდაბნის მხარეშიც იყო საეპისკოპოსო, ზემოთ ხსენებული საქართველოს პატრიარქის ექვთიმეს 1310 წლის მოგზაურობიდან ჩანს, რომ მცხეთა ამ მხარეს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. ასევე უნდა ყოფილიყო 840-860-იან წლებში, როდესაც საქორეპისკოპოსო ჩამოყალიბდა.

მეორე მხრივ, აღმსარებლობით ეს მხარეები არა მონოფიზიტური, არამედ ქალკედონიტური ყოფილა, რადგანაც ქორეპისკოპოსი ქალკედონიტური მცხეთის ერთერთი სასულიერო ხელმძღვანელი იყო, რომელსაც ჩანს საერო ფუნქციებიც მიენიჭა და ის თავის ქვეყანას საერო მხრივაც მართავდა, რადგანაც ლეგიტიმური საერო ხელისუფლება მკვეთრად იყო შეზღუდული და განადგურებული არაბთა მიერ. მათ ჯერ არჩილი ხოსროიანი მეფე აწამეს, შემდეგ კი აშოტ ბაგრატიონი.

კახეთის ქორეპისკოპოსების ქალკედონიტობა იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ჰერეთი მონოფიზიტური იყო ვიდრე დინარა დედოფლამდე ანუ X საუკუნემდე.

ესაა ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელსაც, სამწუხაროდ ყურადღება არ ექცევა, რომ ჰერეთი ერქვა კახ-გარდაბნის იქით, შაქის პროვინციის მარჯვნივ მდებარე კაბალასა და მის მიმდებარე სანახებს, ვიდრე შამახამდე და არა კახ-ზაქათალა-ბელაქან-ბოდბე-დავით-გარეჯას რეგიონს, როგორც ეს მიჩნეულია ამჟამად.

თბილისის განდგომილი ამირას დასასჯელად ქართლში შემოიჭრა ბულა თურქი, მან მოკლა თბილისის ამირა საჰაკი, მას მიემხრო ბაგრატ კურაპალატი.

აფხაზთა მეფეები და გარდაბნელები ეომებოდნენ ბულას ჯარებს – „დაუდგეს წინ გარდაბნელნი და ავნებდეს დიდად ლაშქარსა“ (იქვე, გვ. 256).

თოვლის მოსვლის შემდეგ ბულა „შეიქცა გარე და დაიზამთრა ბარდავს და შეიპყრა ხუცისა ვინმე ძე, რომელი გამთავრებულ იყო და შემუსრა გარდაბანი. განაღო კარი დარუბანდისა და გამოიყვანა ხაზარნი, სახლი სამასი და დასხნა იგინი შანქორს“ (ქ. ც., ტ. I, გვ. 256). აქედან ჩანს, რომ გარდაბანში – „ალაზნის იქითა ჩაყოლების“ გარდა ჩანს შამქორიც ანუ რანის ერთი ნაწილიც მოიაზრებოდა, სადაც მტერს ხაზართა 300 ოჯახი დაუსახლებია.

ამ დროისათვის ქორეპისკოპოსად გაბრიელ დონაური, სამოელ ქორეპისკოპოსის ძმა და სხვანი ყოფილან (იქვე, გვ. 257). მემატინანე მათ შემდეგ ასახელებს კახთა ქორეპისკოპოსებს გაბრიელ დონაურს და ფადლა არევმანელს, ამ უკანასკნელს ბრძენ კაცსა და საქმის მცოდნეს უწოდებს (იქვე, გვ. 259). ისინი ყოფილან ბაგრატ კურაპალატის ძის დავით მეფე კურაპალატის დროს, ხოლო მეფე ადარნასე კურაპალატის დროს იხსენიებიან ქორეპისკოპოსები ფადლა და კვირიკე – „ფადლა ქორეპისკოპოსი განძლიერდა და დაიმორჩილნა გარდაბნელნი და შემდგომად მისა დაჯდა კვირიკე ქორეპისკოპოსად“ (ქ. ც., ტ. I, გვ. 262).

კახ-გარდაბნის ქვეყანა და ჰერეთი ერთმანეთს ებრძოდნენ.

ჰერეთი ამ დროისათვის გაძლიერებული იყო არაბთა მიერ.

იმ დრომდე კახეთში შემავალი შაკიხის მეპატრონე ბაგრატიონები გაძლიერდნენ და მათ შეძლეს ჰერეთის ანუ კაბალის ქვეყნის დამორჩილება ვიდრე შამახამდე.

ამის გამო ჰერეთის მპყრობელებად შაკიხელი ბაგრატიონები გადაიქცნენ, მათ ჰერეთის მეფის ტიტული მიანიჭეს არაბებმა და დაიწყეს თავიანთი სამეფოს საზღვრების გაფართოვება.

ჰერეთის სამეფო გაძლიერდა და შეძლო კახ-გარდაბნის, მისი მეზობელი ტერიტორიის დაპყრობა, მათ შორის ყოფილა ვეჟინის ციხეც.

გარდაბანის პოლიტიკური ერთეული ბულა-თურქის ლაშქრობის შემდეგ კიდევ უფრო, მკვეთრად დაემცრო. მან დაკარგა ძირითადი ტერიტორიები – „ალაზნის გაღმა მხარის“ სამხრეთი ნაწილი და საზღვარი გავაზთან იქნა გავლებული, სხვა ტერიტორიები ჰერეთში აღმოჩნდა.

გარდაბნის პოლიტიკური ერთეული ამ დამცრობის შემდეგ კვლავ აგრძელებდა არსებობას – ახლა უკვე მისი ძირითადი ნაწილი გახდა კახეთის ჩრდილო მხარე. ყოფილი კახ-გარდაბანის ერთი ნაწილი ჰერეთში მოექცა, მაგრამ მისი უკან დაბრუნებისათვის კახელები დიდად იღწოდნენ.

ქვეყანა არაბების გამო აოხრებული იყო, ხალხის რაოდენობა შემცირებული, ამიტომაც წერს მემატინანე – „შემდგომად ამისა, ვითარ გარდახდეს წელნი რაოდენიმე და მოეშენა ქვეყანა, მაშინ უხმო კვირიკე ქორეპისკოპოსმან კონსტანტი აფხაზთა მეფესა ჩავიდეს ჰერეთად და მოადგეს ციხესა ვეჟინისასა. აფხაზთა მეფე მოადგა ზედათ-კერძო და კვირიკე ქვემოთ და ვითარ მისწურეს წაღებად, მაშინ ადარნასე პატრიკი მოვიდა პარასკევის ჯვარსა მიუპყრა ზავის პირი, მოსცა აფხაზთა მეფესა არიში, გავაზნი და კვირიკეს ორჭობი“ (ქ. ც., ტ. I, გვ. 264).

მაშასადამე, კახეთის საქორეპისკოპოსო და აფხაზთა სამეფო ერთიანი ძალით იბრძოდნენ კახეთის ძველი ციხეების გასათავისუფლებლად ჰერებისაგან. თავის მხრივ ჰერელებს ეხმარებოდა ქართველთა (ტაო-კლარჯეთის) მეფე. საბოლოოდ მხოლოდ მცირე ნაწილი დაუბრუნდა კახეთს. ამ შველის მიზეზი ის უნდა ყოფილიყო, რომ ძველი ქართლის სამეფოს არჩილ მეფის დროინდელი მემკვიდრეობა თავიანთად მიაჩნდათ კლარჯეთის „ქართველთა მეფეებს“, მოითხოვდნენ არჩილ მეფის კახურ ტერიტორიებს და

კახეთის ბრძოლა თავისუფლებისათვის მათ სეპარატიზმად მიაჩნდათ, მათ ნინაალმდეგ არაბულ ძალებს ემხრობოდნენ.

აფხაზთა მეფე გიორგის დროს გარდაიცვალა კვირიკე ქორეპისკოპოსი და მის ნაცვლად დაჯდა ქორეპისკოპოსად ფადლა, ძე კვირიკესი. ამან ააგო ციხე ლონობანთა (იქვე, გვ. 265). ამ ეპოქაშივე ცხოვრობდა ჰერეთის დედოფალი წმ. დინარა – „ჰერეთსავე მეფობამდე იმხანიკისსა, პირველნი ყოველნი იყვნეს მწვალებელნი, ხოლო იმხანიკ დისწული იყო გურგენ ერისთავთ-ერისთავისა, და დედამან მისმან მოაქცევინა მართლმადიდებლად, დინარ დედოფალმან და სალართა დაეპყრა მაშინ ბარდავი და ადრაბაგანი“ (ქ. ც., ტ. I, გვ. 266).

გარდაბანი – ანუ „ალაზნის გაღმართი ჩაყოლება“ ბუღა თურქის შემდეგ უკვე არა კახეთის, არამედ ჰერეთის ქვეშ მოიაზრება, ასეთი ცვლილება მოახდინა ბუღა თურქის ლაშქრობის შედეგად „გარდაბნის შემუსვრამ“ (გარდაბანი შემუსრა ბუღამ) და ჰერეთის გაძლიერებამ.

როგორც აღინიშნა ბუღა თურქის შემდეგ კიდევ უფრო განივრცო ჰერეთი, მიზეზი ამისა ის იყო, რომ გარდაბან-კახეთის ქორეპისკოპოსები ემხრობოდნენ თბილისის იმ ამირებს, რომელნიც ბარდავრანში დამკვიდრებულ არაბთა სხვა სარდლებს მტრობდნენ. ამის გამო ჰერეთის მეფე მთავრები რან-ბარდავის მფლობელებს ემხრობოდნენ. საბოლოოდ ბუღა-თურქმა დაამარცხა თბილისის ამირები, რომლებსაც გარდაბანის ქორეპისკოპოსები ემხრობოდნენ. ეს იყო კახ-გარდაბნელთა დიდი პოლიტიკური მარცხი. ისინი ბრძოლის ველზეც დაამარცხა ბუღამ და კახ-გარდაბანიც შემუსრა. ამ მიზეზის გამო, გარდაბანი ანუ „ალაზნის გაღმართი ჩაყოლება“ ჰერეთში აღმოჩნდა IX საუკუნის შემდეგ.

X საუკუნესა და შემდგომ მიუხედავად იმისა, რომ კახეთის მთავრები აფხაზთა მეფეების შემწეობით ცდილობდნენ „ალაზნის გაღმართი ჩაყოლების“ უკან დაბრუნებას, ეს მათ იმჟამად ვერ მოახერხეს. „ქართველთა მეფეები“ ანუ ტაო-კლარჯეთის მეფეები ჰერეთის მფლობელებს უჭერდნენ მხარს.

საქართველოს გაერთიანების შემდეგ ჰერეთიც და კახეთიც ერთიან სამეფოში მოექცა. ასე, რომ კახელებით დასახლებული გარდაბანი ანუ ალაზნის გაღმა მხარე – ბელაქნის, ზაქათალას და კახის რაიონები, შაქის ჩათვლით ისტორიის გარკვეულ ეტაპზე ჰერეთში იყო მოქცეული. ის ყოველთვის ქალკედონიტური ანუ მართლმადიდებლური მხარე იყო იმ დროსაც როცა ჰერეთის ძირითადი ნაწილი მონოფიზიტური იყო.

ჰერეთის ძირითადი ნაწილი იწყებოდა ბარდაშენ-ვართაშენთან და ვიდრე შამახამდე იყო განვრცობილი ისიც X საუკუნეში ქალკედონიტური გახდა და მცხეთელი პატრიარქის იურისდიქციაში შევიდა. „ალაზნის გაღმართი ჩაყოლება“ საქართველოს პატრიარქის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყო, ამით უნდა ავსხნათ 1310 წელს მცხეთელი პატრიარქის აქ მოგზაურობა, მის მიერ ამ მხარეში მდებარე წმ. ნინოს, წმ. არჩილის, წმ. გიორგის, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და ყოვლადწმიდა სამების ეკლესიების მონახულება, მათ შორის ძველი მოვაკანისა და ელისენისა.

„ალაზნის გაღმართი ჩაყოლება – გარდაბანი“

ზაქათალა, ბელაქან, კახისა და შაქის რაიონები მუდამ კახეთში შედიოდნენ. მათი მომცველი რეგიონი ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლისა და კახეთის სამეფოს დაარსების შემდეგაც მუდამ კახეთის განუყოფელი ნაწილი იყო, უფრო მეტიც აქ მდებარეობდნენ კახეთის სამეფოს ცენტრები, სამეფო სატახტო ქალაქები – ზაგემი, ბაზარქალაქი, კახეთის მეფეთა საზამთრო რეზიდენცია მაჭი (VIII ს.) და ბოეთანი – კახეთის მეფეთა ერთ-ერთი დიდი რეზიდენცია.

კახეთის ამ გულში იღებდნენ კახეთის მეფეები ელჩებს. ასე იყო შაჰ-აბასამდე, რომელმაც კახეთს ჩამოაჭრა ეს ნაწილები ისევ, როგორც ადრე ბულა-თურქმა. შეიქმნა სასულთანო, შემდეგ კი საბუღარი დაღესტნელი ლეკებისა – ჭარ-ბელაქანი.

შაქი კიდევ უფრო ადრე დააშორეს კახეთს. მისი მოსახლეობა გამაჰმადიანდა.

ამ დროს კვლავ მიეცა ასპარეზი სომხურ ეკლესიას. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ეს ტერიტორიები რუსეთის იმპერიაში მოექცა. პასკევიჩის დროს და მის შემდეგ 1820-30-იანი წლებიდან აქ ჩამოასახლეს ყარაბაღელი სომხები. მათ აქ ძირითადად გამაჰმადიანებული ყოფილი კახელები დახვდათ, მათი სოფლები მოფენილი იყო იმ ძველი ტაძრებით, რომელნიც ერთ დროს საქართველოს პატრიარქმა ექვთიმემ მოილოცა.

მონოფიზიტთა ერთი ჩვეულება ექვთიმეს დოკუმენტშიც არის აღწერილი – ესაა სხვისი სასულიერო საკუთრების მითვისება – კერძოდ ექვთიმეს დროს მათ პეტრე ლაგაძის მიერ დაწერილი წიგნი „ალვანის ისტორია“ მიუთვისებიათ, პასკევიჩის დროს კი ქართული ტაძრები – ამ რეგიონისა – მისაკუთრეს.

1310 წლის დოკუმენტში ნაბრძანებია – „ცხოვრება ალვანისა, ესე იგი არს სავანისა, რომელი დაწერა პეტრე ლაგაძემან – ვინმე სომეხმა გარყვნა იგი და საკუთრივ დაწერილად გამოაცხადა და სომეხთაც ადვილად ინამეს ჩვეულებისამებრ“ (1310 წლის მაღალაშვილისეული სახარება, კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. II, 1941, გვ. 314-315).

ტექსტში სიტყვა „გარყვნა“ ნაშლილია და მისგან მხოლოდ ორი ასო დარჩენილა „გა“, კეკელიძის აზრით აქ ეწერა „გადაილო“. ტექსტის გამრყვნელს საბოლოოდ მთელი წიგნი მიუთვისებია და ავტორად თავის თავი გამოუცხადებია – ეს კი მათ „ადვილად დაიჯერეს ჩვეულებისამებრ“ ნათქვამია დოკუმენტში.

პასკევიჩის დროს ყარაბაღელ სომხის სასულიერო პირებს უპატრონოდ მიტოვებულ ზაქათალა-ბელაქან-კახის რეგიონში ქართული ეკლესიებისათვის სახელები შეუცვლიათ.

კერძოდ – ვარდაშენის წმ. წინასწარმეტყველ ელიას ტაძრისთვის უწოდებიათ წმ. ელიშეს სახელი – ელიშე ალბანეთის განმანათლებლად მიიჩნევა და ალბათ ამ მიზეზით.

შაქის ეკლესიისთვის წმ. რიფსიმეს სახელი უწოდებიათ, მაშინ, როცა 1310 წლის დოკუმენტში ასეთი სახელის მქონე ეკლესია არ ჩანს, აქ იხსენიება ლექართის წმ. ნინოს ეკლესია.

ქიშ-ნუხის, ანუ გიშის ეკლესიისათვის სახელი არ შეუცვლიათ – ის დარჩა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობისა.

ასევე წმ. გიორგის სახელი არ შეუცვლიათ ზარის ანუ ზაიზიტის ეკლესიისათვის. სამაგიეროდ ქართული წარწერები სომხურით შეუნაცვლებიათ. მრავალი სომხური წარწერა XIX საუკუნით თარიღდება. ეს შეეხება ძირითადად შაქი-ვარდაშენის (ოგუზის) რეგიონს, ასევე მოხდებოდა კაბალას (კუტკაშენის) რეგიონშიც.

როგორც აღინიშნა, გარდაბანი ერქვა როგორც მტკვრის მარჯვენა, ისე ალაზნის მარცხენა სანაპიროს ტერიტორიებს. კერძოდ უძველესი ხანიდან „ბერდრუჯის მდინარიდან ვიდრე ტფილისამდე“ – გარდაბანი იყო. მაგრამ VIII-IX საუკუნეებში გარდაბანი ასევე ერქვა „ალაზანს გაღმართ ჩაყოლებას“. ეს მიწა – კახელებით იყო დასახლებული ქართლის ცხოვრების ზემოთ მოყვანილი ცნობებით, შემდეგ – ბულა-თურქის დროს – ეს გარდაბანი ჰერეთს გადაეცა, საქართველოს გაერთიანების შემდეგ კვლავ კახეთის პროვინციაში მოექცა, საქართველოს დაშლის შემდეგ კი კახეთის სამეფოში XVII ს-მდე როცა შაჰ-აბასმა ის ჩამოაჭრა კახეთის სამეფოს, რამაც იქამდე მცხეთის პატრიარქის სამრევლო ამ მხარეებისა გაამაჰმადიანა, ნაწილი მართლმადიდებლებისა კი სომხური ეკლესიის იურისდიქციაში მოექცა, თუმცა მცირე ნაწილმა შეძლო თავისი ვინაობის შენარჩუნება.

16. XII. 2012
მონასტერი

კახ-გარდაბნის დასუსტება და ჰერეთის გაძლიერება

VIII ს-ში აშოტ კურაპალატის ძემ ბაგრატმა შეძლო თავის ხელში აელო თავისი მამის, აშოტის მიერ მოპოვებული მინა-წყალის მმართველობა, თავის ძმებთან ერთად. ის ემორჩილებოდა არაბთა ხელისუფლებას და ამიტომ მიემხრო ხალიფას მიერ გამოგზავნილ მხედართმთავარ მუჰამედს, ამ მუჰამედს ევალებოდა განდგომილი თბილისის ამირას საჰაკის დასჯა. საქმე ის იყო, რომ აფხაზთა მეფეები და თბილელი ამირები შეკავშირდნენ არაბთა სახალიფოსთან ბრძოლისას, ხოლო კლარჯი ხელმწიფეები პირიქით – სახალიფოს ემხრობოდნენ.

თბილელ ამირა საჰაკს შეებრძოლნენ მუჰამედი და ბაგრატ აშოტის ძე, მათ აიღეს უფლისციხე.

„კახნი გარდაბნელნი“ მივიდნენ უფლისციხესთან საჰაკის საშველად. დიდი ბრძოლის შემდეგ მუჰამედმა დატოვა საქართველო და ბარდავში გადავიდა.

საჰაკისა და მუჰამედის ურთიერთბრძოლა კვლავ გაგრძელდა, ამ ეტაპზე სახალიფოს წინააღმდეგ ბრძოლისას აფხაზები, კახელები და თბილელები ერთად იდგნენ, შემდეგ ბუღა თურქის შემოსვლისას აფხაზთა და კახთა ძალები კვლავ ერთ მხარეს იბრძოდნენ. ბუღა თურქმა დასაჯა თბილელი ამირა საჰაკი, რომელიც არ ემორჩილებოდა სახალიფოს.

შემდეგ ბაგრატ კურაპალატის და ბუღა თურქის ჯარი შეებრძოლა და დაამარცხა აფხაზთა ჯარი, აფხაზთა მეფე იძულებული გახდა ეძებნა უკან დასახევი გზა დასავლეთ საქართველოსკენ, ეს გზები ჩაკეტილი იყო, ამიტომაც ის იძულებული გახდა წასულიყო დვალეთის გზით. „კახნი გარდაბნელნი“ წინ დაუდგა სახალიფოს ლაშქარს. ბუღა თურქმა გადანყვიტა გაჰყოლოდა ჩრდილოეთის გზით გაქცეულ აფხაზთა მეფეს და სურდა კავკასიაში შესვლა, მართლაც მიაღწია ცხავატამდე, მაგრამ კახეთის გავლენის ქვეშ მყოფმა მთიულებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს და არ შეუშვეს კავკასიის მთებში. ფაქტიურად „კახ-გარდაბანელთა“ წინააღმდეგობის გამო სახალიფოს გეგმა ჩაიშალა.

ბუღა თურქი იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო და დაეზამთრა ბარდავში, მან ისარგებლა იმ მომენტით, რომ გარდაბანი ახლოს მდებარეობდა ბარდავთან და მემატთან სიტყვით მან შეიპყრო კახ-გარდაბანის მთავარი, ვინმე ხუცისძე და შემუსრა გარდაბანი. ამ გარდაბნის ქვეშ იგულისხმება ალაზნის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ტერიტორია. გარდაბანს მემატთან უწოდებს „ალაზნის გაღმართი ჩაყოლება“.

როგორც ჩანს, გარდაბნის ამ რეგიონში იმჟამად შედიოდა ასევე შამქორიც, ამიტომაც ბუღა თურქმა დარუბანდის გზით კასპიის ზღვის მხრიდან შემოიყვანა სამასი სახლი ხაზარები და „დასხნა იგინი შამქორს“ (ქ. ც., ტ. I, გვ. 256).

უძველეს დროს, როგორც მიიჩნევა, ერთ ოჯახში, ერთ სახლში დაახლოებით 80-100 კაცი ცხოვრობდა, ასეთ შემთხვევაში 300 სახლი შეადგენს

24000-30000 სულს, რაც დიდი რაოდენობაა იმ ოლქისათვის. ამ ჩამოსახლებით ბულა-თურქმა შეასუსტა კახ-გარდაბნელთა ძალა.

ამასთანავე მან უნდა ითქვას ისიც, რომ IX საუკუნისათვის გარდაბანი დიდი ოლქი იყო და მასში არა მხოლოდ „ალაზნის გაღმართი ჩაყოლება“, ანუ ალაზნის მარცხენა სანაპირო, არამედ ალაზნის მარჯვენა სანაპიროცა და მტკვრის სანაპიროებიც შედიოდა, მასთან ახლოს იყო დმანისის ძლიერი ოლქი, ამიტომაც ბულა თურქმა დმანისის რეგიონის დასუსტების მიზნით ჩრდილო კავკასიიდან შემოიყვანა „100 სახლი“ ოსური ოჯახი და „დასხნა იგინი დმანისს“ (იქვე, გვ. 257), ამით კახ-გარდაბნის სამხედრო ძლიერება დასუსტდა.

ამ ეპოქაში კახთა ქორეპისკოპოსი ყოფილა გაბრიელ დონაური, ძმა სამოელ ქორეპისკოპოსისა.

გაბრიელ დონაურის შემდგომ, კახთა ქორეპისკოპოსად დაჯდა ფადლა არევმანელი. ფადლას შემდგომ კი კახთა ქორეპისკოპოსი იყო კვირიკე. უჯარმა იყო თბილისის ამირას ხელში, არაბებმა აიღეს ბოჭორმის ციხე და მინა-წყალი უფლისციხემდე.

კახ-გარდაბნელთა დასუსტებამ საერთოდ შეცვალა პოლიტიკური სურათი, მნიშვნელოვნად შეიცვალა საზღვრები და კახეთი შემცირდა.

კახეთის გარდაბნის დასუსტებით ისარგებლა ჰერეთის მეფემ, მან შეძლო დაეპყრო კახეთის მიწები ალაზნის მარცხენა სანაპიროზე, ხოლო მარჯვენა სანაპიროს მხარეს აიღო ვეჯინის ციხე.

დაუძღურების გამო, როცა კახეთის მიწაწყლის დიდი ნაწილი ჰერეთის ხელში აღმოჩნდა, კახეთის მთავრები იძულებულნი გახდნენ შეკავშირებოდნენ თავიანთ ნინანდელ მტრებს აფხაზთა მეფეებს. კერძოდ კვირიკე ქორეპისკოპოსმა კახეთში მოიწვია აფხაზთა მეფე კოსტანტი და ისინი ერთიანი ძალით შეებრძოლენ ვეჯინის ციხეში გამაგრებულ ჰერეთელ მეციხოვნეებს, არიში და გავაზი აფხაზ მეფეთა ხელში გადავიდა, ხოლო კვირიკეს ხელში გადავიდა ორჭობი. მის შემდეგ მხარეები დაზავდნენ.

კვირიკე ქორეპისკოპოსის შემდგომ ახალ ქორეპისკოპოსად დაჯდა ფადლა კვირიკეს ძე, რომელმაც ლონობნის ციხე ააშენა „და ჰერეთსავე, მეფობამდე იმხანიკისსა, პირველნი ყოველნი იყვნეს მწვალებელნი, ხოლო იმხანიკ დისწული იყო გურგენ ერისთავ ერისთავისა, და დედამან მისმან მოაქცივნა მართლმადიდებლად, დინარ დედოფალმან. და სალართა დაეპყრა მაშინ ბარდავი და ადარბადაგი“ (ქ. ც., ტ. I, გვ. 266).

კახეთი უფრო და უფრო მცირდებოდა, ერთ მხრივ მისი ტერიტორიების დიდი ნაწილი ჰერეთის ხელში გადავიდა, ხოლო დასავლეთის მხარეს მის ნინაალმდეგ მდებრად იბრძოდა აფხაზთა სამეფო.

ფადლა ქორეპისკოპოსის შემდგომ კახთა ქორეპისკოპოსად დაჯდა კვირიკე, მაგრამ კახელი გარდაბნელი აზნაურები მას გადაუდგნენ და მიემხრნენ აფხაზთა მეფე გიორგის, რომელიც თავისი ლაშქრით კიდევაც

ჩავიდა კახეთში და მემატთანეს ცნობით გადაწვა ის, უკან დაბრუნების შემდეგ ჩადგა ატენის ციხეში, ხოლო ქართლის ერისთავად დანიშნა თავისი ძე ლეონი.

აფხაზთა ლაშქარი შეიკრიბა რათა კვლავ შესულიყო კახეთში. კახეთის ყველა ციხე გადავიდა აფხაზთა ხელში გარდა სამი ციხისა – ნახჭევანისა, ბოჭორმისა და ლონობანთა, რომელნიც შემდეგ აიღო აფხაზთა მეფემ, მაღლევე ყველა ციხე კვლავ დაიჭირა კვირიკე ქორეპისკოპოსმა. ამის მიუხედავად, კახეთის სამეფო თანდათან თავისთავადობას კარგავდა.

შემდგომ კვირიკე ქორეპისკოპოსი და აფხაზთა მეფე გიორგის ძე ლეონი დაზავდნენ და ამ უკანასკნელმა თავისი ასული ცოლად მისცა კვირიკე ქორეპისკოპოსს, მალე ეს ქალი გარდაიცვალა. კვლავ დაიწყო ომი კახეთსა და აფხაზეთს შორის. კახეთის საზღვარი მუხრანამდე აღწევდა. კახეთის თავისთავადობა განამტკიცა აფხაზთა სამეფო სახლში დაწყებულმა არეულობამ.

კვირიკე ეპისკოპოსი დადგა შუამდგომლად დემეტრე აფხაზთა მეფისა და მის ძმას თეოდოსს შორის. მიუხედავად ამისა დემეტრემ თეოდოსს თვალეზი დაწვა, დემეტრეს სიკვდილის შემდგომ ბრმა თეოდოსი გამეფდა. ამ დროს კახეთის ლაშქარი მოადგა უფლისციხეს, ამიტომაც ქართლის ერისთავმა იოანე მარუშის ძემ მოციქული გაუგზავნა დავით კურაპალატს და მოიწვია ის რათა ქართლში ელაშქრა, შესთავაზა ან თვით დაეჭირა ქართლი ანდა გადაეცა ჩრდილო ტაო-კლარჯეთ-სამცხის მმართველ ბაგრატ გურგენის ძისათვის რომელიც იყო აფხაზთა მეფის გიორგის შვილიშვილი, კერძოდ გიორგის ასულის ნული „რომელსა ეყოდა დედულად აფხაზეთი და ქართლი“ (ქ. ც., ტ. I, გვ. 272).

დავით კურაპალატი თავისი ლაშქრით მიადგა უფლისციხეს და ის უბოძა ბაგრატს და მის მამას გურგენს – „ბაგრატ ძე გურგენისი გაეზარდა შვილად თვისად“ – წერს მემატთანე დავით კურაპალატის შესახებ.

